




# ჩვენს მხედრობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

23 იანვარი 2015

№ 2 (236)



მაკა ჯოხაძის ესეი  
ჯარჯი ფხოველის მეტალექსები  
ინტერვიუ ნინო მამაცაშვილთან  
მანანა ტურიაშვილი თემურ ჩხეიძეზე  
წიგნები ფოიეში და მტრედები გუმბათზე  
ლირიკული ავტობიოგრაფია — თაობის ტრაგედია  
ბექა ქურხულის და გიორგი შენგელაიას სატირა  
ნინო ვახანია გაბრიელ ჯაბუშანურზე  
როაღდ დაღის პასტორის ნეტარება  
კულტურული ტრავმის ნასხლეტები  
სევდა — პოლ ვალერის ხელობა  
XXI საუკუნის ოსკარ უაილდი  
ნუნუ ჯანელიძის ლირიკა

# შინაარსი

რედაქტორის გვარდი	2	ლირიკული ავტობიოგრაფია — თაოგის ტრაგედია (ლუბა ელიაშვილის პოეტური დებიუტი)
გამოსვლა	4	ელგუჯა თავბერიძე კულტურული ტრავმის ნახსენებები (ელენე ჩხაიძის თვალსაჩინო ნაშრომის გამო)
მხარე-ინტერვიუ	6	ნინო მამაცაშვილი „მედიკალიზაცია ერთმანეთი“ (მოამზადა ნატა ვარადაძე)
ჩემი პატარა ძალი	7	იოსებ ჭუმბურიძე ნიგნავი ფონიში და მტრადები გუმბათზე (გიორგი სოსიაშვილის ოთხი ახალი ნიგნის წარდგინება)
დრამატურგია	8	ბექა ქურხული ცოცხალი გადამჯდარი მეთე (სატირული ზღაპარი)
პოეზია	20	ნუნუ ჯანელიძე ***ჩვენ გავხვები ვართ მარადიული და სხვა ლექსები
კულტურის სივრცე	23	ჯარჯი ფხოველი სულხანი ლექსები და მათალექსები
სად წაიყვან სადაურსა	25	როსტომ ჩხეიძე პოლ ვალარის ჭეშმარიტი ხელოვა — სევდა
უხროვის თვალთ	30	მარიამ მარჯანიშვილი „მე მიზიდავს და მინტარისაგან მსოფო სპარტივლო“... (მარიამ კერესელიძის ეპისტოლეების მიხედვით)
კრიტიკა	36	ივან ანდრუსიაკი ოცდამეერთე საუკუნის ოსკარ უილდი (გურამ პეტრიაშვილის ლიტერატურული ზღაპრები)
თეატრალური სინაზი	38	მაკა ჯოხაძე „ჩემო ქვეყანა — ცრემლების ყვავილო“ (დედა ელენეს პოეზია)
უბრუნავი პორტრეტისათვის რეპორტაჟი	41	მანანა ტურიაშვილი თანამედროვე ჯალათები (თემურ ჩხეიძის სპექტაკლი „გრონჰოლმის მეთოდი“)
დაუვიწყარი სხელები	44	ეკა ბუჯიაშვილი „ერთი ქეთი სვანიძე“
უბის წიგნაკიდან ახალი რომანი	48	ნინო ვახანია ამალდა გრძნობა მეთქვან ცაზე და მეშვიდე ცას უახლოვდება (გაბრიელ ჯაბუშანურის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო)
მომგონებათა სივრცე	50	მედეა როგავა წარსულთან დაბრუნება (ნოდარ ანდლულაძე)
უხროვი ნოველა	52	მაკა ჩარკვიანი ცუდას რად უნდა მტარობა
ამ მთისა და იმ გარისა	54	ლია კარიჭაშვილი ბარდისახვა — მწერლისა თავისსავე პერსონაჟად (როსტომ ჩხეიძის საჯარო ლექცია ვაჟა-ფშაველასზე)
	55	დარინა ყურუა დევიტის სტუმარი ანუ აზიღული საფალავნო ქვა (ვაჟა, როგორც ბიოგრაფიული რომანის გმირი)
	57	ლეილა მესხი ფიქრის კრილოსანი
	62	როალდ დალი პასტორის ნეტარება
	71	ლექსი და ისტორია



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი  
გამოვა 2015 წლის 6 თებერვალს

დაარსებულია  
ომეგა ჯგუფის მიერ  
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი  
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში  
ომეგა თავი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,  
თბილისი საქართველო  
ტელ: 00 995 32 53 12 77  
ფაქსი: 00 995 32 53 08 33  
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge  
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაქულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დევანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კვიციანი

გარეკანზე: ქეთი სვანიძე, თამარ ჩარგვაზიას ფოტო  
ლაურა ნათი, „ქარი და მზე“

# ლირიკული ავტობიოგრაფია — თაობის ტრაგედია

(ლუბა ელიაშვილის პოეტური დებიუტი)

„ავტობიოგრაფია“ პოეტის ცხოვრების ლირიკული ვერსიაა და მთელი თაობისაც.

ეპოქის სურათის თავისებური ამრეკლავიც.

პოეტის, აქამდე ტელეჟურნალისტიად რომ იცნობდა საზოგადოება და დიდად აფასებდა მის პროფესიონალიზმს — საჭირობოროტო თემების შერჩევასა და მათზე დაუფარავ, შეუღამაზებელ, ღრმა ანალიტიკურ მსჯელობას; შეუპოვრობას, პირუთენელობას, დახვეწილ მეტყველებას, იმ ქართულს, რომელიც ნაკლებად გვესმის ტელეეკრანებიდან, არადა, ძალიან გვენატრება; ექსპრესიას, მახვილგონიერებას, წიგნიერებას... ყოველივე იმას, რაც ასე აკლია ჩვენს ჟურნალისტიკას...

ერთი სიტყვით, იგი პოეტი გახლდათ ტელეჟურნალისტიკაში, თუნდ ერთი სტრიქონიც არ დაენერა.

და თურმე სტრიქონებიც უნდა დაენერა და ექცია იმ ლექსებად, ერთბაშად სალიტერატურო ცხოვრების უშუალო მონაწილე რომ უნდა გამხდარიყო.

სწორედაც მონაწილე, თორემ სხვაგვარად ლუბა ელიაშვილი არც იფიქრებდა არამცთუ პოეტური კრებულის გამოცემას, არამედ საჟურნალო თუ საგაზეთო პუბლიკაციასაც კი, და თუ ლექსის ჭია არ მოასვენებდა, თავისთვის დაწერდა, ყველასაგან ფარულად, და სულს ამითაც მოიბრუნებდა.

მაგრამ ლექსთა სრულფასოვნება — მღელვარე განცდების გადმოღვრასთან ერთად ფორმის მოხდენილობაც — თვითონვე აიძულებდა საიდუმლო პროცესი გაეთვალსაზრისწინა და პირველი პუბლიკაციისთანავე ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე თავისი გულშემატკივარიც გაეჩინა.

ლექსთა ეს რკალი მაკა ჯოხაძეს უნდა შეერჩია და მას დაელოცა გზა ცნობილი ჟურნალისტის პოეტური დებიუტისათვის.

სხვათა შორის, პოეტსა და მის დამკვალნიანებელს ის საერთოც აახლოებთ, რომ ორივე ძალზე მონადინებულია, მიავნონ და გზა გაუხსნან ყველას, ვისაც ნიჭს შეამჩნევენ... და კიდევ ისიც, რომ თუმცა ამგვარი თავგამოდებისა უმადური ადამიანი ბევრად მეტი შეხვედრით, ვიდრე მადლიერი, მაინც თავისას აგრძელებენ დაუმცხრალად, რადგან ეს მზრუნველობაც არანაკლებ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, ვიდრე ის, რაც უშუალოდ მათი მონოდება და საქმიანობაა.

„მოვიქცეთ ჯაზურად“ — ესეც ლუბა ელიაშვილის პირველი პოეტური კრებულის სახელწოდება, თუმცა... მთლად შესაფერისად შერჩეული ვერა. ეს განწყობილება სულაც არ განსაზღვრავს ამ კრებულის მხატვრულ მრწამსსა თუ სულისკვეთებას, რკალისას — ნამდვილად, რაკილა ერთი ასპექტი წიგნისა ამ ხაზს მიჰყვება, მაგრამ ასპექტი კრებულში რამდენიმეგვარია და ყველა ერთობლივად არ უნდა შემოზღუდულიყო ჯაზრობის ნიშნით, მითუმეტეს, ამ ქარგაზე არ უნდა აგებულიყო რედაქტორის წინააღმდეგობა, სრულიად აცდენილი წიგნის კონცეფციას, მიუხედავად იმისა, რომ ლექსებისაგან გამონეული შთაბეჭდილება ზუსტადაა მიგნებული: კარნავალურობა. და ამიტომაც სჯობდა მიხო მოსულიშვილი ამ მიგნებას მიჰყოლოდა, მისი დადასტურება ეცადა და არ მოენდომებინა სიტყვებით წარუმატებელი თამაში, თორემ „ლუბაურა ლექსები“ ყოვლად ყურისმომჭრელი სიტყვათშეთანხმება და ვერც წინააღმდეგობის ფინალური სტრიქონები მოგხიბლავს მახვილგონიერებით: „გააჯახეთ, ლუბაურებო! ბოლომდე ეგრე გააჯახეთ!“

გულდასაწყვეტია ასეთი ზერეულე (არ მინდა ვთქვა: გაუგებარი) წინააღმდეგობა მწერლისაგან, ვისაც არ უძნელდება ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიების წერა და არც ამჯერად დაემართებოდა ეს გაუგებრობა, ბოლომდე რომ ჩანდომოდა და განეცადა ლუბა ელიაშვილის ლექსების უმძაფრესი დრამატიზმი, ასე კანთიელად გამჟღავნებული კრებულში, ყველაზე ხელშესახებად კი „ავტობიოგრაფიასა“ და იმ პოეტურ ნიმუშში, ასე რომ დაუსათაურებია ავტორს: „რუსული რულეტკა“, ანუ ერთი ტყვიით ნაკლები“, რომელიც უშუალოდ აგრძელებს და ავირგვინებს „ავტობიოგრაფიაში“ ნამოჭრილ თემატიკას, პრობლემატიკას, განწყობილებას და... ეგებ ამ ორი ლექსის კომპოზიციურ ჩარჩოშიც მოქცეულიყო კრებულის ქარგა, მათ შეეკრათ წიგნი გარეგნულადაც ისევე, როგორც შინაგანად ჰკრავენ, სწორედ ისინი, და არა „ჩამო!“ და „ფინალის ლექსი“, რომელიც უფრო დეკლარაციულად აცხადებს იმ სათქმელს და, ამდენად, ნაკლებ შემძვრელად, ვიდრე ეს ორი ლირიკული ნიმუში, ერთნაირად წარმომსახველი პოეტის ავტობიოგრაფიისა და მთელი თაობისა, და ეპოქის სულის ასე თვალნათლივ და ექსპრესიულად ამრეკლავიც.

„შენი თავი ბავშვობიდან დამაძალეს...“

ეს „შენ“ — სამშობლოა, რომლის შემოჭრაც ყმანვილის ცნობიერებაში სხვა არა ყოფილა რა, თუ არა იმ დამთრგუნველი განცდების გამოწვევი, დროის გადასახედიდან ასე რომ განისაზღვრებოდა: დამაბრალეს, დამავალეს, შემომაჩვენეს. სქოლიოზის კორსექტივით მომაზომეს, შიგ ჩამჭედეს, შემომაკრეს, შემომიჭირეს — იდეებად, გმირებად, ლხინებად და გასაჭირებად.

გაბრუნდებოდა ყმანვილის ცნობიერება იმით, რაც მის გულს არ ეკარებოდა და ძალადობად აღიქვამდა ყველა იმ შეხედულებასა თუ შეგონებას, რაც თავისთავად საცხებით მართებულიც გახლდათ, მაგრამ, თავსმოხვეული, ჰკარგავდა მადლსა და ზემოქმედების ძალას, ის კი არა, მისგან თავდასაღწევადაც კი ინვევდა ახალუხალთა სულს, და მათ შორის ლუბა ელიაშვილსაც, რომელსაც თავისუფლება იმხანად სულ სხვაგვარად წარმოედგინა და სამშობლო და მისთვის თავდადება ამიტომაც არ განერჩიოდა ხუნდებისაგან, აღმაფრენას რომ უზღუდავდა.

და მამ კიდევ უნდა დამსხვრეულიყო გალიაში ყოფნის შეგრძნება და გარდუვალადაც, როდესაც უცხო ჰორიზონტისაკენ უფრო გავირბის თვალი და იქ გეგულება ნამდვილი ნავსაყუდარი. და აჰა:

**მერე, ერთხელაც  
ვიძალე და გავწყვიტე ჯაჭვი.  
ბევრი ვიარე,  
დამეხარჯა ყველა მიზანი.**

და გარდასახვას რომ იგრძნობს ლირიკული გმირი, იმასაც გააცნობიერებს, რომ აღარ ახსოვს, საიდან არის, სადა სახლობს, სხვისი ღმერთების გულგრილ მზერას დაინახავს ისე ახლოდან, რომ... უკვე ველარც მიხვდებოდა, სად ეპოვნა ის ერთადერთი, ვისი მადლიც უნდა ეწამა.

სულიერი ძვრა და გარდატეხა მომხდარია.

სხვისი ღმერთების გულგრილ მზერასაც უნდა მიეხვედრებინა ყალბად გაგებული თავისუფლების არსიც და ფასიც,

და ეძებნა გზა ჭეშმარიტებისა სამშობლოში დასაბრუნებლად, და გადასახდელად იმ ნი-სიისა, სულჩამოფლეთილსა და უსახლკა-როს მისგან რომ გაჰყოლოდა.

**მ ო ვ ე დ ი.**  
**უხმოდ ჩავიმუხლე**  
**ერთადერთ სახლთან.**  
**სახლთან, რომელშიც ღია სარკმლიდან**  
**ც ა მოჩანს,**  
**მ ა რ თ ლ ა.**

ეს „მართლა ცაა“ ჭეშმარიტება, რომელ-საც სულიერი გვემისა და ფათერაკების გა-მოვლის შემდეგ ხელახლა უნდა ზიარებოდი, და შენით მოგეპოვებინა სამშობლოს ნამდ-ვილი, შეუბლალავი, გულალალი შეგრძნება, შენით, თორემ გარედან ნაბოძები და შინა-განად განუცდელი აკი მარტოდენ გთრგუ-ნავდა და მისგან გასაქცევად გიბიძგებდა, რათა საკუთარი თავი გადაგერჩინა.

ახლა კი, საკუთარი თავის მოპოვების შემდეგ, სამშობლოსა-კენ მიმავალ ბილიკს რომ დაადგები, ჯერ ის უცნაური ფიქრი უნდა აგეკვიატოს, გალაკტიონური: ნეტა მქონდა თუ მომაგონ-დაო?! — ვიდრე ფიქრთა ბურუსი გაიფანტებოდე და აღმოჩნ-დებოდე იმ თითქოს ნაცნობი, მაგრამ ფერნაცვალი სინამდვი-ლის წინაშე, შეურყენელი წყალი სადაც მოედინება, და ცხელი პურის სუნი ასდის სარდაფს და დამსკდარ კედლებზე კი ფრეს-კებს ფერად აფენენ სადაფს, და... დგება ჟამი უფლის ხილვი-საც, ეკლის გვირგვინი რომ ადგას შუბლზე, უფლის, ვის ემბაზ-შიც ამოვლებულა ეს ხელახლა მოპოვებული სამყარო, ვის სხი-ვებშიც განათებულია და ამ ჩქერალის აღქმაც და გაძღვებაც ახ-ლალა შეგიძლია — სულიერად სხვა საფეხურზე ასულს...

და ისე შეიძლება გაიგივდეს ღმერთი და სამშობლო, უკვე ვეღარც გამოარჩიო ერთმანეთისაგან და მკაფიოდ ვეღარც გამოიჯნო, ნეტა ეს რომელია, უფალი თუ მამული, მის უძღებ შვილებს ჯვარზე გაკრული, ნანამები, სევდანარევი სიყვარ-ულით, მშვიდად, კეთილად რომ მაინც გვილიმისო?!

ანკი... რატომ უნდა გამოარჩიო.

ანკი... რატომ უნდა გამოიჯნო ის, რაც თავისი ბუნებით გა-ნუყოფელია და ერთიმეორის განმსახლვრავი?!


საკუთარი თავის, სამშობლოსა და უფლის ძიებაა „რუსუ-ლი რულეტკაც“, ის „ერთი ტყვიით ნაკლების“ შეგრძნება, რაც ყველაზე ხელშესახები დასტურია პოეტურ განცდათა და წარმოსახვათა იმ არასრულქმნილებისა, ყოველთვის ერთ-თი ნაბიჯი ანუ ერთი ტყვია რომ დაგრჩება თუნდ გალაკტიონ ტაბიძის შეგრძნებებამდე, ამ შეგრძნებათა სრულყოფილ მხატვრულ გამოხატულებაზე რომ აღარაფერი ითქვას.

გამჭვირვალეა მინიმნება ლექსის ფინალში, გალაკტიონის ლანდი რომ უნდა ამოისვეტოს და თვალნათლივ დაარწმუნოს ავტორი, რომ ჩვენი შეგრძნებანი — რაც უნდა უკიდურესი იყოს — სხვა არაფერია, თუ არა ტლანქი პროზა, და თუ გვინ-და ვიქცეთ ნამდვილ პოეტებად, სულ ერთადერთი მიზეზი-თაც, თორმეტჯერ კი არა, ცამეტჯერ უნდა მოვიკლათ თავი.

ეს მეცამეტეა გადამწყვეტიც და საბედისწეროც.

მანამდე ყველაფერი გულზე გადაგივლის და წვეთ-წვე-თად გვიშრეტს სისხლს, ეს „მეცამეტე“ კი... ეს „მეცამეტე“ უკვე ნახტომია სარკმლიდან ზეცაში.

და თუ ცამეტჯერ ვერ მოგიკლავს თავი, ის ხომ მაინც შე-გიძლია, ჭეშმარიტი პოეტის აჩრდილს გული გადაუშალო და ამცნო ყველა ის ტკივილი, ეს გული რამაც დაგისერა... და თუმც გარეგნულად ეს ტკივილები აცდენილია ერთმანეთს, როგორც სხვადასხვა სიბრტყის მოვლენებისგან გამომწვეუ-



ლი, მაგრამ მათ სიღრმეში ჩაძირვა ამოგ-ვაცნობინებს მათ დაფარულ კავშირს და თითქოსდა „წერილმანთა“ ნამდვილ სახე-საც წარმოგვიჩინს.

თორემ მარტოდენ ყოფის ლოგიკას თუ გაჰყვები, გაზვიადებული მოგეჩვენება არა-ერთი რეალია, თითქოს ასეთი შემძქრელიც რა მოხდა, ლირიკული გმირი თავის ოთახში რომ შესულიყო და ტყვია დაეხალაო?..

გულდასანყვეტი კი არის, მაგრამ არა უფრო მეტი — მაინცდამაინც თვითმკვლე-ლობის გამომწვევი, როდესაც შენს პატარა დას ის ბიჭი, რომელიც ჩუმჩუმად მოსწონს და თავის დღიურში წერილებსა სწერს, სამი კვირის კნუტს დაუხრჩობს; ან როდესაც შენს ბებერსა და ავადმყოფ ძალს ინექცი-ით დააძინებ; ანდა ზოოპარკში შეველს რომ მოკლავენ და, ჯერაც ცოცხალს, ბარკალს ააჭრიან; ან კიდევ ბავშვობის მეგობარს რომ

შეხვდებოდი პანელზე, ცირკთან და... თვალს აგარნიდებდა; ან ესეც — ასტრონომიის მასწავლებელი რომ მოგიკვებოდა შიმშილით და გვიან გაიგებდი; ან კიდევ ესეც — მარტოხელა მეზობელი რომ გადმობტებოდა ფანჯრიდან და მიწას და-ეტყობოდა; ანდა კიდევ ესეც — როდესაც მიხვდები, რომ ის კვლავ სხვაზე ფიქრობს, თვალეზანთებული, შეყვარებული და ბედნიერი; ან ესეც კიდევ — ჭალარა დედას რომ დაინახავ, როგორ მიდის ქუჩაში ფრთხილად, ფეხის კანკალით, სწორედ ისე, როგორც მასზე შვიდი წლით უფროსი მამაშენი სიკვდი-ლის წინ; ან კიდევ ესეც — როცა ლექსის დაწერასაც ვეღარ გაბედავ და მიხვდები, რომ უილაჯო ჯაბანი ხარ...

თითქოს სად ეს ყოველივე და სად ის საქვეყნო ტკივილი და თავზარდაცემა, როდესაც მიტინგზე ხალხი მიწაზე დაე-ცემოდა და თავს მიწას ურტყამდა, ან უბანში ბიჭები ერთმა-ნეთს რომ ამოხოცავდნენ, ანდა ქვეყანაში ომი რომ დაიწყე-ბოდა და ვერაფრისდიდებით ვერ შეაჩერებდი...

მაგრამ სიღრმისეული სიახლოვე და ძირისძირში ჩამალუ-ლი კავშირი ამ ყოველივეს შორის ერთბაშად უნდა ამოიზი-დოს პოეტური ხელოვნებით და უკვე აღარც გალაკტიონის ლანდის გამოცხადება გეჩვენება ამოვარდნილი ლექსის ქარ-გაიდან, სასულიად არა ხელოვნური და გარეგნული ბზინვი-სათვის ჩაკერებული.

ეპოქის ტრაგიზმს ძალდაუტანებლად უნდა გადაეჭდოს პოეტისა და პოეტური სიტყვის ტრაგიზმი, ლექსის უმწეობა, ამდენი უბედურების არამცთუ შეჩერება, შენელება რომ არ შეუძლია...

თუმც მანუგეშებლად ხომ ყოველთვის რჩება.

მანუგეშებლადაც და... მამხილებლადაც — არა დეკლარ-აციულ, არამედ იდუმალი ხმით მოჩურჩულედ, სულს რომ გიფორიატებს და არ განებებს თავის მოტყუებას, ილუზიე-ბით გაბანგვას, დინებისათვის მოჩილად მიყოლას, უსახო მასაში გათქეფვას, საკუთარი თავის დაკარგვას, შენს ქვეყა-ნასა და უფალთან მისასვლელი გზებიდან გადაცდენას, სა-სოწარკვეთას.

შენს მაგივრად აგერ პოეტები მოიკლავენ თავს.

ვინ — თორმეტჯერ.

ვინ — ცამეტჯერაც!..

მაგრამ ტყვიები გამზადებული აქვთ და ისე ტრიალებენ წუთისოფლის ვნებათაღელვაში, ხან ისიც რომ ეჩვენებათ, თავგზაბნეული ბიჭვით მარტონი ვართ ამ ჭვავის ყანაშიო.

ეს მაშინ, როდესაც ღმერთსმოკლებულ რეალბოში იგრ-ძნობენ თავს და წამიერად ისეთი შეგრძნება უჩნდებათ, სის-ხლიან მეჯლისზე მამაზეციერიც ერთობაო, თუმც მალევე უნდა აღმოჩნდეს, რომ ეს მამაზეციერი კი არა ყოფილა, არა-

მედ — გოდო, რომელიც უფალგამქრალი სამყაროს ახალი მეუფეა, არსიდან არაფერში მიმავალი, და საკუთარი თავისთვისაც ვერ უშველია, თორემ მისკენ სასოებით მზერამიპყრობილ ადამიანებს რა უნდა უშველოს?!

ამიტომაც უსათუოდ უნდა გადაიღახოს გოდოს მოლოდინი — მირაჟების, ამაოების იმედად ყოფნა, თორემ შემბოჭველია ამაოების ხუნდები და თუკი ჩაგითრია, აღარც მოგანდომებს მწვერვალისაკენ იწყოს სვლა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე და იქ, „ღმერთების სახლში“ გაყინული ლეოპარდით შენც გეგულბოდეს შენი კილიმანჯარო, გეგულბოდეს მარტოდენ მაშინ, თუკი გული (ეს ოხერიო, ამისთანა სიტყვაც უნდა დასცდეს პოეტს) კვლავ ზღაპრებისაკენ შეგატრიანებს, ამ წარმოსახვათა ჩქერალში განბანილი იმ უჩვეულო და თავბრუდამხვევი, იმ შემძვრელი და ჯადოსნური სამყაროსაკენ, სიყმანველი რომ დარქმევია და ერთბაშად გაიწყვტეს ყველაფერს ანცობაში გადავარდნილს: ჩამო! თვალბეჭეტი ჩაგხედო, ჩემო ბავშვობავ, თავხედო! ასკინკილათი ნარბენი სიხარულებით გავხედნოთო...

იქ უდარდელიობის რაშეხეც გეცხადებინა, ოცნების ეტლში შესაბამელად ატოკებულნი, და მღელვარე განცდებისაკენ უგონოდ მთვრალი ლექსებს რომ ეტყვი სახურავს, რა გასაკვირია, ისეთი შეგრძნებაც დაგეუფლოს, ცა ქუდად მახურავსო?!

ამ კრებულის კარნავალური იერიც ამისაა — ასე ხელუხლებლად შენარჩუნებული ბავშვური სამყაროსი, მითუმეტეს, ამგვარი იერი შეგაძლებინებს არც შენ დაეთრგუნინო დარდსა და მწუხარებას და არც მკითხველი გაიმეტო საამისოდ, განცდათა უკიდურესობა ერთგვარად რომ ნელდება და სულის მოსათქმელსაც გიტოვებს.

ნამიერი შვება ამიტომაც აგიტაცებს და ლირიკულ გმირს ახლა აქეთ გადატყორცნი, ზეიმშიც რომ გარეც და სიცოცხლის ამ ფერადოვნებასაც გამოაცდევინებ, უეცრად ატმის სურნელიც რომ შეიძლება ავარდეს, ვაშლისაც და ალუბლისაც.

მაგრამ... აღტაცების საუფლოში თანდათან კვლავ უნდა შემოგეჭრას ის ტკივილები, ძალაუნებურად ტყვიებისაკენ რომ მიგახედებს და საკუთარ თავსაც ისეთს შეგაცნობინებს, სინამდვილეში როგორიც ხარ, და შენს თაობასაც, და შენს ქვეყანასაც, და შენს უფალსაც — ეს ყოველივე ხომ შენით მოგიპოვებია ხელახლა, შენით მიგიგნია დაკარგული გზები „ბავშვობაში უიმედოდ ჩარჩენილს“ და სწორედ ამით გულმოცემულსა და მზერადაუბინდავს, ყველასა და ყველაფრის კონტური მკაფიოდ რომ გამოგჩივრებია და მხოლოდ აქ ველარ თუ აღარ გაგივლია მიჯნა, ეკლის გვირგვინი რომ იღვრება, იმ განასერიდან სევდანარევი სიყვარულით, მშვიდად, კეთილად მაინც ვინ შეიძლება შემოგლიძოდეს?!

ელგუჯა თავბერიძე

# კულტურული ტრავმის ნასხლეტები

(ელენე ჩხაიძის თვალსაჩინო ნაშრომის გამო)

ბევრ სამეცნიერო ნაშრომს ნაიკითხავ და იმ ბევრში ძალიან ცოტა თუ მოგეწონება. უმრავლესობაში უცხო სიტყვებითა და ფრაზებითაა შემოგარსული საყვებლურ სათქმელი. ზოგიერთში კიდევ თითქოს ყველაფერი თავის ადგილასაა — კითხულობ, კითხულობ, ჩახვალ ბოლოში და არაფერი გამახსოვრდება, ერთი შეხედვით, ვერც გაიგებ, რისთვის გაისარჯა დამწერი. თუმცა არც ისე დიდი დაკვირვება და ფიქრია საჭირო, რომ მიხვდე — უცხო სიტყვებით დაბორკილი და ტრივიალური აზრებით გამსჭვალული ტექსტები ჩვენს სინამდვილეში სამეცნიერო სიახლედ საღდება და ამიტომაც მკვლევართა ნაწილი წერს და წერს ამგვარს, ვერც გაამტყუნებ, აღმოჩენი და მეცნიერებაში ახალი სიტყვის მთქმელი ხშირად მხოლოდ ამნაირი წვალბებით ნაშრომი ნაშრომით შეიძლება გახდეს.

იშვითად ნაიკითხავ ისეთს, საანალიზო ტექსტის ნიაღს რომ ხედავდეს დამწერი. ელენე ჩხაიძის ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“ (2014, 5 სექტემბერი) დაბეჭდილი „დარღვეული დუმილის ისტორია“ („კულტურული ტრავმა“ ოთარ ჩხეიძის „მატიანე ქართლისაში“) ამ მხრივ გამოჩინაკლისთა გამოჩინაკლისად უნდა მივიჩნიოთ. ეს არაა გამოკვლევების დაწერილი გამოკვლევა, რამეთუ ელენესათვის კვლევა მონოდებაა და არა მოვალეობა. მის ტექსტში აზროვნების სიღრმეც მოგხიბლავს, მიგნების, დანახვის ალღოსაც უმაღ შეამჩნევ და დარწმუნდები, გამორჩეული მკვლევარი რომაა ამ ტექსტის ავტორი.

ელენე ჩხაიძის ბოლოდროინდელი ინტერესები პოლიტიკისა და ლიტერატურის გადაკვეთაზეა კონცენტრირებული, — წერს წინათქმაში ზაზა აბზიანიძე. მართალია, უფრო მეტიც — ზუსტადაა განსაზღვრული ელენეს ნაკვლევ-შესწავლილის ხასიათი. მხოლოდ იმას დავძენთ, რომ ბოჭუმის უნივერსიტეტში მოღვაწე მკვლევარის ტექსტი, ამ მხრივ, სხვა შინაარსობრივ ელფერს იძენს, რადგან ორი რამ — პოლიტიკა და ლიტერატურა — განიხიბრებება მის ნააზრევში.

ელენე ჩხაიძე გერმანიაში მოღვაწე სლავისტია, ამასაც ზაზა აბზიანიძე გვეუბნება. ჩვენ დავამატებთ — ღმერთმა უმრავლოს მსოფლიოს ამ დონის მოაზროვნე და გაქანების მკვლევარი სლავისტები.

გადავიდეთ ძირითად სათქმელზე.

დასაწყისშივე განმარტავს ელენე ჩხაიძე, თუ რას იკვლევს და რატომ:

„კულტურული ტრავმის“ მოვლენის კვლევა XX საუკუნის მეორე ნახევრისა და XXI საუკუნის დასაწყისის ანთროპოლოგიაში, ფილოსოფიაში, ისტორიასა და ფილოლოგიაში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პროცესად იქცა. ეს თეორია ჰოლოკოსტის შედეგების ანალიზის პროცესში ჩაისახა.“

იმასაც იქვე განგვიმარტავს, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოში მომხდარი მოვლენები ჰოლოკოსტს ვერაფრით შეედრება, მაგრამ აქ განვითარებულმა ამბებმაც გააჩინა ადამიანებში ტრავმა. და მკვლევარი ამ თვალსაზრისით ოთარ ჩხეიძის „მატიანე ქართლისას“ ოთხ რომანს — „არტისტული გადატრიალება“, „თეთრი დათვი“, „ბერმუდის სამკუთხედი“ და „2001 წელი“ — იკვლევს და აანალიზებს.

თვითონ „კულტურული ტრავმის“ კონცეფციის ელენესეულ განმარტებაზე არაფერს ვიტყვი — იგი კულტურული ტრავმის პირველ ნიშნებს XIX საუკუნეში ხედავს, როცა „ქართველ მწერალთა ტექსტებში აისახა რუსეთის იმპერიის მხრიდან საქართველოზე ზეწოლის, ძალდატანების განცდა“ (ილიას „მგზავრის წერილები“, ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობები და სხვ.)

მკვლევარის აზრით, ტრავმული თანმიმდევრობის მეორე ეტაპი 1989 წლის 9 აპრილიდან იწყება, როცა „მეგობარმა“ რუსებმა ქართველებს სასაკლაო მოუწვევეს“. ელენე ჩხაიძე საკვებით სამართლიანად მიიჩნევს, რომ ოთარ ჩხეიძის რომანებში საოცარი მგრძობელობით აისახა ეს და მომდევნო დროების ამბები და რომ ოთარ ჩხეიძე, ამ მხრივ, ილია ჭავჭავაძისა და ალექსანდრე ყაზბეგის უშუალო მემკვიდრედ მოგვევლინა.

მეცნიერულ ანალიზის ანალიზს არ ვაპირებ. უბრალოდ იმის საილუსტრაციოდ, თუ რაოდენ ღრმად ელენესეული დაკვირვებანი, რაოდენ ზუსტი და მიგნებული, რამდენიმე ადგილს მოვიხმობ ტექსტიდან:

„ოთარ ჩხეიძე არტიტულ გადატრიალებაში“ თბილისის ცენტრში იმხანად მიმდინარე მოვლენებს აღწერს. მის ტექსტში აღბეჭდილი იმ დროს ყველაზე პოპულარული ლოზუნგები იყო: „ზვიადი დამოუკიდებელი სახელმწიფო! ზვიადი ეროვნული სახელმწიფო! ზვიადი! ზვიადი“. ტექსტში ზვიად გამსახურდია გამოყვანილია იმ „თეატრის“ წამყვან „მსახიობად“ „საქართველო“ (თბილისი) რომ ეწოდება. „თეატრის“ თემის შემოყვანა ოთარ ჩხეიძის ტექსტის თავისებურებებს წარმოადგენს. „თეატრის სცენაზე“ წარმოითქმის ჩვენთვის საინტერესო სიტყვები და გამოდიან „მსახიობები“. ავტორს შემოჰყავს ეს თემა იმ ეპატაჟის, „არტიტულოზის“ ხაზგასასმელად, რაც ხალხის შინაგანი გზააბნეულობის შედეგი გახლავთ. ხალხი, ერთი მხრივ, არ არის დარწმუნებული ქვეყნის მომავალში და სურს კიდევ უფრო მძაფრად გამოხატოს პროტესტი, მეორე მხრივ კი განიცდის მოთხოვნილებას, როგორც იქნა, ამოანთხოს სხვაზე დამოკიდებულების ჟამს დაგუბებული შეურაცხყოფა და ტკივილი“.

ვრცელ ციტატებს მოვერიდებით. მოტანილი ნაწყვეტით იმის ჩვენება გვინდოდა, ელენე ჩხაიძე, როგორც პოლიტიკა-ლიტერატურის ზღვარზე მკვლევარი, ახლებურად ანალიზებს, განსხვავებული რაკურსით ხედავს ოთარ ჩხეიძის რომანებში დავანებულ სიმართლეს, ამ შემთხვევაში მხატვრული ხერხებიც უფრო თვალსაჩინოვდება და აშკარავდება.

აი, რას წერს ელენე ჩხაიძე „თეთრი დათვის“ მეცნიერული ანალიზისას: „პრეზიდენტის აზრით, საქართველო „თეთრი დათვის“ სათამაშოა და თუ ამ „სათამაშოს“ თათებიდან გამოაცლიან, ის დამარცხებული ძირს დაემხოვა: „აღსდგება კავკასია...“ გამსახურდიას აზრით, რუსეთი საქართველოს საკუთარი დიდების დემონსტრირებისათვის იყენებს. სწორედ დამოუკიდებლობის დაკარგვისა და გამუდმებული მორჩილების შიში, რომელმაც ილია ჭავჭავაძის თქმით, ერის „გულში“ „სამარე“ გათხარა, საუკუნუნახვერის შემდეგ, მისი გამოთქმის „პირველი შესაძლებლობისთანავე აისახა ოთარ ჩხეიძის რომანებში“. აისახა და როგორ!

სულგამყინავი დრამატულობა, მარადიულად ბენზე დაკიდებული ყოფიერება, დაკარგული თვითიდენტობა, ინდივიდუალური ტრავმა და ისტორიული დრო, დროისა და გამოუვალ გარემოებათა მსხვერპლნი და კიდევ ბევრი რამ, რაც ელენე ჩხაიძისაგან კულტურული ტრავმის კონცეფციით განისჯება და განიხილება ოთარ ჩხეიძის რომანებიდან.

კიდევ ერთი ამონარიდი:

„რომანის „თეთრი დათვი“ მთავარი პერსონაჟი, ფილოსოფოსი ბადურ რიკოთელი იმ დილემას ახმინებს, რომლის წინაშეც ქართული საზოგადოება აღმოჩნდა: ეროვნული იდენტობის შენარჩუნება თუ სამომავლო მონობის სანაცვლოდ მიღებული მატერიალური ღირებულებანი“.

ისეთი საგულისხმო დაკვირებაა, ფილოსოფოსსაც, პოლიტიკოსსაც, სოციოლოგსა და ლიტერატურათმცოდნესაც რომ გამოადგება. იმასაც ვიტყვით, ამნაირს ბევრს იპოვით ელენე ჩხაიძის ნააზრევში.

პუშკინზე დანერვილი გაეხსენოთ და მოვრჩეთ:

„ოთარ ჩხეიძის რომანებში ხდება საქართველოში პუშკინის როლის გადაფასება. თუ „ბერძენის სამკუთხედში“ პუშკინი მოიხსენიება, როგორც საბჭო-



ელენე ჩხაიძე

თა ქართველის მენტალობის შემადგენელი ნაწილი, რადგან ის რუსულ კულტურაზეა „გაზრდილი“ და საკუთარ ქვეყანას მის პრიზმაში ხედავს, „2001 წელს“ „პუშკინმა“ უფრო მასშტაბური სახე მიიღო“, — ესაა იმ „სხვისა“ თუ „უცხოს“ სახე, რომელშიც ქართველი ერი გაერთიანდა და ამბივალენტურ ფიგურად იქცა: ერთი მხრივ, იმპერიულ მჩაგვრელად, მეორე მხრივ, დიდ კულტურაში ქართველთა შემომყვანად. ოთარ ჩხეიძე გვიამბობს, რომ „პუშკინის“ გამოჩენასთან ერთად ჩაისახა ქართული „მსხვერპლშენიერის“ პირველი შემთხვევები, მანამდე მიჩუმებული და XX საუკუნის დასასრულს გამოაშკარავებული“.

ბოლოს იმას ვიტყვით, ელენე ჩხაიძემ ძალიან ბევრი უნდა წეროს ქართველ მწერლებზე, ოთარ ჩხეიძის სხვა რომანებიც და მოთხრობებიც, ვფიქრობთ, დაინტერესებს და კიდევ მრავალი მეცნიერული დაკვირვებით გაგვახარებს.

უნდა წეროს იმიტომაც, რომ გერმანელებს, რუსებს, მთელ მსოფლიოს გააგებინოს, რაოდენ დიდი მწერლები ჰყავს საქართველოს.

**ჩვენი ფოსტა**

რედაქციის პატივცემულო, სიმპატიურო თანამშრომლებო! ჩემო როსტომ!

მოგილოცავთ შობას, ახალ წელს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ოჯახურ სიბობს, წარმატებას ჩვენი ქვეყნისათვის თქვენს ფასდაუდებელ საქმიანობაში.

დიდი მადლობა ჩემი მცირე მოგონებების დასტამბვისათვის. მირეკავენ მეგობრები, ახლობლები. მინონებზე ნაწერს. მაგრამ ქალბატონ ეკა ბუჯიაშვილის უაღრესად დახვეწილმა, ჩემს მიმართ კეთილგანწყობილმა რეცენზიამ სიამაყით ამავესო. გმადლობთ, ქალბატონო ეკა! მაქვს მოაზრებული რამდენიმე სიუჟეტი, მაგრამ შევძლებ კი ვუსწორდე თქვენს რეცენზიას? რა ვიცი, ვეცდები.

**P.S.**

ახლა საახალწლოდ მცირე ესკიზი.

ქვიშებით. ყიფიანისეული მწერალთა დასასვენებელი სახლი. რამდენიმე ბურუსიანი დღის შემდეგ გამოიდარა, საუზმის მოლოდინში სასადილოს ვერანდაზე მზეს ეფიცება

და ხალისობს ახალგაზრდა ქალების ჯგუფი. მათ შორის არიან ლამაზი ნათელა ტერელაძე, პოეტ ანდრო თევზაძის მეუღლე, და ქალიშვილი ჩიორა. მე ეზოში ვდგავარ. აღმართში სასადილოსაკენ მიმე, ნელი ნაბიჯით მოემართება ბატონი დემნა შენგელია. გამისწორდა, შეჩერდა, თვალი მოავლო მზითა და ღიმილებით განათებულ ვერანდას და ხმამაღლა გასაძახა:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!

იქიდან:

— რაო ბატონო დემნაო!

— დედაშენი გადმომიგდე, თორემ შავ დღეს დაგაყენებ.

აჭყდა სიცილი, კისკისი, შეძახილები, ჩიორა რალაცას პასუხობს, მაგრამ არაფერი ისმის. ბატონი დემნა მომიბრუნდა: — ბიჭო, მართლა რომ გადმომიგდოს რას შობი მერე, სა მიხვალ!

და ნელი ნაბიჯით გასწია სასადილოსაკენ. დიდი პატივისცემითა და მადლიერებით

ალექო თუთუბარიძე

ნინო მამაცაშვილი

# „გვიყვარდეს ერთმანეთი“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— როდესაც არ შეგნევს ძალა დაეხმარო შენთვის ძვირფას ადამიანს.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— იქ, სადაც ვცხოვრობ.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— ჩემი ახლობლების ბედნიერება.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ბავშვობაში მხიარული და ცელქები მიყვარდა, მოზარდობაში — რომანტიკული რაინდები, ახლა გამიჭირდება რომელიმე პერსონაჟის გამოყოფა.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი... ზოგადად, ყველა სამშობლოსთვის თავდადებული პიროვნება.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— რემბრანტი, კლიმტი, შაგალი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ვივალდი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— გონიერებას, პასუხისმგებლობის გრძნობას, ერთგულებას, იუმორის გრძნობას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ალბათ იმავს.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— სიყვარული.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ქსოვა, რთული ორნამენტების გამოყვანა, ახალი კულინარული რეცეპტების მოძიება და განხორციელება.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ამაზე არასოდეს დავფიქრებულვარ.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— ვარ მომთმენი.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ერთგულებას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ზედმეტად კრიტიკული ვარ საკუთარი თავის მიმართ, რაც ხშირად საქმეში ხელს მიშლის.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— მშვიდობა, ოჯახი, სიყვარული.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— მარტობა.

— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— უფრო თამაში.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ლურჯი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— გაზაფხულზე პირველად აყვავებული ხის ყვავილები, ბრონეულის ყვავილი, ვარდი, პიონი.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— მერცხალი, შაშვი.



— თქვენი საყვარელი მწერალი?

— რეი ბრედბერი.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— გალაკტიონი, ანა კანაღდაძე, ლადო ასათიანი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— არ მყავს საყვარელი გმირი ქალი.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— სამშობლოსათვის თავდადებული გმირები, თუნდაც ახლო წარსულიდან.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ქეთევან წამებული.

— საყვარელი სახელები?

— ანა, ნატალია — ჩემი ქალიშვილების სახელები.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— როდესაც ჰგონიათ, რომ მატყუებენ. მლიქვნელებს, მედროვეებს.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ორჯონიკიძე და ყველა სამშობლოს მოღალატე.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?

— ახლახან ჩემს მეხუთეკლასელ გოგონასთან ერთად გავიარეთ დიდგორის ბრძოლის ველი და კიდევ ერთხელ აღვფრთოვანდი.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ვისურვებდი, რომ განათლების სფეროში მომხდარიყოს ისეთი რეფორმები, რომლებსაც უმაღლეს შეფასებას მივცემდი.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— მექონდეს ნიჭი, რომ საკუთარი შესაძლებლობანი მაქსიმალურად გამოვიყენო.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— მოულოდნელად და უმტკივნეულოდ ყველასათვის.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— ვცდილობ შევინარჩუნო სიმშვიდე.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ის, რასაც ადამიანი გულით ინანიებს, თუმცა ტერორიზმის გარდა.

— თქვენი დევიზი?

— გვიყვარდეს ერთმანეთი.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— ვისურვებდი, რომ შეენდოს ჩემი ცოდვები.

იოსებ ჭუმბურიძე

# წიგნები ფოიეში და მტრედიანი გუმბათი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტს არაერთი „ფართოდ გაშლილი და მოხატული“ დარბაზი აქვს, მაგრამ რექტორის ოთხი ახალი წიგნის წარდგინება მაინც მთავარი კორპუსის ფოიეში ეწყობა. ეს არ არის შემთხვევითი: უკვე დროა, განათლების ამ კერამაც განაცხადოს პრეტენზია ევროპულ სტანდარტებზე...

უკვე ძალიან შესწევს ქაღალისა...  
**გიორგი სოსიაშვილი.** ოთხი ახალი წიგნი. რომლით დავინწყით? ალბათ, ასე დალაგება აჯობებს: „აბრაჰამ ვალენტინ უილიამს ჯეკსონის ცნობები საქართველოს შესახებ“; „მართლმადიდებელი ეკლესია და რელიგიური უმცირესობანი შიდა ქართლში, XX საუკუნის I მეოთხედში“; „ცხინვალის და ახალგორის უცხოური წყაროების მიხედვით“; „დროის საზომთა გარეშე“.

ადვილად გამოიცინობთ: პირველი სამი სამეცნიერო ნაშრომი, მეოთხე — პუბლიცისტური კრებული, თუმცა წარდგინებაზე ამ უკანასკნელს დოკუმენტურ პროზას უწოდებენ, მე მაინც ჩემკენ, ანუ პუბლიცისტისკენ „ვექაჩები“ — მეც ხომ მაქვს უფლება, ხანდახან მაინც, მეთავისებობა გამოვიჩინო?!  
ევროპული ყაიდის წარდგინებას კონფერანსივც მშვენიერი ჰყავს — ჰუმანიტარული ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტების მაგისტრანტი, ოთარ ჩხეიძის სტიპენდიანტი **მარიამ შავდათუაშვილი**.

პირველ სიტყვას **როსტომ ჩხეიძეს** აძლევენ. წინ ერთდროულად გამოსული ოთხი წიგნი უდევს და, ბუნებრივია, შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებს. ამბობს: „ჩვენ ვცხოვრობთ რეალობაში, სადაც, თუ ბევრს შრომობ, ნაკლად და დანაშაულადაც კი გეთვლება. პირიქით კი უნდა იყოს. რა თქმა უნდა, თუ შედეგი საჭირო და მნიშვნელოვანია. უკვე ოთხივე წიგნის წაკითხვა მოვასწარი და შემძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ყველა მათგანი უაღრესად საინტერესო და საჭირო ნაშრომია. მათი ავტორი ჩვენს წინაშე წარმოსდგება, როგორც შესანიშნავი მკვლევარი და ჩინებული მწერალი — ამ შემთხვევაში, დოკუმენტური პროზით“.

ამ აზრს სიამოვნებით დაეთანხმება **რევაზ მიშველაძე** და იმასაც დასძენს, რომ გიორგი სოსიაშვილი, თავისი არაჩვეულებრივი მოთხრობებით, მიხეილ ჯავახიშვილის, გიორგი შატერვაშვილისა და ოთარ ჩხეიძის დიდ ლიტერატურულ ტრადიციებს აგრძელებს.

ჩემი გამოსვლის დროც დგება. სათქმელი კი ესაა მაქვს: — ამ ოთხ წიგნს სულ მალე მეხუთეც შეემატება — ეს იქნება „ნატყვიარი“ — მხოლოდ ერთი მოთხრობა, რომელიც კრებულში კი დაბეჭდილა, მაგრამ გადაწყვიტეთ, ცალკეც გამოგვეცა, რათა კიდევ უფრო მკაფიოდ გამოკვეთილიყოს მისი მხატვრული ღირსებები. წიგნის გარეკანი ცნობილმა მხატვარმა **კარლო ფაჩულიამ** გააფორმა და მკითხველი იხილავს იმის მაგალითს, თუ როგორ შეიძლება შთააგონოს მხატვარს ჩინებულმა მოთხრობამ ჩინებული გრაფიკა.

ჩვენ ამ წიგნს „საბაზე“ წარვადგენთ. ამის შემდეგაც „გამოვიდეს რომელიმე ვაჭარი“ (იგულისხმეთ გრაფომანი) და განაცხადოს, ჩემს თხზულებებზე უკეთესი არაფერი იწერება და პრემია ისევ მე უნდა მომანიჭონო (!?)...

...მიკროფონთან ელდარ მამისთვალისშვილი დგება.



მარიამ შავდათუაშვილი, რევაზ მიშველაძე, ჯემალ ინჯია, როსტომ ჩხეიძე, იოსებ ჭუმბურიძე, გიორგი სოსიაშვილი, ვანო ჩხიკვაძე

ცნობილი ისტორიკოსი, რა თქმა უნდა, გიორგი სოსიაშვილის სამეცნიერო ნაშრომთა ღირსებებზე ისაუბრებს. მათ მნიშვნელობაზე საუბარს გააგრძელებს ისტორიკოსი **ოთარ ჯანელიძე**, სრულიად განსხვავებული იქნება **ზაურ ნაქაძის** გამოსვლა. **თამილა გოგოლაძე** კი იმ აზრს განავითარებს, რომ გიორგი სოსიაშვილის შემოქმედება შიდა ქართლის მდიდარი ლიტერატურული ტრადიციების ბუნებრივი გაგრძელებაა.

...მიკროფონთან მისულ **მარინე ცერცვაძეს** ხელში ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ის ნომერი უჭირავს, სადაც საპატრიარქოს უნივერსიტეტში გიორგი სოსიაშვილთან გამართული შეხვედრის ამსახველი რეპორტაჟია გამოქვეყნებული. ამონარიდებს კითხულობს და ამბობს, რომ რეპორტაჟის ავტორი — ისე ჯორჯაძე — მისთვის უცნობია.

მის ვინაობას არც როსტომი ამხელს. მე მით უმეტეს არ ვიტყვი, რომ ისე ჯორჯაძე თვითონა ვარ... გამოსვლა ნამდვილად ორიგინალურია. ეს ეპიზოდი რომ არა, ალბათ, ამ რეპორტაჟსაც ფსევდონიმით დავებეჭდავდი...

ახლა კი — ძირს ფსევდონიმები! სტუდენტებსაც ხომ ვასწავლი, რომ რეპორტაჟის ავტორი იმ ამბის მოწმე, თვითმხილველი და მოწანილეა, რაზეც მოგვითხრობს და ჟანრის მთავარი ხიბლიც — დასწრების ეფექტი — ამით იქმნება.

მეც სახელ-გვარი რატომ დავმალო?!  
\* \* \*

წარდგინებაზე ბევრი რამ ითქმება საინტერესო. სოსო სიგუას კი ყველა გამომსვლელი უყოყმანოდ დაეთანხმება: გორის სახელმწიფო უნივერსიტეტს ღირსეული რექტორი ჰყავს! ჭეშმარიტად!..  
\* \* \*

„ნატყვიარში“ არის ასეთი ეპიზოდი: ყოფილი სტიქაროსანი ეკლესიის გუმბათზე ადის, რათა იქიდან ჯვარი ჩამოხსნას, მისი ფეხის ხმაზე მტრედეები დაფრთხებიან და გაფრინდებიან „შორს, ძალიან, ძალიან შორს“...

უნივერსიტეტს ტაძარს შემთხვევით არ უწოდებენ. გუმბათი უნივერსიტეტსაც აქვს. და ვიდრე უნივერსიტეტს ღირსეული რექტორი ჰყავს, მის გუმბათს დამფრთხალი მტრედეები არასოდეს მიატოვებენ...



ბექა ქურხული

(გიორგი შენგელაიას მონაწილეობით)

# ცოცხა გაღამჯდარი მეფე

(სატირული ზღაპარი)

- მეფე
- I მინისტრი
- II მინისტრი (ქალი)
- III მინისტრი
- IV მინისტრი
- I განდგომილი
- II განდგომილი
- III განდგომილი
- IV განდგომილი
- IV ჩაფარი
- II მებრძოლი
- დედაბერი
- ღვთისმშობელი

## სცენა 1

სცენაზე შემოდის დედაბერი ხისტარიანი ცოცხით ხელში. იწყებს სცენის დაგვას და დაგვას და დაგვას შორის ცეკვაზე გადადის. დროდადრო ისვრის ზევით ხისტარიან ცოცხს და ისევ იჭერს ხელში. დედაბერი იწყებს ლაპარაკს.

ჯერ გაუგებრად ბუტბუტებს, შემდეგ კი ხმას უმატებს და ბოლოს ექსტაზში ჩაყარდნით, მთელი ხმით, კივილით იძახის:

**დედაბერი:** ახლოვდება, ახლოვდება, ახლოვდება. აღსასრული ახლოვდება. მალე, სულ მალე, ყველანი უფსკრულში ჩაინთქმებით. იფეთქებს დიდი წითელი ცეცხლი. ყველანი დაიწვებით, დაიხრუკებით და დაიფერფლებით, როგორც მწერები სანთლის შუქზე. მოვიდა აღსასრულის დღე, მოვიდა უკანასკნელი ჟამი, ვაშა! თქვენი კივილი ცას მისწვდება, მანამდე კი თხები და ცხვრები მგლებს და ფოცხვრებს გამოეკიდებიან, თხები და ცხვრები მგლებსა და ფოცხვრებზე დაიწყებენ ნადირობას, თხები და ცხვრები მგლებს და ფოცხვრებს შეჭამენ...

სცენაზე ოთხი ჩაფარი შემოდის და გადასატანი ტრიბუნა და ოთხი სკამი შემოაქვთ. დედაბერი ახლა ტრიბუნის გარშემო მოწყევბა დაგვასა და ცეკვას.

**დედაბერი:** შეჭამენ, შეჭამენ, ცხვრები და თხები მგლებსა და ფოცხვრებს შეჭამენ, მათი ლემით გაძლებიან, გასუქდებიან და გაიზრდებიან. მგლები და ფოცხვრები ძალიან ცოტა-ნილა დარჩებიან და შეშინებულები გასაქცევ გზებსა და დასა-მალ ადგილებს დაუწყებენ ძებნას, მაგრამ მათ ყველგან პირდაღებული და გასუქებული, მძვინვარე ცხვრები დახვდებიან. ჰეი, ჰეი, ჰეი, ჰეი!..

სცენაზე აჩქარებული ნაბიჯით შემოდის მეფე ოთხი ჩაფრის თანხლებით. შემდგომი სიმაღლით მათ უკან დაბალი I მინისტრი მოსდევთ, შემდეგ კი სიმაღლის მიხედვით მოჰყვებიან დანარჩენი მინისტრები. ყველაზე მაღალი IV მინისტრია. შემდგომი სიმაღლით III მინისტრია, შემდგომი II მინისტრი ქალია. IV მინისტრი ახალგაზრდა კაცია. მეფე ტრიბუნასთან მიდის. მინისტრები ტრიბუნის წინ, სკამებზე სხდებიან. მეფე დედაბერს შეხედავს.

\* დამდგმელი რეჟისორი გიორგი შენგელაია

**მეფე:** მოაშორეთ, დაუ-ყოვნებლივ მოაშორეთ ეს დამთხვეული დედაბერი აქედან. *(ყვირის)* ჩაფრებო, რა გახდა, ერთი კუნა დედაბერი რომ ვერ მომაშორეთ თავიდან, ამისთვის გიხდით ჯამაგირს?.. ჰა? ამ ნუთას გაგაძვევებთ და დაგაჭრით თავებსაც და ყველაფერსაც, რაცა გაქვთ და არა გაქვთ. რით ვერ დაამთავრეთ ეს მოხუცთა თავშესაფარი?

**დედაბერი:** მგლები ველარსად დაემალეებიან ცხვრებს. ცხვრები ყველგან იპოვიან შემორჩენილ მგლებს და ყელებს დალადრავენ, ჰეი, ჰეი, ჰეი, ჰეიეი!.. ცხვრები დასცემენ დაფდაფებს. მათ დაფდაფებზე მგლების ტყავი იქნება გადაკრული. ცხვრები მოვლენ და დაჰკრავენ დაფდაფებს!

**მეფე (გაცხარებული კივის):** აჰა, აი! ჩაფრებო, მომაშორეთ-მეთქი!.. *(მონყენილი და აღშფოთებული)* ერთი პატარა გუბე რა გახდა, ნუთუ ერთი პატარა გუბე აღარ დაგვრჩა სამეფოში, რომ შიგ ჩაახრჩოთ ეს საზიზლარი ბებერი — *(მოულოდნელად აკისკისდება)* — ვიხუმრე, რა თქმა უნდა, გუბეების მეტი რა გვაქვს...

*(ჩაფრები დედაბერს ხელს სტაცებენ და კულისებისაკენ მიათრევენ)*

**მეფე:** *(დედაბერს)* მოშორდი აქედან (ფეხს მოუქნევს, მაგრამ ძალიან მოუხერხებლად და ააცილებს), ეს ბინძური ბებერი, ფუჰ *(მიაფურთხებს და პირს ხელით მოიწმენს)*.

**ჩაფრებს დედაბერი კულისებში გაჰყავთ.**

**მეფე:** — მგლები — ცხვრები. გამომივიდა პასტუსი, ეს პატაკუნა ესა... უნიგნური, ოროსანი ესა. ცხვრები თუ უნდა, ახლავე მოვხსნი დედაბრობიდან და გაუშვებ იქ *(ხელს გაურკვეველი მიმართულებით იქნევს)* შორეულ ფერმაში. ვზუმრობ, რა თქმა უნდა, ვის რა უნდა მაგისტანა მწველავი. მაგისტვის უკეთესი იქნებოდა, მე მას ვურჩევდი *(დაიბნა)* ჰო, დიახ, დიახ... *(ჩაფიქრდება, თითო მარცხენა ყურს იქეპავს)* ჰო!.. არა, რა დაფდაფები! მე მათ ვაჩვენებ დაფდაფებს! წავიდა დაფდაფების დრო და თუ ვინმეს ჰგონია, რომ დაფდაფების დრო დაბრუნდება, მე მას ვურჩევდი, რომ დაფდაფები? *(გადაიკისკისებს)* ცხვრები, მგლები, ნურას უკაცრავად, მე აქ სამეფო მაქვს თუ ზოოპარკი, თქვე ტუტუცებო თქვენა, ჰა?... ჩემს ულტრათანამედროვე სამეფოში, სადაც სახლებს სახურავებიც კი ახურავთ... ევე სამეფოში სადაც ... *(უცებ განრისხებული მიაჩრდება I მინისტრს)* მობრძანდი აქ, პატივცემულო პირველო მინისტრო... *(I მინისტრი სკამიდან წამოდგება, ფეხაკრებით უახლოვდება ტრიბუნას)* — ჩქარა მოეთრე აქ, როცა მე, შენი მეფე, გეძახი. *(I მინისტრი ტრიბუნასთან დგება და საცოდავად იყურება)*

**მეფე:** იუსტიციის სახლს რომ ვაშენებთ, საძირკველი სიღრმით საკმარისია?.. მე ვიცი, რომ მთელს აზიაში ყველაზე ღრმა საძირკველია, მაგრამ შენ ფიქრობ, რომ საკმარისია?... *(განრისხებული და განერვიულებული მარცხენა ყურში შეითხრის თითს და იჩიჩქნება)*.

**I მინისტრი (ძლივს ამოილულულებს):** არა, არ არის საკმარისი, თქვენო უდიდებულესობავ, რა თქმა უნდა, არა, დიდო მეფეო...

**მეფე (ცოტა მოღებვა):** დაუყოვნებლივ ჩაღუნე თავი *(I მინისტრი თავს ჩაღუნავს)* ნადი დაჯექი. *(I მინისტრი ფეხაკრებით მიდის თავის ადგილზე და ჯდება)* — *(III მინისტრს)* ადექი, ახლავე წამოდექი! *(III მინისტრი ფეხზე წამოხტება)* — რა უნდოდა ჩვენს ნიორს უგადუგუმი? მე შენ გეკითხები, რა უნდოდა ჩვენს, შენ გეკითხებიან, იროკეების სატახტო ქალაქ უგადუ-



გუში ჩვენს სტრატეგიულად აქტუალურ ნიორს, ნივრის ფორმებს, ფურცლებს, ფოთლებს, ყლორტებს, ჰა?.. მე, შენი მეფე გეკითხები გუგულებს ქვეყანაზე ტრანზიტით გავლილი მალაქარისსოფანი სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი ნიორი როგორ აღმოჩნდა იქ? (ყვირის) რას აკეთებ?.. რატომ არა ხარ ეხლა იროკეზებში და უგადუგუში ნივრის ანონვას რატომ არ ახდენ? გინდა, რომ ჩემი წარმატებული სამეფო, სადაც ჩვენი დამსახურებით ყველგან მზე ანათებს, მოატყუონ? ნურას უკაცრავად! (I მინისტრს) წავაცალოთ თავი?..

**II მინისტრი (მლიქვნელი დიმილი):** რა ვიცი... (მეფე ფიქრობს, თითქმის ისევ მარცხენა ყურში შეიკვებებს და გამწარებული იქეჟებს).

**მეფე (მოულოდნელად ამოიყვირებს):** არ იცი? აბა, რა იცი? (შემდეგ კეთილად უღიმის III მინისტრს): კარგი, დაჯექი და იცოდე, მეტი ცუდად აღარ მოიქცე, თორემ დაუყოვნებლივ მიგყიდი ყველაზე ბოროტ მონებით მოვაჭრეს, ან თუ ხასიათზე ვიქენი, იქნებ ჩამოგახრჩო კიდევაც, ჩემს, მთელს სამყაროში ყველაზე მაღალ სახრჩობელაზე და მერე ნახავ... გასაგებია? დაჯექი. (ასევე მოულოდნელად კვლავ განრისხდება) და ეს ყველაზე ეხება! ყოველ თქვენთავანს! აი, ახლა ვეკითხები I მინისტრს, რაზე ვსაუბრობთ ჩვენ, თქვენ და მე თქვენი მეფე?..

**I მინისტრი (შეშინებული):** რა ვიცი, ბატონო მეფეო.

**მეფე (განრისხებული):** არ იცი?.. აჰ, არ გახსოვს? (ისევ აკისკისდება) — სამაგიეროდ, მე მახსოვს (თითქმის მარცხენა ყურისკენ გაიქანებს, მაგრამ გადაიფიქრებს და ხელს მთელი ძალით დაახეობს ტრიბუნაზე). მე ავამეხე ყველაზე თავისუფალი ციხეები მთელს აზიაში! თავისუფალი ციხე ჩვენი სამეფოს ერთ-ერთი მთავარი, ყველაზე მთავარი, ძალიან მთავარი მონაპოვარია! მე როცა არ მინდა, ჩემს სამეფოში მზე არ ამოდის და არც წვიმა მოდის (საკუთარი სიტყვები დააბნევს და თავის თავს ეკითხება გაბრაზებული) ჰა რა თქვი?.. ჰო, რა ვთქვი და ჩვენს მეზობლებს, ... ჰო, აზიას და ზემო ოკეანეს, იერუსალიმსა და ადის-აბეზას, მისრსა და სოფიას ყოველთვის ეგონათ, რომ ჩვენ ძველი, ბნელი კულტურის ხალხი ვიყავით და ვართ, რომ ცეკვა-თამაშისა, ცანგალა და შალახოს მეტი არაფერი ვიცოდით. ნურას უკაცრავად, ჩვენ მათ ვაჩვენებ ჩვენი თავისუფალი ციხეები და მთელი აზია გულწასული დავარდა. ახლა ჩემთან ფოსტის მტრედი მოფრინდა და უსტარი მომიტანა რომ მთელს ოკეანეში სელაპები ამობრუნებულან და ფეხებს იქნევენ ასეთი თავისუფალი ციხეები ყველაზე განვითარებული ოკეანების ფსკერზეც კი არ გვინახავსო. აი!.. აი!.. აი, რა მეფე გყავთ და აი ეგეც მაგათ, მაგ განდგომილებს, მაგ მოღალატეებსა და მაგ ჩრდილოელების მსტოვრებს მაგათ. აი ესეც იმით, ვისაც ჩემი სამეფო, ძველი სულელური, გაუგებარი წიგნების, სიმღერის, ვაზის, ხორბლის და ბებერი, დაუხანგებელი, აბსოლუტურად არათანამედროვე, სისხლებში ამოსვრილი, არაადეკვატური ხმლების ქვეყანა, თორნიკე დადიანისა და ცოტნე მეფის ქვეყანა... ნურას უკაცრავად... მათი ადგილი თავლაშია. ეს სამეფო კი განახლებული და ყვითლად შეღებილი მხოლოდ მე მეკუთვინის. შენ რას იტყვი, I მინისტრო?

**I მინისტრი (შეშინებული):** რა ვიცი? ...

**მეფე (განრისხება):** რა, რა არ იცი, რას ჰქვია რა ვიცი?... დიხს, მართალია I მინისტრი, მხოლოდ ის ამბობს თამამად, არ ვიციო. სწორედ ამას გვასწავლიდა იაკობ ცურტაველი თავის დედაენაში, რომ: „მე ვიცი ის, რომ არაფერი არ ვიციო“. აი ასევე მსჯელობს ჩვენი I მინისტრიც, რომელმაც იცის, რომ ჩვენი ქვეყნის შესახებ არაფერი არ იცის! (ოთხივე მინისტრი მქუხარე ტაშს დასცხებს. I მინისტრი შეშინებული იღიმის).

**მეფე (მეოთხე მინისტრს):** შენ გაბარია კულტურა ხომ?

**IV მინისტრი:** დიხს, დიდო მეფეო...

**მეფე:** მერე და რას აკეთებ, ხო იცი აზერბაიჯანელები ამბობენ, კულტურა-მულტურა, ხოდა კულტურა-მულტურაში რა მიღწევები გაქვს?

**IV მინისტრი:** მთავარი მიღწევაა, დიდო მეფეო, რომ თქვე-

ნი ბრძანებით, თითქმის ყველა მწერალი, პოეტი, მხატვარი და რეჟისორი ჩავერცხეთ!

**მეფე:** ეს კარგია, მაგრამ ხალხს გართობა ხომ უნდა!

**IV მინისტრი:** ცოტა დაბნეულები ვართ, დიდო მეფეო, არ ვიცი, რითი გავამხიარულოთ ხალხი. მხოლოდ ესტრადალა შემოგვრჩა.

**მეფე:** შეხედეთ ამ რეგვენს, ესტრადა ცუდი ჰგონია. ჩვენ ისტორიაში ხომ გვყავდა ერთი რეგვენი მეფეც, ბაგრატ II. არ შეიძლება, რომ ერთი კულტურის მინისტრიც რეგვენი გვყავდეს? (ხარხარებს).

**I, II, III მინისტრი (ერთად):** შეიძლება, შეიძლება, როგორ არ შეიძლება, დიდო მეფეო!

**მეფე (IV მინისტრს):** ხოდა, ამდრე, აცეკვე ჩემი საყვარელი მომღერალი ქალები. (რალაც გაახსენდება) გააკეთე „ხანუმას“ და „ვერის უბნის მელიოდიების“ რიმეიკები. ალბათ, არც კი იცი, შე ორჯერ რეგვენო, რას ნიშნავს სიტყვა რიმეიკი (იცინის).

**IV მინისტრი უხერხულად იშმუშნება.**

**მეფე (მინისტრებს):** — ყველას ყველაფერი გითხარით. ახლა კი მე მალე, აუცილებლად უნდა გავფრინდე, დაუყოვნებლივ უნდა ავფრინდე და გავფრინდე. (ჩაფრებს) გამომიტანეთ ჩემი მფრინავი ხალიჩა! (ისევ ყურში იტაკებს თითს, ტრიბუნას მოშორდება და კუნტრუში გადის კულისებში. I მინისტრი მას მიჰყვება).

**III მინისტრი (IV მინისტრს):** რა ვქნათ, ეს ვის ხელში ვართ, მამამისი რა საძაგელი იყო?! მარა ეს ნამეტანია. რა დავაშავეთ ამისთანა? თან ამკარად ვერ არი ქკუაზე! სერიოზული სამკურნალოა...

**IV მინისტრი (საწყლად):** კაი, ახლა არ გინდათ ეგეთი ლაპარაკი, რაც უნდა იყოს, ჩვენი მეფე და მბრძანებელია, შეუძლია ერთი წარბის აწევით გავკვადოს ან თავი გავკვადებინოს, ან სარჩო-საბადებელი წავგართვას...

**II მინისტრი:** ეგ შენ იდარდე, ჩემი ბიჭი, ეგ შენი სადარდებელია, თორემ მე პირადად, ასი წელი ვერ გამაგდებს, უფრო სწორად არ გამაგდებს (მრავალმნიშვნელოვნად იღიმება).

**III მინისტრი (IV მინისტრს):** საერთოდ, შენ რომ წახვიდე და გაისეირნო, აქ მართლა არ არის შენი ადგილი, სალაპარაკო გვაქვს, მიდი გაიარ-გამოიარე, ნახე, რა კარგი ამინდია, თან ერთი სუთიოდე ხაჭაპური ჭამე და ლიმონათიც დააყოლე...

**IV მინისტრი (მორჩილად მიდის კულისებისაკენ, მერე გაუბედავად ბრუნდება):** ნახვამდის, ნახვამდის (თავისთვის ბურტყუნებს) თქვენ რა გენალვლებათ, ათას ჯოხზე გადამხტარი ყაჩაღები ხართ! (სწრაფად გადის).

**III მინისტრი:** რა ვქნათ, თქვი რამე. ეგრე გაგრძელება ცუდად შეიძლება. ამ ჩვენს სამეფოში კაციც აღარ დარჩა ამდენი სროლის შემდეგ, თორემ აქამდე რიყის ქვებით ჩაგვეკოლავენდენ...

**II მინისტრი:** ნუ ნერვიულობ, ჩვენ გადავრჩებით, არის ამის მექანიზმები!

**III მინისტრი:** ისე, განდგომილებმაც მაგრად გადაგვარჩინეს, ხო იცი...

**II მინისტრი (გულიანად იცინის):** ვიცი, ნამუსი რო გვექონდეს, კაბინეტში უნდა გვეკიდოს მაგათი სურათები.

**III მინისტრი:** მართლა ხომ არ გვენახა ეგ პატიოსანი ხალხი. მე მგონი დროა... ძალიან ცუდად მიდის საქმე!

**II მინისტრი (არხეინად):** ხოდა ღრმად რომ გვაქვს შეტოპილი, სწორედ მაგ დროს არ შეიძლება და არ ვარგა ბევრი ხვანცალი და ფართხალი—უფრო ჩაიძინებო. ის განდგომილები ისევე თვითონ მოგვადგებიან, აგერ ნახავ, ჯერ არ მოგვდგომიან, თუ რა...

**III მინისტრი:** — კი მაგრამ ახლა?.. ახლა არა მგონია, ძალიან აირია ყველაფერი...

**II მინისტრი:** — მითუმეტეს, ახლა უფრო მოვლენ. წამო, წამო, წავიდეთ და ჭკუით ვიყოთ. შენ მე დამიჯერე. ვნახოთ, რა მოხდება და იმის მიხედვით... ვიმოქმედოთ! წინ არ უნდა გაუუსწროთ ამბებს...

(ორივე მინისტრი გადის)

სცენა 2

ნახევრად ბნელ, მაგრამ მდიდრულ ოთახში, დიდ მასიურ მაგიდასთან სავარძლებში სხედან განდგომილები, სულ ოთხნი არიან, მაგიდაზე დიდი შანდალი დგას და სანთლები ანთია. განდგომილებს შეთქმულებისთვის დამახასიათებელი, შემფოთებულ-შეშინებული, საზეიმო და, ცოტა არ იყოს, სასაცილოდ შთაგონებული სახეები აქვთ.

**I განდგომილი (სათვალეს ისწორებს საჩვენებელი თითით და იწყებს):** ბატონებო, თითოეულმა ჩვენთაგანმა აუცილებლად უნდა გააცნობიეროს ის უდავო ფაქტი, რომ...

**II განდგომილი (სიგარას ეწევა და პათეტიკურად აცხადებს):** „სჯობს სიკვდილს სახელოვანსა, სიცოცხლე ნაძრახიანი“...

**I განდგომილი:** დიახ, გმადლობთ. ვიმეორებ, თუ ჩვენ არ გავაცნობიერებთ, რომ თითოეულმა ჩვენთაგანმა, მართლაც რომ სიცოცხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა ვიბრძოლოთ ამ ალვირასხნილი ტირანის წინააღმდეგ, არც ერთს გილოტინა არ აგვცდება, თითოეულ ჩვენთაგანს...

**III განდგომილი:** ბატონებო, შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის დროს, ლუდოვიკო XVII-ის შემდეგ, სწორედ რევოლუციონერების, დანტონისა და რობესპიერის ჯერი დადგა. ალბათ, ყველას გახსოვთ, თუ რა დაუბარა დანტონმა რობესპიერს ეშაფოტზე ასვლის წინ: „რობესპიერ“...

**IV განდგომილი (გალიზიანებული):** ვიცით, ბატონო, ვიცით. ჩვენ ისიც ვიცით, ბუდუ მდივანმა რა დაუბარა იმ მამაძაღვ კობას. მაგრამ დანტონისა და რობესპიერის შემთხვევაში რამაც გაამართლა, ჩვენი აქაური რობესპიერის შემთხვევაში...

**III განდგომილი:** იმიტომ, რომ აქაური რობესპიერი უფრო საშიში და ჭკვიანი აღმოჩნდა და საერთოდ, ცნობილია, რომ ჩვენი სამეფოდან გაქცეული ან გაგდებული გლეხის ბიჭები ძალიან ხშირად ერთ საცოდავ პარიზის კომუნას კი არა, ნახევარ სამყაროს მართავდნენ. ჩვენს სამეფოში კი ისეთი გენიოსები გვრჩება, ახლა რომ გვმართავს. ამიტომაც დაემხო ჩვენი სამშობლო (**ჩაფიქრდება**) ...თუმცა, ისტორიის განმავლობაში ჩვენი სამეფო არაერთხელ დამხოვილა! ჩვენს წელთაღრიცხვამდე 19...

**IV განდგომილი (გალიზიანებული აწყვეტინებს):** გავიგეთ ბატონო, ნუ შეგვჭამეთ ამ წელთაღრიცხვებით. არაერთი სამეფო დამხოვილა და კიდევ უფრო მეტი ტირანი. დიახ, დიახ ბატონებო, თან ისეთი ტირანები, რომ ცალი ყური ჰქონდათ ამ ჩვენი თვითმარქვია მეფის ხელა. მაგრამ მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ გვაგინებდა ჩვენი შეკრების მიზანი, გვაგინებდა, ვის ვებრძვით. ჩვენ უნდა დავამხოთ ჩვენი ტირანი და ამას მარტო ისტორიული ნიაღვრები არ უშველის. უნდა დავამხოთ ეს მინოსის ხარისთავიანი ურჩხული, რომელიც მუათე წელია ყველას ერთად და სათითაოდ გვჭამს. უნდა დავამხოთ, ვიდრე ამ მართლა მინოტავრს ყველა სათითაოდ არ გადავუსანსლივართ...

**I განდგომილი (სათვალეს ისწორებს საჩვენებელი თითით და მოუთმენლად აწყვეტინებს):** დიახ, დიახ, თითოეული ჩვენგანი...

**IV განდგომილი (უკმაყოფილოდ გახედავს):** უნდა დავამხოთ, როგორც დაამხეს ნერონი და კალიგულა.

**III განდგომილი (დინჯად):** როგორც დანტონი და რობესპიერი, უნდა ავიყვანოთ ეშაფოტზე...

**IV განდგომილი (ისევ უკმაყოფილოდ):** არა, რა ეშაფოტი? ჩვენც მე-18 საუკუნის ველური პარიზელები ხომ არა ვართ. ვის რად უნდა მაგის ძუნძღლიანი თავი. ნავიდეს მომონდეს...

**III განდგომილი (მშვიდად და წყნარად):** არ გეთანხმებით და ვერც დაგეთანხმებთ და აი, რატომ: — სწორედ მაგ დაუსჯელობის გამო დაგვასხდნენ თავზე... ის ბებერი ჩათლახი მამამისიც ჩამოვადგდეთ, მაგრამ ეგ არხეინად გვიხის სასახლეში. ორივეს ისე უნდა ნავაჭრათ თავები, როგორც კრომველმა კარლ I სტიუარტს, 1649 წელს, დეკემბერში...

**I განდგომილი (ნერვიულად ისწორებს სათვალეს):** ხალხო, რა დროს ეგ არის, საერთოდ, რაზე ვლაპარაკობთ და რაზე ვკამათობთ. გარნმუნებთ, რომ ჩვენი მეფის დამარცხება ძალიან ძნელია. შეგიძლიათ დამიჯეროთ, ამდენი წელი მისი

პირველი მინისტრი ვიყავი... თუ ჩვენ ყველანი, თითოეული ჩვენგანი არ გავერთიანდებით...

**IV განდგომილი (მტკიცედ და კატეგორიულად):** ჩვენ არავისთან გაერთიანებას არ ვაპირებთ.

**II განდგომილი (აქამდე თავჩაქინდრული თვლემდა თუ ფიქრობდა — უცებ გამოფხიზლდება):** რატო? გავერთიანდეთ რა, ძმურად...

**IV განდგომილი (ამაყად):** — არავითარ შემთხვევაში. მე ყველაზე ძველი და ადრინდელი განდგომილი ვარ და ეგლა მაკლია, ყველაზე სამარცხვინო მეფის სამარცხვინო ყოფილ მინისტრს და მის დამქაშებს გავუერთიანდე. მე, როგორც ყველაზე ძველი განდგომილი... შეგახსენებთ, რომ მე ჯერ კიდევ ამ ჰეროდეს მამის დროს ვიყავი ტყემი გაქცეული...

**I განდგომილი (ცხარედ და ნერვიულად):** ერთი წუთით, ერთი წუთით. მე სრული პასუხისმგებლობით უნდა მოგახსენოთ, ბატონებო, რომ ახლა ამაზე საუბრისა და წარსულის ძიების დრო ნამდვილად არ გვაქვს. გარნმუნებთ...

**IV განდგომილი (ფეხზე ნამოსხტება):** ვერაფერსაც ვერ გვარნმუნებთ. ეგ თქვენ არ განყოფთ (**ავდებულად**) „ამაზე საუბარი“ და თქვენ არ გაქვთ „წარსულის ძიების დრო“. რადგან იმ წარსულში თქვენთვის საამაყო და სასახელო არაფერია. რაც შეეხება ჩემნაირი უმნიკვლო რეპუტაციის...

**I განდგომილი (აწყვეტინებს ნერვიულად, მაგრამ მტკიცედ):** მე ბევრჯერ ავიხსენით თითოეულ თქვენგანს, რატომ ვიყავი მინისტრი და საერთოდ, რა კარგია მინისტრობა, ბევრი ოქრო და ბევრი სასახლე და რა ძნელი და აუტანელია ამ ყველაფრის გარეშე ცხოვრება... ბოლოსდაბოლოს, რომელი იტყოდით უარს მინისტრობაზე, აუარებელ განძეულობაზე და სასახლეებზე? რომელი გაბედავს ასეთი დიდი ტყუილის თქმას? (**სამივე განდგომილი უხერხულად იშმუნება**) აი, ხომ ხედავთ, თქვენც კი, სიცრუის დიდოსტატები ვერ ბედავთ ასეთი ტყუილის თქმას. და საერთოდ, არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ მე ნამდვილად ვერ მივიღებ საყვედურებს ჩემი I მინისტრობის გამო იმ ხალხისგან, ვინც IV მინისტრობას ჩემს თვალწინ იხვენებოდა. დიახ, ბატონებო, ყველამ ყველაფერი ვიცით და გთხოვთ, ნუ მაიძულებთ ყველაფერი ვთქვა... (**გულწრფელად შემფოთებული**) ხალხო, მართლაც ძალიან დიდი საფრთხის წინაშე ვართ. თითოეული ჩვენგანი კატასტროფულ მდგომარეობაშია. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ეს ჩვენი სამეფო შუაზე გახლეჩილი და ამ შუაზე გახლეჩილსაც ყველა მეზობელი აქეთ—იქიდან გლეჯს...

**III განდგომილი:** 1555 წლის ამასიის ზავითაც ეგრე გაიყვეს ჩვენი ქვეყანა მაშრიყ-მალრიბის თათრებმა...

**II განდგომილი (ცრემლებს იწმენდს და კიდევ ერთ ღერს უკიდებს):** რისი ზავით? ... ამან ხო გამინყალა ამ თავისი ისტორიითა და წლებით. კალენდარია ეს ჩემისა?... თან მართლა მეტირება (**მართლაც ეტირება და გულამოკვნილი მღერის**) ლაღე, ლაღე, დივილი დალაღლე, ჩემო ლამაზო სამშობლო, შენ კი მენაცვალეე...

**IV განდგომილი (გულწრფელად გამწარებული):** აბა, ხალხო, ორი სოფელია დაგვრჩა, იმასაც თოფითა და ზარბაზნით გვიცხრილავენ ის ძალიან დედააფეთქებული ჩრდილოელები და ეს კიდევ გადამჯდარა თავის ახალ ჰინდუსტანურ ხალიჩაზე და დღე და ღამე და ზევით-ქვევით დამხუის ... რა ენაღვლება რა, ჭკუა მოეკითხება თუ ნამუსი? ახლა თურმე მფრინავი ჰარამხანაც შუაგვეთა კალკუტელ ჯინებს თავისი საყვარლებისთვის.

**II განდგომილი (უკვე ცხარე ცრემლით ტირის):** ვახ, სამშობლოვ, სამშობლოვ, რა დღეში ხარ?! ...

**III განდგომილი (სერიოზულად და საქმიანად):** არი? ერთი კაი ბიჭი, იქნებ, იმან მოახერხოს. საგურამოდან ლეკებმა გაიტაცეს, იმათ გაქცათ და მალღოროსიამი გადაულწევია...

**II განდგომილი:** ეხლა ამან ისევ თავისი თარიღები და ციფრები არ მოაყაროს, თორემ მართლა გავრეკავ. (**IV განდგომილს**) შენა, და, კაი ნამები აყარა ჩვენმა თავის ხალიჩაზე?

**IV განდგომილი (გაოგნებული):** ბატონო?..

**II განდგომილი:** ჰო, რა იყო... რას ამბობენ, კაი ნაშები აყარა ამ ჩვენმა მეფემ თავის მფრინავ ჰარამხანაში?

**IV განდგომილი:** *(ამრეზით აუქნევს ხელს. სწრაფად დგება და გაბრაზებული გადის სცენიდან. სცენიდან გასვლის წინ განრისხებული ბრუნდება და ორი ხელით ქოქოლას აყრის დარჩენილებს)* ვაი თქვენს პატრონს!

**II განდგომილი** *(გამოფხიზლებული და განაწყენებული):* ე, ვაი შენს პატრონს და შე ჩემს და ჩემის ჩემა, დაგიმატა ბიძაჩემმა. გიჟია ესა... *(მესამე განდგომილს)* — ჰა, მოდიხარ?

**III განდგომილი:** ჰო, მოვდივარ, ოღონდ შენთან ერთად არა...

**II განდგომილი:** არა და ძანაც კარგი. სად მიდიხარ, რო?..

**III განდგომილი:** სახლში, სად წავალ? წავალ. წამოვწვები, წიგნებს წავიკითხავ.

**II განდგომილი:** აბა შენ იცი. *(სიცილით)* ნაიკითხე და მერე გადამწერინე... *(გადაიან)*

**I განდგომილი:** ნეტა, გვეშველება რამე?! ალბათ, ბოლოს ღვთისმშობელი გადაგვარჩენს! საქართველო ხომ მისი წილხვედომილი ქვეყანაა!

*(სცენაზე ხმადაბლა, მაგრამ ვარკვევით ისმის დედაბრის ხმა).*  
**დედაბერი:** ცხვრებოო!!! ცხვრებოო!!!

**II განდგომილი** *(ბრუნდება):* ე, გაიგეთ?..

**III განდგომილი:** ვერა. რა?.. რა უნდა გამეგო?..

**II განდგომილი:** არა, არაფერი. ეტყობა დავიღალე, ამდენი ლაპარაკისაგან ყურები მიწურის. *(სცენიდან გადის III განდგომილთან ერთად და თან უკან-უკან იყურება)*

**დედაბერი:** ცხვრებოო!!!

**I განდგომილი:** ეს ვისი ხმაა?

**დედაბერი:** ცხვრებოო!!! *(I განდგომილიც აჩქარებული გადის სცენიდან)*

**სცენა 3**

*უსახური დიდი ოთახი, ჰვავს პოლიციის განყოფილებას. ჩაფრები შემოიყვანენ აქ მებრძოლს.*

**I ჩაფარი** *(სახეში ურტყამს):* ჰა, თქვი ეხლა ყველაფერი, შე ახვარო!..

**II ჩაფარი:** კაი ნულარ ურტყამ *(ხელებს უხსნის. მებრძოლი დაბუყებულ მაჯებს ამოძრავებს).* იტყვის, აბა რას იზამს, გიჟი ხომ არ არის, რომ არ თქვას?

**მებრძოლი:** რა უნდა ვთქვა, ბიჭო, რა გინდათ, ხო არ უბერავთ?

**III ჩაფარი:** ვინ უბერავს, შე გოთვერანო, მიდი ეხლა და თქვი რასაც გეუბნებიან, თორემ მართლა გაგბერავთ ცემასი. *(I და III ჩაფარი ურტყამენ, IV ფარანს უნათებს თვალბში მებრძოლს).*

**მებრძოლი:** რა უნდა ვთქვა? ის მაინც მითხარით, რა უნდა ვთქვა, რას მერჩით, რა დავაშავე?

**I ჩაფარი:** კარგი, ეყოფა, ხო თქვი, იტყვის-მეთქი. მიდი მაგიდასთან დაჯექი, უჯრიდან შენი ხელით ამოიღე შენივე დოსიე და გაიგებ, რა უნდა თქვა.

*მებრძოლი მაგიდასთან ჯდება. უჯრას გამოსწევს და ხელს ყოფს შიგ. II ჩაფარი მოულოდნელად წიხლს აჭერს უჯრას და მებრძოლი შიგ აყოლებს ხელს. ისხმის ძვლის ქაბუნის ხმა.*

**მებრძოლი:** ააა, თქვენი!..

**I ჩაფარი:** რა ჩვენი, შე გინდა! რა ჩვენი, მე შენი დედა...

*სამივე ჩაფარი ურტყამს მებრძოლს. IV ისევ უმიზნებს ფარანს თვალბში.*

**II ჩაფარი** *(საზიზღარი სიცილით აჭერს წიხლს უჯრას):* გაიგე ეხლა, რა უნდა თქვა? მოხვედი აზრზე? ჭკვიანი კაცი ხარ შენ. ხო ეგრეა ძმაო?

*ჩაფარი ფეხს იღებს უჯრიდან. მებრძოლი ძლივს იღებს უჯრიდან ჩაჭყლებულ მარჯვენას და მარცხენა ხელით უჭირავს მარჯვენა ხელის მახა...*

**მებრძოლი** *(სიმწრით და კბილებდაკრეჭილი, ძლივს სცრის):* რა გინდათ, მითხარით მაინც, რას მერჩით...

**II ჩაფარი** *(ისევ წელანდელი საზიზღარი სიცილით):* ჭკვიანი ხარ, ჭკვიანი, იუზგარ, სხვები ამ უჯრაში ორივე ხელს ყოფენ ხოლმე...

**I ჩაფარი** *(ისევ ჩასცხებს და სკამიდან გადაადგებს):* — რო გეუბნებიან ჭკვიანი ხარ. გაიგე?.. აეთრიე!.. *(აყენებს და ისევ სკამზე ახეთქებს):* ჭკვიანი ხარ, ბიჭო, გაიგე?..

**მებრძოლი** *(გატანჯული და გაბრუნებული):* რავი, ჩემზე ბევრი გამიგია, მაგრამ ჭკვიანი ხარო ჯერ არავის უთქვამს. მაგაში გამოვტყდე?..

**I ჩაფარი:** ესა ნახე, გვეკაიფება კიდეც ეს ჩემისა *(ისევ ჩასცხებს).* ლადაობ?.. ეხლავე ისეთს გალადავებთ, სიცოცხლეში არ დაგავინწყდება.

**II ჩაფარი:** — კარგით, ჰო. *(ესევ ჩასცხებს)* მოდი, ისე გააკეთე, როგორც გეუბნებიან და ყველაფერი კარგად იქნება. ახლა დაჯექი და დაწერე: „მე ჭკვიანი, ძველი მებრძოლი, ვალიარებ, რომ“... შენით დაწერე, ნულარ გაგვანვალე, თორემ მერე შენი განვალეება ნახე...

**მებრძოლი** *(წინამხდარი და შეგუებული):* კარგი და რა დავწერო? ის მაინც მითხარით, რა გინდათ?..

**III ჩაფარი:** ე, ნახე როგორ გველატავება, *(საყელოში სწვდება)* რა ტონით გველაპარაკები, ბიჭო, იცი მაინც, ვის ელატავები? ძველი ბიჭი ხარ არა, შე ახვარო? ჰოდა აეხლა მოვიდა შენისთანების დრო. ხო იცი, შენისთანა ძველ ბიჭებს ეხლა რასაც ვუშვებით?...

**მებრძოლი:** რა ძველი ბიჭი, მუსიკოსი ვარ, კონსერვატორია მაქვს დამთავრებული.

**I ჩაფარი:** მერე მუსიკოსი თუ იყავი, რალას იბრძოდი, შე ჩემისა, „სკრიპკაზე“ ვერ დაუკარი?

**მებრძოლი:** რავი აბა, ომი იყო და ვიბრძოლე, მაგისთვის მკლავთ?

**III ჩაფარი:** ომი არა, შე ახვარო?.. რა ომი. ის ომი არ იყო, ომი რომ ყოფილიყო, ჩვენ რატომ არ ვიბრძოლეთ? ჩვენზე მაგარი ბიჭი ხარ? აზრზე ხარ, რას გვეუბნება ეს ტრაკი? თქვენზე მაგარი ბიჭი ვარო, მშიშრები და ლაჩრები ხართო. ჩახარ-შეთ ამის დედაც... რას ალაპარაკებთ?..

**I ჩაფარი:** არა, მე ამის... ომიო ტო, ისევ ისე რო აზროვნებენ, იმ ბალაგანს ისევ ომს რო ეძახიან. შენ ვერ გაიგე, რა თქვა, მისმა უდიდებულესობამ ჩვენმა ბრწყინვალე მეფემ? რომ ის ომი არ არსებობს, არასოდეს არ ყოფილა და თქვენ ყველანი ნარკომანები, მარადიორები და ყაჩაღები ხართ. მეფის სიტყვის არ გჯერა, შე ახვარო?.. ჰა, გამოტყედი ახლა, ბევრი გამოზიდე?

**მებრძოლი** *(გატანჯული, დაბნეული და საბოლოოდ საქციელნამხდარი):* რა გამოვზიდე, ბიჭო, სამი თვე ჰოსპიტალში ვინექი და ძლივს ამწყვეს. რა გინდათ, თქვით მაინც, რაზე მკლავთ, ომში გადავრჩი და აქ მპრიდავთ?..

**II ჩაფარი** *(წყნარად, დაცინვით):* რას ვშვრებით? გბრიდავთ არა?.. საიდან ეგეთი სიტყვები, აკი მუსიკოსი ვარო?

**მებრძოლი** *(წამხდარი ხმით):* მართლა მუსიკოსი ვარ, რა გინდათ, ბიჭო, ხალხი არა ხართ?

**II ჩაფარი** *(ისევ წყნარად):* და ქუჩაშიც არასოდეს მდგარხარ, ხო?

**მებრძოლი** *(დანდობილად და ალაღად):* ქუჩაში როგორ არ ვმდგარვარ...

**III ჩაფარი:** ჰოო, გამოტყედი, როგორც იქნა? აი, ახლა მართლა დაგბრიდავთ, შენი... *(სამივე გამეტებით ურტყამს).*

**I ჩაფარი:** შენა ხარ მარადიორი, მორფინისტი, კრიმინალი და მისი უდიდებულესობა ჩვენი ბრწყინვალე მეფის მოლაღატე, გაიგე, ბიჭო? კარგად დაიმასხოვრე, დაჯექი აეხლა და ყველაფერი დაწერე, თუ არ გინდა, შენი ოჯახიც შენს დღეში ჩაეარდეს და კიდეც უფრო უარეს დღეში. მიდი ჰა, აი, კალამი და ფურცელი და დაწერე: „მე ძველი მებრძოლი, ვარ ნარკომან“

ნი, კრიმინალური ტრადიციების მიმდევარი, სამშობლოსა და მეფის მოლალატე”...

**მებრძოლი (სუნთქვა უჭირს, ძლივს წერს დასახიჩრებული ხელით):** ეს ფანარი მაინც მომაშორეთ, ვერ ვხედავ...

**III ჩაფარი:** მიდი, მიდი ნუ „საჩკაობ“. (დაცინვით) — გინათებს, რა გინდა?

**II ჩაფარი:** მიდი, დანერე, რაც მალე დანერ, მალე გეშველება, დაგასვენებთ და თუ ჭკუით იქნები, გაგიშვებენ კიდეც. (დამტკბარი ხმით კარნახობს) „მე ძველი მებრძოლი, ვარ ნარკომანი, ჭკვიანი, კრიმინალური ფასეულობის მატარებელი, სამშობლოს მოლალატე და მკვლელი“...

**მებრძოლი (მექანიკურად იმეორებს):** ჭკვიანი, კრიმინალური ტრადიციების რა? ცოტა ნელა, ვერ ვხედავ...

**III ჩაფარი:** მიდი, თორე, შენ... რას ვერ ხედავ, ახლა დაბრმავდი, არა?

**II ჩაფარი:** კაი, კაი აცალე, ხო ხედავ წერს. რაო, ბიჭო, სკოლაში კარნახს არ წერდი?... შენ მატალოზეც ივლიდი, ისეთი გარყვნილი ხარ!

**მებრძოლი (ისევ იმეორებს, თან წერს):** ნარკომანი, მარადიორი, ბანდფორმირებების წევრი, მქონდა, ვინახავდი და უკანონო ომში ვიყენებდი გაუფორმებელ იარაღს, ვარ მარადიორი და ჩვენი დიდი მეფის მოლალატე.

**II ჩაფარი:** რასაც ვინანიებ...

**მებრძოლი (იმეორებს):** რასაც ვინანიებ.

**I ჩაფარი:** აგრეთვე ვინანიებ იმას, რომ ვიბრძოდი უკანონო და უაზრო ომში, რადგან, როგორც ჩვენმა დიდმა ხელმწიფემ განაცხადა და პირადი ხელმოწერილთა დადასტურა, ეს არ იყო ომი, ეს იყო ბანდფორმირებების შეტაკება და ჩვენ ყველანი ვართ ბანდიტები და მკვლელები...

**მებრძოლი (ისევ ტანჯვით იმეორებს):** აგრეთვე ვინანიებ იმას, რომ ვიბრძოდი, ეს არ იყო ომი...

**III ჩაფარი:** ჰა, მიდი, შე ჩემისა, რამდენჯერ უნდა გაგიმეორონ? დანერე დროზე: „აგრეთვე ვინანიებ“... და „როგორც ჩვენმა დიდმა ხელმწიფემ განაცხადა“...

**მებრძოლი (უცებ ძალიან გამოკვეთილად და მხიარულად):** წადი თქვენი!..

**ოთხივე ჩაფარი დაბნეულები, ერთდროულად:** რააა?..

**მებრძოლი (გააფთრებული, რაღაცნაირი თავზებულად სიცილით და სიხალისით):** რა და ზურნა და დუღუკი თავიწილი. წადი თქვენი!.. მუსიკოსიცა ვარ, ქუჩაშიც ვიდექი, ვომოხდი კიდევაც და ომიც ის იყო, იმ ყვეულ ომში ჩაწყდა ჩვენი ხალხი და თქვენც იმიტომ გაპარპაშდით, თქვენი ნაბოზვარი დედაც და ეხლა მომკალით, ამ ჩემ ფეხებს. წადი თქვენი!..

**IV ჩაფარი გამეტებით ურტყამს თავში ანთებულ ფარანს და სკამიდან ადგებს მებრძოლს, მერე ოთხივე ჩაფარი ზედ ადგება და გამეტებით ურტყამენ.**

**II ჩაფარი:** კაი, შევეშვათ, არ ჩაძაღღდეს, თორე მერე ატყდება ერთი ამბავი. ეს დაუშტვივინე პოეტები ჩუმჩუმად ლექსების წერას დაიწყებენ, გმირი იყო, მაგათ ხომ მეტი არ უნდათ.

**I ჩაფარი (ძირს დაგდებულ მებრძოლს):** შენ აქედან ვეღარ გახვალ ბიჭო, გაიგე? ვეღარასოდეს. აი, აქ ჩალბები...

**ოთხივე ჩაფარი კულისებში, გადის.**

**იატაკზე დაგდებული I მებრძოლი ნელ-ნელა ხელბზე წამოიწევა.**

**I მებრძოლი:** არა, არა, ღმერთი არ ყოფილა ქვეყანაზე! ღვთისმშობელო, აკი საქართველო შენი წილხვდომილი ქვეყანაა?! გადაგვარჩინე ამ მკვლელებისაგან!

სცენა 4

**პირველი მინისტრის კაბინეტი. მინისტრი მაგიდასთან ზის, წინ თაბახის ფურცლები უწყვია და თავაულებლად მუშაობს. მის უკან თეთრ ცხენზე შემომჯდარი, ხმაღამოლებული უზარმაზარგვირიანი მეფის პორტრეტი კიდეა.**

**I მინისტრი (ღილაკს აჭერს ხელს, მაგიდაზე მდგარ მიკროფონში ამბობს):** მოვიდა?

**ხმა:** დიახ, ორი საათია გელოდებათ.

**I მინისტრი:** შემოუშვით...

**I მინისტრის კაბინეტში ყაბალახით თავპირახვეული კაცი შემოდის.**

**I მინისტრი: (სიცილით კვდება)** მოიხსენი, კაცო, ეს ყაბალახი. რა არის, რას დამსგავსებხარ? გული გამისკდა. რა არი, მაცი ხეცია ხარ?..

**(კაცი ყაბალახს იხდის და II განდგომილი შეგვრჩება ხელთ).**

**II განდგომილი:** ხო იცი რა კლიაუნისკი ხალხში ვცხოვრობთ, არ მინდოდა აქ მომავალი ვინმეს დავენახე. დაიწყებენ მერე, გამყიდველიაო. ამათ ხო ნამუხი არ აქვთ.

**I მინისტრი (ღიმილით):** გასაგებია, გასაგები. სწორად იქცევი. ზედმეტი მხაური არავის გვანყობს. ისედაც ველარ ავუდივართ ამდენ ორომტრიალს. აქ ამისი კაპრიზები და კუნტრუში (ცერა თითი ზურგს უკან მეფის პორტრეტზე აჩვენებს), აქეთ ეს გაგიუბული ხალხი. ორი კვირაა კაბინეტიდან ფეხი არ გამიდგამს და თვალის არ მომიხუჭავს.

**II განდგომილი:** მესმის, შენ რა გგონია. ყველანი მაგარ შარში ვართ. ეს ხალხიც მაგრა გადაირია. ველარ ვაკავებ. ძალიან გამწარებულები არიან. იმ დღესაც ჩემსავე დაძახილზე იმდენი ხალხი მოვიდა, თვითონვე დავფეთდი, მეთქი, ამდენ ხალხს რა ვუყო. ან ეგეთ ყინვაში როგორ არ დაეზარათ. თან მგლებივით ინევდნენ.

**I მინისტრი (ღიმილით):** ისე მაგრად კი გვაგინებ...

**II განდგომილი (არ იმჩნევს):** გინდა თუ არა წამო, მეფის სასახლეს ალყა დავარტყათო. ძლივს გავაკავე. აქეთ პურმაროლი, ღვინო, მაგარი სუფრა გავშალე, ამდენი ხალხის გამასპინძლება ხო გინდა...

**I მინისტრი (ამრეზით):** ჩვენს ხალხს სავესე ყანწი დაანახე და მეფის სასახლე უმალ დაავინყდება. ერთი კაი სუფრა და სამეფოსაც ფეხებზე დაიკიდებენ და საკუთარ თავსაც.

**მინისტრი პატარა მაგიდასთან მიდის, განდგომილს ვისკის უსხამს და აწოდებს.**

**II განდგომილი:** ჰო. მაგრამ ეგრე იოლადაც არ არის საქმე. ხო გამოფხიზლდებიან მერე დღეს და პახმელიაზე გამოსვლის მაგივრად ხეივანი რომ შერჩებათ ხოლომე ხელში, მერე ყველაფერი ერთად ახსენდებათ და უარესად მწარდებიან...

**I მინისტრი (ზიზლით ჩაიქნევს ხელს):** მწარდებიან თორე ყურებზე ხახვი არ დააჭრან ვინმეს. ხალხი... ხალხი არა, ფეხები. ან როდის ყოფილა ხალხი რო? ამათი საქმეა ცეკვა-თამაში. წააგებენ, გამოცვივდებიან, დაუვლიან დავლურს, კიდე უფრო წააგებენ, კიდე უფრო დაუვლიან. ყოველ დამარცხებაზე სულ უფრო ხალისიანად მღეროიან ამ თავის იდიოტურ მრავალჭამიერს. რა ამღერებთ და რა აცეკვებთ ამ ჩემი ცოდვით სავსეებს, რა ნახეს, რასა ზეიმობენ. სამეფოა თუ მოხეტიალე ცირკი, ველარ გავიგე? აი, ხალხი. ხალხი კი არა ისა, ამათი მხატვრული თვითშემოქმედებითი დედაც...

**II განდგომილი (სერიოზულად, აზრების დალაგებას ცდილობს):** ეგრე იოლად არ არის საქმე. ეგრე თამამადაც ნუ იტყვი... ნუ იტყვი. თქვენ არც ერთი არ იცნობთ ამ ხალხს. საერთოდ არ იცნობთ. არ გეწყინოს, მაგრამ პირდაპირ გეტყვით, აზრზე არ ხართ (უცებ ვეღარ დალაგებს სათქმელს და მოიწყენს) — საერთოდ ბევრი რამის აზრზე არ ხართ. გეტყვოდი, მაგრამ მეზარება ლაპარაკი, არ ღირს, თან თქვენც ძალიან კარგად იცით ეგ, რო აზრზე არა ხართ. მე კიდე რა ვიცი და ეს ხალხი ვიცი. ამათი გავიზარდე და ვიცი. სწორედ ეგრე წელში მოხრილებს და თავდაღუნულებს, აი, მაგ სულე-

ლურ ცეკვა-თამაშით ბევრისთვის უტირებიათ დედა... და სწორედ მაშინ, როცა იმათ უფიქრიათ, მორჩა, მოვაცომარეთ და ეგ არიო.

**I მინისტრი (დაკვირვებით უყურებს და ყურადღებით უსმენს):** შეიძლება ვითომ რაიმე პრობლემა მივიღოთ? მე სერიოზულ პრობლემას ვგულისხმობ. რაღაც არა მგონია. რაიმეს თავი თუ აქვთ? მთელი ეს ლაპარაკი მოულოდნელ და სისხლისმღვრელ ამბობებაზე, მაინც ისეთივე ლეგენდები მგონია, როგორც ეს სულელური, ადამ და ევას დროინდელი ზღაპრები, ჩვენი სამეფოს წარსულ და ოდინდელ დიდებაზე.

**II განდგომილი:** ხო, ვითომ ეგრეა, ხალხი არა, ფეხები, გალოთებულები და განარკომაანებულები. მთელი დღეები ქუჩაში ყრიან და პლასტმასის ჭიქებით აყროლებული ლუდის ესენციამიციმულ სანამლავს სვამენ, ან ჯეფს იჩხირავენ, ან ბნელ ოთახებში სხედან, ჩაკეტილები არიან და სასონარკვეთილები ტირიან. მაგრამ იცოდეთ, როდის და რაზე გააფრენენ თან ამდენი თმენის მერე და რატომ მოგცემენ ცეცხლს, არავინ იცის.

**I მინისტრი (ჩაფიქრებული თავისთვის):** ვითომ ხალხი მართლა ეგრე ფიქრობს, თუ ეს შენი ფანტაზიაა?

**II განდგომილი:** დამიჯერე. თქვენ მართლა არ იცით და მე ამათთან ვბერდები. თან იცოდეთ, ჩვენც მაგრად ვაკავებთ, I განდგომილს აღარ ენდობიან, რაკი თქვენთან იყო, III განდგომილს ისე თუ მოუსმენენ, ლაყაფის პონტში, ის IV განდგომილი მაგრა ურიკინებს და ყველაფერი, ძირითადად, ჩემს კისერზე გადადის, ამათი გაჩერება, დარწმუნება, მოთაფვლა, გამასპინძლება, ამდენი ხარჯი ცალკე ველარ ავუდივარ. ამდენი კოდი პური, ამდენი ფუთი ღვინო, საკლავი და...

**I მინისტრი (ისევ ჩაფიქრებული):** გასაგებია, გასაგებია... ისე ძალიანაც ნუ გაანებვიერებ...

**II განდგომილი:** არა, სხვანაირად არ შეიძლება. თუ უმასპინძლები, კარგად უნდა გაუმასპინძლდე, თორე... ისედაც ამ ბოლო დროს ეჭვით მიყურებენ.

**I მინისტრი (ეტყობა, რომ უკვე სულ სხვა რამეზე ფიქრობს):** კარგი, კარგი, ყველაფერი გასაგებია. (უცებ შეცვლილი სახით და გაშტერებული თვლებით) — ისე, ამ ბოლო დროს ძალიან მაგრად გვაგინებ!

**II განდგომილი (შეშფოთებული):** სხვანაირად არ გამოდის, ხო გეუბნები, მეც უკვე ცერად და ეჭვით მიყურებენ. ვატყობ. თუ ჩემშიც ეჭვი შეეპარათ, აღარ დამიჯერეს და განზე გამნიეს, თქვენთვისაც უარესი იქნება.

**I მინისტრი (ჩაფიქრებული უქნევს თავს):** მართალია, ასე სჯობია, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მაინც. ყველაფერი გასაგებია, შენი ყველა ხარჯი გათვალისწინებული იქნება.

**II განდგომილი (ისევ ყაბალახით იბურავს სახეს და შავ სათვალეს იკეთებს):** ჰო, მართლა, თვითონ მისი უდიდებულესობა მეფის პირადი ბრძანებაა, რომ შენ უნდა მოგხვდეს. ხო იცი, რა მგრძობიარე მეფეცა გვყავს. რო აგინებენ, სწყინს. ამიტომ პირველივე ეგზეკუციაზე შეიძლება კარგად მოგარტყან და არ გენყინოს.

**სახედაფარული II განდგომილი უხმოდ ჩუმად გადის კარებში. იმავე წუთს საიდუმლო კარიდან I განდგომილი შემოდის და II მეორე განდგომილის ადგილას ჯდება.**

**I მინისტრი:** ა, ბატონო, ყველაფერი შენი ყურით მოისმინე და შენი თვალით დაინახე, როგორ მოგეწონა?

**I განდგომილი (საჩვენებელი თითით ისწორებს სათვალეს):** თითოეული ჩვენგანი... მდაა... კიდევ კარგ დღეშია ეს ჩვენი უბედური სამეფო...

**I მინისტრი:** ხო და მაგას გეუბნები, ამათ ხელში ვითომ უკეთეს დღეში იქნება? ჯერ ამათ ვინ მოუშვებს, შენ ხომ გახსოვს, ჩვენ როგორ მოვედით. ხალხმა ბებერი მეფის ზიზლით დაგვიჭირა მხარი. ოღონდ ეს ბებერი ჯალათი მოვიშორეთ და ვინც გინდა მოვიდეს, უარესი ხომ არ იქნებაო... (გულიანად, ცოტა ისტერიულად იცინის) ახლა ეს ბითურები!.. როგორც ჩანს, ამ ჩვენს წყეულ სამეფოში უარესზე უარესი არ დაილევა.

**I განდგომილი:** ტყუილად იცინი. ახლა არავის არ გვაქვს სასაცილოდ საქმე. იცოდეთ თითოეული ჩვენგანი უმკაცრეს პასუხს ავებს სამეფოსა და ხალხის წინაშე... ძალიან მძიმე დღეები გველის...

**I მინისტრი:** ვაცილებით უარესი, ვიდრე შენ გგონია, ან წარმოგიდგენია. და აქ სამეფო და ხალხი არაფერ შუაშია. (ისევ იცინის) —



მხატვარი ინა ქელიძე

რა სამეფო? სადღა სამეფო?.. ეს სამეფო მხოლოდ რამდენიმე გონებაზეზღუდული გოიმის და ფანტატიკოსის ფანტაზიაშია არსებობს, რომლებმაც თანამედროვეობას ვერაფრით აუწყვეს ფეხი და არც იმდენი ჭკუა ჰყოფნით, სიტუაციის მიხედვით იაზროვნონ და იმოქმედონ. ხალხი ხომ საერთოდ... აი, სულ ამ წუთას, შენ თვალწინ, ამ ჩვენს თავზეხელაღებულ, ყაბალახში ჩამალულ ჩე გევარასაც ველაპარაკებოდი და დარწმუნებული ვარ, ყოველი სიტყვა კარგად გაიგე (ირონიული ლიმილით), ეგ კი არა, მენც კი ვერ ხვდები, რომ ხალხის სიდიადე სწორედ მის უსაზღვრო იდიოტიზმში, მორჩილებასა და შეგუების უნარშია. ხანდახან მინდა, რომ ავდგე და მთელი ათი წუთი ტაში დავუკრა მათ ამის გამო. საოცარი, პირდაპირ ღვთაებრივი იუმორის გრძნობა აქვს ხალხს... ისინი ჩვენ თვალწინ ტაშს უკრავდნენ უღმერთობებს, შემდეგ მეფეს, რომელიც უღმერთობის შემდეგ ავიდა ტახტზე, შემდეგ ტაშს უკრავდნენ ბებერ მეფეს, რომელმაც თავისი წინამორბედი მეფე დაამხო, დაუჩოქეს კიდევაც, არ გახსოვს?.. შემდეგ ტაშს გვიკრავდნენ ჩვენ და დღევანდელ მეფეს, მის უდიდებულესობას. რომელმაც ჩვენთან ერთად დაამხო ის ბებერი სისხლისმამელი და ასევე გულწრფელად და გულიანად დაუკრავენ ტაშს, როდესაც ყველაზე მაღალ ჭადარზე დაგვიკიდებენ ფეხებით, ყოველან როგორც შენ ამბობ, თითოეულ ჩვენგანს... პირდაპირ ტაშის კვრით გასკდებიან... ამიტომ, სანამ დრო მაქვს, მეც მინდა აქედან ტაშით მივესალმო ხალხის იუმორს, მის თვინიერებას, მორჩილებას და სისულელებს.

**I მინისტრი ტაშს უკრავს.**

**I განდგომილი (ვალისწინებული და ცოტა შეურაცხყოფილი):** ძალიან გთხოვ, ნუ ცდილობ ჩემს დაბნევას და გასულელებას, მაინც არაფერი გამოვა. შენც და შენი დიადი ხელმწიფეც ძალიან კარგად მიცნობთ და იცით, რომ (ზიზლით) მე დანარჩენი განდგომილებივით არ ვარ და ჩემთან (სათვალეს ისწორებს) ეგეთი იაფფასიანი ნომრები არ გაგივათ.

**I მინისტრი (უცებ გახარებული ადგება სკამიდან):** ვიცით, ბატონო ყოფილო მინისტრო, ვიცით, რომ თქვენთან იაფფასიანი ნომრები არ გაგივა და რომ ვი-

ცი, სწორედ ამიტომაც ვარ თქვენს ადგილას, თქვენს კაბინეტში და თქვენს სავარძელში.

**| განდგომილი ფეხზე წამოხტება.**

**| მინისტრი (დაცინვით):** ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ. არ არის საჭირო, იმას მოგახსენებდით, სწორედ იმიტომაც გავხდი თქვენ ნაცვლად პირველი მინისტრი, რომ დარწმუნებული ვარ თქვენს წინააღმდეგ გაცილებით ძვირადღირებული და გონივრული ნომრები უნდა გამოვიყენოთ. *(ალერსიანად)* — დაბრძანდით, თუ შეიძლება.

**| განდგომილი გააფთრებული დაჰყურებს, თითქოს მზად არის შუაზე გაგლიჯოს.**

**| განდგომილი:** იცოდეთ, თქვენც და თქვენს უდღეურ მეფესაც გაგანადგურებთ, თითოეული თქვენთაგანი პასუხს აგებს სამეფოს და ქვეყნის წინაშე. გარწმუნებთ, ხალხი ჩემს მხარეზეა...

**| მინისტრი (მშვიდად აწყვეტინებს):** დაწყნარდით და დაბრძანდით ან თუ ასე გირჩევნიათ, ფეხზე ბრძანდებოდეთ *(არხეინად)* ხალხზე და მის რისხვაზე ჩემი აზრი უკვე მოგახსენეთ. თქვენს თანაგანდგომილებზე თქვენ ჩემზე უარესი აზრის ბრძანდებით. ასე რომ, კი ბატონო, იმოქმედეთ, მაგრამ, როგორც ძველი მეგობარი და კოლეგა გაფრთხილებთ, აქედან არაფერი გამოვივით.

**| განდგომილი:** ნაძირლები ხართ, თქვენც, თქვენი მეფეც და მთელი ეს მედროვეების ჯოგიც...

**| მინისტრი (ირონიულად, ძალიან არის გამხიარულებული):** გთხოვთ დააფიქსიროთ — ჩემს კაბინეტში მტკიცედ და კატეგორიულად ვაპროტესტებ მისი უდიდებულესობა მეფისა და მმართველ-მინისტრთა საბჭოს შეურაცხყოფას სიტყვებით: — „უდღეური და ნაძირლები“...

**| მინისტრი სავარძელში ჯდება.**

**| განდგომილი (გააფთრებული დაჰყურებს სავარძელში ნებივრად წამოძვდარ პირველ მინისტრს):** მართლა? აპროტესტებთ?... მაშინ დამიჭირეთ.

**| მინისტრი (ისევ ირონიულად და ავდებულად):** კი, მაგრამ არ მჭირდებოდა, აბსოლუტურად არაფერში არ მჭირდებოდა, ისედაც ამოტყენილი გვაქვს საკნები. აღარ ვიცი, სად წავიყვანო ამდენი მოლალატე, ვერაფერ ვერ იტანს მის უდიდებულესობა მეფეს, მისსავე სამეფოში. პირდაპირ აღარ ვიცი, რა ვქნა, ყველას ერთი სული აქვს, სადმე წაიშვებოდა ჩვენი ბრწყინვალე ხელმწიფე და კატასავით მიახრჩონ. მართლა ვედარ ავუდივარ ამდენი ხალხის დაჭერას.

სერიოზულად ვფიქრობ მთელს სამეფოს *(სარკასტული ღიმილით)*, უფრო სწორად, რაც სამეფოსგან დაგვრჩა, გისოსები ხომ არ შემოვავლოთ და გამოვაცხადოთ ციხე-სამეფო!.. რატიმაც არა? თუკი ციხე-სამეფო არსებობს და მაგარ რამედაც ითვლება, რატომ არ შეიძლება ციხე-სამეფოც არსებობდეს და ამ დროს თქვენ მთხოვთ დამიჭირეთო *(დაცინვით)* კი მაგრამ რატომ? თქვენ ხომ მეფის მოლალატე არ ხართ, ჩემო კარგო?

**| განდგომილი (განრისხებული და განადგურებული მიდის კაბინეტის კარისკენ):** ძალიან მალე გაიგებთ ჩვენს პასუხს და მერე სასაცილოდ და სალადოდ აღარ გექნება საქმე. კომედიანტ კრავავი!

**| მინისტრი:** გიმეორებთ, არაფერი გამოვივით და იცით რატომ? *(| განდგომილი მიდის და კარიდან ბრუნდება)*, იმიტომ, რომ თქვენც ჩვენნაირები ხართ... *(| განდგომილი ხმაურით გაიჯახუნებს კარს).*

**| მინისტრი ღრმად ამოისუნთქავს, ამ დროს კაბინეტის კარიდან, საიდანაც პირველი განდგომილი გავიდა, შემოდის დედაბერი. დედაბერი კართან ვედროსა და აქანდაზს დადებს მოიმარჯვებს ცოცხს და იწყებს კაბინეტის დავას.**

**| მინისტრი:** დილას რატომ არ მოხვედი. ესხა დალაგების დროა?

**დედაბერი:** დილას თქვენთვის არ მეცალა. ცხვრებსა ვმწყემსავდი.

**| მინისტრი:** არ ვიცოდი, თუ ცხვარიც გყავდა.  
**დედაბერი:** მყავს, მყავს, მაგრამ ბოლო ხანებში, ერთ ადგილზე, ჩემი ცხვრები აღარ ჩერდებიან, ბაკიდან გამოვარდნას ლამობენ ძალიან გაავებულები არიან

**| მინისტრი:** არ მეგონა, თუ ცხვარს გაავება შეეძლო? თუმცა ხომ თქმულა: ცხვარი ცხვარიაო...

**დედაბერი: (ანყვეტინებს)** თუ გაავდება, ავიაო!

**| მინისტრი:** ეგ იქით იყოს. მითხარი, როდემდე უნდა ჰგავო იატაკები ცოცხით? ესხა ისეთი კარგი მტვერსასარუტავეები შემოვიტანეთ. რატომ არ სარგებლობ თანამედროვე ტექნიკით?

**დედაბერი:** ცოცხი, ცოცხი! ცოცხის ფასი ჯერ თქვენ არ იცით. არის უტარო ცოცხი, არის ტარიანი, არის მფრინავი ცოცხიც!

**| მინისტრი:** მართლა? მფრინავი ცოცხი მარტო ზღაპრებში გამოვიდა.

**დედაბერი:** მარტო ზღაპრებში? ნახავ მალე მფრინავ ცოცხებს და ზედ შემოსკუპულ ალქაჯებს... ნახავ!

**დედაბერი დაგვას განაგრძობს. მინისტრი ადგება და ბოლთას სცემს.**

**| მინისტრი (დედაბერს):** ახალი რა ხდება ქვეყანაზე, შენ ეგა თქვი!

**დედაბერი:** ახალი ძალიან ბევრია. ძალიან ბევრი და ძალიან ცუდი. მაგრამ აქ რა ხდება? თქვენ რა ყოფაში ხართ?

**| მინისტრი (მოწყენილი და გაბეზრებული):** აი, რასაც ხედავ, ყველაფერი ჩემზე უკეთ იცი. ყველა ერთმანეთს გლეჯავს და წუნავს და თვითონვე სულ პანტაპუნტით გვიცვივინ ხახაში. თან რა უნდათ, თვითონაც არ იციან. საერთოდ, როგორ მოაღწია ამ ჩვენმა ხალხმა აქამდე სასწაულია პირდაპირ...

**დედაბერი (უკმაყოფილოდ აიფხორება, თვალებს გადმოუქანავს):** აბა, აბა, ხალხი არ ახსენო! აი, ეგ უკვე თქვენი ჭკუის საქმე აღარ არის... შენ ის მითხარი, თქვენი დიადი და გონიერი ხელმწიფე საით გააფრინეთ?..

**| მინისტრი (უცებ ისევ მოიწყენს გაბეზრებული, თან რაღაცნაირად აბუზული):** დასავლეთ პოლუსზე გაფრინდა, ახალი შაპიტო უნდა გახსნას, კენტავრების დოლსა და ვეჯინის ტახების ბერიკაობას აწყობს.

**დედაბერი:** ეს თქვენი მეფე როდის ბრუნდება?

**| მინისტრი (მოუსვენრად, მექანიკურად პასუხობს):** ორ დღეში *(შენუხებული)* მაშ შენ ამბობ, ბევრი და ცუდი?..

**დედაბერი:** ამათ რა უნდოდათ აქ?

**| მინისტრი:** რა უნდა უნდოდეთ, ჩვენი ჩამოგდება და სათავეში მოხველა, მაგრამ ძალიან სულელები არიან *(ნაძალადევი ტრაბახით)* — ჩვენ სულ მცირე 50 წელი კიდე ვიქნებით.

**დედაბერი:** „აჰა, საცაა ხე ნაიქცევი, ზედ კი ჩიტები უზრუნველად თხზავენ ბუდეებს“ 50 წელი ვერ იქნებით. დაიწყო, დაიწყო, ჰე ჰე ჰე, ჰეი, დაიწყო ათვლა.

**| მინისტრი (აბუზული და საბოლოოდ წამხდარი მუდარის ხმით):** მქონდეს იმედი?

**დედაბერი:** გქონდეს. შენთვის და შენისთანებისთვის ნეპტუნზე სპეციალური ბლოკებია აშენებული.

**| მინისტრი:** და როდის და რითი გავგიშვებ ნეპტუნზე?

**დედაბერი (მხიარულად შეხედავს):** რითი და რითიც დაფრინავენ. აბა, ეგ თქვენი ცეცხლნაკიდებული კვეს-აბედები, რაკეტებს რომ ეძახით, რისთვის გჭირდებათ?

**| მინისტრი (ცოტა გამხნევებული):** და ოჯახი?

**დედაბერი:** აა თქვენ ხომ ოჯახებიც გყავთ? ვნახოთ, ვნახოთ, როგორ მოიქცევით... აბა თქვენი მეფე ორ დღეში ჩამოდის? უნდა ვნახო.

**| მინისტრი (ანრიალდება, აღარ იცის, საიდან დაიწყოს):** იცი რა, როგორ გითხრა, არც ვიცი... იქნება თავი შეგეკავებინა მისი უდიდებულესობის ნახვისგან. იქნებ არ გენახა, ჰა? გთხოვ, არ გინდა რა, ამ ჩვენი მეფის ნახვა. ხომ იცი, რომ ცო-

ტა ნერვიული, ემოციური ბრძანდება მისი უდიდებულესობა. ისა, რთული ბავშვობა ჰქონდა იმ ტირანი მამამისის ხელში. შენზეც ბრახდება, უკმაყოფილოა შენით.

**დედაბერი (სერიოზულად):** მართლა?..

**I მინისტრი (ცოტა უფრო თამამად):** შენ არ იცი, ვერც კი წარმოიდგენ, რა მიჯდება, რომ ჩაფრებს მართლა არ ჩაახრჩობინოს შენი თავი სადმე გუბუში.

**დედაბერი (ბებრული ჩივილით):** დიდი მადლობა, შვილო. დიდი მადლობა, შენ გაიხარე, შენით მიდგას სული. **(უცებ თავლებს ააბრიალებს და მხიარულად აკისკისდება)** — ვინ უნდა ჩაახრჩოს მაგან? თქვენ ვინ უნდა ჩაახრჩოთ, თქვე უდღეურებო? მაგ თქვენი ჩაფრებიანად თვალის დახამხამებაში გაგაქრობთ!

**I მინისტრი შეძრწუნებული უყურებს აკისკისებულ დედაბერს.**

**დედაბერი (უცებ სერიოზულად):** ეგ მე მკითხეთ, რა მიჯდება ამ სამეფოს სათავეში თქვენი ყოფნა. ამ 30 საუკუნოვან, ჭკუიდან შემლილ და დაწყველილ ქვეყანას მართავდნენ ფარნავაზიანები, კლარჯელი აზნაურები, მაშრიყელი და მალრიბელი თათრები, ჩრდილოელი სკვითები, უღმერთოები, უბედური მეფე, გამყიდველი მეფე, მაგრამ თქვენაირებს არასოდეს უმართავთ ჯერ ეს ქვეყანა.

**I მინისტრი (ცოტა არ იყოს, განაწყენებით):** მაინც როგორ ჩვენაირებს?

**დედაბერი:** უჯიშოებს!!! უჯიშოები არასოდეს არ მართავდნენ ამ სამეფოს, ეს უჯიშოების ქვეყანა არასოდეს ყოფილა. პირველი შემთხვევა. პირველი და უკანასკნელი. მეფესთან შეხვედებით. მანამდე ჭკუით იყავი.

**დედაბერი იღებს ვედროს, აქანდახს, ცოცხს და გადის.**

**I მინისტრი:** არა, მართლა აღარ ვიცი, სადამდე გავქაჩავ!

**სცენა 5**

**I მინისტრი, II განდგომილი, III განდგომილი და II მებრძოლი აბანოში სხედან და თეთრი ზეწრები აქვთ ტოგებვით შემოხვეული.**

**II განდგომილი:** ვა, გაასწორა, ჩიტივითა ვარ!..

**II მებრძოლი:** ჰო რა, ცოტა ხანი გავინყდება კაცს, რა ჯოჯოხეთშიც ვიხარებო.

**II მინისტრი:** აბანო სხვა მხრივაც მისწრებაა. აქ თავისუფლად მაინც შეგვიძლია ლაპარაკი.

**III განდგომილი:** ჩვენს სამეფოში ტრადიციულად აბანოში მიდიოდა საქმიანი საუბრები. როდესაც ჩვენმა მგლისთავა მეფემ ხოხობი მოკლა მშვილდისრით...

**II განდგომილი (II მინისტრს დაინტერესებული):** შენა და რას ამბობ, თავისუფლად რა პონტში შეიძლება ლაპარაკი?

**II მინისტრი (ეშმაკური ლიმილით):** რა პონტში და ჩანერის პონტში, ყველანი შიშვლები ვართ, ერთმანეთს ვერ ჩავინერთ, რას ვიზამთ, ჟუკებს უკანალში ხომ არ შევირჭობთ?

**III განდგომილი (საქმიანად და შთაგონებული):** უკანალში? ისე შეიძლება კბილში. იმ ჯიგარს **(II მებრძოლზე უთითებს)** კბილში არ ჰქონდა მოსასმენი აპარატი? რავი, მე ვერე ვიცი, **(ყველა იძაბება II მინისტრის გარდა და დაძაბული აკვირდებიან II მებრძოლს).**

**II მინისტრი (ეშმაკური და ცოტა ზიზნარევი ლიმილით):** შეიძლება, როგორ არ შეიძლება. უკანალშიც შეიძლება და კბილშიც, ახლა ხო თქვენს ხელში უკანალი და პირი ერთი და იგივეა. მაგრამ დაწყნარდით. აბანო ამ მხრივაც ყველაზე საიმედო ადგილია. წყლის ხმა ჩამწერს ყველაზე მაგრად ახმოებს. **აბანოში მსხდომნი მეტ-ნაკლებად თავისუფლად ამოისუნთქებენ.**

**II მებრძოლი (გალიზანებული):** მორჩით რა ტო, გვეყოფა ეს მურტალი ბაზარი **(II მინისტრს)** — რას შვებით თქვენ? სულ გარეკეთ? რაებს აკეთებთ?..

**II მინისტრი (შინაურულად და ცოტა ირონიულად):** რა იყო, აბა რა არ მოგწონს? რა არ მოგწონს?..

**II მებრძოლი:** ეე, ნუ ლადაობ, ქალო, ახლა ლადაობის დრო არ არი... უკვე ყელში ამოვიდა. ბიჭები ნკიპზე არიან!

**III განდგომილი:** მერე იმოქმედეთ, 1121 წელს დიდგორის ბრძოლაში 200 თავდადებული მებრძოლი...

**II განდგომილი:** მოიცა რა, თუ ჩემი ძმა ხარ, რა დროს დიდგორია?

**II მებრძოლი (II მინისტრს):** ის რაღაა, კანონი რო მიიღეთ? ეგ ომი არ არსებობდაო. აბა, ჩვენ რას ვაკეთებდით წელიწადი და ორი თვე? მინუს ხუთს ვთამაშობდით?.. იმდენი ხალხი ჩანვა. ძმები, სულ მაგარი, პატიოსანი და კაი ბიჭები.

**II მინისტრი:** მართალია მერე, რა გინდა? არც არსებობდა. არ ყოფილა არანაირი ომი, მოგელანდათ, დაგესიზმრათ, შალუცინაცია იყო, გაიგე?.. მირაჟი. არ ყოფილა არაფერი და მორჩა. ასეთია მისი უდიდებულესობა მეფის განკარგულება და მორჩა.

**III განდგომილი (თაჩნაღუნული):** გარისი, ფარცხისი, მარაბდა, ჟალეთი, კრწანისი...

**II მებრძოლი (გააფთრებული):** თუ არ არსებობდა, აბა რა წავაგეთ?

**II მინისტრი (დაცინვით):** რა მარტივად მსჯელობ, რა გოიმი და გამოქლიავებულიც იყავი, ისეთად დარჩი და ეგ არის შენი უბედურება.

**II მებრძოლი (დაბნეული):** ესე იგი, ჩვენ არაფერი გავციკეთ-თებია, არ გვიომია?..

**II მინისტრი (ისევ დაცინვით):** ვმარადიორობდით! რა, არ იცი?.. არ ვმარადიორობდით? გოჭი შენ არ მოკალი ტამიშთან ტყეში?

**II მებრძოლი (ისევ დაბნეული):** რა გვექნა, ქალო, დავიხოცეთ შიმშილით, სამი დღის უჭმელები ვიყავით **(უცებ გაბრაზებული)** ე, შენც, ქალო, ჩემთან ერთად არ იყავი? **(სიცილი უტყდება)** ავტომატი ხომ შენც გეკიდა? შენ არ მოხარშე ის გოჭი? რო აიტეხე, ვიცი მოხარშვაო და გაუტრუსავი და ჯაგრიანი ხორცი რო გვაჭამე, შე ჩემისა **(ორივეს სიცილი უვარდება, ბავშვებით ასკვებიან ერთმანეთს. II და III განდგომილებსაც გადაეღებათ მათი სიცილი)** ე, ის გახსოვს... **(II მინისტრი უცებ სერიოზულდება)**...

**II მინისტრი:** მახსოვს. მეც შენთან ერთად ვმარადიორობდი, შენთან ერთად ვჭამდი ნახევრად უმ, ჯაგრიან ბურვაკს. მეც არარსებულ ომში ვიბრძოდი, მეც ბანდფორმირებების წვერი ვიყავი, მაგრამ მერე გამოვწნორდი **(გამწარებული)** — გაიგე? გამოვწნორდი და ჩვენი დიდი მეფის მინისტრი შევიქენი. შენ კიდევ, თქვენ კიდევ, დღემდე ვერაფერი გაიგეთ, ჩვენ, უფრო სწორად თქვენ, დამნაშავეები ხართ, იმიტომ რომ და-მარცხდით და რაც ყველაზე უარესია, არარსებული ომი წავაგეთ. გაიგე იუზგარ?..

**III განდგომილი:** ისპაანი, ბალდადი, ალამუთის ციხე, ყანდაარი, ფეროჰაბადი, შაჰ-ჯეჰან-აბადი, მისრა, ალექსანდრია, კაირო, სუდანი...

**II განდგომილი (თვალცრემლიანი II მინისტრს):** ე, მაიცა მაიცა, რა უნდა გავიგოთ, რა არ არსებობდა, რა გაქრა, რაებს ბოდავ, აბა ჩემი ძმაცაცები სად წავიდნენ, რისთვის დაიხოცნენ და დაწყდნენ? რა მეფის განკარგულება, მეფე არა, ტოლმა... მაგას ვინ კითხავს, ეგ სართოდ სად იყო, ერთი მაგის „სამაზვანეცი“...

**II მინისტრი (მკაცრად):** შენ გაჩერდი!

**II მებრძოლი (II განდგომილს):** მოიცა ერთი ნუთი **(II მინისტრ ქალს)** — გავიგე, კარგი გავიგე, წავაგეთ ხო, წავაგეთ!.. ეგ მეც ვიცი, ისიც გავიგე, რომ არარსებულ ომში ვიბრძოდით, ისეთი უცნაური ამბები ხდებოდა, მაშინვე ვხვდებოდი რომ დიდ და ცუდ შარში გავიჩითეთ, მაგრამ ახლა რაღას გვერჩით რა „რემბოს“ გვეთამაშებით?.. რაზე გვბოცავთ? რომ ვიომეთ იმიტომ?



**II მინისტრი:** გვეხალისებოდა. ძალიან გვეხალისებოდა. ომი თამაში გვეგონა. თქვენ დღემდე გეხალისებთ. აი, მაგიტომაც დაგვევენ. დღეს, ნებისმიერი რამის ხალისი, სურვილი ან ნება, ძალიან ცუდ ტონად და სახიფათო ამბად ითვლება. ნება-სურვილიც, ხალისიც და სრული ძალაუფლებაც მხოლოდ მის უდიდებულესობა მეფეს უნდა ჰქონდეს.

**II მებრძოლი (სერიოზულად და წყნარად):** კოსტა დაიჭირეს, ვერელი კოსტა, მხატვარი. ომში ტანკზე რო იჯდა. ხო გახსოვს?

**II მინისტრი:** კი, როგორ არ მახსოვს, შემელოტებული, მხარბეჭიანი...

**II მებრძოლი:** კოჩარასთან, თივის ზვინებში ჩაფრები რო ჩაგვრჩინენ, ხო გახსოვს? ჩრდილოელებმა ცეცხლი რო წაუკიდეს თივას და შიგ რო ინვებოდნენ. ორი დაჭრილიც რო ჰყავდათ, კოსტა რო თავისი უკვე გახვრეტილი ტანკით შევარდა უკანა სვლით, რო იგიუა და გამოიყვანა, ხო გახსოვს?

**II მინისტრი (შეცვლილი ხმით):** ხო მერე?

**II მებრძოლი:** ზუსტად იმავე ჩაფრებმა დაიჭირეს ეს ჩვენი ვერელი მხატვარი და ტანკისტი კოსტა. ნიგინის თაროზე „დეშეკას“ ტყვია რათ გიდევსო. კემპი გახსოვს, გაგრელი?

**II მინისტრი:** კი, ყველა მახსოვს. მაშაყირებ?

**II განდგომილი:** ეგეც დაიჭირეს, მერე ბლომად ოქრო მიატანინეს ამ გამოქცეულ კაცს და გამოუშვეს. შემხვდა. ჩრდილოელების ტყვეობაში არ ვუნამებოვარ და ვუტანჯივარ ეგრე, სიკვდილს ვნატრობდიო. შენზე მითხრა, მაგის სახელი ვახსენე და უარესად მირტყესო!..

**II მინისტრი:** ეგრე იქნებოდა, ახლა აღარავის ხსენება აღარ შეიძლება, უარესია.

**III განდგომილი:** სადუნ მანკაბერდელი, შადიმან ბარათაშვილი, ყორღანაშვილი, ციციანოვი, დაუდხანი, სერგო ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე, ედუარდ შევარდნაძე...

**II განდგომილი (წამოხტება, პათეტიკურად):** არა, ამისი ესე დატოვება აღარ შეიძლება, რაღაც უნდა ვიღონოთ და ვიმოქმედოთ. მე პირადად მზად ვარ ერთხელ კი არა, ათჯერ გავწინო თავი, ოღონდ ეს ურჯულო ტირანები, ეს ურჯულები მოვიშოროთ. აი, ამ აბანოში თქვენს წინაშე ვდებ ფიცს, რომ მე ამათ, უუხ!..

**II მებრძოლი (II განდგომილს):** დაჯე აბა, დაჯე. ხო კაი ბიჭი ხარ ყოჩაღ, ახლა დაჯექი ცოტა ხანი, (II მინისტრს) რა ხდებდა? რა ხალხი ხართ? საერთოდ რა გინდათ?

**II მინისტრი:** როგორც ჩემი კოლეგა I მინისტრი იტყოდა — რა ვიცო... შენ გგონია, ვინმემ რამე ვიცით? I მინისტრი თავისას ჩალიჩობს, ეგ და მეფე ისე გადაებნენ ერთმანეთს, ერთის დაღუპვა მეორის დაღუპვას ნიშნავს. ოღონდ, რამდენადაც მეფე შემოიღო და გამოქლიავებულია, იმდენად I მინისტრი ჭკვიანია და ჩათლახი, III მინისტრი ოქროთი სავსე ტომრებზე ზის და ნელ-ნელა იხდის ფულს, რომ არ ჩამოახრწონ, თან ერთი სული აქვს აქედან თავისი ოქროებიანად მოტყდეს, მაგრამ ვერ რისკავს, იცის, საითაც არ უნდა წავიდეს, თათრების ან ჩრდილოელების საზღვარზე თუ წაისწრეს, იქვე საბაჟოზე დაკიდებენ ფეხებით, IV მინისტრი უბრალოდ ხელსახოცია, მისი უდიდებულესობა რო განერვიულდება, მაგას რომ ჩასცხობს ხოლმე, მე ჯერჯერობით ვერ მიბედავენ, ქალების მაინც ეშინიათ. (კმაყოფილი ილიმება) იციან ჩემი წილი დამბაჩა სულ ზედა მაქვს და ერთი ორი ზამბულაკიც გადაამალული. თქვენ კიდევ ხმის ამოღება არ გინდათ, ხართ გალოთებულები და გათითოკაცებულები და შორიდან უყურებთ ყველაფერს, ამათ იმედზე კიდევ (III და III განდგომილებზე იშვერს ადგებით ხელს) მტერი იქნა.

**II და III განდგომილები (იუკადრისებენ):** ე, თქვენ, ქალბატონო, ზედმეტები ხომ არ მოგდით? ჩვენ იმედზე, რა ისე ამბობს, თითქოს თვითონ არ იყოთ ამ ბნედიანი მეფის სამსახურში...

**II მინისტრი:** აბა, ეხლა დანყნარდით და ბევრს ნუ ბლატაობთ. თქვენთან რო ვზივარ და ვლაპარაკობ, ხო არ დაიბენით?

ჰა ბიჭებო? (II მებრძოლს) — ნახე, რა უცებ მოშინაურდნენ? იცი, რამდენჯერ არიან ეს შენი განდგომილები ნაყიდები და გაყიდულები? ჰკითხე აბა ერთი...

**II განდგომილი:** მაგას ვნახავთ ვინ გაყიდულია და ვინ ნაყიდი. შევხვდებით მომავალში.

**III განდგომილი (თავისთვის):** ფარცხისი, ერწუხი, დიდგორი, შამქორი, ბასიანი, ბახტრიონი, მარტყოფი, ასპინძა.

**II მებრძოლი (II მინისტრს):** და რას შვრებით, რას აპირებთ?

**II მინისტრი: (წალვლიანი ღიმილით)** რავი, ველოდებით, რაკი კაცის რისხვა აღარ, ღვთის რისხვა როდის მოაღწევს და როდის ავფეთქდებით... ვნახოთ. (II მებრძოლს) შენი ნაპარნიკი როგორ არის? მუზიკანტი, სუ ერთად არ იყავით? სუ ერთმანეთის ძებნაში. კაი მებრძოლი იყო, ჯიგარი ბიჭი.

**II მებრძოლი:** არ ვიცი, კაი ხანია არ შემომხმიაინებია. ცოლი მოიყვანა, შვილები...

**II მინისტრი (დაცინვით):** სამაგიეროდ, მე ვიცი. დაიჭირეს, დაჭერილი ჰყავთ, მოკლეს ცემით, რო გავიგე, I მინისტრს ვთხოვე და რავი, შემპირდა, თუ გადარჩა, აღარ სცემენო.

**II მებრძოლი (გამწარებული):** რაა? რაა?..

**II განდგომილი (გულწრფელად):** ვახ, ეს ახვრები, ხედავ რეებს შვრებიან?

**II მინისტრი (II მებრძოლს):** თქვენ კიდევ იყავით და ელოდეთ ეგრე, ვიდრე სათითაოდ არ დაგიჭერენ და ცოცხლად არ ჩამოგატყავებენ. ჰა, ადექი. წამო, მე მივხვდავ მუზიკანტის საქმეს. (II და III განდგომილს) — აბა, მგზნებარე განდგომილებო და თავზეხელაღებული რევოლუციონერებო, წამოხვალთ ტირანი მეფის ერთგულ მსახურთან ერთად მაგრად დასათრობად?

**II მინისტრი ქალი და II მებრძოლი აბანოდან გადიან, განდგომილები მიჰყვებიან.**

**III განდგომილი: (აბანოს კარებში გასვლისას)** ბახუსი, დონ მოდესტ გორანფლო, ფალსტაფი, ლუარსაბ თათქარიძე, კირილე მიმინოშვილი, ჭამპურა!

სცენა 6

*სცენაზე გაშტრიკინებული დგას ოთხივე მინისტრი, ჩაფრებს ტრიბუნა და სკამები შემოაქვთ. ორი ჩაფარი ტრიბუნასთან რჩება, დანარჩენები მინისტრების უკან დგებიან.*

**ისმის ხმები:** — მოდის, მოდის, ყურადღებით! მოდის მისი უდიდებულესობა, მობრძანდება, დიდება ჩვენს ბრწყინვალე ხელმწიფეს, გაუმარჯოს ჩვენს უძლეველ მეფეს. დიდება ჩვენს დაუმარცხებელ და ყოვლისშემძლე მეფეს, ვაშააა!!!

*სცენაზე აჩქარებული ნაბიჯითა და ხელების ქნევით შემოდის მეფე. თავზე უზარმაზარი ვვირგვინი დაუკოსებია. შემოდის, ტრიბუნასთან დგება გაბრწყინებული სახით.*

**მეფე:** მოგესალმებით, ჩემო საყვარელო და ერთგულო ქვეშევრდომებო. მოგილოცავთ მისი უდიდებულესობა თქვენი მეფის, ესე იგი, ჩემს დაბრუნებას ჩემს სამეფოში. დარწმუნებული ვარ უჩემოდ... (რბილად მეგობრულად) დასხედით. (მინისტრები სხდებიან, მეფე უცებ მკაცრად და ისტერიულად გაჰკვივის): ადექით!. (მინისტრები წამოხტებიან), დასხედით! ადექით! დასხედით! ადექით! (მეფე უცებ მხარულად აკისკისდება) — ესეც თქვენ დილის, შუადღის გამამხნეველები ვარჯიშში, თორემ რაღაც გამისუქდით. რას იზამ, ყველაფერზე მე, თქვენმა მეფემ უნდა ვიზრუნო. კარგი, დასხედით და სანამ არ გეტყვით არ ადგეთ. მე ვიყავი, აბა, სად ვიყავი? მე თქვენი მეფე...

**მინისტრები და ჩაფრები (ერთად სამხედრო წესით):** დასავლეთ პოლუსზე, თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენო მეფეო...

**მეფე:** ყოჩაღ, ნამდვილი გენიოსები მყავხართ და რა ქნა იქ, ჩემმა უდიდებულესობა თქვენმა მეფემ?

**მინისტრები და ჩაფრები (ისევ ერთხმად ძალიან მონადინებულები):** დასავლეთ პოლუსზე ახალი შაპიტო გახსენით, კენტავრების დოლი და ვეჯინის ტახების ბერიკაობა მოანყვეთ, თქვენო უდიდებულესობავ!

**მეფე:** ყოჩაღ, ყოჩაღ, ჩემო ერთგულებო. არა, მე ძალიან კმაყოფილი ვარ თქვენი. ყოველთვის ვიცოდი, რომ ჩემი მინისტრები ყველაზე გენიალური მინისტრები არიან სამყაროში და ჩემი ჩაფრები ყველაზე უჩაფრესი ჩაფრები. დიახ, რაც უნდა იყაყანოს ამ უტვინო განდგომილებმა, მე მაინც გავხსენი მორიგი შაპიტო და დღეიდან ჩვენს სამეფოში ინარმოება ვეჯინის ტახების მალახარისხოვანი ბერიკაობის ნიღბებისა და კენტავრის პირველხარისხოვანი და ჭამადი ჰამბურგერების ექსპორტი (**თავმომხონედ**) — მე, როგორც ამიხსნეს, დასავლეთის ყველაზე ცივილიზებული პოლუსის წარმომადგენლებმა, კენტავრები ნახევრად ადამიანები, ნახევრად ცხენები არიან, მაგრამ ჩვენ კენტავრებს ადამიანები მოვაჭერთ და გარნმუნებთ, გპირდებით, რომ მხოლოდ ცხენის ნაწილისგან გაკეთებულ ჰამბურგერებს შემოვიტანთ. (**მტკიცედ**) და არც ერთ შემთხვევაში არ დავუშვებთ, რომ ჩვენს სამეფოში იმპორტირებულ ჰამბურგერში, თუნდაც ერთი გრამი, ადამიანური ნაწილის ხორცი შეერიოს. (**აკისკისდება**) აბა რა, ჩვენ ხომ კანიბალები არ ვართ, კანიბალები სამხრეთში ცხოვრობენ და ზოლიანები არიან. ასე რომ, დღეიდან ჩვენი სამეფო სამარადუამოდ იქნება უზრუნველყოფილი მალახარისხოვანი კენტავრის, მხოლოდ ცხენის ნაწილით შემზადებული ჰამბურგერით.

**მეფე ტაშს დასცხებს, მინისტრებიც მქუხარე ტაშს უკრავენ და სამეფოს ვაშს დასძახებენ. ყველაზე ხმაძალა IV მინისტრს გამოუვა, პირზე აიფარებს ხელს, მაგრამ უკვე გვიანია.**

**მეფე (უკიდურესად განრისხებული IV მინისტრს):** მობრძანდი შენ აქ, მობრძანდი, მობრძანდი. (**IV მინისტრი ფეხთარევით მიდის ტრიბუნასთან**) — ერთი მითხარი, ბატონო მინისტრო. აქამდე რატომ არ მქონდა სამეფოში კენტავრის ჰამბურგერი? ჰა, შენ გეკითხები? რატომ უნდა უნდა ვაკეთებდე მე, ბრწყინვალე ხელმწიფე შენს საქმეს? ფიქრობ, რომ შენ მეფეს მფრინავი ხალიჩებით ფრენისა და ჰამბურგერის ჭამის მეტი საქმე არა აქვს? რატომ შენ არ გაფრინდი? რატომ შენ არ იზრუნე ტახების ბერიკაობის ნიღბების შემოტანაზე სამეფოში? გინდა, ჩემი ხალხი ნიღბების გარეშე დარჩეს? (**ისტერიულად კივის**): — რატომ?

**IV მინისტრი (თავჩაღუნული საცოდავად):** გამოვასწოვებ დიდო მეფეო...

**მეფე:** რა გიყო, ჩამოგახრჩო, დაუყოვნებლივ?  
**IV მინისტრი:** არა რა, დიდო მეფეო, გთხოვ, არ ჩამომახრჩო რა, გამოვსწორდები.

**მეფე:** გამოსწორდები?  
**IV მინისტრი:** დაუყოვნებლივ. გეხვენები რა, თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენო მეფეო.

**მეფე (კეთილი ღიმილით):** კარგი, შეგინყალე... მიბრუნდი, (**IV მინისტრი მიბრუნდება, მეფე მაგარ ჭიტლას ამოარტყამს. მერე დაიყვირებს ჩაფრების მიმართულებით**) მომანოდეთ ჰამბურგერი! (**მეფე ჰამბურგერს IV მინისტრის აწვდის**) — აჰა, დაუყოვნებლივ შეჭამე, ახლავე ჩემ თვალწინ, ნამცეცი არ დაგრჩეს, თორემ ისევ განგირისხდები მე, შენი მეფე!

**IV მინისტრი (მდბლად უკრავს თავს):** დიდი მადლობა, თქვენო უდიდებულესობავ.

**მიდის თავის ადგილას, ჯდება და უზარმაზარი ჰამბურგერის ჭამას იწყებს.**

**მეფე (გამომცდელად):** გემრიელია?...  
**IV მინისტრი (ფეხზე წამოხტება პირგამოტენილი):** უგემრიელესი, დიდო ხელმწიფეო...

**მეფე (გამარჯვებული ტონით მიმართავს მინისტრებს):** აი, ეს არის ყველაზე კენტავრის, ყველაზე ჰამბურგერი და ეს არის ჩვენი სამეფოს ყველაზე დიდი, რეალურად ყველაზე დიდი გამარჯვება, ეს ჰამბურგერი არის ჩვენი სამეფოს უსაფრთხოებისა და ერთიანობის ყველაზე რეალურად დიდი გარან-

ტი, ეს ჰამბურგერი, ერი, ერი (**უცებ ამღერდება**) ჰერი ჰერი, ჰერი, ჰერი ბიჭო ტოროლო, (**ხელით ანიშნებს მინისტრებს და ჩაფრებს ამყევით**) ჰერი, ბიჭო, ტოროლო, ვინ გასწავლა სიმღერაო, ჰერი, ჰერი, ჰერი (**სიტყვები ავიწყდება**) — და ამიტომ ვმღერი, ჰერი, ბიჭო, ტოროლო...

**მოულოდნელად სცენაზე II მებრძოლი შემოვარდება უზარმაზარი ხანჯლით ხელში.**

**II მებრძოლი (შეშლილი სახით):** დანექით ყველა თორე, მე თქვენს დედებს... (**მინისტრებს**) თქვენ არ გაინძრეთ, ხელები მაღლა, (**ჩაფრებს**) თქვენ დანექით და ხელები თავზე... დროზე! არ გამამეორებინოთ, თორემ უეჭველი გამკეთებელი ვარ.

**ტრიბუნასთან მდგომი ჩაფრები ეგრევე წებებიან და ძალიან პროფესიონალურად იწყობენ თავზე ხელებს. დარჩენილი ორი ჩაფარი შეუმჩნევლად გადაეფარება I მინისტრს. III მინისტრი სკამის ქვეშ ძვრება, II მინისტრი ქალი ხელებს წევს ზევით.**

**მეფე (აბსოლუტურად გაოგნებული და დაბნეული, დაპანიკებული სახით, თითქოს ტრანსში, ცოტა უფრო ხმაძალა აგრძელებს):** ჰერი, ჰერი, ჰერი...

**II მებრძოლი:** ჰერი, ჰერი კი არა, მომისმინე, მეფეო. ახლავე გაეცი განკარგულება, რომ ჩემი ძმაკაცი მუსიკოსი ციხიდან გამოუშვან, თორემ მართლა ძალიან რეალურად დაგბრნიდავ. რაზე დაიჭირეთ, რაზე კლავთ ცემით? მუსიკოსი, უნესიერესი კაცია, ნაომარი, ნანვლები. მიდი ახლავე, დროზე (**და ტრიბუნას მთელი ძალით შემოარტყამს ხანჯალს**).

**მეფე (მოულოდნელად დაბლა გაგორდება, გვირგვინიც გასძვრება და ისეთი ხმით, აკივდება, რომ ყველა შეხტება):** ვაიმე!.. მიშველეთ, ხანჯალიი!.. რამხელაა!.. ვაიმე, დედაა! ჭრიის? ვაიმე! გამეჭრება! გალესილია! მიშველეთ! გამეჭრება! მეფეს გაეჭრება, არ მოხვიდე! წადი! გამიჭრიის!!! აააა!..

**II მებრძოლი (ძალიან დაბნეული):** მომისმინე, ადექი და დანყნარდი. უბრალოდ, ჩემი ძმაკაცი გამოუშვი და არაფერს დაგიშავებ. ძალიან წესიერი ბიჭია, რას ერჩოდი (**თან ცალი თვალი მინისტრებისკენ უჭირავს. მინისტრების ზღუქუნი გაისმის**).

**IV მინისტრი (ქვითინით):** მე გამიშვი რა, ბიძია, გეხვენები, არ მომკლა, გამიშვი რა, დედა მელოდება. მარტო ვჭამ, მეტს კი არაფერს ვაშავებ (**ზმუის**) — გამიშვი რაა!..

**II მებრძოლი:** წადი, ძმაო მოზორდი, შენ ვის რათ უნდიხარ. წადი ჰა, (**გაოგნებული**) რა გჭირთ, მე თქვენი დედა ვატირეო...

**მეფე:** მიშველეთ, ჩაფრებოო! არ მოვიდეს, რამხელა ხანჯალიაა! ...

**II მებრძოლი (მეფეს):** ე, მომისმინე, არავინ არ გჭრის და არ გკლავს. უბრალოდ მომისმინე.

**მეფე (ისტერიულად იქნევს ხელ-ფეხს):** არააა! წადი! მიშველეთ! მკლავს! წადი!..

**III მინისტრი:** ესეთი ფულის დედაც და ესეთი ცხოვრებისაც. რით ვერ გავაღწიე ამ დედაპირებული სამეფოდან, ესეც თუ ქვეყანაა. ფუი! ..

**II მებრძოლი (უცებ მეფეს საყელოში სწვდება):** ე, მორჩი პანკას და ფეხების ქნევას, თორე გამოგლადრე მართლა ყელი, აეთრე და მომისმინე!

**მეფე (მთლად გადაირია, მხოლოდ კვილსდა ახერხებს):** აააააააა!..

**II მინისტრი (II მებრძოლს):** კარგი, სულ ნუ გააგიჟე. ცოდოა, გაანებ თავი, მაგას ახლა ვერაფერს ვერ გააგებინებ, ისტერიკაშია. დანყნარდი! წამოდი ჩემთან ერთად. ქალი არ მოგენატრა ამდენ ბრძოლაში?

**II მინისტრი ქალი წამში ქვედატანს ჩაიხდის და ბარძაყებს გამოაჩენს.**

**II მებრძოლი:** — გაეთრე აქედან, შე კახხა! შეშინებული II მინისტრი სკამის ქვეშ შეძვრება.

**მეფე:** აააა, აღარ ვიხამ, წადიი (**გაურკვეველი მიმართულებით იხვენება**) — სთხოვეთ წავიდე! აღარ მინდაა!..

**II მებრძოლი (ძალიან დაბნეული, დარბაზს მიმართავს):** ვაა, რა ვქნა?..

**II მინისტრი (სკამის ქვემოდას):** დადე ეგ ოხერი ხანჯალი, გადი და დატყდი.

**II მებრძოლი (დაძაბული და შემფოთებული):** რა უნდა დავდო, ქალო, რომ დავდო, ხო ცოცხლად შემქამეს...

**I მინისტრი (ცდილობს სიტუაციის გაკონტროლებას):** არა, ნუ გეშინია... (მეფეს) თქვენო უდიდებულესობავ, მე უზრუნველვყოფ თქვენს უსაფრთხოებას, აუცილებელია კორიდორის გაკეთება...

**II მებრძოლი (უეცრად საშიშად გამოფხიზლებული და გახალისებული):** მაშ არ გესმით ჩემი ხომ? ეხლა წავალ და მარტო აღარ დავბრუნდები. მთელ ჩემს თანამებრძოლებს, III-საც, IV-საც, V-საც, და VI-საც აქ მოვიყვან. მერე ნახეთ თქვენი სერი.

**I მინისტრი მოულოდნელად წინ ეღობება II მებრძოლს.**

**I მინისტრი:** არა, არ გინდა, არ ქნა, უარესი იქნება, იცოდე, გაჩერდი, ძმურად, აზრზე მოდი, გთხოვ, ჩვენ კიდევ სისხლი გვინდა, ბიჭო?..

**II მებრძოლი:** გადი, თორემ შენც აგჩეხავ, თქვენი ბრალია ეს შნირები თავზე რომ დაგვასხდნენ და დედა გვიტივრეს!

**I მინისტრი (გააფთრებული უყვირის):** ჩემი კი არა, თქვენი! აი, ასეთი სიგიჟეების და სისულელების ბრალია, ჯერ რო აკეთებთ და მერე რო ფიქრობთ, თქვენ დაანგრიეთ ეს ქვეყანა, თქვენი... გაჩერდი ახლა (ძალიან შინაურულად), გაჩერდი, დედას გაფიცებ, და გადაგარჩენ. მე ვიღებ ჩემს თავზე...

**II მებრძოლი (ნალვლიანი ღიმილით):** რას იღებ თავზე, იუზგარ, შენც ხომ იცი, ცოცხლად თუ ჩამიგდეს, წამებით ამომხდიან სულს...

**მეფე (ტრიბუნის უკნიდან, ცოტა იმედიანად. II მებრძოლს):** ეგ სიტყვის კაცია! დაუჯერე!

**II მებრძოლი (I მინისტრს):** ამას როგორ ვენდო, ბიჭო, ლეტნად არის, ან თქვენ როგორ უსმენთ, ვერ ხედავთ, რო ერეკება?

**I მინისტრი:** მოკლედ, მომისმინე, მომისმინე, მე ვიღებ პასუხისმგებლობას, ჩემს თავზე ვიღებ ყველაფერს. დადე ეგ ჟანგიანი ხანჯალი და გადი (II მებრძოლი ყოყმანობს, გამომცდელად უყურებს I მინისტრს). დამიჯერე, მეტი გზა აღარა გაქვს, თვითონვე მოიყოლე თავი ბლოკში. (მტკიცედ) დადე ხანჯალი, მე გიდგები თავდებში... შენ მეგობარ მუსიკოსს მე გავათავისუფლებ.

**II მებრძოლი (ისევ გამომცდელად):** დაიგინე!..

**I მინისტრი (ვერევე):** ბოზიშვილი ვიყო!..

**II მებრძოლი ისევ ყოყმანობს, მერე ფრთხილად, ნელა დებს ხანჯალს იატაკზე.**

**I მინისტრი (მტკიცედ, მშვიდად და საქმიანად):** ჩაფრებო, დააკავეთ ტერორისტი!

**ჩაფრები მებრძოლს ეცემიან, ხელებს გადაუგრეხენ და კულისებისკენ მიათრევენ. ტრიბუნასთან დარჩენილი ჩაფრები მეფეს ააყენებენ. გვირგვინს მოძებნიან და ისევ თავზე ახურავენ...**

**II მებრძოლი (კულისებიდან I მინისტრს, ზიზლით და დაცინვით):** შე ახვარო!... მომატყუე ხომ?!

**I მინისტრი (გალიზიანებული):** შე ახვარო კი არა, რა სულელები იყავით, იმ სულელებად დარჩით. თქვენი დეცკი სადი რა ვთქვი! 20 წლის განმავლობაში, ხანჯლის მეტი ვერაფერი მოიფიქრეს. შურდულით მოდი თქვენც!... **ჩაფრებს ცემით გაჰყავთ მებრძოლი კულისებში.**

**მეფე (ისევ ამაყად დგება ტრიბუნასთან):** და აი მე, თქვენს უბრწყინვალეს მეფეს, თვით ჩემს უდიდებულესობას, მსურს კიდევ ერთხელ მოგილოცოთ თქვენი მეფის კიდევ ერთი დიდი გამარჯვება. თქვენ ყველამ საკუთარი

თვლით ნახეთ და დარწმუნდით თქვენი ხელმწიფის უძლეველობაში, მის ღვთაებრიობაში, სიმამაცესა და ძალგულოვნებაში. თქვენ თვალწინ მე, ჩემმა უდიდებულესობამ, კიდევ ერთი განსაცვიფრებელი გმირობა ჩავიდინე და ნეკა თითის ერთი მოქნევით ძირს დავანარცხე ამ მკვლელების, ზანდიტებისა და მოლაღატეების მთელი ხროვა... ჰა, ხომ ნახეთ? რა, ვერ დაინახეთ? რას გაჩუმებულხართ?..

**მინისტრები და ჩაფრები (ისევ ერთხმად):** რა თქმა უნდა დავინახეთ, თქვენი უდიდებულესობავ, ჩვენო მეფეო, ხელის ერთი მოქნევით როგორ დაამარცხეთ მოლაღატეთა მთელი ჯარი!..

**მეფე (მოხასიათებული და აღფრთოვანებული):** ხელის კი არა, თითის!..

**I მინისტრი და ჩაფრები (ისევ ერთხმად):** დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენო დაუმარცხებელი ხელმწიფე, თითის ერთი მოქნევით დაამარცხეთ მთელი ჯარი!..

**მეფე (გამომცდელად):** ნეკა თითის!..

**I მინისტრი:** დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, ნეკა თითით ჩვენო მეფეო, მოლაღატეები და მკვლელები, თქვენო ბრწყინვალეობავ, უთვალავი მოლაღატე და მკვლელები, თქვენო უძლეველობავ!

**მეფე (ამაყად მოიღერებს ყელს):** ახ, და რა გეშველებოდათ უჩემოდ? რა დღეში იქნებოდით, მე რომ არ ვყოფილიყავი? (გამომცდელად უყურებს მინისტრს).

**I მინისტრი:** ვაშა, სამგზის ვაშა ჩვენს ბრწყინვალე ხელმწიფეს!

**ყველანი ვაშას ძახილით ტაშს დასცხებენ.**

**მეფე (მორცხვად):** არ არის საჭირო, არ არის... (მრისხანედ) — რაც შეეხება ამ შავ-ბნელი და ჩამორჩენილი, ოროსანი და წარსულის გადმონაშთი მკვლელების ხროვას, მათ დაუყოვნებლივ ჩამოახრჩობენ ჩემი მძვინვარე ჩაფრები მთელს მსოფლიოში ყველაზე მაღალ სახრჩობელაზე, რომელიც თქვენმა მეფემ ააშენა და აამაღლა ცამდე. არ დავინახო ჩემს სამეფოში არავითარი სიბრალული, დანდობა და ტოლერანტობა. დაუყოვნებლივ ჩამოახრჩვეთ ყველა, ვინც არ მიყვარს და არ მომწონს და მით უფრო ისინი, ვისაც მე არ ვუყვარვარ და არ მოვწონვარ. როგორ შეიძლება საკუთარი მეფე, მერე ასეთი წარმტაცი, ბრწყინვალე და წარმატებული, ასეთი უძლეველი მთავარსარდალი სულითა და გულით არ გიყვარდეს, არ მოვწონდეს და აღფრთოვანებული და აღტაცებული არ იყო მისით? ყველა შურიანი და ორგული ეშაფოტე!!!

**მეფე ყურში თითს გაიკვებებს და კუნტრუშ—კუნტრუშით გამოდის აივანცენაზე.**

**მეფე (მაყურებელს):** ვყიდე მინდვრები, ვყიდე ქალები, ჩემი რა არი... ჰერი, ჰერი, ჰერი, ჰერიიი... სად არის ჩემი მფრინავი ხალიჩა, რაღაც ამ გამარჯვებულს და დალილ-დაქანცულს ნაგარდი მომესურვილა, თქვენ იცით, დღეს რამხელა გამარჯვება მოვიპოვე ჰა? დღეს დიდგორზე დიდ ბრძოლაში გავიმარჯვე (უცებ ძალიან განრისხებული) — და საერთოდ, რას შექამეთ ამ თქვენი დიდგორით გული, როდემდე ჰა?..

**მეფე ზურგს შეაქცევს მაყურებელს და კუნტრუშით გადის კულისებში. სცენაზე მხოლოდ I მინისტრი რჩება.**

**I მინისტრი:** ვახ! რა გვეშველება? ვფიქრობ, ვფიქრობ და გამოსავალს ვეღარ ვხედავ! იქნებ უკვე მეც გავგიჟდი? „აჰა, საცაა ხე ნაიქცევა, ზედ კი ჩიტები უზრუნველად თხზავენ ბუდეებს.“ ნუთუ ყველაფერი დამთავრდა, ნუთუ ყველაფერი მთავრდება, მაგის დედა ვატირე. და ეს იდიოტები და მეც ამათში ყველაზე მეტი იდიოტი...

**კულისებიდან ცეკვით, წრეზე ფრიალით და პრონიალ-პრონიალით გამოდის, დედაბერი ცოცხით ხელში. I მინისტრს ქეროში ჰკიდებს ხელს და პრონიალ-პრონიალით გაჰყავს კულისებში. I მინისტრი ნებანართმული და მოშვეული მიჰყვება. დედაბერი ბრუნდება სცენაზე.**

**დედაბერი (მაყურებელს მიმართავს):** ახლა კი ჩვენი მეფის ჯერიც დადგა. ჩვენი დიდებული მეფის, მაღალი მეფის, ჩვენი მღაბალი მეფის, ჩვენი ბევრლაშქრიანი მეფის სეირისა!

სცენა 7

საგულდაგულოდ და სადღესასწაულოდ მორთულ ბაღში დიდი სახალხო სეირნობაა გამართული. ბავშვები, დიდები მოხუცები. ბავშვებს ხელში ნაირფერი ბუშტები უჭირავთ, რომლებსაც ერთადერთი ნაწნურა აქვთ — „მეფე“! კულისებიდან ამ დროს მართლაც გამოდის მეფე, ორი ნახევრად შიშველი ქალის თანხლებით. ხალხი გაამყრუებელი ყიჟინით ხვდება. ისმის შეძახილები: — დიდება მეფეს! გენაცვალეო მეფეო! მეფეო, ჩვენ შენთან ვართ! მეფე მაგარია! მეფე მაგარია!

გახალისებული მეფე თითქმის ცეკვით მოდის სცენის შუაგულამდე.

**მეფე:** ჩემო საყვარელო და ერთგულო ქვეშევრდომებო, თქვენ ხედავთ, როგორ გაგაბედნიერეთ მე, თქვენმა მეფემ...

**ხალხი:** მეფე! მეფე! მეფე! მეფე! მეფე მაგარია!

კულისებიდან გამოდის დედაბერი ცოცხით ხელში და ბზრი-ალ-ტრიალით უახლოვდება მეფეს და მის თანმხლებ ქალებს.

**დედაბერი:** ან კი იტირეთ და იგლოვეთ, მაგრამ გვიანია. ძალიან გვიანია. აღსასრული მოახლოებულია. *(მომართავს მეფეს)* შენი ტახტი დაილენება, შენი ციხეები დაემხოება, შენი განძი გაქვავდება, ოქრო განყალდება, ვერცხლი გაშავდება, შენი ძალაუფლება გაქრება, როგორც შარშანდელი თოვლი და შარშანდელი მზის სხავე!

**მეფე (მოულოდნელობისგან შეხტება):** აქაც მომავნო ამ ჩათლახმა. *(ისტერიულად)* რა გინდა რა, ქალო?! რას გადამეკიდე? — ჩაფრებო! დაუყოვნებლივ გაჩნდით აქ, ჩემს, თქვენი მეფის განკარგულებაში! *(ჩაფრები არ ჩანან. მეფე სასონარკვეთილი იყურება აქეთ-იქით და მთელი ხმით ყვირის)* — ჩაფრებო! ჩაფრებო მეთქი! აქეთ, აქეთ, თქვენი მეფისაკენ, მომავორეთ ეს საზიზღარი დედაბერი! *(კვლავ არავინ ჩანს. ხალხი და მეფის თანმხლები ქალები გაშეშებული და დაზაფრულები უყურებენ დედაბერს).*

**დედაბერი:** თქვენ არ განიკითხეთ გლახაკი, არ შეინყაღეთ ცოდვილი და ობოლი და არ შეგებრალათ მოხუცი და ჩვილი, უღალატეთ თქვენს ძმას და გადაუარეთ სისხლსა და მირონს...

**მეფე (დედაბერს ჩურჩულით):** რა გინდა რა, რას გადამეკიდე? გინდა პენსია მოგიმატო? გინდა ბევრი ოქრო მოგცე, აუარებელი, უამრავი, ან გინდა ჩემი სასახლე გაჩუქო, ჩემს მფრინავ ხალიჩასაც კი მოგაძავებ, ოღონდ თავი დამანებე... *(ისტერიულად)* დამანებე თავი!!!

**დედაბერი:** — შენ დასაჯე ეს ქვეყანა, მოკალი მართალი და ახლა ცხვრების დრო მოვიდა. ნახე შენი საცოდაობა, როდესაც შენი სანყალობელი ბლავილი არემარეს შეაჯერებს! ცხვრები მოდიან, სცემენ დაფდაფებს. ცხვრები მოდიან მგლებზე სანადიროდ, მგლების გასაგლეჯად!

**მეფე (აქეთ-იქით იყურება):** ჩაფრებო! ჩაფრებო!.. მინისტრებო! მილაღატეთ, ხო? სულ ვიცოდი, რომ მილაღატებდნენ ესენი! ხალხო მიშველე!..

**მეფე გონს მოეგება, უყურებს მოულოდნელობისგან დაფეთებული, დაზაფრულ ხალხს და გაშეშებულ ბუშტებლმართულ ბავშვებს, უცებ ხმამაღლა ახარხარდება და დედაბერს ტაშს დაუკრავს.**

**მეფე:** ყოჩაღ, ყოჩაღ *(ხალხს მიმართავს)* — ნუ გეშინიათ ჩემი დადგმულია ეს ყველაფერი, მე, თქვენმა მეფემ დავდგი და გავითამაშე თქვენს გასამხიარულებლად *(თავის თანმხლებ ორ გოგოსაც ხელს უზიდავს)* — მიდი, ჰა, თქვენც იცეკვეთ და ითამაშეთ!

**მეფის თანმხლები, ნახევრად შიშველი ქალები შეშინებული-ბი დაიხვეწენ უკან.**

**მეფე (განრისხებული):** როგორ, თქვენც რა არ გჯერათ, რომ ეს ყველაფერი მე დავდგი?!

**ქალები ხალხს გაარღვევენ და სცენიდან გარბიან. მეფე გაქანდება დედაბერისაკენ.**

**მეფე:** ახლა გაჩვენებ ცხვრებს, რომ გწვდები მაგ გაჩეჩილ თმებში.

მეფე ცდილობს, რომ დედაბერი ხელში ჩაიგდოს, მაგრამ დედაბერი ხელიდან უსხლტება, ცეკვავს, ცოცხს ზევით ისვრის. მეფე იატაკზე ემხოება, ოთხით დაცოცავს.

**დედაბერი (ცოცხს ზევით ისვრის):** მფრინავი ცოცხი! მფრინავი ცოცხი!

**მეფე:** მფრინავი ხალიჩა! ჩემი მფრინავი ხალიჩა!

**ხალხი (ერთხმად):** მფრინავი ცოცხი! მფრინავი ცოცხი!

**დედაბერი კიდევ ერთხელ აავდებს ცოცხს ჰაერში, მერე დაიჭერს, მკვეთრად შემოტრიალდება იატაკზე ოთხით დამდგარი მეფისაკენ, გაქანდება მისკენ, შემოუვლის უკნიდან და ცოცხს ლაჯებში გაუყრის. ცოცხი გაფრინდება, ჰაერში აიტაცებს მეფეს და სცენის თავზე ააფრენს.**

**მეფე:** რას მიშვრები, შე ქოფაკო, შე ძაღლისშვილო!!! უბრძანე ცოცხს, რომ დამიშვას ძირს! ხალხო მიშველეთ!!! ჩემო კარგო ხალხო, ჩემო საყვარელო ხალხო!!!

**დედაბერი (უყვირის):** მეფეო, რაც გინახავს, ველარ ნახავ! ბაღში შეკრებილი დიდები და ბავშვები აიტაცებენ დედაბრის სიტყვებს.

**ხალხი (მფრინავ მეფეს):** მეფეო, რაც გინახავს, ველარ ნახავ! ველარ ნახავ! ველარ ნახავ!

**ხალხის ხმა სულ უფრო და უფრო ძლიერდება და ქუხილში გადადის. დედაბერი სცენის შუაში მიდის, ხსნის სცენის იატაკში ჩატანებულ ჩასასვლელ კარს და ტაშს სამჯერ შემოკრავს. ცოცხი გამოეცლება ლაჯებიდან მეფეს. მეფე მალეიდან ვარდება და სცენის იატაკში ჩატანებულ ჩასასვლელში უჩინარდება. ისმის აფეთქების ხმა და ჩასასვლელიდან შავი ბოლი ამოდის.**

**დედაბერი და ყველა მსახიობი ავანსცენაზე გამოდიან. დედაბერი მოიძრობს მოხუცის ნიღაბს, იხდის დაძინილ ძველ ტანსაცმელს და თეთრ, სპეტაკ კაბაში გამოწყობილ მზეთუნახავად გადაიქცევა.**

**მზეთუნახავი (მაცურებელს მიმართავს):** დასრულდა ეს ამბავი, ვითარც სიზმარი ღამისა. ცხვრებმა დაგლიჯეს მგლები. ცხვრებს აღარაფრისა აღარ ეშინიათ! მგლები განყდნენ, მგლები გადაშენდნენ!!!

**ხალხი ერთხმად იმეორებს დედაბრის სიტყვებს.**

**ხალხი:** ცხვრებმა დაგლიჯეთ მგლები! მგლები გადაშენდნენ! მგლები განყდნენ, ცხვრებს აღარაფრის აღარ გვეშინია!

სცენა 8

დეკორაციის კედლები გაიწევა. სიღრმეში სცენის მთელ სიმაღლეზე მოჩანს ღვთაებრივი პეიზაჟი: პინიები, მზით განათებული დაბალი მთები, მდინარე, ხიდი, ციხის ნანგრევები... პეიზაჟიდან ავანსცენის მიმართულებით მოდის შავებში ჩაცმული ქალი.

**სცენაზე მყოფნი:** ღვთისმშობელი! ღვთისმშობელი!

**ყველა მუხლებზე ეცემა.**

**ღვთისმშობელი:** ადექით! არ მიყვარს მუხლებზე დაჩოქილი ხალხი!

**ყველა ფეხზე ადგება.**

**ღვთისმშობელი:** გამარჯობათ ქართველებო! ბოლო დროს უმწიოდ რომ გაიძახოდით, გვეშველება რამე? ღვთისმშობელი გადაგვარჩენს? საქართველო ხომ მისი ნილხვედრი ქვეყანაა? ტყუილად ირჯებოდით!

თქვე ბრწყინებო, მაპატიეთ უხეშობისთვის, ჩემი შვილის სწავლებაში გარკვევით წერია, რომ ღმერთი კი არ გადაგარჩენთ, არამედ, ღმერთი გცდით!

როგორც ვხედავ, დღეს თქვენ ერთი პატარა გამოცდა ჩააბარეთ. ცხვრებმა დაგლიჯეს მგლები! ყოჩაღ ქართველებო!

ახლა, თქვე უნიგნურებო! მომისმინეთ რას ნიშნავს ნილხვედომილი! ამაში არავითარი მისტიკა არ არის! საქართველო რომ ჩემი ნილხვედომილი ქვეყანა გახდა, იყო სავსებით პრაგმატული გადაწყვეტილება. აღდგომის მერე, ქრისტეს მონათველება და მე გადავწყვიტეთ, რომ მისი მცნება სხვა ქვეყნებშიც გავგვერცელებინა, ლოგიკური იყო, რომ თითოეული

ჩვენგანი იმ ქვეყანაში წასულიყო საქადაგოდ, საიდანაც ის იყო წარმოშობილი ან სადაც მას ჰყავდა ნათესავები და მეგობრები. პავლეს, მაგალითად, წილად ხვდა კილიკია, იმიტომ, რომ იგი წარმოშობით იყო კილიკიის ქალაქ ტარსიდან, იოანეს შეხვდა ბერძნული ქალაქი ეფესი, სადაც მას ბევრი ნაცნობი და მეგობარი ჰყავდა. მე შემხვდა საქართველო, სადაც, მცხეთაში, ჩემი ბევრი ნათესავი ცხოვრობდა.

საქმე ისაა და თქვენ ალბათ გაგიგიათ, რომ ქრისტემდე მე-6 საუკუნეში, ნაბუქოდონოსორმა დაიპყრო ისრაელი და ჩვენ, ებრაელები, სამშობლოდან განგვდევნა. თავის გადასარჩენად, ჩვენ განვიბნით სხვადასხვა ქვეყანაში. ჩემი მუხლის ხალხი მოვიდა საქართველოში და მცხეთაში დასახლდა. ქართველებმა როგორც ახლობლები, ისე მიგვიღეს, არც რელიგია აგვიკრძალეს და არც ჩვენი წესჩვეულებები. მოგვიანებით, ჩემი პაპები ისრაელში დაბრუნდნენ. მე ისრაელში დავიბადე და ჩემი პირველი შვილი, იესო იქ ვიყავი.

მერე, როცა იესომ თავისი სწავლების ქადაგება დაიწყო და თავისი თავი ღმერთის შვილად შეარაცხა, იერუსალიმელ მღვდელმთავრებს შორის დაიწყო დიდი ბჭობა ამის თაობაზე. ამ მღვდელმთავრებმა დააგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები სხვა ქვეყნების ებრაელთა სათვისტომოებში, რომ მოენციათ იქიდანაც იქაური მღვდელმთავრები და სჯულის მეცნიერნი, რათა მათთან ერთად ჩამოსულიყვნენ განეკითხათ ქრისტეს საქციელი.

წარმომადგენლები მოვიდნენ მცხეთაშიც და მოუწოდეს აქაურ მღვდელმთავრებს, რომ ისინიც წასულიყვნენ იერუსალიმში. იერუსალიმში წავიდნენ მღვდელმთავრები: ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. მათ მოუსწრეს მხოლოდ ქრისტეს ჯვარცმას გოლგოთაზე.

ჯვარცმისას, ჯვართან ჩემთან ერთად იყვნენ ჩემი და, მარიამ მაგდალელი, მარიამ კლეოპასი და ჩემი შვილის საყვარელი მონაფე იოანე. ეს ის იოანეა, რომელმაც დაწერა სახარების ერთ-ერთი თავი და „გამოცხადება იოანესი“. ეს ის იოანეა, რომელსაც ჩემმა შვილმა ჯვარზე გართხმულმა უთხრა: „შენ უპატრონებ დედაჩემს“!

რომაელებს ჰქონდათ წესი, რომ ჯვარცმის წინ მსჯავრდებულს ტანსაცმელს გახდიდნენ და ამ ტანსაცმელს რომაელი ჯარისკაცები ინანილებდნენ. იმ დღეს, ერთერთმა ჯარისკაცმა, კეთილმა კაცმა, რომელსაც წილში შეხვდა ჩემი შვილის პერანგი ანუ კვარტი, ის არ მიითვისა და მომცა მე. მე მივაბარე ჩემი შვილის კვარტი საქართველოდან ჩამოსულ ლონგინოზს და ელიოზს, რომ საქართველოში წაეღოთ და იქ შეენახათ. რადგან ჩემი შვილის მიმდევრებზე იერუსალიმში დევნა უკვე დაწყებული იყო. ლონგინოზსა და ელიოზს მე ვენდობოდი, როგორც ჩემს ნათესავებს.

დღესაც, ეს კვარტი თქვენთან, სვეტიცხოველში, სიდონიას საფლავშია დაფლული და იქ ინახება. იფიქრეთ ამაზე! ნუ გგონიათ, ქართველებო, რომ თქვენ, ერთი გამოცდა რომ ჩააბარეთ და ცხვრებმა დაგლიჯეს მგლები, ამით ყველაფერი დამთავრდა! თქვენი გამოცდა კიდევ გაგრძელდება მანამ, სანამ ჩემი შვილის მცნება ქვეყანაზე იარსებებს. მოემზადეთ უფრო დიდი განსაცდელისთვის. თქვე უქნარებო, მაპატიეთ კიდევ ერთხელ უხეშობისთვის, იმუშავეთ, იკითხეთ წიგნები, ნაკლებად ჭამეთ და სვით, გადმოაფიქრეთ თქვენი ჯიპებიდან, ნაკლებად უყურეთ გადაცემას „ცეკვავენ და მღერიან ვარსკვლავები“.

გიყვარდეთ ერთმანეთი და თქვენი მტრებიც. გახსოვდეთ, რომ ბავშვები იბადებიან სიყვარულისაგან. გილოცავთ ამ პატარა გამარჯვებას პატარა სატანაზე! ნახვამდის!

**ღვთისმშობელი მობრუნდება და მიდის სცენის სიღრმეში. ღვთაებრივი პეიზაჟისკენ. შემდეგ ის კიდევ ერთხელ შემობრუნდება სცენაზე მყოფი ხალხისკენ.**

**ღვთისმშობელი (ხალხს):** არ დაივიწყოთ თქვენი წინაპრები: შოთა, დავითი, თამარი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, ვაჟა, კლდიაშვილი, ფიროსმანი, გალაკტიონი, ივანე ჯავახიშვილი, პაოლო, ტიტციანი, გურამ რჩეულიშვილი და სხვები. აბა, თქვენ იცით, არ მომატყუოთ! იცოდეთ, ტყუილებს ვერ ვიტან!

**ღვთისმშობელი გადის.**

ფარდა

ნუნუ ჯანელიძე

\* \* \*

ჩვენ ბავშვები ვართ მარადიული, ვრნდებით, ვიზრდებით, ვვრდებით და ვკვდებით ბავშვებად, და არ გვსურს დედის თბილ კალთაზე ხელის გაშვება. და ჩვენში ცხოვრობს ამ ბავშვების სამი თაობა: ბებია ბავშვი, დედა ბავშვი და ბავშვი ბავშვი და არის მარად უცვლელი თემა:

საყვარელი ჩვენი ბავშვები. ჩვენ ბავშვები ვართ მარადიული და ბავშვური გულით ვგრძნობთ ძახილს: მოდით ჩემთან, როცა გვიხმობს ჩვენი უფალი.

\* \* \*

მშვიდობით მოხველ...  
...და მიზეზი კვლავ მაქვს სიცოცხლის; რაც შიში ვჭამე, ვზი ახლა და ლექსად ვიცოხნი...

\* \* \*

სანამ მხოლოდ ადამიანის იმედი მქონდა, სულ ვგორიაქობდი, რადგან იცვლებოდნენ ადამიანები და ცვალებადი იყო მათი ბუნება. მაგრამ, როცა ღვთის იმედი მომეცა, სიმშვიდე ვპოვე, რადგან ერთია უფალი და უცვალებელია მისი ბუნება.

\* \* \*

გავიხარებ-გაიხარებენ, დავმწუხრდები-დამწუხრდებიან, ხურდებივით მიბრუნებენ უკან ყველა ჟესტს, სიტყვას, ტკივილს. მათი სარკე ვარ, ამიტომაც ანარეკლთა კრთომა უკვე აღარ მაშინებს; ... ჩემი სულის ექოები, ჩემი შვილები...

\* \* \*

ჩემს მტკივან გულში შენი ცეცხლი უკვე ანთია, ჩემი ცრემლების იორდანე, აპა, ნათლია...

\* \* \*

ძველო მტრებო: თქვენი ცოდვით სიცოცხლესაც, ვფიცავ, დავთმობდი, მაგრამ მერე რა გეშველებათ, რალამ გაათბოს გაყინული თქვენი გულები, ჩემთან მტრობის სიხარული რომ წაგერთმევათ...

\* \* \*

მე ის ვარ, ვისაც დღე არ ეთმობა,  
ვისაც სიფხიზლე ანიჭებს თრობას,  
ვინაც არჩია სიმართლე მჭრელი  
კიდემორღვეულ მიეთ-მოეთებს;  
ვინც იცის, ქვეყნად რატომ მოვიდა:  
მეუღლე, დედა, შვილი, პოეტი  
და აუქცია გზა უღმერთობას;  
მე ის ვარ, ვისაც დღე არ ეთმობა,  
ვისაც სიფხიზლე ანიჭებს თრობას.

\* \* \*

ვერ პოულობდი გზას ქალაქისკენ  
და ცოცხალ-მკვდარი უგზო-უკვლოდ ეხეტებოდი,  
მაგრამ ახლა, როცა იპოვე,  
როცა იხილე მთის მწვერვალზე მდგარი ქალაქი,  
სანამ ივლი უდაბნოს გულში,  
სანამ დაითმენ შიმშილს, წყურვილს, მიუსაფრობას:  
სულში ეჭვი ხომ არ შეგიძვრა,  
რომ მოჩვენება არის მთაზე მდგარი ქალაქიც?

\* \* \*

ჩემს კერაზეც დულს ერთი ქოთანი,  
დულს და ქოთქოთებს, დულს და გადმოდულს  
და ლამის მეც თან გადამიყოლოს;  
მაგრამ ენაზე მადვეს ბოქლომი,  
და ერთგულებით,  
ვით ქვაბს ოქროთი,  
ვიცავ სიყვარულს,  
ჩუმს და აუხსნელს...

\* \* \*

სარფიანია ღმერთით ვაჭრობა,  
იყიდე, გაყიდე, სარგებელი მიიღე დიდი;  
სარფიანია ღმერთით ვაჭრობა,  
ყვიდი წმინდანებს,  
სერაფიმებს და ქერუბიმებს  
ლარში, დოლარში,  
თუ რუსულ რუბლში.  
ყვიდი ცალად და ყვიდი ბითუმად,  
ყვიდი ბრძენებს და ყვიდი ბითურებს.  
სარფიანია ღმერთით ვაჭრობა,  
იყიდე, გაყიდე, სარგებელი მიიღე დიდი...

\* \* \*

ამოვყარე ჩვილობის სურათები,  
შავ-თეთრი, უამით შელანძლული-შეყვითლებული.  
რა უნდა მითხრან იმის გარდა,  
რომ სხვად ვიქეცი,  
რომ ვერასოდეს საკუთარ თავს ვერ ავიტატებ,  
ვერც ნანას ვეტყვი, ვერც დიდობით  
ვერ გავაკვირებ.  
კედელს გაკრული ზენრის კუთხიდან  
ახალგაზრდა დედის ხელი ჩანს,  
სწორად რომ ვიდგე, სკამიდან არ გადავყირავდე  
(ნონასნორობის განსამტკიცებლად ახლაც  
როგორ მჭირდება იგი).  
საოცარი გრძნობაა, როცა უყურებ შენს  
თავს სუსტს და დაუცველს  
და გიყვარს იგი.



მაგრამ უფრო გასაკვირი ჩვილის მზერაა,  
სად სიმშვიდე ჩანს და სამყარო გაუბზარავი  
(სამყარო, რომლის ნამსხვრევილა გინიწკნის თვალებს  
და დღე და ღამ ცრემლს გაღვრევენებს).  
დასანანია: რა იმედით გზა იწყებოდა...

\* \* \*

რა ახლოს ვარ აღთქმულ მიწასთან;  
თვალთ ვწვდები მის ტურფა ველებს,  
მაგრამ ბიჯი ვერ გადამიდგამს -  
- დაბმული ვარ წყევლით სამანთან;  
და სანატრელ მწვერვალს და დაბლობს,  
მოედინება სად რძე და თაფლი,  
მხოლოდ შორიდან  
ველაციციები...

\* \* \*

ვერ დავასრულე ვერცერთი საქმე,  
ვერ მივედი ბოლო შტრიხამდე,  
ვერ დავისვენე, ვერ შევედი შენს სიმშვიდეში.  
ბუნა-ბუნა ყრია ლექსები  
(გამწყდარ მძივს მოჰგავს  
შუა გზაზე გამწყდარი პწკარი).  
ამოდ ელის წიგნი გადამშლელს  
და საქარგავზე მიბნეულ ნემსს უანგი ედება.  
და მეც სადღაც შუა გზაში ვარ:  
მიყვები სიტყვას, მიყვები და ველარც მიყვები;  
აქეთ შიშია, სიდუხჭირე, უიმედობა,  
იქით იმედი, სიყვარული, თავისუფლება.  
როდის იქნება, დავასრულებ საქმეებს ჩემსას,  
შევერებ პწკარს გამწყდარს,  
ბოლო აბზაცს ამოვიკითხავ,  
დავამაგრებ ნაქარგს ბოლო ძაფს

და ბოლო-ბოლო,  
სიტყვას ძირის-ძირამდე ჩავდევ.  
როდის იქნება, მეშვიდე დღე  
დადგება ჩემთვის,  
და დავივანებ, დავისვენებ  
შენს სიმშვიდეში...

\* \* \*  
ჩემი ცხოვრება ბრძოლა არის სიყვარულისთვის.  
მშვიდობისთვის, დაბადებისთვის.  
ყოველდღიურად ვმკვიდრდები მათში  
და ვშენდები მათში ყოველ წამს.  
ჩემი ცხოვრება სვლაა თავისუფლებისაკენ,  
სუნთქვა თავისუფლებისათვის.  
ვკვდები თანდათან ყოველგვარი თანამდევისთვის,  
ვთავისუფლდები მტრობისაგან, სიძულვილისგან,  
ვივადებ მხრებიდან მძიმე უღელს ბოლმა-სიხარბის,  
ვებრძვი საკუთარ სურვილებს და საკუთარ ვნებებს,  
საკუთარ თავს ვეცილები თავისუფლებას  
და როგორც ციხეს, საკუთარ თავს ვათავისუფლებ.  
ჩემი ცხოვრება სვლაა თავისუფლებისაკენ,  
ბრძოლა თავისუფლებისათვის...

\* \* \*  
ჩემი წარმართობის მადლმა,  
ყველაფერი მეპატიება...  
მეპატიება ყველა ცოდვა და სისაძაგლე,  
სანამ ვწარმართობ, ყველაფერი მეპატიება.  
და თუ დრო და დრო ჩემშიც,  
თვით წარმართზე წარმართშიც,  
გამოაშუქებს საძულველი ქრისტიანობა,  
როგორც სხივი არმინიური,  
მასაც ჩაახშობს ხალხის ხმა და  
სოფლის სინდისი.  
ჩემი წარმართობის მადლმა,  
ყველაფერი მეპატიება,  
სანამ ვწარმართობ,  
ყველაფერი მეპატიება.

\* \* \*  
რად გავამხილე, რომ ამ ქვეყნად  
ყოფნა მეძნელა.  
უნდა მეცხოვრა ამორძალივით  
და ცოტ-ცოტობით ყველაფერი  
გამომეძალა  
ამ უგულო ნუთისოფლისთვის,  
ვერაფრით რომ ვერ ვასმინე  
ჩემი სიტყვები;  
რად გავუმხილე დღეს პოეტის  
გულისნადები,  
სევდა ლექსებით გარეთ რატომ  
გამოვიტყუე...

\* \* \*  
ო, როგორი ბედნიერებით  
ხელს ჩაეჭიდებდი ყველას,  
ვინც მიყვარს  
და გამოვწვევდი შენკენ გალობით  
და უგვან ვნებებს გზას ვუგანებდი...  
ო, როგორი ბედნიერებით...

\* \* \*  
სად ვიშოვო,  
დოს მარილი აკლიაო,  
სად ვიშოვო;  
მაშინებს აღზევანის სიშორე  
და ველარც ჩემი ცრემლებით  
დავშაშრე  
და ველარც ჩემი ლექსებით გავაჯერე  
დო აშარი და დრო ნაშალი,  
რა ვქნა, თუ ვერავის დავაჯერე  
ჩემი სინრფელე და სიყვარული.  
სად ვიშოვო,  
დოს მარილი აკლიაო,  
სად ვიშოვო...

\* \* \*  
იქნებ არც მინდა, რომ იმავე მდინარეში,  
სადაც ათასჯერ დათვლილი მაქვს  
ყოველი კენჭი,  
და დალეჭილი მაქვს ყველა სიტყვა,  
ისევ შევცურდე...  
იქნებ მომინდა, კვლავ შევიტყო რამე ახალი,  
რამე ახალი სხვა მდინარის  
უძირო ფსკერზე...

\* \* \*  
**ფუნე ნედაის**

მუდამ ვიცოდი, ჩემს ლექსებსაც დაწერდა ვიღაც,  
სანამ მე ყოფის საჩეჩელზე დღეებს ვფთილავდი.  
გუმანით ვიგრძენ, გული როგორ გამოიარა შორეული  
პოეტის ხატმა და სულის ფსკერზე დალეჭილი ჩემი  
სათქმელი, ვერაფრით რომ ვერ წამოვშალე, ამოკენჭა  
დიდი სიფრთხილით ვით გაბედულმა მარგალიტის მაძიებელმა  
და ხელისგულზე არმალანის დარად, დამიდო.  
მას რა ეგონა, ჩემი თავი წინ შეხვდებოდა  
რიდითა თუ თავსაბურავით და ვერ ვიცნობდი?  
განა კი გულს დამალავდა ნაჭრის ჩილიქა,  
როცა გული ყველას ერთი გვაქვს და ერთია გულთა  
შემქმნელიც.  
მუდამ ვიცოდი, ჩემს ლექსებსაც დაწერდა ვინმე,  
რომ უსუსური რამ მიზეზი მოუცლელობის  
გაეტანა ლიხვისათვის  
(ბებიაჩემი ვით იტყოდა "გაველიახვე"). და მაშინ,  
როცა მე სამზადში დანებს ვლესავდი,  
სახურავზე პირს ვუცვლიდი როცა კრამიტებს  
ან უსაქმურად მეგობრებთან ვლაილაობდი, ჯიუტი კალმით  
ჩემს დასაწერ ლექსს წერდა ვიღაც უდრტვინველად და  
გულუშიშრად და ჩემსავით როდი უფრთხოდა  
ჩემს გზაზე უფრო ეკლიან გზას პოეტი ქალის.

\* \* \*  
მანამდე ვამბობდი-მშობლები  
(თუმც ჩემს უკან იდგა სამყარო);  
ახლა ვამბობ-შვილები  
(თუმც სამყარო ისევ ჩემშია),  
მაგრამ ახლა მათ შუა ვდგავარ -  
- წინ მშობლები მიძღვიან ომში  
და მე შვილებს  
წინ ვეფარები.

ჯარჯი ფხოველი

# სულასალი ლექსები და მეტალექსები

## PARAპოეზიოგრაფია

აღბათ უკეთესი რამ გამოვა: სამოცდაათი წელიწადი ისევ უკან რომ გადაჭლიკო: სწრაფად, სწრაფად ულტრარაპიდ-გადაღებასავით...

ეხლა მაინც იმ შეცდომებს, აღბათ, აღარ გაიმეორებ... იმ სტრიქონებსაც, იმ ლექსებსაც, იმ წიგნებსაც და ა.შ. ...

აღბათ, აღარ დაუმეგობრდები შენ დიდ პოეტს შოთა ჩანტ-ლაძეს, ვინც პოეზიის ბედისწერულ, გრძელ უდაბნოში შე-გიყვანა და... იქ მიგატოვა!..

აღბათ, აღარ ითამაშებ ოჯახობანას შენ იმ ქალთან, ვინც სიკვდილის ძალადობას ვეღარ გაუძლო: წინ დაგახვედრა შავეთის სუნთქვა, გულის ცრემლი, უჩინარი, და სიკვდილის შემზარავი, ცივი კედელი, როგორც დიდი სიყვარულის სამაგიერო!..

აღბათ, აღარ ივლი შენ ტყე და ტყე და ჭალა-ჭალა თოფშემართული: იმეღია, უცოდველთა სისხლს აღარ დაღვრი!..

აღბათ, აღარ გაიმეორებ პოეტური სიზარმაცის დაწყველილ დღეებს...

აღბათ, აღარ გაიმეორებ!..

და ასე მშვიდად და უტკივილოდ დაბრუნდები შენ ღვთისა და კაცისაგან მიტოვებულ და ზვავისგან დაყრუებულ არა-ხიჯაში, სადაც მამის აგებულ ქოხში, რომელიმე გადახსნილ კედელზე ძველ კალენდარს ვერ დაინახავ, მაგრამ დედ-მამის ძველისძველ ფიქრში და ძმების და დების ხსოვნაში იშრიალებს დაწყველილი, ძველი თარიღი: 1943, როცა არყოფნას მოუკვდი და ყოფნას გაუჩნდი ულტრამაშინდელ სამშობაოში: ყარტიტ გადახურულ ბოსელში, სადაც უდაოდ ჩა-ისუნთქე თივისა და ბალახის სუნი...


და საქონლის ნელი ფშვინვა და ბლავილი გაიგონე: ეხლაც რომ გესმის... ეხლაც რომ გიყვარს...

ეხლა, როცა ყოფნას უკვდები და არყოფნას ემატები, შე, მართლაც... (!..)!

## მიძღვნა

მეტაპოეზია: გულის აღქმა თავდაპირველი, ნატვრის ახდენასავით... უჩრების კურთხეული აღრევით შობილი კვამლი: ახალმთვარეობის სურნელი რომ სდევს, რაც გულს უდაოდ სხვანაირად აათამაშებს!

ეჰ, ძმებო, დიდპოეტებო, აი, რას მოვესწარი!.. მეტაფიზიკა ხომ უდაოდ გაგიგონიათ, ეხლა კიდევ მეტაპოეზია!.. და ყოველივე ამას მოსდევს: მეტაგული, მეტასიცოცხლე, მეტასიტყვარული... მეტასამშობლო... მეტასიკვდილი!.. და ა.შ. ეჰ, ძმებო!..



მოდ, შევთანხმდეთ: მეტაპოეზია, ეს ერთი სიტყვა უეჭველად ლექსიკონებს შეემატება!

მეტალექსი შეაერთებს, დაამყნობს და გადააბამს ემოციის ცხელ კუნძულებს: გაფანტულებს სულის ფართო ოკეანეში...

გულისმიდმური ერთადერთი სანთლის ძიება: ემოციურ ველს რომ გაანათებს... (illuminatio). ეს ნათება ჩვენ ვიგრძენით წინა საუკუნის პოეტების მრავალ ლექსში: შედეგები რომ დაარქვა მკითხველის გულმა! პოეტების ამ ღვთიურ სუნთქვას მაშინ აეფარა ვერლიბრის და თეთრი ლექსის კურთხეული, უცხო ნიღაბი: არც ეს იყო ურიგო რამე!

და არც ეს იყო ურიგო რამ, რაც ვირწმუნეთ: ქართული სიტყვა ჟამთა ნიაღში გამოვლილ შარა-ბილიკებს რომ არ ტკეპნიდა დაბეჯითებით!..

## მოდ

მოდ, თავი მოიმთვრაღე: გაექეცი პირშავ ცხოვრებას!..

დაივიწყე გულის მხარე: და პირქუში, და მტკივანი, გულლორღიანი...

იქ სიტყვების სასაკლაოა... იქ დუმილი სდგას და სიტყვების ღორღი ყრია, უარყოფილი...

გაექეცი პირშავ ცხოვრებას... სიძულვილი რა სათქმელია: სიყვარულსაც აქ არავინ არ გაპატიებს!

დაივიწყე გულის მხარე: შხამნასვამი სტრიქონებით მოღობილი მიწისნაპირი... სადაც ღამეა, განუჭვრეტელი... სადაც სიტყვების სასაკლაო!

## არავინაი

არავინაი. მეკითხები: ვინ არის?.. არ ვიცი!.. ვფიქრობ, ის არის, ვინც შუალამისას მალვიძებს: ადექი, დაწერე!.. ვწერ კიდევ, რასაც მკარნახობს... როცა არ მკარნახობს, მაშინაც ვწერ! ვინ არისო, რომ მეკითხები, აბა, დახედე, სახელი გეუბნება ყველაფერს:

არავინაი... სადაურია, რამდენი წლის არის, რამდენი ენა იცის, ცოლშვილიანია, თუ არა; მსმელია, თუ არამსმელი, როგორი მეგობარია, ბოზებში თუ დადის, პროზა უყვარს, თუ პოეზია... არ ვიცი, არა! ვფიქრობ, რომ მაინცდამაინც დიდი ჭკუით არ გამოირჩევა!.. მარტო ხმაზე ვცნობ, სულ ეგ არის!.. შუალამისას მალვიძებს... და მეც...



\* \* \*

ეს ხე, ფოთლებზე რომ აგროვებს უღრანი ტყის იეროგლიფებს: პოეტურ შხეფებს, ცის სარკიდან გადმონერილებს, თან რომ აყოლებს ვარსკვლავების ორნერტილებს, მრავალწერტილებს... მე ვარ ფოთლების პოეზიის მიმბაძველი, გამოტყეხილი: ეს ფოთლები უდაბნომ მომცა: ზედ რითაც ვხატავ, ის სისხლი ხომ წინაპრებმა არ დაიშურეს: კარატისწვერის მზის ნაჩუქარი, ლალი იახსრის საიდუმლო ლოცვით გამთბარი... გულის წყვილიადის სიმღერები მე უდაბნოს თეთრ ფოთლებზე დამინერია: აქ გავზომე სისხლის ფესვები... და ფოთლების პოეზიის მიმბაძველია ჩემი სისხლი: შხამმერეული: ის ამ სტრიქონებს, ცრემლით ნაცხებებს კარატისწვერის გრილ მინაში აფესვიანებს... და ესეც მინდა, რომ ამ ხმებმა, ამ ფესვებმა ჩემი გულის კვალი წაშალონ: დატოვონ მარტო იეროგლიფების ნაშუფები: სიტყვის შორი ვარსკვლავები და მეტალექსის სტრიქონები, თავისთავს რომ წაიკითხავენ...

### ლექსის გაცაცავს

თქვენ მოიპარეთ ცრემლის მარცვლები, გულებზე ცოდვის წყალი ისხურეთ... კუპრის ტბა გელით ლექსის მძარცველებს, დამშეულ ყორნებს, თვალდასისხლულებს!

ლექსის მპარავებს და ქურდაცაცებს ვერ დავამშვიდებ ტკბილი შაირით, შავეთში ელით გავლა ბანარზე, ანდა სასჯელი სულ სხვანაირი!..

დიდმა ფრანსუამ რაც დაგიბარათ, ეგებ ის მოხდეს, ღმერთმა ინებოს!.. სიტყვებს კი არა, ცრემლებს იპარავთ, ნაბოზრებო და ნაჯიბგირლებო!..

\* \* \*

სამყაროს პოეზიის გული: ედგარ ალან პო. და აქვე: ზედისწერის სიმუხტლე: სიცოცხლის მიწურულს ის შეხვდა უკიდურესი სიდატაკით, რამაც პოეტი გააგიჟა!.. და აღესრულა კიდევც ასე: თითქმის შეშლილ ვითარებაში!..

### აჰი

ავად ნათქვამო სიტყვაო, ავსახეო და ავთვალო, ავდარდით ავადმყოფელო, ავგულის შემონათვალო... დაეფინება შენს წყლულს ავეკალი და ფათალო... რო კვენისი შენი გულია: შენი ცხოვრება ფართხალობს, სიცოცხლით გამრუდებულო, სულო, სიკვდილით მართალო!

### სასვენი ნიშნები

ლექსმა სასვენი ნიშნების ამოჩემება იცის: მახსოვს ძახილის ნიშნის ამოჩემება! მახსოვს წერტილმძიმის ამოჩემება; მახსოვს მრავალწერტილის ამოჩემება... ესლა ორწერტილია ჩემი ლექსის უმთავრესი ორიენტირი: ვიტყვი: ყოველი სასვენი ნიშანი ერთგვარად განაპირობებს ლექსის ნიაღს, მის შინაგნობას, მის ექსპრესიას და ა.შ. ... კვლავ ვიტყვი: მიყვარს სასვენი ნიშნები: ჩემი ლექსები ამ ნიშნებით არის გადატვირთული... დამიჯერე: უსასვენ ნიშნებოდ ლექსი მკვდარია!

### ნისლეზი

*ვუძღვნი ჩემს შვილიშვილებს  
ტყუპებს: ნანას და ნინოს*

ტყუპი ნისლები ისე ჰგვანან ერთიმეორეს, რომ ვერ გაარჩევ, ერთ-ერთს ყურებზე საყურეები თუ არ შეაბი, ანდა ქართი ნალოკ ფრჩხილებზე მანიკიური თუ არ ნაუსვი...

ვერც ქარი არჩევს, ისე მიაფრენს სიზმრების ცაზე: მოყვავილე ტევრების ზემოთ... და მიფრინავენ ჩვენი ნისლები და იგრძნობა: ისინი ცას უერთგულებენ! ფრთებს მიუშვერენ წმინდა ციდან მონაბერ ქარებს... ეს ცა ხომ მათი სამშობლო არის: ვარსკვლავ-ტყუპების და ნისლების სამშობლო მხარე...

მოდე, ამ ნისლებს საყურეებად შევაბათ ღამის ვარსკვლავ-მძივები... მანიკიურად: საქართველოს ცისარტყელის ფერი ღვთიური... და იფრინონ ქარის ფრთებით მთების თავზე, ველების თავზე... და იფრინონ მშობლიური ცის სიკამკამეში!..

### მარტონი

ღამეს უთხარი, რომ სულ მარტო ხარ, ისიც გეტყვის, რომ სულ მარტო არის... ღამის ვარსკვლავებიც აქ ტირიან მარადიულ სიმარტოვეზე...

და ეს ლექსიც სიმარტოვეს შესცქერს თვალბში: და ჩემი გულის ობლობას და შუალამის სიმარტოვეს ესაუბრება...

### ჟორანს

დარდი რომ მქონდა, ისიც წამართვი, თვალში ჩამხედე: ამომიცანი... ამღვრეულია სისხლი წარმართი: ჩამტვრეულია გულისფიცარი!..

ზეცა ღრუბლებით ამომიქოლე... გაუსაძლისი ფიქრის დამტვევი ლექსის სიმძიმე ამტვრევს სტრიქონებს, ირღვევა მინა: ცვივა ნამტვრევი.

მეტი რა გინდა, რომ მითვლი ნამებს, რომ მომყრანტალებ ფრთებანურვილი... ამოიცალა დარდების ღამე: დაბერდა, დაშრა ჩემი წყურვილი!

\* \* \*

საქართველოს დაჭმუჭნილი რუკა: ხარის ტყავის უღვთოდ ნაცვით ქალამანივით... ამ გზისპირას, ამ ტალახში დაჭმუჭნილი ქალამანი მაშინ თითქოს ვილაცას გასძვრა: მიატოვა: აღარ დაეძებს!

\* \* \*

ესეც სიტყვის მეტაშხეფი: გულის ხრიოკ უდაბნოდან გადმონერილი...

კვენისი მეტაიეროგლიფი, უკვდავი, როგორც დავინყება...

აქ მეტასიტყვაც გაიეღვებს ბნელში მშვიერი მგლის თვალეზივით... და გადავა ლექსიდან ლექსში... მეტალექსი: მეტასტაზივით...

**ნამყენლექსი**

ნამყენლექსი: ნამყენსიზმარი...  
ნამყენკვენესა: ცისიქითური...

საღვთო ბაღში: სტრიქონების მწკრივებში  
ლექსი,  
დამყნობილი პროზაული დარდის ტოტებზე,  
ლექსი,  
დამყნობილი ესეის გასაშლელ კვირტებზე.  
ლექსი,  
დამყნობილი სიზმრის იეროგლიფებზე...  
ლექსი,  
დამყნობილი ლამეულ ცის მრავალწერტილებზე...  
ვერლიბრის ლიბრზე დამყნობილი,  
ნაღვეი მთვარის აკუნვილ ცაზე დამყნობილი...

მეტალექსი: ნამყენლექსი; ნამყენკვენესა, ცისიქითური...

**იგადის ლექსი**

სიტყვის შემდეგ უეჭველად იბადება მეტასიტყვა.  
ადამიანის შემდეგ იბადება მეტაადამიანი...  
მდინარის შემდეგ ჩამოივლის მეტამდინარე...

მოდი შევამოკლოთ გულისტკივილი:  
საქართველოს მტრებს  
დავახვედროთ საწვიმო ღრუბელს ასხლეტილი  
ელვის ხანჯრები...

მამულის ცაზე ამ ხანჯრებით წავანეროთ მეტასიტყვები:  
მეტამტერო, აქ სულბოლოს ამ გორებზე, ამ ხეობებში,  
ამ უპირწყლო უდაბნოებში  
შენს ავადმზირალ თვალთანიწარე კვლავ აღდგება  
და იცეკვებს მეტახანჯრებით  
მეტასისხლი: დარდი მეტასაქართველოსი!

**ბორენა ჯაჭვლიანის  
ხსოვნას**

დილა: სიკვდილის ცის ანათალი:  
მთვარე და მთვარის იატაგანი...  
მაღე იელვებს სულ სხვა ნათება:  
დაილოცება მზე იათაგან...

შენ თან გაჰყევი სამოთხის ყვავილს...  
დიდხან იცხოვრე ნათელხილვებით:  
აქ დაგესიზმრა უდაბნო ავი  
და ლამეები, გატეხილები...

იგრძენ ჩანჩქერის ჩაღმა ჩახვევა,  
ისიც: ზვავმა რო ხევეში დასჭექა...  
ნისლის ნაპრალებს ქარი ჩახვივის,  
ქარი ჩასტირის ხევეს ნაჭლექარს...

ყოფნის ფესვები მაინც ცაშია:  
ნახვედი: გული ცაში დამალე...  
ალალი ლექსი რო მოგაშია,  
იმ ვარსკვლავზეა შენი სამარე!

**როსტომ ჩხეიძე**

**პოლ ვალერის ჭეშმარიტი ხელოვნება — სევდა**

თუ რაიმეა განუყოფელი პოლ ვალერის პიროვნული ხა-  
სიათისა და მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნებისაგან,  
უპირველესად — დაეჭვება ყველასა და ყველაფერში.  
ოლონდ მანამდე:

\*\*\*

— ეს ეჭვებით სავსე წიგნია, მკითხველო!  
ასე იწყებოდა ჩემი სიჭაბუკისდროინდელი ძიებების შემ-  
კრები წიგნი „ამირანის თქმულება“.  
ძიებების — მეცნიერული, ლიტერატურული... უფრო კი  
სულიერი, ჩემი თვითდადგინების პროცესი ამ უძველესი  
ქართული მითოსური თქმულების პირვანდელი სახის აღ-  
გენას რომ გადაეჯაჭვებოდა.  
ძიებანი გრძელდებოდა დიდი შინაგანი ჭიდილით, მისგან  
გამორიდებითა და კვლავ დაბრუნებით, რადგანაც  
ვგრძნობდი, რომ როგორც უნდა გამძნელებოდა მისი შესა-  
ფერისი გააზრება და მეცნიერული თხზულების ქარგაში  
მოქცევა, ამ წინააღმდეგობათა გადალახვის გარეშე ვერ  
შეეძლებდი ჩემი გზის პოვნას, გზისა, რომელიც მამაჩემისა-  
გან მქონდა მინიმუმებული, აბა, ამირანის თქმულებას ჩაუკ-  
ვირდი, ზღაპრული ვერსიების იქით გადახედვას ეცადეო!..  
მისი ერთი პერსონაჟი ამირანის ტრაგიკული თავგადა-  
სავლის მოსმენაში იზრდება, ეს გმირი და ეს ამბავი აყალი-  
ბებს მის ცნობიერებას და განსაზღვრავს მის შემდგომ ბედს.  
და ჩემს ბავშვობისდროინდელ ხილვებსა და წარმოსახვებ-  
საც ამირანის თქმულება ასაზრდოებდა, ყველა ზღაპრული

ვერსია ლამის ზეპირად რომ ვიცოდი და არა და არ მწყინდე-  
ბოდა მათი მოსმენა და მერე უკვე წაკითხვაც.  
თუმც... ეს სად გამიყოლია სიტყვამ, არადა, მხოლოდ იმ  
ფრაზის გახსენებას ვაპირებდი, სენტ-ბევისეული დასაწყის-  
ის პერიფრაზისა.  
— ეს გულწრფელი წიგნია, მკითხველო! — ირწმუნებო-  
და ფრანგი კრიტიკოსი.  
მე „გულწრფელს“ „ეჭვებით სავსეთი“ ვცვლიდი, არსები-  
თად იმავეს რომ ნიშნავდა ჩემთვის, ოლონდ სხვა სიტყვით  
გამოხატულს.  
ეჭვებით სავსეობა სხვა რა არის, თუ არა უაღრესი სინრ-  
ფელე, და თუ მაინცდამაინც ამ გამოთქმას ვამჯობინებდი,  
უსათუოდ პოლ ვალერის გავლენით, ვისი სამყაროსკენაც  
ბაჩანა ბრეგვადის თარგმანები გამიხსნიდა გზას, ცალკეული  
ესეებისა და განსაკუთრებით მაინც „აზრების“ ციკლის სილ-  
რმეში რომ ჩამაყურყუმეღავებდა, წიგნად გამოცემამდე  
გულმოდგინედ რომ ვაგროვებდი ცალკეულ პუბლიკაციებს,  
„ცისკრის“, „ლიტერატურული საქართველოსა“ და „საუნ-  
ჯის“ ფურცლებზე მიმოხეულებს, და ამ ნიმუშებთან ერთად  
ანდრე მორუას ესეიც რომ ძალიან მხიბლავდა პოლ ვალერი-  
ზე და თუნდ ის პასაჟი, გამოჩენილი ბიოგრაფოსი აღტაცე-  
ბული რომ ალაპარაკებოდა ვალერის სწრაფვაზე სიზუს-  
ტისაკენ. ის კი არა, სულაც „ჰეროიკულს“ უწოდებდა მის ძი-  
ებას.  
ჰეროიკული მაინც რატომ?  
რატომ და:

ვალერიანის მიუღებელი გახლდათ მარტივი ქეშმარი-  
ტებანი და იგი ქედს არ იხრიდა არც საზოგადოებრივი აზრი-  
სა და არც მცოდნეთა ავტორიტეტის წინაშე. და თვითვე  
შემთხვევაში საკუთარ თავს უსვამდა უღმრთელ შეკითხვას:

— რაშია საკითხის არსი?

დეკარტისა არ იყოს, ისიც ხელახლა იწყებდა ყოველგვარ  
ანალიზს და საკუთარი თავისაგან გამუდმებულ დაეჭვებას  
მოითხოვდა.

იტყოდა ამას: მოითხოვდა, — და მაშინვე შეცბუნდებოდა  
ანდრე მორუა: ეს რამ მათქმევინა, როგორ შეეცდი, ეს ეჭვი  
ხომ განუყოფელია თვითონ მისი ბუნებისაგანო.

და ვალერიანის უხაროდა, როდესაც რენე დეკარტსაც შეამ-  
ჩნევდა დაეჭვებას ყველასა და ყველაფრის მიმართ და ისეთი  
განცდა ეუფლებოდა, თითქოს სიზუსტისაკენ დაუოკებელი  
და ჰეროიკული სწრაფვისას მის ძიებებს დეკარტის ათინა-  
თიც დასთამამებდა.

და როგორ არ გამიხარდეს, როდესაც ჩემს დაუოკებელ  
(ჰეროიკულია რა გითხრათ!) სწრაფვასაც სიზუსტისაკენ  
პოლ ვალერიანის ათინათი დასთამამებდა.

და, რა გასაკვირია, „ამირანის თქმულების“ პირველი  
ფრაზის მიღმა ვალერიანს ლანდი რომ გაიღვებდეს.

რაო, რას ამბობდა დეკარტი?

— ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ.

ამ აღიარებულ სენტენციას ვალერიანს თავისებურ ვარია-  
ციას მოუძებნიდა:

— ხანდახან ვაზროვნებ, მაშასადამე ხანდახან ვარსებობ.

განზოგადებულ შინაარსს „ამინებდა“ და იუმორითაც  
მსჭვალავდა, როდესაც ყოფითობაში გადმოჰქონდა. პოსტ-  
მოდერნიზმები ასეთ მახვილგონივრულ ვარიაციებს რომ  
პოულობდნენ, რაღა უჭირდათ, საერთოდ კი გონებამახვი-  
ლობა, ნატიფი ირონია, მოხდენილი იუმორი ჩვეულებრივი  
მოვლენაა ვალერიანის ჩანაწერებში, დრამატიზმი და პარადოქ-  
სი მარჯვდნენ რომ ენაცვლება ერთიმეორეს, ანალიტიკური და  
იუმორის გამოსხივებანი.

— მსუბუქი უნდა იყო, როგორც ჩიტი და არა როგორც  
ბუმბული.

— თუ ჩემი მე ზიზის ლირსია, მაშინ პრინციპი — გიყ-  
ვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი — სასტიკ ირონი-  
ად იქცევა.

— გრიგალს შეუძლია მიწასთან გაასწოროს ქალაქი, მაგ-  
რამ არ შეუძლია გახსნას კონვერტი ან განასკვული ძაფი.

— ყველა ავტორს აქვს რაღაც ისეთი, რის დაწერასაც არ  
ვისურვებდი; ყველას და მეც.

— ოპტიმიზმები ცუდად წერენ.

— მოლიერის გენიამ ღრმად დაამდაბლა ჩვენი თეატრი.

— ათიდან ცხრა შემთხვევაში ასჯერ უფრო ადვილია ნე-  
რო ლამაზად, ვიდრე ზუსტად.

ემაყებოდა თავისი სწრაფვა სიზუსტისაკენ და ამ გადმოსა-  
ხედიდან აქილიკებდა „ლამაზად“ წერის მოყვარულთ, ფრაზე-  
ბის ნანავეში მწერლობის ქეშმარიტი მიზანი რომ იკარგებოდა,  
მიზანი, აუცილებლად ტანჯვაში გამოსატარებელი, რადგანაც  
მასაც ისევე სწამდა, რომ ადამიანი ტანჯვისათვის გაეჩინა  
უფალს, როგორც, ვთქვათ, ალექსანდრე ყაზბეგს, ვინც არამარ-  
ტო თავისი პერსონაჟების, არამედ საკუთარი ცხოვრებითაც  
დადასტურებდა ამ სენტენციის უცთომელობას, ვალერიანს მას-  
თან განსაკუთრებულ სულიერ სიახლოვეს რომ იგრძნობდა და  
მისი ეს თვითდახასიათება სწორედაც ზუსტად მოერგება „ხე-  
ვისბერი გოჩას“ შემოქმედის ფსიქოლოგიურ პორტრეტს, იმის  
ბიოგრაფიაც ამ სტრიქონებში რომ აღმოჩნდებოდა ჩანაწერი:

— მე სატანჯველად შემქმნა ბუნებამ. ტანჯვა ჩემი ბუ-  
ნებრივი მდგომარეობაა. სიამოვნება ნაკლებ სასიამოვნოა  
ჩემთვის.

და დეკარტს რომ არ ეშვებოდა, მის აფორიზმზე კიდევ  
ერთ ვარიაციას ააგებდა, თან ყინწსაც ნაჰკრავდა, ამას რო-  
გორ ვერ უნდა მიმხვდარიყო:

— დეკარტი უფრო მართალი იქნებოდა, რომ დაენერა:  
ვიტანჯები, მაშასადამე, ვარსებობ.

დეკარტის სულიერებაში შეღწევა სხვაგვარი დასკვნის  
უფლებას არც მისცემდა.

ხოლო აკაკი განერელია პოლ ვალერიანის სულში რომ ესწ-  
რაფოდა შეღწევას, ამიტომაც ამოიცნობდა და დაიბეჯითებ-  
და მის ესესიტურ ფრაგმენტებში თითქოსდა შემთხვევით  
დაცდენილ აღსარებათა გაელვებებს, გულის სიღრმეს რომ  
შეუძრავდა მაღალ ტრაგიზმამდე მიღწევით.

— კაცი დამწყვედული ცხოველია — თავის გალიის გარეთ.

— ოხვრა აგვირგვინებს ყველა ღრმა აზრს.

და, ცხადია, არც მისი თვითანალიზის მოულოდნელობა-  
ნი გამორჩებოდა, ის პარადოქსული შემონათებანი, ვალერიან  
რომ თავს სწირავდა იმას, რაც სურდა ყოფილიყო: რომ ყო-  
ველთვის არ იზიარებდა საკუთარ აზრს; რომ სევდა გახლ-  
დათ მისი ქეშმარიტი ხელობა, სევდა, რომელიც უფრო ინ-  
ტიმური იყო, ვიდრე სიხარული, აი, მიზეზი კი ვერ გამოერკ-  
ვია, რა ინვესს ამ „უფრო ინტიმურობას“.

აკაკი განერელია ხელიდან როგორ გაუშვებდა შემთხვე-  
ვას, გამომხაურებოდა პოლ ვალერიანს რჩეული პროზის ქარ-  
თულ გამოცემას („ნაკადული“, 1984), „რვეულებთან“ დაკავ-  
შირებით კი აღნიშნავდა, რომ აქ თანმიმდევრულად,  
ვრცლად თუ ლაკონურად გამოთქმული მოსაზრებანი სა-  
ბოლოოდ მთელ სისტემას ქმნიდა.

რაო, რას ირწმუნებოდა თვითონ ვალერიან?

მე არ ვქმნი „სისტემას“ — ჩემი სისტემა თვითონვე ვარო?

ქართველი ესთეტი დაუფასებდა ფრანგ მწერალს ამ პა-  
რადოქსის მოხდენილობას, თუმც მკითხველს თანამოაზრე-  
ობას შესთავაზებდა, რათა ვალერიანს აზრებში ამოეკითხა  
მკაფიოდ მოაზრებული ესთეტიკური სისტემა, მოკლებული  
ეკლექტიკის წამიერ გამოვლინებასაც კი. და მაშინ ამ აფო-  
რისტიკული მანერის მიღმა იპოვინდა ზუსტ და მოულოდნელ  
აღმოჩენებს, უმაღლესი რანგის დაკვირვებებს ხელოვნება-  
ზე, ლიტერატურაზე, ცხოვრებასა და ადამიანზე — სამყა-  
როზე მთლიანად.

და როდესაც ვალერიანს მოიხსენიებდა უნივერსალიზმით  
აღბეჭდილ გენიად და კაცობრიობის უდიადეს ადამიანთა შო-  
რის მიუჩენდა ადგილს, დასძენდა, რომ ჩვენს დროში გაძნე-  
დებოდა დასახელება შემოქმედისა, რომლის ინტერესების  
სფერო და დიაპაზონიც ასეთი ყოვლისმომცველი ყოფილიყო:

— პოეტი, რომელმაც პირველად დაიწყო საუბარი „სუ-  
ლის ალგებრაზე“ ესთეტიკაში, წინამორბედად ითვლება თა-  
ნამედროვე ინფორმაციის თეორიისა და კიბერნეტიკისა, ხო-  
ლო არაერთი ლიტერატურისმცოდნის მტკიცებით, ვალერიან  
დგას იმ მოძრაობის სათავესთან, საიდანაც იღებს დასაბამს  
სტეფან მაღარმედან მომდინარე და თეორიულად უფრო და-  
საბუთებული კულტი სიტყვისა, დასავლეთ ევროპისა და რუ-  
სეთის ფორმალისტური და სტრუქტურალისტური სკოლები,  
აგრეთვე ე.წ. „ახალი კრიტიკა“ და „ახალი რომანი“...

ამგვარი მტკიცებანი გრიგოლ რობაქიძესაც არაერთი მო-  
ესმინა, რადგანაც 1927 წელს, როდესაც ერთხანს დაჰყოფდა  
ბერლინში, შეიტყობდა, რომ საფრანგეთში იმჟამად პოლ ვა-  
ლერიანს სარგებლობდა განსაკუთრებული პოპულარობით.

და იქ რუსულ ენაზე შექმნილ ესეების ციკლში, სახელწო-  
დებით „ფოთლები ევროპიდან“, ერთ ნიმუშს ამ მწერალს მი-  
უძღვნიდა (ქართულ ენობრივ სივრცეში მანანა კვატაია შე-  
მოიტანდა ჟურნალ „საგურამოს“ მეშვეობით — 2014, №2)  
და თავიდანვე გაამჟღავნებდა ერთგვარ ირონიულ დამოკი-  
დებულებას მისადმი, როდესაც ფაქტის აღნიშვნას — იგი

თავის ნაწერებს ჩვეულებრივ შეზღუდული ოდენობით გამოსცემს და, თანაც, ძალზე ძვირი საფასით — დაურთავდა: ალბათ ვარაუდობს, რომ მხოლოდ მცირედნი თუ გაუგებენ და დააფასებენ, მაგრამ ნეტა დაფიქრებულა, რომ ეს „მცირედნი“ ყოველთვის „შეძლებულნიც“ თუ აღმოჩნდებიან?

ეს რჩეულთა წრეები განსაკუთრებული ინტერესით რომ ადევნებდნენ თვალს მის ფილოსოფიურ ნაწერებს, გრიგოლ რობაქიძე ცივ წყალს გადაასხამდა მათ აღტაცებას: ეს ნაწერები ტრაქტატები კი არა, ფილოსოფოსობანა უფროაო. ხოლო ფორმად ფრაგმენტი რომ აერჩია, ამაო გამომდგარიყო ორიგინალურობისაკენ მისი ლტოლვა, რადგანაც:

— მათში არსებითად ორიგინალური არაფერია. პოლ ვალერი გენიალური არ არის: იგი — უბრალოდ რაფინირებული ეპიგონია.

ეს როგორ იმეტებდა ქართველი მწერალი თავის ფრანგ თანამოკალმეს, ფრანგების მიერ ფარზე აზიდულს?

მისი ესეი თავიდან ბოლომდე მტკიცება იმისა, რომ ლიტერატურული საზოგადოების აზრი პოლ ვალერიზე აშკარად გადაჭარბებულია, და ორიოდ ნაწყვეტს რომ დაიმომბებდა ვალერის ესეებიდან, ცხადია, არც ამჯერად მოერიდებოდა დამამცირებელ ეპითეტებსა თუ შეფასებებს:

შესაძლებელია ეს უფრო მოკლედ და ძლიერად გამოხატულიყო. აზრის განსაკუთრებულობაზე აქ ლაპარაკიც არ არისო;

ნოვალისისა ან მალარმეს ციტატა რომ მოეტანა (შემთხვევითობის შესახებ შემოქმედებით პროცესში), უფრო ძლიერი და გამომსახველი იქნებოდაო;

აზრი დიდი ხანია ცნობილია. მისი გამოხატვა უფრო ძლიერად და რელიეფურად შეიძლებოდაო;

ვალერის მთელის შეგრძნება არ გააჩნიაო.

ქვეტექსტი საკმაოდ გამჭვირვალეა — გრიგოლ რობაქიძე უფრო ძლიერ მოაზროვნედ მიიჩნევდა საკუთარ თავს და ვერა გაეგო რა ევროპელებისა, ასე რომ გადარეულიყვნენ იმ ადამიანზე, რომელიც პოეზიაში ბუნდოვანებასა და ესეისტიკაში კი რაფინირებულ ეპიგონობას ვერ გასცილებოდა.


ისინი რამდენი რამის მეთაურად სახავდნენ, საძირკვლის ჩამყრელად თუ ახალ სიმაღლეზე ამზიდად, ეს კი...

\*\*\*

პოლ ვალერის პოეზია და მისი ესეები პოეზიის ხელოვნებაზე წარმოადგენს ორ ასპექტს გონებისა ერთი მისწრაფებისა და ერთიმეორის დამატებასო, — ტომას სტერნზ ელიოტი რომ გამოაცხადებდა 1948 წელს კონგრესის ბიბლიოთეკაში ნაკითხულ ლექციაში „ედგარ პოდან პოლ ვალერიმდე“, ვალერის მოხსენიებდა უდიდეს მოაზროვნედ, თუმც უკიდურესი სკეპტიციზმით შეზერობილ ადამიანად. და დასძენდა, რომ: ლექსების წერას მხოლოდ იმიტომ აგრძელებდა, რომ იტაცებდა საკუთარი თავის ინტროსპექტული კვლევა ლექსების წერისას. ამის მისახვედრად კი მისი რამდენიმე ესეის ნაკითხვაც კმაროდა:

— რაც ხანდახან უფრო წარმტაცია, ვიდრე მისი ლექსები, რადგან არსებობს ეჭვი, რომ იგი ესეებს უფრო აღტაცებული წერდა — რომელშიც თავის დაკვირვებებს გადმოსცემს.

პოეზიას საკუთარი თავის გარდა არაფერი უნდა ახსოვდესო, შარლ ბოდლერს ეს თვალსაზრისი რომ გამოჰქონდა ედგარ პოს ესეიდან „კომპოზიციის ფილოსოფია“, ვალერიც



იმეორებდა ამ შეხედულებას და გვერდით უყენებდა ამ თვალსაზრისსაც, ლექსი რაც შეიძლება გააზრებული და მოფიქრებული უნდა იყოს, რათა პოეტს შეეძლოს იკვლიოს საკუთარი თავი შეთხზვის პროცესში, ტომას ელიოტი მიადევნებდა: ამას ისეთი სკეპტიკური გონება, როგორც ვალერისაა, მიჰყავს დასკვნამდე, რაც ასე პარადოქსულად შეუსაბამოა პირველ თვალსაზრისთან, რომ შეთხზვის აქტი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისგან შექმნილი ლექსიო.

— ეგებ ტომას ელიოტის ლექცია თარგმნოთ „პოდან ვალერიმდე“, ესეისტიკის იშვიათი ნიმუშია და ქართულად აუცილებლად უნდა არსებობდეს... ჩემი ხათრით, ჩემი თხოვნით, — მეტყოდა აკაკი განერელია, როდესაც უკვე ბლომად დაგროვებოდა პაატა ჩხეიძესთან ერთად ჩემს მიერ

გადმოქართულებული ესეები ინგლისელი და ამერიკელი მწერლებისა და ახალი სივრცეც გაეხსნებოდა ქართულ კრიტიკულ-ესთეტიკურ აზროვნებას.

— სადღაც ახსენებდნენ ამ ესეის და სათაურითა და იმ ციტატის შთაბეჭდილებით უკვე დაინტერესდით.

— მაშ ნულა გადადებთ, მოძიება არ დაგჭირდებათ, მე მაქვს მისი ქსეროასლი და თქვენთვის დამითმია.

და ისე გაიხარებდა, როდესაც „კრიტიკის“ ფურცლებზე ამ თარგმანს გაეცნობოდა:

— კარგია! — შორიდანვე მომაცხებდა, ვიდრე მივეახლებოდი, — ჩანთით დავატარებ და ყველას ვურჩევ, ნაიკითხოს... ისე მისამოვნებს, დროდადრო რომ ჩაგხედავ ხოლმე.

— მსმენოდა და თვითონაც დამიდასტურა, რომ პავლე ინგოროყვას უყვარდა ძალიან პოლ ვალერი, — ვეტყოდი.

შეჩქვიფდებოდა... მაგრამ მალევე მოეგებოდა გონს.

— ისე რომ იცოდე, პავლემ მირჩია მისი ნაკითხვა, მაგრამ თვითონ პავლეს ქეთევან ბაქრაძემ ურჩია, მისმა მეუღლემ... ოოო, როგორი განათლებული ქალი იყო... პავლეს აჭარბებდა ერუდიციით... შენ პავლეს იქით რომ ველარავის ხედავ, ეგრე კი არ არის... არა, ელიოტის ეს ლექცია კი კარგად იკითხება, რაც მართალია, მართალია... პავლეზე კი ჩვენ ვერ მოვრიგდებით!..

„ნუ მოვრიგდებით რა!..“

— ხომ ბატონმა პავლემ წაგაკითხათ ვალერი.

— გიჟდებოდა... სულ თან დაატარებდა მის წიგნებს... ფრანგულის სწავლა ვალერის ხათრით დაიწყო.

ალბათ პირად ტკივილად მიიღებდა პავლე ინგოროყვა, გრიგოლ რობაქიძის ის სტატია რომ წამოუტივტივებოდა ხოლმე გონებაში „ევროპის ფოთლებიდან“...

არსებითად ორიგინალური არაფერიაო... რაფინირებული ეპიგონიაო...

„როგორ, ის ეპიგონია და...“

ფიქრსაც აღარ გააგრძელებდა, რადგან გრიგოლ რობაქიძეც ძალიან უყვარდა და გუნებაშიც ვერ ნაჰკრავდა ქიმუნჯს... ეგაა, არ გაიზარებდა მის შეხედულებას პოლ ვალერიზე და ჩაუთვლიდა გამონაკლის მარცხად, რისგანაც დაზღვეული განა ვინ ყოფილა, „გრაალის მცველთა“ შემოქმედი რომ ყოფილიყო.

აკაკი განერელიაც ერიდებოდა გრიგოლის იმ ესეის გახსენებას.

სამაგიეროდ, სულ უფრო ხშირად ახსენებდა ბაჩანა ბრეგვაძეს, ვისზეც ვალერის გავლენით შექმნილ თავის „დაკვირვებებსა და შთაბეჭდილებებში“ ჩაინიშნავდა:

— პირველხარისხოვანი ლიტერატორია. იგი სიყვარულსა და პატივისცემის ღირსია.

ესეის ვალერიზე კი ზაჩანა ბრეგვაძის დითირამებით და-ავგირგვინებდა, ამჯერადაც უცხოელი მწერლის გულის-გულში რომ შეიჭრებოდა მთანმინდელთა შთამომავალი და „რჩეულ პროზას“ ქართული ლიტერატურის უკეთეს მდინარებაში შემოაცურებდა:

— ერთბაშად არა, მაგრამ როცა ჩვენი მკითხველი თან-დათან დაენაფება დიდი ფრანგი მწერლის სრულიად შეუღარებელი სტილის ღრმა შემოქმედებას, იგი უკვე ძალზე გამ-დიდებული, უეჭველად მადლობის გრძობით განიმსჭვალება მთარგმნელისადმი, რომელსაც არაფერი დაუკლია საფრანგეთის უკვდავი შვილის ნაწერების ქართულად და, რაც მთავარია, ღირსეულად გახმინებისათვის.

მართლაც თითქოს იმთავითვე ქართულად დაენეროს ვალერიის თავისი რჩეული პროზა.

— ვაზროვნებ, მასხადადამე, არ ვარსებობ, — არ ეშვებო-და დეკარტის სენტენციის ვარიაციებს ვალერი და ამ შეგო-ნებას ამგვარად განმარტავდა:

— არსებითად განვსხვავდები ყოველივე იმისაგან, რაც არის, სულ სხვა ვარ, ვიდრე ის, რაც არის, და არ არსებობს არსდ, რომელსაც შეიძლება შევედარო.

არა, მაინც რა შეიძლება იყოს ჩვენი „მე“?

— ჩვენ მხოლოდ იმდენად ვიცნობთ საკუთარ თავს, რამ-დენადაც გარემოებანი გვაძლევენ თვითშეცნობის საშუა-ლებას (მე ათასი რამ არ ვიცი ჩემსავლე თავზე). ყოველივე და-ნარჩენი ინდუქციას, ალბათობა: რობესპიერი ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა, რომ გილიოტინაზე გაისტუმრებდა ამ-დენ ხალხს; ვერც ესა თუ ის კაცი იფიქრებდა, რომ გაგიჟე-ბით შეიყვარებდა ამა და ამ ქალს.

ამ გადასახედიდან სულ სხვაგვარად აღიქვამდა პოლემიკასა და პოლემისტებს და სისუსტედ მიიჩნევდა ძალ-ღონის დახარჯ-ვას მოპირისპირის წინააღმდეგ, ნაცვლად იმისა, რომ შემოგენა-ხა და დაგვხარჯა შენთვის... მითუმეტეს, შენს წინააღმდეგ.

და ძალდაუტანებლად შეგიძლია ამოიცნო, თუ ვის მიიჩ-ნევდა კამათის დროს პატივსაცემ მონინააღმდეგედ:

— კაცს, რომელიც იმდენად იმას როდი ცდილობს, რომ „მართალი იყოს“, რამდენადაც თავისი სულიერი წყობის დახვეწას, — ვინც საკუთარ სულს საკუთარ თავმოყვარეო-ბაზე მალდა აყენებს.

პავლე ინგოროყვა ამ მხრივაც სულიერ სიახლოვეს ჰპო-ვებდა პოლ ვალერიისთან, რადგანაც ძალ-ღონეს ხარჯავდა არა მოპირისპირის წინააღმდეგ, არამედ ინახავდა და ხარ-ჯავდა თავისთვის, ის კი არა, სულაც საკუთარი თავის წინა-აღმდეგ. და კამათისას არასოდეს ესწრაფოდა, ყოფილიყო მანიცტადამანიც მართალი, არამედ — დაეხვეწა თავისი სული-ერი წყობა, რადგანაც სწორედაც საკუთარ სულს აყენებდა საკუთარ თავმოყვარეობაზე მალდა.

აკაკი განერელია კი ამ ჭეშმარიტებას ძალზე გვიან უნდა მიმხვდარიყო, სიკვდილის მოახლოებას უნდა აეძულებინა ახლებურად — ანუ ვალერიისებურად — გადაეხედა თავისი პოლემიკური ნაწერებისათვის, მისი ლიტერატურული და მეცნიერული ნაღვანი რომელსაც გადაეყლაპა, და ენანა, ძა-ლიან ენანა, ძალ-ღონეს მოპირისპირეთა წინააღმდეგ რომ იყენებდა და არა საკუთარი თავის წინააღმდეგ.

\*\*\*

გრიგოლ რობაქიძე აღწერდა საფრანგეთის აკადემიაში ვალერიის არჩევის ცერემონიის დეტალებს და გარეგნობა-ზეც გაამახვილებდა ყურადღებას: მისი გამხდარი ფიგურა თითქოსდა ეგვიპტის ფრესკებიდან ჩამოუხსნიათ და მისი პროფილი — ერთ-ერთი რამზესის პროფილიაო.

აკადემიკოსი ანოტო ვალერიის საკმაოდ „მძიმე პოეტად“ რომ მოიხსენიებდა, და საერთოდაც, მისი პოეზიის „ბუნდო-ვანება“ სალაპარაკო რომ შექმნილიყო ლიტერატურულ წრე-ებში, ესეის ავტორი ამის განმეორების შესაძლებლობას ხე-ლიდან როგორ გაუშვებდა; მოგვიანებით კი „ფაუსტური პა-რადიგმების“ ორტომეულში (1961 წელი) მიხეილ კვესელავა საგანგებოდ რომ განიხილავდა ვალერიის „ჩემ ფაუსტს“ და არაერთხელ დაუბრუნდებოდა მის ხსენებასა თუ დამონმე-ბას, ირონიით განმსჭვალავდა იმ სურათს, ანატოლი ფრანსის საგარძელში ჩამჯდარ პოლ ვალერიის პატარა, რვეულისოდენა წიგნაკი რომ ედო წინ — მისი სამწერლო გარჯის მონაპოვ-რად, მაშინ როდესაც სხვა ახალარჩეული აკადემიკოსების წინ წიგნების მთელი ზვინი დახორავდებოდა ხოლმე.

ამ სურათსაც და კრიტიკულ გადაკვრებსაც ამჯერადაც — ისევე როგორც სხვა დასავლელ მწერალთა ხსენებისას — მიხეილ კვესელავა დაისაჭიროებდა გარკვეულ ფანდად, თითქოსდა კრიტიკის საცერში უპირებდა გატარებას ევრო-პულ ლიტერატურულ მონაპოვარს, ბურჟუაზიული სულით გაუღენთილსა და მისი დაცემა-გადაგვარების მაუნყებელს, ამასობაში კი ამ ნილაბქვეშ შემოზიდავდა მანამდე სრულიად აკრძალულ სახელებსა და ნაწერებს და ჩვენი სამწერლო მი-მოქცევის კუთვნილებად აქცევდა.

და ხელახლა დაამკვიდრებდა პოლ ვალერიის სახელსაც, თორემ გრიგოლ რობაქიძის ესეის ვილა მოიგონებდა... თუმც თავისთვის მოეგონებინა რა — რაფინირებული ეპიგონიო, უკეთეს შეფასებას რას ამოიკითხავდა... დიდი ამბავი, თუკი რალაც წუთს განსაკუთრებული პოპულარობაც მოეპოვებინ-და გემოვნების კანონმდებლად აღიარებულ საფრანგეთში ამ რაფინირებულ ეპიგონს.

ირონიით შეჰყურებდნენ აკადემიის იმ ცერემონიის დამ-სწრენიც და ისინიც, ეს ხმა ვის ყურსაც მიწვდებოდა, იმ პა-ნია წიგნაკს, წიგნების ზვინის მაგივრად რომ ედო წინ უკვ-დავთა გუნდის ახალ წევრს, ვინც თავის მხრივ არანაკლები ირონიით და სარკაზმითაც გასცქეროდა წიგნების გროვებს, რაკილა დაბეჯითებით სწამდა, რომ წიგნის, შემოქმედების მნიშვნელობა გაიზომებოდა არა სიუხვით, არამედ ზემოქმე-დების ხანგრძლივობით.

აი, ამ მხრივ კი ეიმედებოდა თავისი პოეტური და ესეის-ტური თხზულებებისა, ერთ ნიშანსვებად „აზრებიც“ რომ უნ-და შედგომოდა, „რჩეული პროზიდან“ გამოცალკეებული და ხელახლა გამოცემული „არტანუჯის“ მიერ (2015 წელი); და მისი თავყვანისმცემელნი აღტაცებულნი რომ განაცხადებდ-ნენ: დიდებული რამ არის გონების ძალმოსილებო, ყველაზე სახიერ სიმბოლოდ იგულისხმებდნენ პოლ ვალერიის და მომა-ვალი საუკუნეების სახელითაც შემოეხმინებოდნენ: შთამო-მავლობა აღმოაჩენს, რომ ჩვენს ეპოქაზე არავის მოუხდენია უფრო დიდი გავლენა, ვიდრე ამ უაღრესად უბრალო კაცსო.

დითირამში ჰიპერბოლაში გადაიზრდებოდა, თორემ ყვე-ლაზე დიდი ზეგავლენის მომხდენთა შორის ვალერიის ვერ გამოვარჩევთ — მაშინ სადღა დარჩება ადგილი თუნდ ტო-მას სტერნზ ელიოტისათვის?.. მეერ რა, რომ თვითონ ელიო-ტი თავისზე უფრო დიდ მოაზროვნედაც აღიარებდა ფრანგ თანამოკალმეს, ეს ხომ მისი უკიდურესი თავმდაბლობის გა-მონახულება გახლდათ, ისევე როგორც ვალერი მხოლოდ გაილიმებდა, ამგვარ შეფასებას თუ მოისმენდა: ჩვენს ეპო-ქაზე არავის მოუხდენია უფრო დიდი ზეგავლენა, ვიდრე...

გრიგოლ რობაქიძე მხოლოდ გაოგნდებოდა ასეთი აღია-რების შემსწრე და, გუნებაში რომ გაივლებდა: ზოგისა ბამ-ბაც ჩხრიალებს, ზოგისა კაკალიც არაო, — ჭიას იმითლა მო-იკლავდა, რომ „რაფინირებულ ეპიგონზე“ უკეთეს ეპითეტს არ გაიმეტებდა და ამოყრიდა და ამოყრიდა მის ციტატებს, რათა მწარე კრიტიკული შენიშვნები დაერო.

დაატარებდა ვალერის წიგნს პავლე ინგოროყვა, რათა დროდადრო ხელი შეეცლო, ჩაეხედა და სიმხნევეთა და შთაგონებით აღვსილიყო.

რელიკვიად ეგულება, ეტყობა, — რალაც ამგვარს უთუოდ გაიფიქრებდა აკაკი განერელია და თვითონაც ჩანთაში მიუჩენდა ადგილს ვალერის რამდენიმე გამოცემას, თავს კი იმით ინუგეშებდა: აბა, ქეთოს არ წაეკითხებინა პავლესათვის, მე თუ არ დავასწრებდიო!..

\*\*\*

— დიდი სტილის მხატვრები ნაკლებად ინუხებდნენ თავს სტილზე ზრუნვით, — თუ ვინმეს, ვალერისაც მოეხსენებოდა ეჭვშეუვალად და თვალსაჩინოდ შემოქმედებითი ლაბორატორიის საიდუმლოებანი, — ისინი ხატავდნენ ნათლად და მკაცრად; სტილი თვითონ იბადებოდა მათი შრომიდან. ზუსტად ისევე, როგორც აზრი არას დაგიდევს თავისი ხმის ტემბრსა თუ რიტმს, არამედ თვითონვე ინვეს მათ თავისი აქტით...

ან ისიც როგორ არ განემარტა ადამიანებისათვის, რომ არ შეიძლება ერთმანეთში ურევედ ცოდნასა და მის გამოყენებას, არადა, ეს მცდარი აზრი კვლავაც ბოგინობდა და თელავდა შეხედულებისა თუ წარმოდგენის ქუჩებს. და ეს მაშინ, როდესაც უკეთესი თვალსაჩინოება რალა გვინდობდა, თუ არა იმ ჭეშმარიტების შესაფერისი აღქმა:

— ბევრმა ცუდმა მხატვარმა კარგად იცოდა ანატომია, ბევრმა კარგმა მხატვარმა — პირიქით. მაშასადამე, ანატომიაში როდია საქმე.

სკეპტიკოსობას რომ სწამებდნენ, საპასუხოდ ეს ჰქონდა: ყველაზე დიდი სკეპტიკოსი დროაო.

ახალი ჟამის ფსალმუნსაც შეთხზავდა ამ თემაზე, დროის სკეპტიკოსობაზე, რაკილა ის ჰო-ს გვერდით ქმნიდა არა-ს, სიყვარულის გვერდით — სიძულვილს, ანდა პირუჟუ. და თუ მდინარე უკანვე არ უბრუნდებოდა თავის სათავეს, ანდა ვაშლი არა ხტებოდა თავისივე ტოტთან შესაუღლებლად, მხოლოდ იმიტომ, რომ... მოთმინება არ ყოფნიდა, მოთმინება — რათა გერწმუნა ეს.

და თუ დრო თვითვე გახლდათ სკეპსისის ყველაზე დიდი გამომხატველიც და განმსაზღვრელიც, მამ რატომღა უნდა გაგვეკვირვებოდა ეს კაცისაგან, ვინც ლამის გილგამეშივით იხილავდა სამყაროს ყველა სიღრმეს და ამ სამზერიდან ისტორიას ლიტერატურის ყველაზე გულუბრყვილო ჟანრადაც რომ მიიჩნევდა, ხოლო თვით ლიტერატურულ ყოფას არ განარჩევდა ბარბაროსობისაგან, თუნდ მითოსური საბურველითაც შეგებურა, და ეს იმიტომ, რომ: აქ შეხვედებოდი კაციჭამიებს, რომლებიც იბეჭდებოდნენ; დევებს, რომელნიც თავიანთ კორექტურას კითხულობდნენ; ცეცხლისმფრქვეველ დრაკონებს, რომელთაც შესაძლოა პრესის მუშაკებადაც მოჰქონდეთ თავი... და ეს ყოველივე ისევე ბუნებრივად უნდა გველიარებინა, როგორც მათი ორგანიზმის ყველაზე ბუნებრივი ფუნქციები.

ყველაზე ათვალწუნებით მაინც პოლიტიკისათვის უნდა შეეხედა და დაკვირვებოდა, მაინც რა შეიძლება ყოფილიყო ყველაზე მდაბალი ამ სფეროში.

ორაზროვნება სიტყვებისა და მოძღვრებებისა, რომლებზედაც ვერასოდეს იტყოდი დაბეჯითებით — ჭეშმარიტებას მიელტვიან, კერძო ინტერესებით არიან ნაკარნახევი თუ გრძნობებით განპიროვნებულნი?

ან კიდევ — მართალნი არიან ეს გრძნობები თუ ყალბნი? — პოლიტიკოსები ვერც შრომის სიზუსტეს იტანენ და ვერც მსჯელობის სიმკაცრეს. მათ წინაშე თვით იმის თქმაც კი არ შეიძლება, რომ ესა თუ ის მოვლენა ბუნდოვანია, გაურკვეველი და ეჭვსა ბადებს.

შრომის სიზუსტე და მსჯელობის სიმკაცრე — ეთიკური და ესთეტიკური საზომი ვალერისათვის და მისი სტილის უმთავრესი ნიშნები, ისევე როგორც დაეჭვება თვით ყველაზე ცხად მოვლენაშიც.

ამ მოსოფლგანცდის კაცს შეეძლო სწორედ ჭეშმარიტების ამ კუთხით დანახვა: ის საშუალებაა და ერთადერთი როდიაო!..

და რატომღა უნდა გვეგონოს მიზანი ის, რაც მარტოდენ საშუალებაა.

და ნურც ჭეშმარიტების ერთადერთობას ვინამებთ, რადგან ის... რამდენიმეც შეიძლება აღმოჩნდეს და ეს სავსებით ბუნებრივია, ის კი არა, ჭეშმარიტების საწინააღმდეგო გზაც შესაძლოა ჭეშმარიტი იყოს, როგორც ამას ჰერმან ჰესე შეგვაგონებდა.

ვეჭვობ, მაშასადამე, ვარსებობ.

არ დაიღვეა დეკარტის აფორიზმის ვარიაციები, მითუმეტეს, თუ ეჭვს მივყავართ სწორედ ჭეშმარიტებისაკენ, როგორც საშუალებისაკენ...

არა მაინც რა უცნაურად ემსგავსებოდა პოლ ვალერის ცხოვრების გზა რენე დეკარტისას, პარალელური ბიოგრაფიები რომ შეექმნა ანდრე მორუას პლუტარქეს კვალობაზე, მაშინ ხომ უსათუოდ დაანყვილებდა ამ ორ პიროვნებასაც, ხოლო რაკილა ამდენს აღარ გაჰყვებოდა, ვალერიზე ესის დასაწყისლა ააგებდა ამ მოდელზე.

ორივე ხომ ორმაგი გზით მისდგომოდა პროზას — პოეზიისა და მეცნიერების გზით.

ორივე პოეზიის ტრფიალით დაინყებდა და ბოლომდე პოეზიის ერთგულნიც დარჩებოდნენ.

დეკარტს არა სურდა ლიტერატურული კარიერისათვის მიძღვნა თავი და დაქირავებული ჯარისკაცის ხელობასაც ამიტომ აირჩევდა, რათა გამუდმებით ეხეტიალა „დედამინის ზურგზე და, ამრიგად, ამქვეყნიური არსებობის კომედიამიც უმალ მაყურებლის როლი ეთამაშა, ვიდრე მსახიობისა“. და ვალერიც აკი დიდხანს უარყოფდა იმას, რომ ყოფილიყო უფრო მეტი, ვინც უბრალო მაყურებელი.

დეკარტი ჰოლანდიაში იმალებოდა, რათა მთლიან სისტემად ექცია თავისი იდეები, და ყოველდღე ისე სეირნობდა მოფუთფუთე ბრბოში, თითქოს ხეივანებში გადი-გამოდისო, და ადამიანები მასზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდნენ, თითქოს ხეებს ხედავდა ტყეებსა და სოფლისპირა ჭალებში, ანუ აღვსილიყო იმ განცდებითა და ფიქრებით, ოდნავადაც რომ არ განსხვავდება ვალერის გმირისა და ალტერ ეგოს — ბატონ ტესტის — განცდებისა და ფიქრებისაგან.

დეკარტით ვალერისაც ოცი წელი მარტოსულის ფიქრში უნდა გაეტარებინა და, დეკარტისა არ იყოს, მხოლოდ ოცი წლის შემდეგ გადაენყვიტა, მკითხველისათვის გაენდო თავის ძიებათა მცირეოდენი ნაწილი.

და ორივეს ერთნაირად უნდა გამოევილინა გონების ის შემართება, რაც თავს იჩენს აზროვნების მთელი სისტემის რეკონსტრუირებისას, მისი საფუძვლებიდან მოყოლებული.

და ანდრე მორუას უკვე შესაძლებლად მიაჩნდა მოეხაზა „ვალერის მეთოდის“ ესკიზი და სულაც არ გაძნელებოდა ეს პროცესი, რადგანაც პირწმინდად დაესესხებოდა ესეის „ლეონარდო და ვინჩის მეთოდის შესავალი“, რომელშიც ვალერი არსებითად საკუთარი აზროვნების სისტემას გადმოშლიდა.

ნაედავებოდნენ, ლეონარდო და ვინჩი გვერდით მიჩნა, ისე გაერთო საკუთარი აზროვნების სისტემის ანალიზით, მაგრამ, ჯერ ერთი, ესეის ჟანრი სხვა რა ყოფილა, თუ არა საკუთარ განცდათა ბოლომდე გადმოშლა, და მეორეც — იტალიელ ხელოვანს არსადაც არ მიატოვებდა, უბრალოდ, ერთმანეთს გადააჯაჭვავდა ამ ორ მეთოდს — მისას და თავისას, როგორც იმ სისტემით დავალებულს, ვიდრე საკუთარ ქურაში გამოანართობდა და ახლებურ სიცოცხლესაც მიანიჭებდა.

\*\*\*

— სავესტით ბუნებრივია, რომ ჩვენი ეპოქის უკეთეს გონებად პოეტი გვევლინება და რომ ეს პოეტი არისო ვალერი, — რაღაც ამგვარ აღმტაც აკორდზე თუ დაბოლოვებოდა მორუას ესეი, ისედაც აღსავსე უკეთესი ეპითეტებითა და დითირამბული ჩანარებით, და სულაც არ მიაჩნდა, რომ პირად შეხედულებას გამოხატავდა — იგი მხოლოდ ადასტურებდა საყოველთაო თვალსაზრისს და... ეს თვალსაზრისი გახლდათ, ასე რომ გაეოგნებინა გრიგოლ რობაქიძე: რა ნახეს მაინც ამისთანა ამ მართლაც ნატიფად ჩამოქნილ, მაგრამ გადაღეჭილ აზრებშიო?!

დაატარებდა პავლე ინგოროყვა ვალერის წიგნს ჩანთით, რათა დროს იპოვნოდა თუ არა, გადაეშალა და ნებისმიერ ადგილას ჩაეკრა თვალი, ეს ისე, ყოველი შემთხვევისათვის, თორემ ზეპირად იცოდა. და ხან მზერის გადავლებაც არა სჭირდებოდა, მხოლოდ ხელს გადაუსვამდა, მოეფერებოდა — ამით მიაგებდა მადლიერებასაც და სიმხნევეც ემატებოდა.

„ქეთომ ნაკითხა, თორემ...“ — ნეტა ვის უბრაზდებოდა აკაკი განერელია, თვითონაც ჩანთაში რომ ჩაიდებდა ვალერის წიგნს, რათა ხან თვალი ჩაეკრა და ხანაც გულზე აეხუტებინა — ჩანთაშივე რომ მოეფერებოდა, იქ, აბა, ვინ დაინახავდა!..

„რჩეული პროზის“ გამოჩენა კი ისე გაახარებდა, ყველას უმეორებდა და უბეჯითებდა: უკეთესს ბევრს ვერაფერს წაიკითხავთ, მითუმეტეს, მისი ასე ამტყვევლება ქართულად ბაჩანა ბრეგვაძეს თუ შეეძლო, ვალერის სულში რომ შეუღწევია, დამეჯერება, ვიცო, რასაც ნიშნავს ვალერის სულში შეღწევასო!..

\*\*\*

ხანდახან ვაზროვნებ, მაშასადამე, ხანდახან ვარსებობ.

ვიტანჯები, მაშასადამე, ვარსებობ. ვაზროვნებ, მაშასადამე, არ ვარსებობ. ვეჭვობ, მაშასადამე, ვარსებობ.

ხოლო ქვეშარიტება არ არის და არც შეიძლება იყოს ერთადერთი, რადგანაც საშუალებაა, საშუალება და არაფრისდიდებით მიზანი.

და იდგა პოლ ვალერი საკუთარი აზრების უსასრულო მრავალფეროვნებაში გახვეული, თავბრუს რომ ახვევდა, ათრობდა და წელში წყვეტდა ეს უსასრულო მრავალფეროვნება, რომელთაგან ნაწილი თუ ეზიარებოდა სიცოცხლეს, მაგრამ ეს ნაწილია, ასეთ ღრმა შთაბეჭდილებას რომ ახდენს ჩვენზე თავისი შინაგანი ინტენსივობით, დაწურულ ფორმულაში დიდი ვნებები რომ ფეთქავს და გიზიდავს ხშირად ჩასახედად... და თუ წამიც ვერ გიპოვინა საამისოდ, რელიკვიად რომ მაინც დაგიგულელებია ფიქრთა მდინარება კაცისა, ვინც შეგაგონებს, რომ ლიტერატურული სიამოვნება საკუთარი აზრის გამოხატვა კი არაა, არამედ იმის მიკვლევა, რასაც შენი თავისაგან არ მოელოდი.

მარიამ მარჯანიშვილი

# „მე მიზიდავს და მაინტერესებს მხოლოდ საქართველო“...

(მარიამ კირიქაშვილის ეპისტოლეების მიხედვით)

„გავდივართ სოფლიდან ძველნი, ჩვენი თაობაც გათავდა, ხოლო თუ საქართველოში ახალ თაობას ჩვენი არა ესმის რა, მისი შემდგომი თაობა გავვიგებს...“

მიხაკო წერეთლის ეს სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. „ხმა მართლისა სიმართლის“ ხანა საქართველოში გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან დადგა, როცა ბოლშევიკურ-საბჭოური იდეოლოგიით გაჟღენთილმა საზოგადოებრივმა სისტემამ თანდათანობით მეტამორფოზი განიცადა და ქართველი პოლიტიკური ემიგრაციის ცხოვრება-მოღვაწეობით საზოგადოება დაინტერესდა და თან იმაშიც დარწმუნდა, როგორც ემიგრანტი სოფიო ჩიჯავაძე-კედეა ამბობდა: „თუ ოდესმე ჩემი ნაამბობი მისწვდება იმას, ვინც ძველი თაობის სიძულვილია აღზრდილ-დაუფუკაცუბული, ურიგო არ იქნება გაცენოს ძველ ამბებს და იმაში მაინც დარწმუნდეს, რომ ჩვენ თაობას სამშობლოს ტკივილები საკუთარ ჭირად მიგვიჩნევია, მაგრამ თუ მის იარებს სამკურნალო მალამო ვერ აღმოვუჩინეთ, ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ჩვენ ძალ-ღონეს აღემატებოდა...“

ეს დრო დღესაც გრძელდება... და ამ იმედითა და რწმენით სააშკარაოზე გამოგვაქვს მარიამ კერესელიძის წერილები, რომლის ადრესატი გახლდათ თბილისში მცხოვრები ელენე კერესელიძე-გლურჯიძისა:

„ჩემო საყვარელო და მუდამ სანატრელო მამიდა ელენე! როცა უიმედო ვიყავი (დაიკარგა ჩემი საყვარელი მამიდას წერილი, ძვირფასზე ძვირფასი!), აი! მივიღე შენი პასუხი, მრავალჯერ ვაკოცე და სველი ქალაღი შენი ცრემლებით და შენი სახით მეც ბევრი ვიტირე...“

...მამილო და დედა სულ შენზე ილაპარაკებდნენ და ჩემთვის შენ იყავი როგორც სიზმრის არსება, რომელიც ამ მსოფლიოს არ ეკუთვნება და ცხოვრობს სადმე, შორეულ ვარსკვლავში; ვარსკვლავი — საქართველო, რომელიც მე ვიცქირებოდი ბნელ ღამეში ნატვრით, დარდით... და ეხლა ვკითხულობ შენი სიტყვები, ვღებულობ შენი თბილი ალერსი!

ეხლაც თვალები ცრემლებით სავსე გწერ, მხოლოდ ჩვენ, ქართველები, ისეთი ღრმა და თბილი სიყვარული ვიცით...“

მე და დედა სიყვარულით, ნატვრით გკოცნი და გკოცნი. იყავი სულ კარგად და ყოჩაღად. შენი გულით და სულით მარიამი! (ლიმა 30. 8.56).

მამიდა-ძმისშვილს შორის 1956 წლით დათარიღებულ პირველ წერილებს ნოსტალგიით სავსე ეპისტოლეთა მთელი წყება მოჰყვა.

მარიამ კერესელიძის შემდგომი წერილი მოგვითხრობს: „მივიღე ბიძა გიგას წერილი, იწერება რომ უკვე ორი თვე შენი წერილი არ მიიღო... გენაცვალე! რომ იცოდე როგორ მიყვარხარ! ოხ! გენაცვალე გწერ და თანაც ვტირი... ახალ წლისათვის ჩემი ფიქრები და კეთილი სურვილი, ჩემი ნატვრა და გული შენთან, თქვენთან იქნება...“

და იფიქრე რომ სადმე, შორს, დაკარგული უცხოეთში, შენით ოცნებობს დაკარგული ქართველი ქალი, შენი ძმის შვილი, შენი მარიამ! (პერუ 18.12.59).

სულის სიმეზზე გატარებული ამ სტრიქონების ავტორი მარიამ კერესელიძე სამშობლოს დიდი პატრიოტისა და მამულიშვილის ლეო კერესელიძის ქალიშვილი გახლავთ. და, როგორც გიორგი კერესელიძე სწერდა თავის დას ელენეს: „ლეო იყო და არის მისი კერა, მარიამი ლეოს ხატი“ (პარიზი 23.08.59).

ლეგენდარული ძმები კერესელიძეები — ლეო, გიორგი, იასონი — XX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს იმ პოლიტიკურ, საზოგადო და სამხედრო მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნებიან, ვინც თავისი საქმე და ცხოვრება სამშობლოს დამოუკიდებლობის იდეას დაუკავშირა. ბედმა ძმებს მნიშვნელოვნად განსხვავებული სამოქმედო დრო და ასპარეზი გამოუყო: 39 წლის იასონ კერე-

სელიძე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სხვა წევრებთან ერთად 1923 წლის 23 მაისს დახვრიტეს. 1906 წლიდან მოყოლებული ცხოვრების ბოლომდე, ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლებად რჩებიან ლეო და გიორგი კერესელიძეები, — აღნიშნავს პროფესორი ლევან გლურჯიძე.

ძმები კერესელიძეების მამა მათე 1873 წელს დასახლდა გორში ილიასა და ანტონ ფურცელაძის თხოვნით. მალე აზნაურის ქალი მარიამ ყანჩელი შეირთო. სოფელი ახრისი, სადაც კერესელიძეები სახლობდნენ, მეჯვრის-ხევთან ახლოს მდებარეობდა, „იქ, სადაც მეჯუდას ერთი ფშანი უერთდება, მეჯუდა ლიახვს და ლიახვი მტკვარს“.

„ჩვენ გვქონდა ჩვენი დედა-მამის სურათი პოეტ იოსებ დავითაშვილის მიერ ამოჭრილი ჩუქურთმიან ჩარჩოში. უკან ეწერა პოეტის სახელით — ჩვენი მშობლებისადმი მიძღვნილი მისი ლექსი. იქნება კიდევ არსებობს. ნუ დაჰკარგავ თუ შენს ხელთ არის. დედა-ენის ძველ გამოცემაში იყო მოთავსებული ი. დავითაშვილის „იზარდე, მწვანე ჯეჯილო“ — რომელსაც წამდვნილი ჰქონდა: „გუძღვნი ლეო კერესელიძეს“, ხომ არა გაქვს ეს გამოცემა“ (ჩვენს ხელთ არსებულ „დედა-ენაში“ იოსებ დავითაშვილის 1885 წლით დათარიღებულ ლექსზე „ჯეჯილო“ წამდვარებულია „გუძღვნი პანია ლევანს“).

ჩვენ გვქონდა აგრეთვე ანტონ ფურცელაძის პოემა: „თამარ-ლაზნელი“, რომელიც მამა ჩვენს უძღვნა...

გვქონდა აგრეთვე დედას მოთხრობა: „ნენე“ — მისი ლამაზი ხელით დაწერილი. ნეტავ ვისა აქვს ეხლა — თუ კიდევ არსებობს?“ — სწერდა თავის დას გიორგი კერესელიძე.

1959 წლის 15 ივლისით დათარიღებული ეს წერილი იმითაცაა საინტერესო, რომ ავტორი მოგვითხრობს მის ექვს დედამამიშვილზეც:

„ჩემო ძვირფასო ელენე — მიბრძანე შენ მერამდენე იყავი ჩვენს ექვსში — სანყალი ბედუკა (ბავშვობაშივე გარდაიცვალა) ვახტანგის მომდევნო იყო და ანგარიშს გამიადვილებ, იცი, რომ ჩვენ ყველა ორ-ორილი წლით ვიყავით ერთი მეორეზე უფროსი... მე დავიბადე 17 (ძველი სტილით) მარტს 1885 წელს. შენ ჩემზე უმცროსი ხარ. რამდენით? ეს შენს სურვილზე არის დამოკიდებული. მანდილოსნის წლოვანება წლებით ხომ არ იზომება — იგი მისი სურვილის შედეგია“ (პარიზი 15.07.1959).

მათე და მარიამ კერესელიძეები 6 შვილს უზრდინდნენ სამშობლოს (მხოლოდ ერთი ადრიანად გარდაეცვალათ) და ბავშვობიდანვე უნერგავდნენ რწმენას, რომ რუსი საქართველოდან უნდა წავიდეს. მათ ოჯახს ხშირად სტუმრობდა საქართველოს ჭირ-ვარამზე დაფიქრებული ინტელიგენცია, რომლებიც ახალგაზრდებს კიდევ უფრო უმტიკიცებდნენ აზრს სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შესახებ. ოჯახთან ნათელ-მირონობა აკავშირებდა მწერალ ანტონ ფურცელაძეს, რომელიც ლეო კერესელიძის ნათლია გახლდათ. მისი ორი წლით უმცროსი გიორგის ნათლია იყო ქაიხოსრო ფურცელაძე, ხოლო ერთადერთი ასულის ელენე კერესელიძისა კი — აკაკი წერეთელი.

ფშანის ნაპირებზე ძმები კერესელიძეები ცნობილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების სოფრომ მგალობლიშვილისა და ნიკო ლომოურის შვილებთან ერთად თამაშობდნენ და მეგობრობდნენ.

ლეო კერესელიძე და ლეო მგალობლიშვილი ერთა თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირის ლეო გამბეტას საპატივცემულოდ მის სახელს ატარებდნენ.

ცხადია, ოჯახი და გარემო პირობები დიდ ზეგავლენას ახდენდნენ ძმები კერესელიძეების თავისუფლების იდეალების ჩამოყალიბებასა და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაზე.

1890 წელს მათე კერესელიძე ოჯახით თბილისში გადასახლდა, სადაც მათი შვილები აქტიურად ჩაებნენ ლიტერატურულ, პოლიტიკურ თუ მებრძოლთა წრეებში. თავდაპირველად ძმები „ცნობის ფურცლის“ ირგვლივ გაერთიანდნენ და საქართველოში მეფობის აღდგენაზე ოცნებობდნენ, თუმცა სოციალ-ფედერალისტური პარტია, რომლის ორგანოსაც ზემოხსენებული გაზეთი წარმოადგენდა ავტონომიისა და ფედერალიზმის მომხრე იყო, მაგრამ საბოლოოდ ყველა ერთ საერთო მიზანს ემსახურებოდა: „საქართველოს დამოუკიდებლობასა და რუსთა განდევნას“...

პატრიოტული რწმენითა და მისწრაფებებით აღსავსე ლეო და გიორგი კერესელიძეებმა 1906 წელს ქართველ სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრებთან ერთად დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაცია მოახდინეს და ხელთ 315 000 მანეთი იგდეს. ოპერაციის საქმე გაიხსნა, ამიტომ ლეო და გიორგი კერესელიძეები თავის დედაშვილთან ნესტორ მაღალაშვილთან ერთად შვეიცარიაში გაიხიზნენ. შეწევამი გაიცნო ლეო კერესელიძემ თავისი მომავალი მეუღლის ოჯახი, რომლებიც ისე მოხიზლა, რომ მათ საქართველო და ქართველ-



მარიამ კერესელიძე

ლობა საოცნებო საგნად გაუხადა: „ლეოს მეუღლე მართა (მარტა) არაჩვეულებრივი სიღრმის ბუნებისაა, ინტელგურად პატიოსანი, თავდადებული სხვისათვის“, — წერდა დას რძალზე გიორგი კერესელიძე (პარიზი 23.08.59).

„ოსმალეთში ნასულ ლეო კერესელიძეს 20 000 ოქროს ფრანკი საცოლემ მისცა ყოველ გასაჭირ შემთხვევისათვის“, — აღნიშნავდა თავის მოგონებაში გიორგი კერესელიძე.

ლეოს მომავალი მეუღლე მართა ეჩოულტრე იყო ცნობილი შვეიცარიული საათების განთქმული და დღესაც მსოფლიოში მეტად წარმატებული ფირმის („ჟაეგერ-ეჩოულტრე“) დამაარსებელისა და მფლობელის ჟაცქუეს-ავიდე ეჩოულტრეს (1875-1948) ქალიშვილი.

მართა ეჩოულტრე იყო ლეო კერესელიძის ყველა საქმის თანამდგომი და თანამგრძობი. იქნებოდა ეს — საქართველოს დამოუკიდებელი კომიტეტის დაარსება შეწევამი, მის შემადგენლობაში მუშაობა შვეიცარიაში, გერმანიაშია თუ ოსმალეთში. ქართული ლეგიონის ჩამოყალიბება და მისი პირველი სარდლობა; საბრძოლო ოპერაციები საქართველოსა და ჩრდილო კავკასიაში; პატრიოტულ-ახალგაზრდული ორგანიზაციის „თეთრი გიორგი“ დაარსება და წინამძღოლობა, ისტორიულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა და მრავალი სხვა.

სულით და ხორცით უმშვენიერესი ქალბატონი მეუღლის სიყვარულის გამო ბევრ გაჭირვებას იტანდა: „6 წლის ვიყავი როცა დავინახე სანყალი დედა როგორ ნაიქცა უგონოთ შიმშილის გამო. მამა მამინ ძალიან ავად იყო. შემდეგ რამოდენიმე წელიწადი უკან, მე და დედა დიდი ხანი გარეთ დავიძინეთ და ლუკმა პურიც კი არა გვქონდათ“ (სოფელი მანკორა 13.12.56).

მართას არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდა თავის მულსა და ქმრის ახლობლებთან.



„დედაზე ძალიან ღრმად იმოქმედა ნოდარმა (ელენეს ვაჟი) ჩემი მამის სახელი რომ დაარქვა უმფროსი ვაჟიშვილს! რამდენი წლისაა? 12 წლის? აკოცე ჩვენს მაგიერ...“ **(სოფელი მანკორა 13.12.56).**

სამხრეთ ამერიკიდან გამოგზავნილ ეპისტოლეებში მარიამი ადრესატს ხალხის ცხოვრებაზეც მოუთხრობდა: „აქაური ხალხი მეტისმეტად უბრალოა, თან ზარმაცი და ლოთი. ძალიან ღარიბია და ჭუჭყიანად ცხოვრობს, მაგრამ მაინც ზღვის პირზე ცხოვრება უფრო ადვილია, არა სცივა და მთელი წელიწადი შეუძლია კაცს გარეთ დაიძინო და ერთი თვეში მუდამ იშოვება საჭმელათ. მთაში კი ინდიანები ცოდაა. დიდ სიღარიბეში ცხოვრობს და როცა ზამთარში არა სწვიმს, ხალხი შიმშილით იხოცება და საერთოდ თავის დღეში კვება არა ყოფნის. ასე რომ ხალხი იძულებულია კოკაინის ფოთოლი შეშვამოს, რომ სისუსტით არ წაიქცეს მუშაობის დროს“ **(სოფელი მანკორა 13.12.56).**

გრიგოლ რობაქიძე ამბობდა: „ჯიშის გენისათვის მარტო „სისხლი“ არ კმარა: ვიცით, რომ მისთვის საჭიროა წვართი სულისა და გულისა და ხასიათისა“.

ქართული ჯიშისა და გენის, ერის თავისუფლებისაკენ სწრაფვის დაუოკებელი სურვილი და უდიდესი მოვალეობა ჩაუნერგა მარიამ კერესელიძეს მამამ — გენერალმა ლეო კერესელიძემ. იგი თავის ერთადერთ ქალიშვილს „მამაკაცურად ზრდიდა, ცდილობდა, მისთვის გამოემუშაებინა ისეთი თვისებები, რომლებიც რთულ ვითარებაში გამოადგებოდა. მამის სურვილით, ის უნდა ყოფილიყო მისი პოლიტიკური კურსის გამგრძელებელი და „თამარ მეფე“ თუ არა ქართველი „ჟანა დარკი“ მაინც“.

„მარიამ კერესელიძე დაიბადა 1922 წლის 13 ივლისს თურქეთში“, რომელსაც მამამ თავისი დედის მარიამ ყანჩელის საპატივცემულოდ მისი სახელი დაარქვა. „როგორ მიხარია ჩემი ცუდი ხელთნაწერი საყვარელი დიდედა მარიამისას რომ ჰგავს!“ — აღნიშნავდა ერთ-ერთ წერილში მარიამი.

მარიამ კერესელიძის დაბადების თარიღად მისი მამიდის ელენე კერესელიძე-გლურჯიძის პირადი არქივის მიხედვით 1921 წელი და შევიცარიაში დაბადებაა მიჩნეული, რომელსაც ადასტურებს 1959 წლით დათარიღებული თვით მარიამ კერესელიძის ერთ-ერთი ეპისტოლეც: „13-7-59 ჩემი დაბადების დღისათვის მივიღე შენი ძვირფასი წერილი სურათით. როცა ვნახე შენი სურათი ამ საათში ვიფიქრე „რატომ ბიძა გოგია მიგზავნის ჩემი პირადი სურათი! „მეთქი!“ მე და შენ იგივე სახე გვაქვს! შენი ძვირფასი სურათი ისევ როგორც საყვარელი პატარა ლეოს სურათები ჩემი მაგიდაზე არიან. ღამე როცა ვიწვევები, ვაყურებ და ღშირად ვტირი და ვფიქრობ რომ უკვე 14 წელიწადი გაიარა რაცა უკანასკნელათ ველაპარაკე ქართველ ადამიანს, ვფიქრობ რომ ყოველ დღე მაინც დება მშობლიური ენა და რომ უკვე 38 წლისა ვარ და მიკვდება გული!“ **(18.12.1959)**

მარიამ კერესელიძის დაბადების თარიღის დასადგენად მეორე უტყუარ დოკუმენტს წარმოადგენს პატარა მარიამის სურათზე თავად ლეო კერესელიძის მიერ გაკეთებული წარწერა: „მარიამი ორი წლისა და ოთხი თვისა. 12 ნოემბერი 1923 წ. ქ. ლოზანა“.

მარიამ კერესელიძემ განათლება რომში „წმინდა მარიამის“ სახელობის მონასტერში მიიღო. იგი კარგად ფლობდა როგორც ევროპულ, ასევე აღმოსავლურ ენებსაც.

„წმინდა მარიამის“ სასწავლებლის დარსრულების შემდეგ იგი მშობლებთან ერთად ჩრდილოეთ მაროკოში, ქალაქ ტანჟერში ცხოვრობდა.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ლეო კერესელიძე ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტებთან ერთად იბრძოდა დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად და საქართველოს რუსეთის სივრციდან გამოსასხნელად. იგი ამ მსოფლმხედველობასა და იდეებს უნერგავდა თავის ერთადერთ ქალიშვილსაც.

სამშობლოსათვის თავდადებული და ფიზიკურად ძლიერი, მედგარი და უშიშარი, მიზანდასახული და უაღრესად ნებისყოფიანი მარიამ კერესელიძე მამას მუდმივად გვერდით ედგა და მის მრავალ საქმეთა შეუპოვარი თანამონაწილეც გახლდათ.

გასული საუკუნის 20-იან წლებში კერესელიძეთა ოჯახს ევროპაში ცხოვრება ძალიან გაუჭირდა. ამასთან დაკავშირებით მარიამ კერესელიძე თავის ეპისტოლეში აღნიშნავდა: „1924 წელს სულ უარაფროთ ვიჯექით. რატომ ვიყავით ამდენათ ღარიბი? მოშობებმა ხომ ყველაფერი დაკარგეს. შემდეგ დედას რაც ჰქონდა შევიცარიაში დახარჯეს, ძალიან ბევრ ქართველს უშველეს. მამა მუშაობას ეძებდა პარიზში, მაგრამ თითქმის არაფერს არ იგებდა და მალე ავად გახდა. დედა კერესის მუშაობა დაიწყო, მთელ ღამეს ათენებდა, რომ ლუკმა პური მოეგო. ვერ წარმოიდგენ თუ რა ავად იყო სანყალი მამა! მართალი ხარ: დედაჩემი წამდვილი გმირია! რომ ბოლოს დედის დები არ დაგვხმარებოდნენ, უეჭველად ჩვენ შიმშილით მოგვკვებოდით.“

1933 წლამდე მამა ძლიერ იყო ავად, მაგრამ რასაც ვლუბლობლით დედის ოჯახიდან ძლიერ გვაცოცხლებდა. მერე დიდედ-დაჩემი მოკვდა და ფული დაგვიტოვა. შემდეგ კი საჯდომი სკოლა გვქონდა და ამით წესიერად ვცხოვრობდით“ **(30.07.1957).**

მშობლიური ენა მარიამს მამამ ბავშვობიდანვე შეასწავლა. იგი ქართულად ლექსებსაც წერდა და მღეროდა: „ძლიერ იმოქმედა ჩემზე ამ ამბავმა, რომ გარდა ნათესავებმა, ნაცნობებმაც მოუნდომიათ ჩემი წერილის კითხვა. ესხა დღიურად ვმაცადინობ ქართულ ენაზე და ვესაუბრები ჩემ თავს ხმა მალლა ქართულად! 11 წლის განმავლობაში ქართული წიგნი არ წამიკითხია, მაგრამ დამერწმუნე რომ ესხა მაცადინობ... მე სიმარტვე გითხრა, რომ დედა არა მყოლიყო იქნებ თავს მოვიკლავდი ათი წლის უკან. აქ არაფერის გემო არ მაქვს, მკვდარივით დავდივარ, ჩემი გული და ოცნება კი, მანდ არის თქვენთან... საერთო მდგომარეობაზე ბევრი სათქმელი მაქვს, მაგრამ მეშინიან ამერიკელის ცენზურას არ ჩაუვარდეს ხელში ჩემი წერილი“ **(მანკორა 16.10.56).**

განათლებით, ჭკუითა და ქალური მომხიბვლელობით გამოჩენილი მარიამ კერესელიძე თავყანისმცემელთა დიდ ყურადღებას იპყრობდა. იგი დაინიშნა ტანჟერში შვეციის დესპანზე, მაგრამ მათი ურთიერთობა მალე დამთავრდა. შემდეგ ცოლად გაჰყვა ერთ-ერთ მსხვილ ინგლისელ ჩინოვნიკს, არც ეს კავშირი აღმოჩნდა მტკიცე.

ლეო კერესელიძეს მაროკოში ცხოვრებისას ბევრი წმინდა სისხლის ცხენი ჰყავდა. მამის წყალობით მარიამი კარგად დაეუფლა ცხენოსნობას. იგი ცხენოსნობაში მამაკაცებსაც სჯობნიდა, რის შესახებაც პრესა არაერთხელ აღნიშნავდა.

მარიამ კერესელიძე გატაცებული იყო ჟურნალისტიკითა და სიძველეთა კვლევით. მის ქმედებას, ქცევასა და საზოგადოებასთან ურთიერთობებს თვალყურს ადევნებდა მამა. ტანშაღალი, მუქ-თავფლისფერი თვალებს, გრძელი შავთმიანი და მომხიბვლელი მარიამი მუდამ ყურადღების ცენტრში იყო.

მარიამი საკმაოდ საინტერესო პიროვნება გახლდათ და ქართველთა შორისაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. 1940 წელს ლეო კერესელიძემ დატოვა ტანჟერი და ჯერ საფრანგეთში, შემდეგ კი გერმანიაში გაემგზავრა.

აქედან მოყოლებული „მარიამ კერესელიძემ თანამშრომლობა დაიწყო ტანჟერში და ესპანეთის მაროკოში მოქმედ გერმანიის დაზვერვასთან, რომელსაც ფაშისტური გერმანიის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურის გერინგის ბიძაშვილი ხელმძღვანელობდა. მ. კერესელიძის სამსახურეობრივ მოვალეობაში შედიოდა გერმანიის დაზვერვისათვის საინტერესო პირთა გადმოხიზვა და მასთან კავშირზე მყოფი აგენტების მუშაობით სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება. სწორედ მის მონაცემებზე დაყრდნობით გერმანიის ავიაციის მიერ სამი წლის მანძილზე იბომბებოდა გიბრალტარი, მარიამის „დამსახურების“ ნუსხაში იყო აგრეთვე ტანჟერში აკრედიტებულ ამერიკელ და პორტუგალიელ ელჩებს შორის წარმოებული საიდუმლო მოლაპარაკებების გამჟღავნება“.

1942 წელს მარიამ კერესელიძე დედასთან ერთად ბერლინში გაემგზავრა. მამის დაჟინებული მოთხოვნით, ვუსტრაუს ტყვეთა ბანაკში ანტისაბჭოთა აგიტაციას ეწეოდა და მამის ინტერესთა გამტარებლად საქმიანობდა. „იგი ბანაკში ორგანიზებულ ქართული სიმღერისა და ცეკვის გუნდში (ხელმძღვანელი პავლე მალარაძე) მონაწილეობდა. გუნდში მღეროდა ქართულად და მომხიბვლელად ასრულებდა კავკასიურ ცეკვებს. გუნდი მთელ გერმანიასა და მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოგზაურობდა. ტყვეთა ბანაკში მან ბევრი ქართველი მეგობარი შეიძინა და ქართული ენა უფრო განიმტკიცა“.

იმ დროს გერმანიაში ანტისაბჭოთა დაჯგუფებებში მრავალი თვითშემოქმედებითი გუნდი არსებობდა, რაზეც 1943 წლით დათარიღებული სპირიდონ კედისა წერილიც მეტყველებს: „ამასწინათ ერთ-ერთმა ქართველმა ლეგიონმა აქ მოაწყო საღამო საკუთარი ძალებით. იყო ქართული გუნდი 30 კაცისაგან შემდგარი. ამ გუნდს ლოტბარობდა ახალგაზრდა კომპოზიტორი ნალბანდიშვილი, სიმპატიური ყმაწვილი, რომელმაც ერთ დანჟღერულ როიალზე დაუკრა თავისი საკუთარი კომპოზიცია — „ეტიუდი და საღამური“. იცეკვებს ქისტური, აფხაზური ცეკვები და კინტაური მეტისმეტი ველური გაქანებით“ (ბერლინი 10.3.1943).

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ იმ „სისხლის წვიმების“ ჟამს და ომის ქარცეცხლში ქართული სიმღერა ატოკებდა მსმენელთა სულის სიმებს და, როგორც ბელა ახმადულინა აღნიშნავდა: „Мне кажется, никто не живет в такой близости пения, как грузины. Между весельем и пением, печалью и пением, любовью и пением вовсе нет промежуток. Если грузин не поет сейчас, то только потому, что собирается петь через минуту.“

1943 წელს ბერლინის დაბომბვისას ლეო კერესელიძე დაილუპა. ამასთან დაკავშირებით მარიამი მამიდას სწერდა: „22 ნოემბერს 1943 წელს მამილომ გვითხრა, რომ სიზმარში ნახა თავისი თავი თეთრად ჩაცმული და მთელი ნათესავები, დედამაბა, რომლებიც მოკვდნენ — შავი ტანისამოსით და გვითხრა: „ცუდია, მალე მოკვდები“ და 23-ში დაილუპა, როგორც ბებია მარიამი“ (30.08.1956).

ცნობილი ემიგრანტისა და მკვლევარ-ესეისტის თამარ პაპავას წერილის — „ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე“ პერიფრაზის გამოყენებით — შეიძლება განვაცხადოთ, რომ ასე და ამგვარად სამშობლოს მკერდიდან მოკვეთილმა ღირსეულმა შვილმა ლეო კერესელიძემაც მისი ნიჭი და უნარი თავისი ქვეყნის ერთგულებას, სიყვარულსა და მის უკეთეს მერმისზე ფიქრს შეაღწია...

„მამაჩემი სულ ამბობდა: მე ვერ ველირსები საქართველოში დაბრუნებას, მაგრამ თქვენ კი დაბრუნდებითო“, — აღნიშნავდა მარიამი მამიდის სახელზე გაგზავნილ ბარათში (30.08.1956).

ამიტომ მისი ოცნება იყო მამის ანდერძის აღსრულება: „დღეს როცა ტალარაში მივედი, გული მცემდა და ვფიქრობდი რომ უეჭველად რამე არა ჩვეულებრივი მომელოდებოდა ფოსტაში. და შემხვდა შენმა წერილმა მამის სურათით! ვერ წარმოიდგენ და თუ როგორ იმოქმედდა ჩემზე! თანაც მეჩქარებოდა, მინდოდა მალე დავბრუნე მანკორაში (ტალარიდან მოშორებულია 80 კილომეტრით) რომ დედას სურათი ჩამეხარა. რომ იცოდე თუ რა მადლობელია! დედასთვის, და ჩემთვისაც, ყველაზე ძვირფასი რამ არის მამის სურათი...“

რა ცოცხალი, ძვირფასი და გრძნობიარე წერილი მომწერე, ჩემო კარგო! მე ასე მეგონა თქვენთან ვიყავი; შენთან ძალიან ახლო, თითქმის ვგრძნობდი შენი ალერსი, შენი ტკბილი სიტყვები, მთელი შენი მომზიდვარე პიროვნება... მართლა, აქ ვარდა დედა, არაფერი არ მაინტერესებს და არაფერიც არ მინდა!



მარიამ და ლეო კერესელიძეები „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციის წევრებთან

მე და დედის ოცნება ეს არის, რომ დავბრუნდეთ საქართველოში, რას იტყვი? ამ იმედით, ამ ოცნებით, მიწადა როგორმე ფული მოვიგო, და იმედია, მოვახერხებ კიდევაც. უკანასკნელ წერილში გაცნობდი რომ ლიმპში გადავდივართ საცხოვრებლათ და მანდ რომელი მუშაობას ვაპირებ. იმედია ყველაფერი გამოვა კარგად. ჯერჯერობით ბევრი ვალეები მაქვს, მაგრამ უკვე ერთხელ, სამი წელიწადი უკან ისეთ მდგომარეობაში ვიყავი და კარგათ ავასწორე ჩემი საქმე. საერთოდ ხალხი მენდობა, რადგან არავის არ ვატყუებ. მითუმეტეს უბრალო ხალხს ვუყვარვარ; ისინი ნახავენ რომ მუშაობას არ მეშინიან, რომ მათი გულის ტკივილი მესმის რადგან ძალიან ბევრი და საშინელი სიღარიბე განმიცდია მეცა. მეთევზეები, ჩოფრები, მუშები ამ ხალხს მართლა ძალიან ბევრ რამეში ყოველთვის მესმარება, მეც ვეხმარები ყოველნაირად. საერთოდ ძალიან მსიამოვნობს, როცა ხალხი სიყვარულსა ვრძნობ, და ყველგან ვიცი ადამიანობა და გულკეთილობა, ხანდისხანაც დიდი ბოროტობაც, მაგრამ ამას მავიწყდება“ (30.7.57).

გერმანიაში მარიამ კერესელიძეს დაუახლოვდა სპეცსამსახურების მიერ გადმოხიზებული „შახოვსკი“ იგივე პავლე ვასილის ძე ჯორჯაძე, რომელსაც დავალებული ჰქონდა ანტისაბჭოთა ქართულ ემიგრაციაში შეღწევა და ხელსაყრელ მომენტში მათი ლიდერების განადგურება.

„შახოვსკი“ სარგებლობდა მარიამ კერესელიძის დიდი ავტორიტეტით და ნაცნობთა ფართო წრით, მაგრამ ქალმა ეჭვი შეიტანა მის კეთილსინდისიერებაში და საბოლოოდ ამხილა იგი.

1945 წლის 26 მარტს მარიამ კერესელიძე დედასა და სხვა ქართველებთან ერთად, ჩრდილოეთ იტალიაში გაემგზავრა, სადაც ქართველთათვის განკუთვნილ რაიონში შეუერთდა 150 იძულებით გადაადგილებულ თანამემამულეს.

იტალიაში ჩამოყალიბებულ სათვისტომოში იგი ანტისაბჭოთა აგიტაციას ეწეოდა. იგი 1945 წლის 29 აპრილს გამთენიისას იტალიელ პარტიზანებთან გადასვლის მცდელობისათვის „სს“ — ის ქართული პოლიკის მებრძოლებმა დააპატიმრეს.

ქართველ „ესესელთა“ აზრით, იმდენად დიდი იყო ლეო კერესელიძის ავტორიტეტი ანტისაბჭოთა ემიგრაციაში, რომ მის ქალიშვილს ფაშისტებისათვის არ გაიმეტებდნენ და გაქცევას მაინც მოუწყობდნენ.

ამასთან დაკავშირებით მარიამ კერესელიძე ეპისტოლეში აღნიშნავდა: „ომის ბოლოს პარტიზანი ვიყავი იტალიის მთებში, წამიყვანია 600 ქართველი ბიჭები. გერმანელმა „ესესებმა“ კინაღამ დამხვრიტეს, მაგრამ, როგორც იყო გადავარჩი. დედამ საშინელი დრო გაატარა, სულ მოელოდა ამბავს, რომ მკვდა-

რი ვიყო. მის შემდეგ რაღაც ჯილდო უნდოდათ მოეცათ, მაგრამ მე ეს არ მაინტერესებს. მანდ, იტალიის მთებში ქართველებს აღმერთებენ და ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ „ქართველების წყალობით და მარიამის წყალობით ჩვენ გადავრჩით“. თორემ, იტალიელი პარტიზანების იმედით ყოფილიყვნენ, ბევრი ხალხი დაიღუპებოდა, ვინაიდან იტალიელი პარტიზანებმა კურდღელებივით ირბინეს საშიშ დროს.

ომის დროს ფრიდონ ნულუკიძემ ჩამაბარა თავისი ხელით გერმანულ „ს.ს.“ რომ დამხვრიტონ! როგორღაც გადავრჩი. იტალიაში, ომის შემდეგ იტალიურმა მთავრობამ მთხოვა თუ შეიძლებოდა საკონცენტრაციო ბანაკიდან ფრიდონის გაშვება და მე ვეთანხმები“ (01.10.1958).

ომის შემდეგ ბიძამ მარიამი და დედამისი შვეიცარიაში წაიყვანა. 1948 წელს მარიამ კერესელიძე შევიდა შვეიცარიის უნივერსიტეტში. სწავლის პარალელურად ევროპულ ენებს ასწავლიდა სკოლებში. შემდეგ კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მთარგმნელადც მუშაობდა.

„ჩემმა ბიძამ, (დედის მხრივ) ნაგიყვანა 1948 წელი შვეიცარიაში, უნივერსიტეტში ვსწავლობდი, თანაც ენებს ვასწავლიდი სკოლებში, მერე დავიწყე უნო—ში მუშაობა მთარგმნელად და მანდ კარგი ფული ვიგებდი. აქაც თევზაობით კარგათ წავიდა საქმე და იმედია კარგათ წავა ლიმაში...“

შენი წერილი სიცოცხლის წყაროა ჩვენთვის. მე და დედა სულ ველი შენგნით წერილს. ჯერ ვერ გავამთავრე რომანი ვინაიდან დღიური მუშაობა და ბრძოლა ცხოვრებისათვის არც დრო და არც სიწყნარეს არ მაძლევს“ (30.7.57).

„ვგონებ ყველაზე მეტად მარიამს მე ვუყვარდი და ყველაზე მეტი ავტორიტეტი მის თვალში მე მქონდა. ბევრი ვურჩიე, დარჩი შვეიცარიაში, გათხოვი შვეიცარიაში, დაამკვიდრე საღვინადაგზე შენი ცხოვრება მეთქი. არა გამოვიდა რა. ბუნება აქვს ცოტა ავანტიურისტული. კარგია სალი ავანტიურა, მაგრამ როდესაც საზღვარს და საღ ანგარიშს გადალახავ — ცუდად მთავრდება,“ — სწერდა დას გიორგი კერესელიძე (პარიზი 23.08.59).

ომის დამთავრების შემდეგ მარიამ კერესელიძესაც დევნილობამ მოუწია, რომლის მიზეზი იყო მეორე მსოფლიო ომში ქართლის პოლიტიკური ემიგრაციის გარკვეული ნაწილის, მათ შორის მამა-შვილ კერესელიძეთა, ნაციტურ გერმანელებთან თანამშრომლობა. ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირი ევროპის მრავალ ქვეყანაში ინტენსიურად აწარმოებდა ფაშისტური გერმანიის მომხრე პოლიტიკური ემიგრანტების, ტყვედჩაგვრდნილთა და გერმანიის მხარეზე გადასულ საბჭოთა მეორეების დაჭერასა და დახვრეტას.

ამას გარდა, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული საბჭოთა კავშირი ცდილობდა დანგრეულ ევროპაში ადგილობრივი კომუნისტური პარტიების ზემოქმედებით სოციალისტური წყობილება დაემყარებინა და ეს რეგიონი თავისი გავლენის ყველა მოექცია. ყოველივე ეს საფრთხეს უქმნიდა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას, ტყვედქმნილებსა და დევნილებს, რომელთა რეპატრიაციასაც საბჭოეთი და სტალინი აშკარად მოითხოვდა.

ასეთი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან ერთად მარიამ კერესელიძემაც სამხრეთ ამერიკას მიაშურა. დამკვიდრდა პერუში, კითხულობდა ლექციას ლიმას უნივერსიტეტში.

„მიიღე თუ არა, ჩემი თებერვლიანი დანერვილი წერილი, რომელში გატყობინებდი, ჩემი უბედური შემთხვევა სატვირთო ავტომობილით? კინაღამ მოკვდი! ეხლა კარგად ვგრძნობ თავს.“

გემი დაიღუპა და სულ ყველაფერი დავეკარგე, საბედნიეროდ არავინ არ დაიკარგა, ეს მთავარია.

მატერიალურად ცუდი დრო გავატარეთ ბოლოს დროს, მაგრამ არაფერი არ გვაკლია. ეხლა კი, იმედი მაქვს ახალი საქმე გავაკეთო, თუმცა ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. პატარა ხეცის ქარხანა მინდა მოვანყო. ნაცნობებმა მანქანები მაძლევენ, ეს პირველი ნაბიჯია, მერე ბანკიდან ფული უნდა მოვახერ-

ხო სესხად, ცოტა ძნელია. ხე-ტყის მუშაობა ჩემთვის ახალი საქმეა, მაგრამ იმედია მაინც გამოვა. თამარ გულ-მოსულია ჩემზე: „რათა მუშაობ მამაკაცურ და მაგარი მუშაობაზეო? შენი ადგილი ხომ უნივერსიტეტიშიაო!“ მე დიდი ქალაქის ცხოვრება არ მომწონს, არც დედას. გვიყვარს ბუნება და მარტოობა...

მე და დედის უდიდესი სურვილია თქვენთან ვიყოთ და ვიმედობთ რომ ოდესმე შეგხვდებით. რატომ არაფერს არ იწერები დედის სურათის შესახებ? ალბათ ძალიან შეიცვალა. დი-ახ! სანყალი დედა, მანამ მამა ცოცხალი იყო, ახალგაზრდა იყურებოდა და მიუხედავად ამისა, რომ დედა ჩვენი გული-სათვის მეტის მეტად იმუშავა და იწვალა. მამა რომ მოკვდა, უცბად დაბერდა და თუ კი არ მოკვდარა თვითონ სევდით ეს იმიტომ იცოდა, რომ მარტო მე სადღაც დავიკარგებოდი. მაგრამ დედის ცხოვრება ამის შემდეგ, ნამდვილი ჯოჯოხეთია... თუმცა მუდამ ხალხს შეხვდება ლიმილით, მე მხოლოდ ვიცი როგორ იტანჯება. მეტისმეტად უყვარდათ ერთმანეთი და მამა აუცილებლად მომკვდარიყო 1925-1928 წელს უდედოთ. შენ არ იცი რა მძიმე იყო ავად მამაჩემი, და რა პირობებში ვცოცხლობდით ძლივს“ (ლიმა 21.4.57).

შრომით საქმიანობასთან ერთად პერუში მარიამ კერესელიძე კერუას ენის შესწავლასაც დაენაფა. იგი წერდა: „მე კერუას ვსწავლობ, რომ ამ სანყალ, დაჩაგრულ ხალხთან უფრო ახლოს ვიყო, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით მანკორაში, მანდ კერუა დაუვიწყრიათ. მე ხუთ ენაზე ვლაპარაკობ და ვწერ თითქმის ყოველდღე და ეხლა ინდიელების ენას, კერუასაც ვსწავლობ, რადგან აქ კერუას ენაზე ლაპარაკობს ათი მილიონი კაცი. მთავრობა პერუში ოფიციალურად არ სცნობს კერუას და აქ მხოლოდ ესპანური იხმარება ყველაფრისათვის“ (31.08.1960).

მარიამ კერესელიძეს მამის ყველა თვისებასთან ერთად მისი სამწერლო ნიჭიც გამოჰყვა: „14 წელიწადის უკან პატარა, ქართულად დანერვილ ლექსებს ვწერდი, რომელიც მღეროდი ფანდურზე, მიკვირს და გული მტკივა რომ სრულიად დავიწყებული მაქვს მშობლიური ენა!“

ჩემო კარგო, შენ ხომ იცი გონიერათ მამაკაცი ვარ! 2 კვირაში ვინყებ პატარა ხმადის ფაბრიკას. ჩემთან ერთად საქმეში იქნება ძალიან კარგი ბელგიელი მეგობარი ქალი. აქ უნივერსიტეტში მთხოვავ რომ ფრანგული ენა ვასწავლო, მაგრამ ჯამაგირი ისეთი პატარაა, რომ მართლა არ მაინტერესებს“ (1.10.58).

„ბოლოს დროს, ორი დრამა დავწერე, ვნახოთ თუ მიიღებენ ტეატრში!“ (24.9.58).

მარიამ კერესელიძემ პერუში ცხოვრებისა და მოღვაწეობისას, 38 წლისამ, ესპანურ ენაზე დანერვა პიესა „მაიტა“, რომლის შესახებაც აღნიშნავდა: „სექტემბრის თვეში აქ პირველ თეატრში დგამენ ჩემს პირველ პიესას-დრამას ესპანურად დანერვილს. გიგზავნი გაზეთს, სადაც იწერება, რომ ქართველი ვარ. ჩემი პუბლიცისტი — ლეო კერევი! იმედია მეორე დრამა ჩემი დაიდგმება 1960 წელს და თუ კი კარგია, ვინ იცის, იქნებ ევროპაში მიიღონ და... ვინ იცის თუ კი საბჭოთა კავშირში არ მიიღონ? იმიტომ რომ ეს დრამა პერუს ცხოვრებიდან არის აღებული. მე დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი პიესა „მაიტა“ მიიღებენ თბილისშიც და მოსკოვშიც და ეს იქნება დიდი საშუალება ჩვენი შეხვედრისა“ (03.07.1960).

მარიამ კერესელიძემ თავისი ორი დრამატული პიესიდან ერთ-ერთი „მაიტა“ თბილისში მიიღდა გამოუგზავნა, რომლის შესახებაც ეპისტოლეში აღნიშნავდა: „როგორ მისაზრია ჩემი პიესა რომ მიიღე! მე გთხოვ, აუცილებლად ვიღაც ამხანაგს სთხოვე, რომ გადაგვითარგმნონ შენთვის, ხმა მალლად, რადგან მეტისმეტად მაინტერესებს და მინდა რომ შენ გაიგო ამით ჩემი გულის კეთება და აზრი. რასაც მე პიესაში ვწერ აქაური ხალხის უბედურების და ტანჯვის შესახებ, ეგ ყველაფერი მართალია! აქ ინდიელები მხეცებივით ცხოვრობენ და შიმშილით კვდებიან“ (31.08.1960).

ამ წერილიდან ნათლად ჩანს, რომ მარიამ კერესელიძე ბუნებით ალტრუისტი ადამიანი იყო. იგი არამარტო საქართვე-

ლოს, არამედ ყველა დაჩაგრულ ერის პიროვნული, ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის იბრძოდა.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს გიორგი კერესელიძის 1960 წელს დისადმი — ელენე გლურჯიძისადმი — გაგზავნილი ბარათი: „მარიამმა (ჩემთვის მარიამი ისე „მუმუნით“ რჩება, — ესე ვეძახდი მას ბავშვობიდანვე და ესევე ვეძახი მას დღესაც), დასწერა ესპანურად ერთი სათეატრო პიესა. ამ პიესის დადგმა სცენაზე იკისრა ერთმა ცნობილმა თეატრმა. გამგეთ ძალიან მოსწონებიათ. დიდი ხანია რეპეტიციები სწარმოებენ, დეკორაციები მზად არის. 4 ამ თვეს, ე.ი დღეს, პირველად წარმოდგენა უნდა იყვეს. თუ მწერალმა (ანუ მსმენელმა) საზოგადოებამაც მოიწონა — მათი, მარტასი და მუმუნის მდგომარეობა ცოტათი მაინც გაუმჯობესდება. იქნება შემდეგმაც დაწეროს და გზა გაიკვლიოს (მეორე პიესა — „მაიიტა“ — მარიამმა თბილისშიც გადმოგზავნა. აქ მისი თარგმანიც უკისრიათ, მაგრამ შემდგომ მისი კვალი იკარგება).

წერის ნიჭი მუმუნის, უსათუოდ აქვს. ამ რამდენიმე წლის წინად გადმომიგზავნა თავისი ერთი ნაწარმოები — მოგონებების და დაკვირვების სახით ფრანგულ ენაზე. მთხოვა ჩემი აზრი და ჩემი შენიშვნები მიმეწერა. აღტაცებაში მოვედი მისი მწერლობის ნიჭით. ღმერთმა ქნას და ეს სათეატრო ნაწარმოებიც ასევე ნიჭიერად დაწერილი იყოს...“ (პარიზი 17.01.60)

არამარტო გიორგი კერესელიძე იყო აღფრთოვანებული ძმისშვილის შემოქმედებითი ნიჭით, არამედ მარიამიც ამაყობდა თავისი ბიძით: „რა კარგი და ლამაზია, ლერმონტოვის ლექსი მიმისგან თარგმნილი! მართლა რომ მეც ასე ვარ როგორც იანქარი და მხოლოდ საქართველოში ალბათ სიმშვიდეს ვიპოვებ“ (ლიმა 25.3.58).

გიორგი კერესელიძის გარდა ქართულ მწერლობაში ცდიდა თავის კალამს ლეო კერესელიძეც. ცნობილია, რომ „1918 წელს ჟენევაში გამოვიდა პატარა ნიგნი ფრანგულ ენაზე. აქ იყო დასტამბული ლეო კერესელიძის „თამარ მეფე და მისი მგოსანი რუსთაველი“, ფრჩხილებში მითითებული ჰქონდა, რომ ეს იყო „ფანტაზია“. ზემოხსენებულ კრებულში რამდენიმე ამ ყაიღის ნაწარმოებია, მწერალს ის თავად უთარგმნია. მანამდე, ქართულ ენაზე გაზეთში „ქართულ გაზეთში“ დაუსტამბავს, — აღნიშნავს რუსულად ნიშნაინიქ ნაშრომში „ქართული გენერლების ლიტერატურული ტექსტები“.

მასვე ეკუთვნის მოთხრობა „ბაზალეთის ტბა“ და სხვ. ენით გამოუთქმელი ტკივილი და თანაგრძნობაა გამოხატული მამიდისადმი გაგზავნილ, 1960 წლით დათარიღებულ წერილში: „ფიქრით სულ შენთან ვარ ჩემო კარგო ადამიანო. რა დღეში იქნები, გენაცვალე ამ საშინელი ამბავი გაგებით. საწყალი ბიძა, გოგია, იმანაც სამშობლოს სიტკბო არ ეღირსა კიდევ, და ისევე დაიღუპა, საზღვარგარეთ როგორც მამა, როგორც ბევრი ქართველი ადამიანი...“

გენაცვალე, მე ვიცი შენი მგრძნობიარე გულით, თუ რა დღეში ხარ და როგორ ინვალები. საწყალი დედაჩემი ცუდად გახდა. ბიძა გოგია ძლიერ უყვარდა, რადგან მამის ძმა იყო და მოწმე იმისი ბედნიერების მამასთან ერთად...“

შენ ხარ ესხლა ჩვენი ოჯახის თავი, ჩვენი საწყალი ოჯახი გაფანტული და დანგრეულია.

მე იმედით ვცხოვრობ გნახო ოდესმე, მოგვხვით, გაკოცო... მივიღე გაზეთები და ნიგნები. ვერ წარმოიდგენ რა სიყვარული იქნება ჩემთვის, თბილისის გაზეთი წავიკითხო და თეატრის პროგრამამაც ვხედავდე „მაიიტა“ მარიამ კერესელიძის პერუს დრამა...“

მე მგონი „მაიიტა“ მშვენიერი კინო სურათიც იქნებოდა. ოს! ყველაფერი ეცადე გენაცვალე“ (პერუ 1.6.60).

მარიამ კერესელიძისათვის იმდენად საოცნებო იყო საქართველოში დაბრუნება, რომ პერუში მცხოვრებ ჩინელ მკითხავთანაც მისულა, რაზეც მეტყველებს მისი ეპისტოლე: „ამ სამი თვის უკან ერთმა მეგობარმა წამიყვანა ჩინელ გულთმისანთან. ის ამხანაგი ძალიან კულტურული და ჭკვიანი პიროვნებაა და

მიკვირდა, ის რომ ჩინელ გულთმისანს ყურს რომ უგდებდა. მეც მივედი ჩინელთან მისი რჩევით და ვკითხე: 1. თუ კი მე და დედა დავბრუნდებით საქართველოში და შენთან ერთად ვიქნებით. 2. თუ კი ჩემი მატერიალური მდგომარეობა გაისწორდება. 3. თუ კი ოდეს მე რაღაცა არაჩვეულებრივი საქმე გავაკეთებ. 4. თუ კი ის სულიერი გზა რომელიც მე ავირჩიე მართალია.

მე ცხოვრების დიდი ოპტიმისტი ვარ და მე ასე მგონი რომ კარგი იღბალი მაქვს. გასაკვირველია, მაგრამ ღმირად ძალიან ცუდი მტრები მყოლია და თანაც არაჩვეულებრივი მეგობრები...

ქართული ბალეტი აქ ყოფილა ერთი კვირა, მაგრამ ჩემთვის შეუძლებელი იყო მაგნებთან შეხვედრა! გული მიკვებოდა და ძალიან ბევრი ვიტირე. ბიძა გოგიას მივწერე ამის შესახებ.

ვთხოვ ვახტანგი ჩაბუკიანი ინახულე. არაუშვას, ძირითადი საქმე ის ჩვენი შეხვედრაა, გენაცვალე!“ (1.10.58)

მარიამ კერესელიძე თავის ეპისტოლეებს ადრესატს 1956-60 წლებში უგზავნიდა პერუდან. ამ ეპისტოლური მეგობრეობიდან მეტად მნიშვნელოვანია ქართველი ქალის ის სულიერი აღსარება და ტკივილი, რომელიც ამ წლებში შექმნილ ერთ-ერთ წერილშია გადმოცემული: „ჩემი აქ ცხოვრება, ე.ი საზღვარგარეთ, სულ უშიზნოთ და უინტერესოდ მიმდინია. სხვა ჩემსავით ემიგრაციაში დაბადებული ადამიანი შეეჩვივა სხვა ქვეყანას. მე არც ერთ ერს ვერ ვეგუები, არც სულიერად და არც აზროვნულად. მე მიზიდავს და მაინტერესებს მხოლოდ საქართველო, ის ხალხი რომელიც მანდ ცხოვრობს. მე არ მაინტერესებს ფული, სიმდიდრე, დროს გატარება და საერთოდ ბედნიერება, რომელიც უდიდეს მიზნად დაუდგება თვალწინ ბევრ ხალხს. მე მინდა შინაარსიანი ცხოვრება, მაინც უშინაარსოდ დარჩება ვინაიდან, ეგ ჩემი ხალხი არ არის და მე მაგათვის მუდამ უცხო ვიქნები. თუ კი საქართველოში ვიქნებოდი, რაც უნდა უბრალო მუშაობა რომ მექნეს, მაგალითად გზის გაკეთება, ეს მაინც რაღაცა შრომა იქნება საქართველოსთვის და ის პატარა ქვა ჩემი ხელით დანყობილი დარჩება“ (26.09.1956).

მარიამ კერესელიძისათვის მამიდა ელენე იყო არამარტო სისხლისმომერი ნათესავი, არამედ მისი გულის მესაიდუმლეც, რომელსაც ცხადყოფს 1957 წლით დათარიღებული წერილი: „ახლახან მივიღე შენი წერილი ნიკოს შესახებ. უპირველეს ყოვლისა მინდა გაგიმეორო ჩემი გულითადი მადლობა შენი ზრუნვისათვის. თავის დღეში არ დამავიწყდება ჩემო საყვარელო ადამიანო რაც ჩემი გულისათვის გაგიკეთებია!

ჩემთვის ძალიან დიდ გახარებას ნიშნავს ის რომ ნიკო კარგად და ჯანმრთელად არის. შენ ალბათ უკვე გაიცანი ის მშვენიერი, მაღალი სულის პატრონი ადამიანი და შენი ნაზი გრძნობით ალბათ მიხვდი თუ რა ძნელი და საშინელი უნდა იყოს იმისი პირადი მდგომარეობა. იმის ცოლიც ალბათ ძალიან კარგი ადამიანი და ძალიან ცუდი იქნება თუ კი ჩემი გულისთვის უნდა იდარდოს, მაგრამ სულ მუდამ ერთი რამ უნდა ვიფიქროს, რომ ყველაფერი იქნება როგორც ბედმა გვინერია; თუმცა მე ამასაც არა მჯერა მთლად და ბარათაშვილისავით მუდამ ვნდილობ ჩემი ნებისყოფით და სურვილით გავასწრო უკულმართობას...“

მე არ მინდა დავლონდე სხვა და სხვა ფიქრით, რადგან ჩემთვის ის არის რომ ყველაზე ძვირფასი მეგობარი, კარგათ არის და იმედია ბედნიერათ. ყოველდღე ველი იმის წერილს.

მამას ძალიან მოსწონდა და აფასებდა, როგორც არაჩვეულებრივ კეთილშობილ ადამიანს; ნიკო კარგად იცნობდა დედა და მამა და ჩემისა ბევრს მოგიყვება.

ჩვენს შორის დაიბადა უმაღლესი სულიერი მეგობრობა. ერთმანეთს სულიერათ ვეხმარებოდით. შორიდან, თუმცა მე იმის გნით უფრო მეტი ვისარგებლე ვინაიდან ჩემზე ჭკვიანია, კეთილი და მაღალი სულიანია.

ნიკო ფოჩხუა არის დაბადებული 1908 წელს. დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტი ფიზიკა-მათემატიკა და ეკონომიური დიპლომით. 15 წელიწადის მანძილზე ასწავლიდა უმაღლეს სკოლებში და უნივერსიტეტში — ფიზიკო-მათემატიკას. მგონი რომ ჯარში წასულა 1940 წელს. დედა ჰყავდა და და. ცო-

ლიც და ერთი ძმა, რომელიც ტყვედ ჩავარდა. მგონი რომ დაბადებულია თბილისში, ყოველ შემთხვევაში მანდ გაიზარდა.

თუ სურათი დაგჭირდება, გადმოგიგზავნი. მე და დედა ძლიერ გავიხარებთა თუ გავიგებთ, რომ კარგად არის“ (ანკორა 31.7.57).

როგორც შემდგომი წერილებიდან ირკვევა, ელენე კერესელიძე-გულურჯიძეს პირადად გაუცვინია მარიამის სულიერი მეგობარი ნიკო ფოჩხუა და მოხიბლულა მისი პიროვნებით. მარიამის მიმართ არც ნიკო ყოფილა გულგრილი და მისთვის ძალიან სასიამოვნო იქნებოდა თუ აღდგებოდა მათ შორის წერილობითი ურთიერთობა მაინც.

მამიდის წერილის საპასუხოდ იგი აღნიშნავდა: „რა ბედნიერებაა ნიკო რომ ცოცხალია... რაც უნდა იყოს ჩვენი სულიერი მეგობრობა უკვდავია და ის მთავარია, გთხოვ იმას გადაეცი... ველი მოუთმენლად ნიკოს წერილს... ამ სიტყვებსა ვწერ და მე თვითონ არა მჯერა“ (ანკორა 31.9.57).

როგორც ეპისტოლეებიდან ირკვევა, მამიდა ელენე ცდილობდა ნიკოსთან შეხვედრით დაეინტერესებინა თავისი ძმისშვილი, რათა იგი საბოლოოდ საქართველოში ჩამოეყვანა, რადგან სიყვარულის დიდ ძალას ყველა წინააღმდეგობის დაძლევა შეუძლია.

მამიდის ამ სურვილზე მარიამ კერესელიძე გულწრფელად წერდა: „თამარა მწერს, რომ „შენი მამიდა ელენეს ეშინია, რომ ალბათ ეხლა რომ გაიგებს ნიკო გათხოვდაო (დაოჯახდა) არ მოისურვებს საქართველოში გადასვლასო!“


მე თან მეცინა, თან ვიტირე! ნუთუ ამდენათ ცუდად იცნობს ჩემს გულსა და სულს. ჩემთვის საქართველოსა და ნათესავების სიყვარულია მთავარი. ერთი წუთით ჩემს გულში ჩაიხედოს, მაშინ გაიგებს თუ რა გიჟურია ასეთი ფიქრი! თანაც გამახარა, რადგან ეს ნიშნავს, რომ ჩვენი საქართველოში გადასვლა შესაძლებელია. მე სულ მუდამ შენით და საქართველოში დაბრუნებით ვოცნებობ...“ (პეტრე 6. 8.60).

განცვიფრებას იწვევს ეპისტოლეებში გამოხატული სამშობლოს უსაზღვრო მონატრება, სევდა და ტკივილი ემიგრანტი ქართველი ქალისა, რომელსაც სამშობლო არასოდეს ენახა და თავისი ქვეყნის სიყვარული მის გულში მხოლოდ მამის გადმოცემით იყო გაღვივებული.

ეს იყო ის ჯიშინი ქართველი ქალი, რომლის შესახებაც გრიგოლ რობაქიძე აცხადებდა: „ჯიში“ ჩვენში თეორია“ კი არაა, როგორც ევროპაში: იგი „სინამდვილეა“ თვითონ“ .

ამ ეპისტოლეებიდან ირკვევა, რომ მარიამ კერესელიძემ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ყველა ნარ-ეკლამი გზა გაიარა, იქნებოდა ეს სხვადასხვა სახელმწიფოსადმი მიმართული ათასი რეზოლუცია თუ ანტისაბჭოთა საქმიანობა. უცხო ცის ქვეშ საბოლოოდ მან შექმნა და სამშობლოს დაუტოვა: ფრანგულ ენაზე დაწერილი მოგონებანი და ესპანურ ენაზე დაწერილი ორი პიესა, რომელის შესახებ მსჯელობას აქ იმ მოტივით აღარ გავაგრძელებთ, რომ მწერალი ეკუთვნის იმ ერს, რომლის ენაზეც წერს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მარიამ კერესელიძის ბარათები ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ეპისტოლოური მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშებია და მკითხველს იზიდავს თავისი უნიკალური დოკუმენტური მასალებით, რომელიც ხასიათდება ემიგრანტული მიმოწერის ზოგადი თავისებურებებით: ნოსტალგიით, სევდით, მონატრებით, წუხილითა და ურთიერთდაპირისპირებულობით. თუმცა მათში იგრძნობა ურთიერთდახმარების სურვილიც, რადგან, ალბათ, უცხოეთში ქართველებს უფრო მეტად სიყვარული აძლებინებდათ. ისიც ცხადია, რომ ემიგრანტ მოღვაწეებს, როგორც მარიამ კერესელიძის შემთავისუფლებული წერილებიდან აშკარად ჩანს, გააზრებული ჰქონდათ ღონე სულიერისა და ღონე ხორციელის ერთიანობის საჭიროებისაც, რასაც ხშირად ვერ ახერხებდნენ, მაგრამ გრძნობდნენ, რომ უცხოეთში ქართველს უფრო სჭირდებოდა ერისათვის დამახასიათებელი მაღალი ღირსების შენარჩუნება.



უკრაინაში მცხოვრებ ქართველ მწერალს ბურამ პეტრიანოვილს ეხება.

ყოველთვის საინტერესოა დაინახო ქართველი მწერალი სხვისი თვლით, უცხო რაკურსით.

ივან ანდრუსიაკი

# ოცდამეერთე საუკუნის ოსკარ უაილდი

როგორც ცნობილია, ყოველ საქმეს აქვს თავისი პლუსები და მინუსები. ლიტერატურული საქმეც, გვინდა თუ არ გვინდა, არაა გამონაკლისი.

როცა დიდი ხნის განმავლობაში რედაქციას უკეთებ სხვათა ტექსტებს ან რეცენზიებს წერ მათზე და ხანდახან, როცა შთაგონება გეწვევა, საკუთარსაც წერ, როგორღაც ნელ-ნელა, შეუმჩნევლად შენში რალაცა ცვდება და ჰკარგავ უნარს, რომ მიიღო ძლიერი შეგრძნება-შთაბეჭდილებები. ქრება ის მოუხელთებელი გრძნობა, როცა ცოცხალ ქმნილებასთან პირისპირ შეხვედრისას რალაც წამს უნებლიეთ გავიწყდება თვალი მიადევნო, რამდენად პროფესიულადაა აღწერილი ესა თუ ის დეტალი, ესა თუ ის სტრატეგიული თუ ტაქტიკური სვლა და უბრალოდ მიგნთან ერთად იწყებ ცხოვრებას საკუთარი არსებობის მოზრდილი ნაწილისას.

ამეებისგან ყოველი ლიტერატორი, ცხადია, ხსნას ეძებს როგორც შეუძლია. ყველაზე ხშირად — დროდადრო კითხულობს იმ ტექსტებს, რომლებმაც ოდესღაც შეძრეს მისი არსება, ამგვარად განაახლებს თავის თავში ნამდვილი შეგრძნებების უნარს. ეს ხერხი, როგორც წესი, ამართლებს, მაგრამ ბრაზობ — ნუთუ ტექსტები, რომლებიც ახლა იქმნება, ისე ერთიანად უმწეოა, რომ მათგან არ მოელი ტვინის ნორმალურ შერყევასაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ, ცოცხალ ნერვზე? როგორც უნდა საწყენი იყოს ამის აღიარება, მაგრამ უხშირეს შემთხვევაში სწორედ ასეა და მხოლოდ ის ელემენტარული ფაქტი გვანერვებს, რომ, მართალი ითქვას, ასე იყო ყოველთვის.

ოღონდ ამას იმიტომ კი არა ვწერ, რომ „დავინუნუნო“ ან „ვიფილოსოფოსო“, არამედ იმიტომ, რომ სინარული გავიზიაროთ, საოცარი, თითქმის გამოუთქმელი სინარული, რადგან მხოლოდ ასეთი არის ხოლმე ყოველი შეხვედრა ნამ-

დვილ მხატვრულ ქმნილებასთან, რომელიც, როგორც ჩანს, იმით განსხვავდება ამ ბოლო დროს ზეპოპულარული იაფფასიანი ხელოვნებისაგან, რომ ეხება მარადიულს სულში ყოველი პიროვნებისა, რომელიც კი ამ ქმნილებასთან ურთიერთობას გაბედავს. მითუმეტეს ასეთი არის ხოლმე იმ ავტორის აღმოჩენა, რომელსაც შეუძლია შექმნას ნამდვილი ტექსტები. ჩემთვის ასეთ აღმოჩენად იქცა გურამ პეტრიაშვილი — ქართველი მწერალი, რომელიც უკვე მრავალი წელია ცხოვრობს და მუშაობს უკრაინაში.


ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ერთი წლის წინათ ვინიცის საბავშვო გამომცემლობა „თეზა“-ს დირექტორმა ვლადიმირ ბრისკინმა შემომათავაზა იმ ლიტერატურული კონკურსის ჟიურის წევრობა, რომელიც წამოიწყო ამ გამომცემლობამ. მოულოდნელად საოცრად ხარისხიან საკონკურსო ხელნაწერებს შორის აღმოჩნდა ერთი ნამდვილი შედეგერი — გურამ პეტრიაშვილის ვრცელი მოთხრობა „ელი და რარუ“.

სიუჟეტი არაჩვეულებრივად მარტივია, პირველი შეხედვით ტრივიალურიც კი — გოგონას, რომელსაც ელი ჰქვია, ძალიან უყვარს სპილო რარუ და მასთან ლაპარაკიც კი შეუძლია. ბოროტ დიდს, რომლის სახელიც იზიფრება, როგორც „დირექტორების დირექტორი“, სურს, რომ სპილო მიჰყიდოს მოხეტიალე სამხეცეს. და გოგონა მოიპარავს სპილოს...

შემდეგ ხდება მთელი რიგი მძაფრი თავგადასავლებისა კეთილი და ბოროტი ადამიანების მონაწილეობით, ვიდრე არ ასრულდება სპილოს სანატორიელი ოცნება — ის ბრუნდება თავის სამშობლოში, აფრიკაში. ამასთან ყველა პერსონაჟი თითქოს მულტიპლიკაციურები არიან. ისინი დახატულნი არიან ძალიან შუქისმფრქვეველი, უზვი, საოცრად მუქი მონასმებით, დეტალებისა და გამომხატველი შუქრდილების გარეშე — ასე შეუძლია ხატოს მხოლოდ თვით ბავშვმა, გამომხატველი დომინანტით — კოლოსალური კეთილი გულუბრყვილობით. ოღონდ უმთავრესია, რომ ყოველი პერსონაჟი, მიუხედავად თითქოს სქემატურობისა, სინამდვილეში აღმოჩნდება ფილოსოფიურ სისტემად, რომელიც გვეძლევა არა უბრალოდ ბავშვებისთვის გასაგებ სახეებად და ხატებად, არამედ არაჩვეულებრივად ფაქიზ, ღრმად ამაღლებულ თართოვანად... აქ ყოველი პერსონაჟი სინამდვილეში გადის ძალიან სათუთ და ალაგ-ალაგ ძალიან მტკიანეულ, მაგრამ მანათობელ პროცესს სულიერი გარდასახვისა. აქ ადამიანები ეძებენ და მთავარია რომ პოულობენ თავის — არა ადგილს, არამედ მისიას ცხოვრებაში. და ბავშვიც განიცდის ამ სულიერ გარდასახვას ყოველ ამ პერსონაჟთან ერთად, დაუძალებლად, ორგანულად, ბუნებრივად, და არაჩვეულებრივად ღრმად ჩასწვდება ბავშვი კეთილისა და ბოროტის შეცნობის საიდუმლოს და, რაც მთავარია, სამყაროს მოწყობის უდიდეს საიდუმლოს — როგორ გაარჩიოს კეთილი და ბოროტი.

სამჯერ გადავიკითხე ოლექსა სინიჩენკოს მიერ თარგმნილი ეს მოთხრობა. პირველად წავიკითხე, როგორც კონკურსის ჟიურის წევრმა, შემდეგ კი როცა მან უდავოდ გაიმარჯვა ამ კონკურსში — უკვე როგორც წიგნის რედაქტორმა (და საშინლად ვამბობ იმით, რომ გამომცემლობამ სწორედ მე მანდო ძალიან პასუხსაგებ და წარმტაცი სამუშაო, რადგან როგორც ახლა მოდურია თქმა, კარიერის მანძილზე მე რედაქტირება გავუკეთე ასზე მეტ სხვადასხვა წიგნს, მათ შორის ისეთებსაც, რომელთა გამო ამჟამად მრცხვენია, მაგრამ ახლა ვშიშობ, რომ არა მგონია, როდისმე კვლავ მომიწიოს მუშაობა ამ ასეთ სასწაულებრივ ქმნილებაზე!) ასე, სამჯერ გადავიკითხე მოთხრობა და ყოველი წაკითხვისას, მე ცინიკოსმა, რომელმაც თითქოს ყველაფერი იცის იმაზე, თუ როგორ კეთდება წიგნი და რომელი ხერხი მასში რომელ გრძნობათა ასამოქმედებლად გათვლილი — ვერ შევიკავე ცრემლები. არა ის ბანალური სისველე, რომელსაც გამოსწერავენ გულთბილი ბებიებისაგან დინგიან სერიალთა ფაბრიკანტები — არამედ განწმენდის ცოცხალი ცრემლები, კატარსისის ცრემლები, ჯერ კიდევ ამ სიტყვის საწყისი ძველბრძნული მნიშვნელობით! ამიტომაც ვწერ ამ წიგნზე და ღრმად მიმიცხიკვებია იმისთვის, რომ საერთოდ არაა მიღებული, რედაქტორმა წეროს იმ წიგნზე, რომელზეც მუშაობდა.

შემდეგ იყო კიდევ ერთი აღმოჩენა — გურამ პეტრიაშვილის „პატარა ქალაქის ზღაპრები“, რომლებიც გამოვიდა გამომცემლობა „ვე-



გურამ პეტრიაშვილი

სელკაში“ სტანისლავ რეპიახის თარგმანებით, მაგრამ აქამდე რატომღაც ვერ ჩამივარდა ხელში. აქ იგივე პრინციპია ფილოსოფიური იგავისა, რომელიც ასი წლის წინათ შეიმუშავა სწორუპოვარმა ოსკარ უაილდმა და აქამდე ვერაფერ შესძლო მასთან მიახლოებაც კი. აქაც სწორედ ის სიღრმისეული განზოგადობანია, სწორედ ის კათარზისის ცრემლები, სწორედ ის არსებობასთან შეუთავსებელი, მაგრამ ცხოვრებისაგან განუყოფელი ჭეშმარიტი გულისშემკუმშველი ტკივილი...

„მევიოლინე და ჩიტი“, სადაც მევიოლინე ეძებს განსაკუთრებულ ხეს თავისი ვიოლინოსთვის, რათა ისე დაუკრას, რომ ადამიანებმა ბოლომდე გაუგონ მას. და პოულობს, რასაც ეძებს, სულაც არა ხეში, არამედ პატარა ჩიტის ცოცხალი სულის შეგრძნებაში, ჩიტისა, რომელიც ოცნებობდა თვით მზემდე აფრენილიყო... პატარები ზღაპრიდან „მექუდე“, მექუდის ხელიდან რომ იღებენ თავიანთ პირველ ქუდს, რომელშიც ღამე გაათიეს ჩიტებმა და დატოვეს თავისი სიზმრები. და მერე ეს პატარები იზრდებიან გულღიები, სათუთები, მგრძნობიარენი, ნაზები, მიმდობნი... ისინი, ეჭვს გარეშეა, შვილიშვილები ან შვილთაშვილები არიან იმ პატარებისა, რომლებიც თავის დროზე თამაშობდნენ საკუთარ თავზე შეყვარებული გოლიათის ბაღში. და ვინ იცის, შესაძლოა მათ შორისაა ის ერთადერთი ბავშვი, რომელმაც გააღლო ოდესღაც ყინული გოლიათის გულში და რომლის ხელებსა და ფეხებზეც დაინახა გოლიათმა ლურსმნების კვალი...

ილაპარაკოს მარადიულზე მარადიულობის ერთი შეუძლია ძალიან ცოტა მწერალს. ერთეულებს! დღეს ესაა გურამ პეტრიაშვილი. წავიკითხოთ იგი! ნავუკითხოთ ის ჩვენს შვილებს, და — ჩვენს თავს! იგი ლაპარაკობს იმაზე, რაც ჩვენ, ადამიანებს ნამდვილად გვტკივა. და ისე, როგორც გვტკივა. თუკი ჯერ კიდევ ადამიანები ვართ...

ვინც თვალს ადევნებს საპარტიველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდისისა და უნეტარების ილია II-ის მოღვაწეობას, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, შეამჩნევდა, რომ მან არაერთი რჩევა-დარიგება, დავალება მოგვცა თავის სამწყსოს. ერთგული და განსაკუთრებულად მონდომებული, ჭკვიანი მრევლი მთელი არსებით ასრულებს პატრიარქის ნებისმიერ კურთხევას.

„მა არ ვარ ის, ვინც ვარ“ — ასეთი იყო უწმინდისის ბოლო პერიოდის ერთ-ერთი დავალება, როცა მან გვთხოვა, დაგვეწერა თხზულება ამ სათაურით. საყოველთაო უღმერთობის, ცილისწამების, განკითხვის, ურთიერთმტრობისა და სიძულვილის უკან პატრიარქი ამგვარადაც ცდილობს დააცხროს შურისგების გრიგალები და თითოეული ჩვენთაგანი საკუთარ თავთან დაგვაბრუნოს.

მონაზონმა — დედა ელენე (ნაფთაძე), როგორც გერმანიისტი წლების განმავლობაში რომ მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბუნებრივია შეასრულა პატრიარქის კურთხევა. თხზულება კი — პირველ რიგში საკუთარ მოძღვარს, საჩხერე-ჭიათურის მიტროპოლიტს, მუშუა დანიელს წააკითხა. მეუფეს გულმა უგრძნო — არა მხოლოდ ამ ჩანაწერის (თხზულების) ავტორი უნდა ყოფილიყო დედა ელენე... ასე გაეცნო იგი სულიერი შვილის შემოქმედებას. თავის მხრივ კი ეს შემოქმედება შესაფასებლად ჩვენ გადმოგვცა. თუმცა ვფიქრობთ, თავად მეუფე დანიელმა ლექსებსა და ჩანაწერებს ზუსტი შეფასება მისცა, როცა გამოთხვა აზრი, რომ — ამ წიგნს (მასალას) სულაც არა აქვს პრეტენზია რაიმე განსაკუთრებული ლიტერატურული სიახლეებით გააოცოს მკითხველი. მით უფრო, რომ დედა ელენე ძალიან მოკრძალებული ადამიანია და წიგნად გამოცემაზე ძლივს დავითანხმეთო. ეს უფრო იმ მხრივია საშუაროს საქმე, რომ დღევანდელმა მკითხველმა, რომელსაც ასე აკლია მარადიულ, ჭეშმარიტ ღირებულებებზე ფიქრი, მსჯელობა და ზრუნვა (ეკლესიური ცხოვრება), სწორედ მისი თანამედროვე, კიდევ ერთი სასულიერო პირის, ერთი განათლებული ქალბატონის სამყაროში იმოგზაუროს. ღვთის მადლით ეს სამყარო გადამდებია და მკითხველის მიერ აშკარად განიცდება.

ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით მიტროპოლიტ დანიელის ამ მოსაზრებას და გთავაზობთ მაკა ჯოხაძის შესავალ წერილს, რომელიც თან დაერთვება წიგნს, სულ მალე რომ იხილავს მზის სინათლეს.

მაკა ჯოხაძე

# „ჩემო ქვეყანავ — ცრემლების ყვავილო“

„სიმღერით გაალამაზე შენი ცხოვრება. გთხოვ, ცხოვრება სიმღერად აქციე: მაშინ შეძლებ, შეიგრძნო ცხოვრების ჰარმონია და შენი კავშირი ჰარმონიასთან. შენ შეგიძლია, განალიზო, გაიაზრო შენი ცხოვრება, მაგრამ სიმღერა არ დაგავიწყდეს. პოეზიის კრიტიკოსები იბადებიან და კვდებიან, სიმღერები კი სიცოცხლეს განაგრძობენ. კრიტიკა კვდება, სიმღერა ცოცხლობს. მხოლოდ პოეზიას შეუძლია პროზის გაცოცხლება. პოეზია ცხოვრების ხიდან ამოიზარდა, პროზა კი — შემეცნების.“

ყველამ ვიცით, ტყუილს ხანმოკლე დრო აქვს, სიმართლე კი მარადიულია. ამიტომაც პოეზია პროზაზე მეტხანს ცოცხლობს: იმიტომ ხომ არა, რომ იგი სიმართლესთან უფრო ახლოსაა? თუკი შენს სიცოცხლეს სიმღერად აქციე, მაშინ შენც უფრო ახლოს იქნები სიმართლესთან, სიცოცხლესთან.“

ასე მგონია, ქართველმა მონაზონმა გულისყური მიუგდო სერბი წმინდანის ამ თხოვნა-შეგონებას და სასონარკვეთისა და სევდიანობის მიქცევა-მოქცევის უკან სატიკვარი სიმღერით დააცხრო და გაილამაზა. სხვა რა შეიძლება ენოდოს დედა ელენეს ამ საოცარ მეტაფორას — „ჩემო ქვეყანავ — ცრემლების ყვავილო“ — თუ არა ჩვენი ყოფნის ერთი გაბმული სევდიანი სიმღერა.

„ნეტავ, რა გაადნობს ამ ყინულის გულს“, — ამის თქმასაც გაბედვა უნდა. საკუთარ გულზე ასე იშვიათად საუბრობენ, უფრო სხვის გაყინულ გულზე ქირქილებენ.

ლექსში „ნუთისოფელი“ კი არაჩვეულებრივი სიცხადით შემოდის ნათელი აზრი, რომ „ნუთისოფელი ჯვარცმავა“, სასჯელია, განსაცდელია და ჯვარცმის ხატების ფონზე საწუთროს ნებისმიერი სიმუხტლე ამა სოფლის ლოგიკურ სვლად მოგვიყვანება. ბოროტების ნილ აღარ დანვრილმანდები — ნუნუნით, განკითხვით, შფოთითა და შურისგებით აღარ დაიმუხტები.

დღესაც ცოცხლები არიან საქართველოს ციხე-ბურჯები, ქვითკირები, „უფლისა და ნინოს ცხვრების მწყემსები“. ამ ლექსით, რომელიც მიძღვნა ფოკის დედათა მონასტრის ილუმენია ელისაბედ მესხიშვილისადმი, კიდევ ერთხელ ცხადდება დღევანდელი საქართველოს შავ-თეთრი პარალელები.

მონაზვნებსაც აწუხებთ და ისევე ელიან ახლობელთა ზარს, როგორც ჩვენ ველით, იქნებ უფრო მძაფრადაც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ქრისტეს სასძლოებად ითვლებიან. არადა, ჩვენ

ნი მათდამი მიმართებისას ხშირად პირიქითაა — გვეშინია, არ დავაფრთხოთ მათი სიმშვიდე, გარინდება, არ დავარღვიოთ სულიერი ნონასწრობა, ლოცვის მადლი, განწყობა და მოულოდნელად არ დავაბრუნოთ მინიერ საზრუნავთა ორომტრალიში.

შესანიშნავი ლექსია „რა პატარა ხარ, ადამიანო“:

რა პატარა ხარ, ადამიანო, რა უსუსური...  
აბა, რა ძალგის? რის მაქნისი ხარ? რისი მომრევი?  
საკუთარ ვნებებს ემონები, ფიქრით თუ საქმით  
ტყვე ხარ ცოდვების.

შემდეგ მოდის ჩამონათვალი იმ სიკეთეთა, რაც ასე უანგაროდ გვიწყალობა უფალმა, ჩვენ კი რის ფასად დავკარგეთ ეს ყველაფერი?! მთელი ლექსი უაღრესად სადად, ღვთაებრივი წინსვლითა და კანონზომიერებით თითქოს ერთ პატარა წრეში (ჩარჩოში) აქცევს ადამიანის ხანგრძლივ ცხოვრებას, მის შეცდომებს, ნაბიჯებს, ცოდვებს... და რაც მთავარია, ერთ მშვენიერ დღეს ყოველივეს გააცნობიერებს, რის შედეგადაც მოდის დიდი სინანული, განცდა, ფეხზე წამოდგომა, მერე ისევ დაცემა, ისევ ხოხვა, ისევ ხეტიალი...

ცოდვილი შვილი ისევ ვდგავარ შენს გულს კართან  
და გიკაკუნებ გაუბედავად, კადნიერების არა მაქვს პირი,  
გამოიხედე, დალლილი და ნაცემ-ნაგვემი შენს კართან  
ვტირი და გვედრები —  
ნუ მომაკლებ შენს მფარველობას, სიყვარულის  
არა ვარ ღირსი.

უძღები შვილის იგავს რომ ჩავნვდეთ მთელი სისავსით, ასაკი და გამოცდილება საჭირო. მაგრამ ზოგს ესეც ვერ უღობს გულს და სინანულის ცრემლიც სამუდამოდ დამშრალია.

დედა ელენეს ლექსებში ხშირად პაროლებივით იმალებიან შეგონებები, აფორიზმები, ფორმულებად ქცეული სიბრძნეები („მონასტრება“):

მზეზე ბევრია შავი ლაქები, მაგრამ მზე — მზეობს!  
ჩვენს სულსაც ატყვია მძიმე დაღები, თუმც მანაც ზეობს!

ეს ლექსი, დარწმუნებული ვარ, საოცარ შევებს მოჰგვრის სასონარკვეთილ ადამიანს, რომელიც საშინლად განიცდის ცოდვებს, შეცდომებს... და ეს სრულდება ნუგეშის თანხლები ინტონაციით ლექსში, მშვიდად, ერთგვარი სასაუბრო ენით, ყოველგვარი დიდაქტიკისა და მასწავლებლური პათოსის გარეშე.

დედა ელენეს აქვს იშვიათი უნარი კონკრეტულისა და ზოგადის ზღვარზე სიარულისა, ისე რომ არ დაარღვიოს პიროვნული შეგრძნებების ზღვრული ავტონომია, რომელშიდაც იმ-

ყოფება ადამიანი და ამავე დროს, ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმისთანავე ეს ნაბიჯი გამოცდილებად აქციოს სხვათათვის. ე. ი. განაზოგადოს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მის მიერ დახატული პორტრეტები გამოირჩევიან. შესწავლილი და დადგენილია, რომ სამყაროში ორი ერთნაირი მოხაზულობის ფიფქი არ არსებობს და როცა ეს „ინდივიდუალური“ აღნაგობის ფიფქები ხვავრიელად წამოვა ციდან და მიწას ეფინება, ერთ „საზოგადო“ თოვლად იქცევა და გადაათეთრებს მიდადმოს. ასეა პოეტის მიერ შესრულებულ პორტრეტშიც:

**თმას დაუკრეფია ვერცხლი, წვერი შემოსილა თრთვილით, ნაბიჯი იტევს სიმძიმეს, გული – ტანჯვას და ტკივილს, თვალები სავსეა ცისკრით და სიყვარულის სხივით, სახეს ჰფენია ნათელი, სიტყვა – ტკბილი და თბილი, გულში იმედი ჩახჩახებს და სასოება ღვივის, ღვთისგან ნაკურთხია მამად აურაცხელი შვილის... მეც ერთი იმათგანი ვარ, შენს გულის კართან ვტირი... გამიღე, არ მიმატოვო – გზააბნეული შვილი.**

აქ თითქოს ერთი კონკრეტული ადამიანის ერთი კონკრეტული მოძღვარია დახატული, მაგრამ სახე იმდენად ზოგადდება, რომ ჩვენთვისაც ეს პორტრეტი ძვირფასი და ახლობელი ხდება.

დედა ელენეს აქვს ერთი საოცრად ჭკვიანი და მგრძობიარე ლექსი, რომლის განცდის ემოციური ხარისხი იმდენად მაღალი და გადამდებია, რომ თითოეული ჩვენგანის განცდად შეიძლება ვალიართ. ნებისმიერი დედის, მამის, დის, ძმის, კაცის, ქალის... როცა ჩვენ, ადამიანები, პირადად მე

**წლები ვიდექი შენი გულის დახურულ კართან, ღმერთმა ინება და დრო დადგა, როცა შეიღო... ის დროც დადგება, როცა ყველაფერს მიხვდები ნათლად — მაგრამ მე უკვე აღარ ვიქნები... ჩემი ტკივილი დაგრჩება დარდად... დრო გაივლის – წყლის მდინარებას გაჰყვება წლები, კუთხეები მოუგლუვდება დარდასა და ვარამს... უფლისა და დედა ღვთისმშობლის ანაბრად ვრჩები, მარტოსულად დაბადებული, მარტოდვე ვკვდები...**

ამ შეღებული კარის სიდიადე თუ შეუღებლობის სასონარკვეთა ყველაზე მეტად სტანჯავს ადამიანს.

ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქისადმი მიძღვნილი მრავალი ლექსი ინერება როგორც საერო, ისე სასულიერო პირთაგან. ესენია ძირითადად სახოტბო ლექსები, ოდები, საგალობლები და უნდა მოგახსენოთ, რომ ლექსთა ამ ერთგვაროვან სიერცეში დედა ელენე არაჩვეულებრივი ტაქტით, ზედმინევეთი სიზუსტით წარმოაჩენს ამ საყოველთაო სიყვარულისა და აღფრთოვანების ნამდვილ მიზეზებს. ამიტომ ლექსები თუ მიმართვები, რომლებიც მის წიგნშია წარმოდგენილი, ზომიერებისა და დიპლომატიის ერთგვარ პოეტურ ნიმუშადაც შეიძლება ჩაითვალოს, როცა ერთი კონკრეტული სასულიერო პირის, ერთი მონაზონი ქალბატონის კი არა მხოლოდ, არამედ მთელი ერის სიყვარული და მადლიერების გრძნობა გამოხატული. პატრიარქის სიბრძნე, სხენებული დიპლომატიური სვლები, გულისხმიერება და შორსმჭვრეტელობა მთელი სისასხით გამოჩნდა დედა ელენეს ესეში „ფრთამესხმული ოცნება“, რომელიც წმინდა ნინოს გზაზე პილიგრიმობას ეხება (დედა ელენე ამ მოგზაურობის სამგზის მონაწილეა) და რომლის ნაკითხვაც დიდი ემოციის, მღელვარების გარეშე შეუძლებელია.

ბერად კურთხევის მთელი მისტიკა ორიოდე შტრიხით ისე შთამბეჭდავდაა ლექსში — „დრო არ იცდის, დრო ქარივით მიჰქრის“ — გადმოცემული, რომ ეს სურათი თუ ხილვა სამუდამოდ რჩება მკითხველის ხსოვნაში.



დედა ელენე

ასევე უთბილესი ლექსია „ღვთის სამადლობელი“, რომელიც ისეთივე ნამდვილი და ბუნებრივი გაოცებით იწყება — „როგორ ვცხოვრობდი ნეტავ უშენოდ ამდენი წელი“ — როგორც განცდა, გვიან შექმნილი ბავშვის მშობლებს რომ უჩნდებათ და უკვირთ, — როგორ ვცხოვრობდით აქამდე ნეტავ ამ პანანინას გარეშე.

გარეგნულად, ერთი შეხედვით, უჩინარი, მაგრამ შინაგანად ძალიან მტკიცე ერთგულებითაა ნაქსოვი ის სულიერი ურთიერთობა, რომელიც იდეალურ შემთხვევაში გაიბეჭდა ხოლმე მოძღვარსა და მრევლის წევრებს შორის.

ისტორიულად ქართველი კაცის შემეცნებაში ჩამოყალიბდა პოეტის, მწერლის, საზოგადო მოღვაწის ერთგვარი სტერეოტიპი. მშიერ-მწყურვალი, ჩაუცმელი, გაუხარელი... საუკეთესო შემთხვევაში, დევნილი და სამშობლოდან გადახვეწილი, ხშირად ტყვიით მოკლული და გამეტებული. ეს ხატება და ბიოგრაფია, თუნდაც წმინდანთა ცხოვრებისა, ერთგვარი ბარიერი გახლავთ საიმისოდ, რომ ამ ადამიანთა ადამიანური ტკივილები, დარდი, ტანჯვა და ოცნებები ბოლომდე გავიგოთ და სხვებსაც გავაგებინოთ.

იგივე ითქმის მამულის სიყვარულით გულანთებულ და მოღვაწე სასულიერო პირებზეც. სკეფსისისა და უღმერთობის საუკუნეში მათი არსებობა ხშირად გაუგებარი და შეუფასებელი რჩება თანამედროვეთაგან. ბერ-მონაზვნებსაც, საუკეთესო შემთხვევაში, სქემებით აღიქვამენ, მარადიულობაში, უდროობაში დაყუდებულსა და გარინდულს. ეს რაღაცნაირი გაუცხოების განცდას იწვევს. კარგია როცა კრძალვა იგრძნობა მათდამი, მაგრამ არა გაუცხოება.

დედა ელენე თავისი სწრაფვით სრულყოფილებისაკენ, თავისი ეროვნულობით, სამშობლოს უანგარო სიყვარულით, სულიერი წყობით, ფიქრით, ემოციით, ინტელექტით ამ წარმოდგენის სრული ანტიპოდი. იგი მოულოდნელი სიფხიზლით ადევნებს თვალს დროის დინებას, მის სულისკვეთებას:

**ქუფრი მომდგარა ღრუბელი, ცისა პირ-საბურავადა, თავზე გვექცევა ქვეყანა მტრებისა გასახარადა... გველისა სიბრძნეს მოუხმეთ თქვენს წინაპართა დარადა, დიდი ღვთისი შვილებო, კვლავ ვრჩებით ღვთის ამარადა...**

ეს სიტყვები ქრისტეს ნამდვილი მხედრის მიერაა დანერილი და არა სამყაროს მოცილებული და მხოლოდ საკუთარი სულის ცხოვებაზე მზრუნველი მონაზვნის მიერ.

ჩემს წარმოსახვაში დედა ელენეს რატომღაც ყოველთვის მაღალი ხიდის მოაჯირზე დაყრდნობილს ვხედავ, წყლის დი-



ნებას რომ ადევნებს თვალს. იქნებ იმიტომ, რომ დრო მდინარეა და ამ რეალური მეტაფორისა და ასე ღრმად და კარგად სწორედ მას ესმის. ჩვენი ცხოვრებაც მდინარესავით მიედინება. თანდათან, შეუმჩნეველად მიაქვს ჩვენი სხეულის სიმკვრივე, ფერი, სწორი მხრები და სავსე მკერდი, თვალის სხივი და ხშირი თმის ტყვრი... გულს ქანცავს, მაგრამ სულს ვერ უხერხებს ვერაფერს, ჩვენს სხეულში, როგორც ძველი, დარბეული ტაძრის კედლებში დარჩენილ სულს, რომელიც ხან კელაპტარივით ანთია და ხან პატარა სანთელივით ციმციმებს. ქარიშხალი კი გამუდმებით წენავს მის ცეცხლშერეულ, იისფერ ალს და ვერაფერს აკლებს, ვერაფრით აქრობს...

**დრო ყველაფერს ახუნებს, ბრწყინვალეებს აცლის, აღარც მხატვარს დაინდობს და არც კისკისს ზავშვის...**

და იმ ჩამონათვლის მერე, რომელიც ასე გვეძვირფასება ადამიანებს, ლექსის ფინალში გაისმის სიტყვები:

**აფეთქებულ სიცოცხლეს ვინ დაუდოს ფასი...  
ზღვარი აღარ არსებობს, გაიხედავ არც ის...  
დრო უღმობლად გვაფრთხილებს, ჟამი არის ან რის...**

ეს მართლაც საოცარი გაფრთხილება და მზადების დასაწყისია სულიერ სფეროში შესაღწევად.

დედა ელენეს ბუნება და მისი ცხოვრების დერიტა უჩვეულო გულწრფელობით გამოჩნდა ლექსში, რომლითაც წამიერად დაეჭვებული ადამიანის სასონარკვეთაა ჩვენს წინაშე გამხელილი, რადგან დედა ელენეს მსგავსი პატიოსანი ბუნების მქონე ადამიანისთვის მონაზვნობა, მონაზვნად კურთხევა „თავგანწირვაა და არა ნადილი“...

**მომეცი ძალი, არ ვიყო მხდარი და ტყუილად არ მერქვას ქრისტეს მხედარი.**

აი, ამ მხედრული სულისკვეთებითაა აღსავსე მთელი წიგნი. ხშირად მიფიქრია — წუთით რომ წარმოვიდგინოთ დედამიწა, მთელი მსოფლიო ტაძრების, ეკლესიების გარეშე, სამყარო ერთ დიდ უდაბნოს დაემსგავსებოდა.

თეთრგულა შავ ტიტებს ჰგვანან სამყაროში მიმოფანტული მონაზვნები. ჩვენი ქართველი მონაზვნები კი თეთრგულა შავი მერცხლები არიან, რომელთა დანახვაც, მიუხედავად მათი მარადიული შავი სამოსისა, ჩემში არასოდეს იწვევდა გლოვის განცდას, პირიქით — გაზაფხულთან, აღდგომასთან ასოცირდებოდა ყოველთვის.

დედა ელენეს და მის გვერდით მოღვაწე სასულიერო ნოდების ქალბატონებს უმძიმეს ჟამს მოუწიათ და უწევთ მოღვაწეობა, ქრისტეს მხედრობა. „დღეს, წინაპართა თავდადებული სიყვარული და გმირობა გაზვიადებულ არაკად გვეჩვენება, ისე დავმორებივართ მათ“. ეს დედა ელენეს სევდიანი და როგორც ყოველთვის, მართალი სიტყვებია, რომელთა თქმის უფლებაც მან თავისი ღვაწლით რა ხანია მოიპოვა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საკუთარ მოძღვართან, მეუფე დანიელთან და მონაზვნებთან ერთად მან აფხაზეთში დატრიალებულ ჯოჯოხეთურ დღეებს გმირულად გაუძლო... მათი სულიერი სიმაღლისა და ძლიერების მაგალითი კი გადამდები და გამამხნეველი აღმოჩნდა ათასობით გაუბედურებული ადამიანისათვის.

ამ კრებულში შეტანილ ერთ პატარა ესეიში „ჩვენი სამშობლო“, მთელი დღევანდელი საქართველოს დაუდევრობა და ტკივილია გადაშლილი.

„დღეს იგი უცხო ტომისთვის დაგვიგდია საპატრონოდ, აკი გვედავებიან კიდეც?! იმიტომ, რომ, დიხაც, პატრონი ისაა, ვინც მასზე ცხოვრობს და უვლის. გული აგიტირდებათ, თუ ჩვენს სოფლებში გაივლით. მოხუცების ამარა მიტოვებულ

კარ-მიდამოს თუ შეავლებთ თვალს. მომრავლებულა აფიცრული კარ-ფანჯრები, დაქანებული და მორღვეული ღობეები, ჯაგნარი და ნაფერდებული, სახურავჩაქცეული სახლები...“

ეს რბევა, გაჩეხვა-გამეჩხერება ხდება სულიერ სფეროშიც. დღევანდელი საქართველოს ზნეობრივი ბარიერები ისე მოიშალა, რომ ძნელი წარმოსადგენია, რა ძალა შეაჩერებს ქვეყნის გავერანება-გაპარტახებას. ეს ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიან წლებში დაიწყო, როცა ბავშვებთან, სტუდენტებთან, ქვეყნის მომავალთან, ლექციებსა თუ გაკვეთილებზე, ეგრეთ ნოდებულმა „ინტელექტუალებმა“ თავიანთი პოლიტიკური შეხედულებებით თაობები დანამლეს და გადაავგვარეს... ახლაც იგივე გრძელდება „ინტელექტუალები“ თავიანთი ნეკროფილური ფანტაზიებითა და სულიერი ცვედანობით პატრიოტული ლირიკის ისეთ შედეგებს, როგორიცაა ლადო ასათიანის თუნდაც ეს ლექსი:

**ჰეი, თქვენ არაგველებო! გაუმაძღარო ომითა, თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა...**

მკვდრადშობილ ლექსად მოიხსენიებენ, თან გემოვნებაზე არ დავობენო — ალიბის იკეთებენ, ვითომ ეს ლექსი გემოვნების მაუნყებელ ტესტს წარმოადგენს და არა პოეტური ტალანტისა და სამშობლოს სიყვარულის სინთეზს. ეს მართლაც სულიერად მკვდრები, თავიანთი მორალური გარყვნილებიდან, ვაჟას მორალურ სინმინდესაც ეხებიან, აქაოდა, არც ისეთი ღირსეული რაინდი იყო ეგ მუსუსი, ეგა, როგორც ქართული ქრესტომათიული წყაროები გვაუწყებენო. რა გინდა, რომ ქნა! ენას ძვალი არა აქვს და მათ შუბლს კიდევ ძარღვი. ვერაფერს იზამ, დემოკრატიაა და ადამიანის, როგორც თავისუფალი არსების უფლებები დაცულია. ამიტომ კაცებად კი არა, ეს ადამიანებად ვერშემდგარი „პოლიტიკოსები“ ყველაფრით მეცნიერობენ, ყველაფრის ექსპერტობას ჩემულობენ უპატრონოდ დარჩენილ ქვეყანაში.

დედა ელენეს ამ კრებულში შეტანილია ერთი პატარა ჩანაწერი — „მე არ ვარ ის, ვინც ვარ“.

ავტორი დასაწყისშივე დასაბუთებულად გვიხსნის, თუ რატომ არ აპირებდა ამის შესახებ რაიმეს დანერას: „მაგრამ მივხვდი ერთ რამეს: ეს კურთხევაა და მის უწმიდესობას სურს, თითოეული ჩვენგანი დაგვაფიქროს, საკუთარ გულში ჩავგახედოს, იქნებ სულის სიღრმეში, როგორც სარკეში, ჩვენი სახე დავინახოთ.“

„მე არ ვარ ის, ვინც ვარ“ — არ არის მხოლოდ ფაქტის კონსტატაცია, ეს მოწოდებაა, შეიცნო საკუთარი თავი და მით იპოვო ღმერთი, რამეთუ ღმერთმა თავის ხატად და მსგავსად შექმნა ადამიანი...“

გაუნელებელი ინტერესით გაკითხებს თავს ეს დაკვირვებები საკუთარ თავზე და როცა მისი კითხვა გავასრულე, გამახსენდა წმ. ნიკოლოზ სერბის ერთი დიდებული სიბრძნე-დაკვირვება, ასე რომ დაასათურა წმინდანმა:

„განსხვავებული ადამიანები.“

„ჰკითხე ხორციელ ადამიანს: „ვინ ხარ შენ? ის გიპასუხებს: „მე ვარ“, და მხედველობაში ექნება საკუთარი სხეული.“

ჰკითხე მოაზროვნე ადამიანს: „ვინ ხარ შენ?“ ის გიპასუხებს: „ჩემში ორი ანტიპოდია, და მე ერთი მათგანიდან მეორესთან დავრბივარ“ — ამას ამბობს თავისი ინსტინქტური და შეგნებული ბუნების შესახებ.

ჰკითხე სულიერ ადამიანს: „ვინ ხარ შენ?“ ის გიპასუხებს: „არის ვიღაც ჩემს სულში, მე ხელს ვინვდი, რათა შევეხო მას, მაგრამ მესმის, რომ ამისათვის ჩემი ხელები ზეცაზე ფართო უნდა იყოს. მამ, ჰკითხე იმ ზეციერს, ვინ ვარ მე?“

ასე მგონია, ეს პასუხი სწორედ დედა ელენეს პასუხია. ამის დასტურად კი მან ეს მშვენიერი წიგნი გვისახსოვრა.

თემურ ჩხეიძის სპექტაკლი „გრონოპოლის მეთოდი“, რომელიც რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილის თეატრში დადგა, წარდგენილი იყო თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე (2013) და მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე „საჩუქარი“ (2014).

## მანანა ტურიაშვილი თანამედროვე ჯალათები

ვინ არ ოცნებობს მაღალ თანამდებობაზე, მითუმეტეს თუ ეს მსოფლიოში უდიდესი კომპანიის კომერციული დირექტორობაა, სადაც ყოვლისშემძლე, სასუქვარი ფულის სუნი ასე საამუხრად ტრიალებს. კაცობრიობის არსებობის მანძილზე, მსოფლიოს მრავალფერადი, ეტაპობრივი გადანაწილების პროცესში ადამიანთა ბრძოლის იარაღი მშვილდ-ისრებითა და მახვილებით დაიწყო და XX საუკუნეში ატომური იარაღით დამთავრდა. დღეს, ტერიტორიების გადანაწილების ხანგრძლივი პროცესით დაღლილი დედამინა „მცირე“ საომარი კერების აღმოფხვრას ცდილობს. ბრძოლის იარაღი იმდენად საშიში გახდა, რომ თუ შეეცდები და რომელიმეს მაინც გამოიყენებ, „გრონოპოლის მეთოდში“ ნახსენები „ბუმერანგის პრინციპი“ ამუშავდება: „აგრესიულობა ხანდახან აგრესორს შემოუბრუნდება ხოლმე...“

თანამედროვე კატალონიელი ავტორის, ჟორდი გალსერანის მახვილგონივრულმა ხედვამ ჩათვალა, რომ ადამიანთა ორთაბრძოლების არენა გახდა მოხელეთა, ადვოკატთა, ფინანსისტთა საბუდარი — ნებისმიერი მცირე და დიდი ოფისი, რომელიც მათი ბრძოლის ძირითად ასპარეზად გადაიქცა. ეს არის სწრაფი ლიფტებით აღჭურვილი, ლაბირინთივით დახლართული დერეფნების გრძელი გზა, სადაც გადიან მინოტავრის ტრაპეზისათვის გამზადებული მსხვერპლები, და თუ ძველბერძნული მითის თანახმად ურჩხულის საკვები ახალგაზრდა ჭაბუკები და პირმშვენიერი ქალიშვილები არიან, დღეს, თანამედროვე ხელისუფალთა საკვები ყველა ასაკის ადამიანის სულიერი გადაგვარების პროცესია. თუ მინოტავრი ხორციით იკვებებოდა, თანამედროვე მინოტავრი ადამიანთა გადაგვარებული სულებით იკვებება. ეს უჩინარი მინოტავრი, დიდი, თანამედროვე განათების სახით აბაჟურივით ჭერზე დაკიდებული, ყოვლისშემძლე ღმერთივით თავს დაჰყურებს საოფისე მაგიდას, სადაც „კულტურული შეხვედრების“ ეტიკეტის დაცვით: ოთხი მინერალური წყლის ბოთლი და ოთხი ჭიქა დგას, ხოლო ოთხი ნაცრისფერი გორგოლაჭებიანი სკამი მეტოქეებს ელოდება. აქ მაცრე კოტე მარჯანიშვილის თეატრის ოთხი მსახიობი ორთაბრძოლას გააჩაღებს და რეჟისორ თემურ ჩხეიძის ანალიტიკურ აზროვნებასთან დამეგობრებული, თანამედროვეობაში ფართოდ გავრცელებულ სადისტურ თამაშებში ჩაებმება. ამ თამაშებში მაცურებელიც ერთვება და თითოეული პერსონაჟის სოციალურ დრამაში ასახულ დღევანდელი დღის კომპარებს, რომელიც ჯალათის მათრახივით ურტყამს მათ სულიერ სხეულს — საზარელი, მაგრამ ნატიფი, მსუბუქი იუმორითა და ირონიით ასახულ რეალობას დაგვანახებს.

სპექტაკლში თანაგრძობის ნიღბით შეიარაღებული სამი ნაძირალა ებრძვის ერთ „კარგ კაცს“ — ფერნანდოს, რომელიც მაღალი თანამდებობის დაკავების მიზნით საკონკურსო „გასაუბრებაზე“ თამაშობს აგრესიულ, ნიჰილისტ და ნაძირალა ადამიანს. უდიდესი კომპანიის „რჩეული“ პირები — ე. წ. ფსიქოლოგები: 2 მამაკაცი და ერთი ქალი — გამოგონილ გვარსა და სახელს შეფარებული, კონკურენტთა სახით წარსდგებიან ერთი პიროვნების — ფერნანდო პორტას წინაშე. სპექტაკლის პირველ ნახევარში ეს 4 გმირი მაცურებელს მართლაც ერთმანეთის მეტოქეები ჰგონია, სპექტაკლის მეორე ნახევრიდან ირკვევა, რომ კონკურსანტი ერთია — ფერნანდო, ხოლო დანარჩენი სამი „გრონ-

პოლის მეთოდით“ ანუ სხვადასხვა ემოციურ გამლიზიანებლებზე რეაქციის შეფასებათა ექსპერტები არიან. ასე იწყება ფსიქოლოგიური თამაშები, რომელსაც „ზევიდან“ აკვირდებიან.

წარმოდგენის პირველ ეტაპზე, ენრიკე — ალექო მახარობლიშვილი, მერსედესი — ეკა ჩხეიძე და კარლოსი — აპოლონ კუბლაშვილი ფსიქოლოგიური ტესტების რეალური მოთამაშეები არიან. მათ მახეში უნდა გააბან ერთადერთი კანდიდატი ფერნანდო — ნიკა თავაძე. სამივე ექსპერტი დახელოვნებული, განვრთნილი არტისტია და სხვადასხვა სამსახურებრივი მოვალეობის შემსრულებლის ასაყვანად მრავალი როლი შეუსრულებიათ. ენრიკეს როლის შემსრულებელი ექსპერტი სპექტაკლის პირველ ეტაპზე თამაშობს ოჯახურ ცხოვრებაში ხელმოცარულ მამაკაცს და თანამშრომელ-პარტნიორებთან ერთად აკვირდება ფერნანდოს რეაქციებს. კარლოსის როლის შემსრულებელი პერსონაჟი ტესტში თამაშობს მომავალ ტრანსგენდერს და მისი ისტორიის მოყოლისას, თუ როგორ მივიდა მამაკაცის სქესის ქალის სქესით შეცვლამდე, ასევე აკვირდება ფერნანდოს რეაქციებს. ორივე შემთხვევაში ფერნანდო შეუვალა, აგრესიული და ცინიკური, იგი არცერთს არ აბატიებს ადამიანურ სისუსტეებს, თამამ გადაწყვეტილებებს. ამ მამაკაცთა ამბებში გამოირჩევა მერსედესის ამბავი, სადაც დომინირებს ავადმყოფი დედა, რომელიც ე. წ. კონკურსის მიმდინარეობისას კვდება. „რკინის ლედის“ თავის დამორჩილების“ პროცესს, ცხოვრებისეული ქარიშხლების დარტყმების ცივი გონებით შეხედვას და კონკურსის გაგრძელებას ფერნანდო სარკასტული, ირონიული რეაქციებით ხვდება და მისი შეფასებანი ამკვეთრებს მაცურებლის თვალწინ გათამაშებულ ადამიანის სულიერი გადაგვარების შედეგს.

ამ სამი ექსპერტ-ფსიქოლოგის პირველ ეტაპზე შესრულებულ როლებს მაცურებელი კარგად იცნობს, ვინაიდან საქართველოში თითქმის ყველა პიროვნება არსებობისათვის ბრძოლის უსასტიკეს ბრძოლაში სწორედ რომ ამგვარ თამაშებშია ჩართული. ზოგს შეუმდგარი პირადი ცხოვრება აქვს, ზოგი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისაა და საზოგადოება ამათრახებს, ზოგიც უსულგულო „რკინის ლედის“ თამაშობს.

პუტკუნა, კეთილიმინიანი ენრიკე — ალექო მახარობლიშვილი, იმდენად გულწრფელად ყვება თავის მიერ შეთხზულ მოთხრობას: გაცილებულ ცოლზე, გაქურდვაზე, საყვარელზე, რომ ძნელია ეჭვი შეგეპაროთ მის გულწრფელობაში. თავის მამაკაცურ ლირსებებში დარწმუნებულ ფერნანდოს კი არ სჯერა და აბუჩად იგდებს მას. სპექტაკლის ბოლოს ირკვევა, რომ ენრიკეს ტესტი“ დაფუძნებულია ხელმძღვანელის თანაგრძობის გამოვლენის თამაშის ნიჭზე. მოჩვენებითი თანაგრძობა აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის — ნაძირალას ბუნებას შენიღბვა სჭირდება და მან აუცილებლად უნდა ითამაშოს „კარგი კაცი“. ენრიკესა და ფერნანდოს ორთაბრძოლა — პაექრობაა იმ ორ მამაკაცს შორის, რომელთაც ცხოვრების სექსუალურ პარტნიორად ქალი აურჩევიათ. წარმოდგენის მეორე ნაწილში ირკვევა, რომ ფერნანდოს აქვს აუწყობელი ოჯახური ცხოვრება და ენრიკეს ამბავზე რეაქციები სწორედ რომ მისი ერთ-ერთი ტესტი იყო. ნიკა თავაძე წარმოსადგეი, ესპანელი „მანოს“ დარი აღნაგობის მსახიობია, რომელიც ქალგებობის ყურადღებით განებივრებულია. ამ ორ პერსონაჟთან მამაკაცის ორი ფსიქო-ტიპაჟი იკვეთება, რომელთაც შესანიშნავად და ზუსტი ფსიქოლოგიური სვლებით აწყობენ რეჟისორი და მსახიობები.

ერთ დიდ ოთახში გამოკეტილი ოთხი პერსონაჟის ე. წ. საოფისე ჩაცმულობა ბრწყინვალედ ეწვინის მხატვარ გოგი ალექსიმესხიშვილის მიერ შექმნილ სცენურ სივრცეს. მრგვალი, ამ ადამიანთა ცხოვრებასავით ნაცრისფერი, ნახევარწრიული კედლები ორი კარით ერთადერთ აივანზე გადის, სადაც სცენის უკანა კედელზე მარადმწვანე სუროს ხალიჩა ამ დეკორაციის

ერთადერთი განსხვავებული ფერია. ენრიკეს და კარლოს ნაც-რისფერი პიჯაკები აცვიათ; ფერნანდოს და მერსედესს — შავი. ოთხივე პერსონაჟის კოსტიუმი მოხელე-ჩინოვნიკთა ეტიკეტის ნესს მიუთითებს და საბჭოთა ეპოქის ჩინოსანთა ჩაცმულობაც გაგახსენდებათ. მაგრამ ეს ხომ ოფისია! — დღევანდელი მსოფლიოს ბრძოლის ასპარეზი, სადაც მხოლოდ გარეგნულ ელვანტურობას შეფარებულ ოთხი პერსონაჟი თავიანთი გამოგონილი ცხოვრების თხრობით, მოჩვენებითი ბუნებრიობით აფერადებს სცენურ სამყაროს. ოფისის კედელზე მიტმასნილი სარეველა სურო ერთი მხრივ ოფისის ხელმძღვანელების „გამწვანებისკენ“ ლტოლვას მიუთითებს, მეორე მხრივ — ის დამანგრეველი ძალაა, რომელიც დროთა განმავლობაში დახეტიაეს ამ კედლებს, შუაზე გააპობს და დაანგრევს. „რკინის ლედებისა“ და „რკინის მამაკაცების“ მიერ აშენებულ-ჩამოყალიბებული ადამიანთა ურთიერთობები იმდენად ეწინააღმდეგება ჰუმანისტურ იდეებს, იმდენად ანგრევს ადამიანის — როგორც ღმერთის მიერ შექმნილი ყველაზე დიდი სასწაულის — იდეას, რომ ის მთავარ დესტრუქციულ ძალად გვევლინება.

ერთ ოთახში გამოკეტილი პერსონაჟები ჟან-პოლ სარტრის „ცხრაკლიტულის“ გმირებს ჰგვანან, სადაც „სხვა სხვისთვის ჯოჯოხეთია“. ჟორდი გალსერანის გმირებიც, სარტრის პერსონაჟთა მსგავსად, ჯოჯოხეთში იმყოფებიან და მარჯანიშვილის თეატრის რეჟისორი, სპექტაკლის მხატვარი — კატალონიელი ავტორის ლოგოკას მიდევნებული ეჭვის თვალთუყურებენ ოფისური ფსიქიკის განადგურებას.

სპექტაკლის გმირებს დავალებები, რომელიც უცოდველ და გასართობ სატელევიზიო თამაშებს ნააგავს, დროდადრო გაღებული პატარა სარკმლიდან, კონვერტში კონფიდენციალურად დალუქულ წერილთა სახით ანუ ცივილიზებული ფორმით ეუწყებათ. ყოველი ახალი დავალების დროს გაისმის ჰანგები, რომელიც მუსიკალური ზარდახშის ერთ-ერთ ცნობილ მელოდიას ჰგავს. ამ შემთხვევაში თემურ ჩხეიძემ გამოიყენა ბეთჰოვენის ნაწარმოები „ელიზას“. ეს ლირიკული, სასიყვარულო და ფართოდ გავრცელებული მელოდია სპექტაკლში სარკისტული პასაჟების სახით არის გაბნეული. ყოველი ახალი ტესტის — დავალების უწყებას ეს მუსიკალური ფონი გვატყობინებს, რომელიც გმირთა მონათხრობს შენაკადებით უერთდება და რეჟისორის, მხატვრისა და მსახიობთა მიერ შეთხზულ სამყაროს კიდევ ერთ ირონიულ დინებად გაჰყვება.

ერთ-ერთი დავალება საცირკო სანახაობას ჰგავს. სარკმლიდან თავსაბურავები შემოაქვთ: ტორეროს ქუდი, ჯამბაზის ჩაჩი, ცილინდრი და ეპისკოპოსის მიტრა. რეალურ ცხოვრებაში ეს იმ ოთხი პერსონაჟის ზოგადი სახეა, რომელთა ქმედებანი, კატალონიელი ავტორის აზრით, რეალურ ცხოვრებაში სცენაზე გამოვლას ჰგავს. ტორერო — ლამაზად მკვლელის ან ლამაზად მოკლულის სიმბოლოა, ჯამბაზი — ადამიანის სახეცვლილების სიმბოლოა, როცა ლოყაზე მიხატული ცრემლებით და წითლად შეღებილი ფართო ლიმილის გამომხატველი ნიღბით, ადამიანი თავის ნამდვილ არსს კარგავს; პოლიტიკოსი სადა ცილინდრით გამოიხატება, სწორედ მის ხელშია ძალაუფლება, მას აბარია ხალხის და თითოეული ადამიანის ყოფითი არსებობის ბედი. ეპისკოპოსი მოსახლეობის სულზე ზრუნავს. მწერალი და ალბათ რეჟისორიც ამ პროფესიებს სერიოზულად არ უყურებენ, რადგან ამ ქუდეების გადანაცვლებით არაფერი იცვლება. ვინ მოირგებს ჯამბაზის ჩაჩს? ყოფილი ეპისკოპოსი თუ პოლიტიკოსი ან პირიქით, ამას მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან ამ ოთხი ქუდის მფლობელი პერსონაჟის ანუ ამ ოთხი ადამიანის ცნობიერების მოდელი დიდი ხანია ჩამოყალიბებულია და საკმარისია ქუდი დაიხურო, რომ უმალ გაჰყვები იმ გზას, რომელიც ამ ქუდის ყოფილ პატრონს ჰქონდა არჩეული.

ოთხი ქუდის მფლობელმა სათითაოდ უნდა დაამტკიცოს თავის არსებობის თუ სოციალური მდგომარეობის უპირატესობის ძალა, რათა ჩვენ — მაყურებლები სათითაოდ დავგარწმუნოს თუ ვინ უნდა გადარჩეს ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავიდან ანუ დღევანდელ მსოფლიოში ატეხილ ქაოსს ვინ დააღაგებს?

არადა პარაშუტი ერთია. ამ თამაშების მსხვერპლს — ფერნანდოს ეპისკოპოსის მიტრა ერგო. თუ ის სამი ამ თამაშებს სერიოზულად ასრულებს და თითოეული ამტკიცებს თუ რატომ უნდა გადარჩეს ჯამბაზი, ტორერო და პოლიტიკოსი, ეპისკოპოსის მიტრით შეიარაღებული მსახიობი — ნიკა თავაძე ირონიულად უყურებს მათ ჯამბაზობას, გორგოლაჭებიან სკამს ფეხს შემოკრავს და „გაფრინდება“. „წმინდა ეკლესიას ნუ ეხუმრებით!.. იცოდეთ, რაც უნდა მოხდეს, არ შეშინდეთ: როგორც პროფესიონალი მარადიული სიცოცხლის გარანტიას გაძლევთ.“

ქუდეების შემოტანამდე რამდენიმე ეპიზოდში ყალიბდება 4 გმირის ხასიათის შტრიხები. ენრიკე — კეთილი გულბრწყინი, ცოტადენ დაბნეული, პირად ცხოვრებაში ხელმოცარული და უსუსური ადამიანია და გაუგებარია, როგორ უნდა დაიკავოს ხელმძღვანელის პოსტი; კარლოსი — მაღალი, ტანადი, რიხიანი მამაკაცია, რომელიც მერსედესთან ნარმოქმნილ თითქოს უბრალო დიალოგში შეამჩნევთ მათ შორის ადრე არსებულ, ინტიმური თანაცხოვრების კვალს. მერსედესი — ტანადი, მკაცრი, უზადო აღნაგობის ქალია, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის ეტიკეტის გამუდმებულმა შესრულებამ-თამაშმა უსიცოცხლო თოჯინად გადააქცია. ის ატარებს აგრესიას, სიბოროტეს და გაიფიქრებ: ნაცისტთა მიერ შექმნილ საკონცენტრაციო ბანაკებში ალბათ ზუსტად ასეთი მონესრიგებული და პუნქტუალური ქალები აკონტროლებდნენ გაზის კამერებთან ჩამკრივებულ ხალხს. ფერნანდო — მომხიზველი, მამაცი, შეუვალი, სამსახურებრივი ამოცანის უკომპრომისო შემსრულებელი, რომელიც თითქოს ნებისმიერ ადამიანურ სისუსტეს არცერთ თანამშრომელს არ აპატიებს და კომერციული დირექტორის მაღალი თანამდებობის დაკავების შემდეგ აყვავებს იქაურობას.

სწორედ ამგვარი პიროვნული შტრიხებით შეიარაღებული პერსონაჟები აყალიბებენ სამყაროში ექსპერტ-ფსიქოლოგების საკითხს. ალიარებენ მათ ვამპირულ ბუნებას, თანამშრომელთა პირად ცხოვრებაში ვაქექვის უზადო ნიჭს და ადამიანთა ზომბებად გადაქცევის საშინელი პროცესის წარმართველ ძალას. ფერნანდო მათ „ურჩხულებს“ უწოდებს.

თემურ ჩხეიძე კარგად გრძნობს თანამედროვე საქართველოს „სამსახურებრივი“ ყოფის ნიშან-თვისებებს. ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა დანესებულების ხელმძღვანელები და მათი გარემოცვა ხშირად ასრულებენ „ურჩხულის“ როლს, მათ ხელში ჩავარდნილი ნებისმიერი თანამშრომელი — პლანტაციამო მომუშავე დისკრიმინირებული შავკანიანი მონის მსგავსად, აუტანელ შრომით პირობებში ცხოვრობს. ამიტომ სულგანაბული უყურებს და უსმენს მსახიობთა პაექრობას ქართველი მაყურებელი და გრძნობს, რომ რეჟისორი, როგორც მოაზროვნე და ხალხის გულშემატიკივარი, მათ გვერდით დგას და ცდილობს შეუმსუბუქოს არსებობისათვის ხელჩართულ ბრძოლაში შებმულ მოქალაქეებს მონური შრომის მძიმე ხვედრი. დარბაზში მსხდომი მაყურებლებისათვის ფსიქოლოგთა „ურჩხული“ თამაშები (უცხო არ არის. ლუკმა-პურისათვის მეტროდო ქართველი ხალხის ნაწილს, რომელმაც ვერ შეძლო თაღლითობა, ვერ დაიკავა ნაძირალის ეკალ-ბარდებითა და ია-ვარდებით მოფენილი გზით მაღალი თანამდებობა ან ვერ გახდა ხელმძღვანელის დაახლოებული პირი, ან ვერ შეძლო მოპარვა, პლანტაციამო მომუშავე ზანგივით იმდენ გასამრჯელოს უხდიან, რაც მხოლოდ გამოსაკვებად სჭირდება, რათა მეორე დღეს ფიზიკურად მაინც გააგრძელოს სამსახურში მონური შრომა. ის იაფფასიან საკვებს ჭამს და ნელ-ნელა თავს იწამლავს: თუ სიკვდილია, სიკვდილი იყოს! — ამბობს დაბრმავებული ქართველი და კონსერვანტებით დატენილ ძეხვეულობას, რძის ფხვნილით დამზადებულ ვითომ რძის ნაწარმს აჭმევს თავის ნაშიერს და სიკვდილს აჩქარებს. ქართველი მაყურებელი კარგად გრძნობს, რომ ესპანელ ფსიქოლოგ-ექსპერტთა როლი საქართველოში ხელმძღვანელმა პირებმა მიირგეს, რომელთა დავალებას მისი გარემოცვა ასრულებს. ეს ხელ-ქვეითები „უფროსის“ საამებლად ყველა ადამიანური ნორმის გადასაბიჯებლად მზად არიან, „უფროსის“ საამებლად კარგად

შეისწავლეს ექსპერტ-ფსიქოლოგის როლი და „სამსახურის დაკარგვის“ შიშის სინდრომით დაავადებულებს ხელში უჭირავთ საქართველოს ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებულება, სადაც ლუკმა-პურს გამოდევნებული ხალხის ზურგს რკინის კბილანებით დამშვენებული მათრახებით ხვდებოდა ხელმძღვანელის კომპლექსები, ბავშვობაში მიღებულ ტრავმათა შედეგები; დაბეჩავებული ხალხი ითმენს მის უსამართლო ფუფუნებით ცხოვრებას, ათასგვარ პრივილეგიას, რესტორნებში მდიდარი ევროპელივით სადილობას...

და ეს ყველაფერი სახელმწიფო ხარჯზე ხდება, და ამას მხოლოდ იმიტომ ითმენს, რომ შიშშილისაგან სული არ გაძვრეს და ცოტა ხნით მაინც გადარჩეს და ერთი-ორი კაპიკით „ევროპული სექენდ ჰენდით“ სხეულის შიშველი ნაწილები შეიმოსოს. თუ ესპანეთსა და ევროპის ნამყვან ქვეყნებში ექსპერტ-ფსიქოლოგთა პრობლემა დგას, საქართველოში ევროპული ექსპერტ-ფსიქოლოგების სახეცვლილი, სექენდ-ჰენდური ანუ ევროპელთა ნახმარ და გამოცვლილი ფსიქიკის მორგებული ხელმძღვანელები ჰყავთ, რომელნიც ქართველთა ეროვნულ, მანკიერ თვისებებს შეფარებულნი, ასევე ამაყად დააქროლებენ დაქირავებული მძღოლით დაქოქილ, ასევე „სექენდ-ჰენდურ“ — ევროპელებისა თუ ამერიკელების თუ აზიელების მიერ გამოცვლილ — მანქანებს, რომლის გაუმართავი მექანიზმის გამოწვევით სუნთქავს „მონურ შრომას“ ან სულაც პიტალო უმუშევრობაში ჩავარდნილი ქართველი ხალხი.

სპექტაკლის საინტერესო ეპიზოდია „მარო“ მამაკაცსა და სქესის გამოსაცვლელად შემზადებულ მამაკაც კარლოსს შორის უნებლიე, წამოცდენილ რეაქციებზე აგებული ურთიერთობის გამოსავლენად ჩატარებული ტესტი, სადაც იკვეთება რეალობაში არსებულ სიტუაციებში იმ ადამიანთა პრობლემა, რომელთაც სქესის შეცვლა გადაწყვიტეს ან არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მიმდევრები არიან. კარლოსის როლის შემსრულებელს იმდენად მამაკაცური, ბოხი ხმა აქვს და ფიზიკური აღნაგობითაც იმდენად ბრგვა, რომ მის მიერ ტესტის თამაშში მონაწილეობის პროცესი მყურებელში დაეჭვებას იწვევს: იქნებდა ხუმრობს კარლოსი? აპოლონ კუბლაშვილი სერიოზულად ასრულებს იმ სასონარკვეთილ მამაკაცს, რომელიც უკვე ორი კვირაა ჰორმონებს ყლაპავს და სქესის შეცვლის მიზნით ოპერაციისათვის ემზადება. ტრაგიკული პასაჟებით სავსეა ამ პერსონაჟის თავგადასავალი, ხოლო მის მონათხრობზე პერსონაჟთა რეაქციები განსხვავებულია, სადაც იუმორსაც იგრძნობთ, გაცვებასაც, თავშეკავებულ თანაგრძნობასაც, სარკაზმსაც და გმირების შეფასებათა კორიანტელში ნათლად ვხვდებით იმ ადამიანის დრამას, რომელიც დაიბადა მამაკაცის სქესით და ფსიქოლოგიურ კვლევათა შედეგად სქესის შეცვლა გადაწყვიტა, რის გამოც უჭირს ურთიერთობა ე.წ. ტრადიციული აზროვნების ადამიანებთან, რომლებიც მის მაღალ თანამდებობაზე დანიშნვის წინააღმდეგნი არიან.

ამ სამი კანდიდატიდან მის მიმართ ყველაზე სარკასტული ფერნანდოა: „...კარლოს, ძვირფასო, არ შეიძლება, არ შეიძლება სერიოზული პრეტენზია გქონდეს ასეთ მაღალ თანამდებობაზე და ამავდროულად ტრანსვესტიტი იყო.“ კარლოსის მიმართ ჩუმი პროტესტი აქვს გაოგნებულ მერსედესს, რომელსაც ერთდროს ამ კაცთან რომანი ჰქონდა. ქალი ყოფილი საყვარლის მიმართ უცნაურ გრძნობებს განიცდის, თან თანაუგრძნობს, თან შეცბუნებულია, იმიტომ რომ ერთდროს ამ მამაკაცთან იწვა და მყურებელი გრძნობს — როგორ იხსენებს მერსედესი ინტიმური ცხოვრების ყველა დეტალს, რათა თავი გაიმართლოს, რომ მაშინ, რამდენიმე წლის წინათ, მისი ქალური ალლო არ შემცდარა და სქესის შესაცვლელად გამზადებულ მამაკაცს ერთდროს ნამდვილად აინტერესებდა ის. წარმოდგენის მეორე ეტაპზე ირკვევა, რომ კარლოსის ეს ეპიზოდი მოგონილია და ესეც ფერნანდოს ტესტი იყო, რათა ექსპერტებს თვალნათლივ შეეფასე-



ეკა ჩხეიძე (მერსედესი), აპოლონ კუბლაშვილი (კარლოსი), ნიკა თავაძე (ფერნანდო), ალექო მახარობლიშვილი (ენრიკე)

ბინათ ადამიანის ცხოვრებაში დატრიალებული ამბავი, რომელიც მისთვის დრამას წარმოადგენდა. აღმოჩნდება, რომ ფერნანდოს ძმა ჰომოსექსუალია და სწორედ ამის გამო აქვს კონფლიქტი ძმასთან. როგორ მოექცეოდა ის სქესშეცვლილ თანამშრომელს — არასახარბიელოდ. მაგრამ როგორ მოექცეოდნენ ექსპერტ-ფსიქოლოგები? სქესშეცვლილის მიმართ ლმობიერებას ითამაშებდნენ, სინამდვილეში კი მაინც შეავინრობდნენ.

მაყურებელი წარმოდგენის პირველ ეტაპზე დიდი ინტერესით ადევნებს თვალს სცენაზე მიმდინარე მოქმედებას. ის თითქოს იქაა, მათთან — პერსონაჟებთან. ის მსახიობებთან ერთად ჩაბმულია იმ ორთაბრძოლაში, რასაც დღევანდელ დღეს სამსახურის თუ თანამდებობის მოპოვების სამკვედროსასიცოცხლო ბრძოლა ჰქვია.

სპექტაკლის მთავარი მამოძრავებელი ინტრიგა ვაკანტური თანამდებობის დაკავების კონკურსის პრინციპზეა აგებული, რომელიც ფარსს ემსგავსება. აქ მნიშვნელობა არა აქვს კონკურსანტთა პროფესიონალიზმსა თუ შესაძლებლობებს, აქ უპირატესობა ენიჭება იმას თუ ვინ იქნება უფრო სასტიკი და ვინ ვის და როგორი წარმატებით დაუდებს ფსიქოლოგიურ კვანტს და ვინ უფრო მეტ ფანტაზიას გამოიჩენს სიტყვა — ნაძირალას გასამართლებლად და უკვდავსაყოფად. სპექტაკლის ფინალში გაისმის ფრაზა, რომელსაც მკაცრი „რკინის ლედი“ — მერსედესი პირში მიახლის ფერნანდოს: „ჩვენ არ ვგჭირდება კარგი კაცი, რომელიც თავს ნაძირალად ასალებს; ჩვენ ვეძებთ ნაძირალას, რომელიც კარგ კაცს ძალიან ჰგავს.“

და მაინც, ფსიქოლოგ-ექსპერტთა გამოგონილ ტესტ-თამაშებში ყველაზე დაუნდობელი და სასტიკი მერსედესის თამაშია: კატალონიელი ავტორი და ქართველი რეჟისორი ფსიქოლოგიური სვლებით ამხელენ დღევანდელ ყოფაში ჩავარდნილ ადამიანთა მდგომარეობას. მერსედესის პერსონაჟის ხასიათი და მისი მოტივაცია ყალიბდება გარედან შემოსული სატელეფონო ზარების ფონზე, მერსედესის ფიქრები ასე ყალიბდება: 1. დედა ცუდადაა. იქნებ სამიში არაფერია?... 2. დედა ავადმყოფობს და საავადმყოფოშიც ხშირად მოხვედრილა... მე არ დავტოვებ კონკურსს! 3. დედა გარდაიცვალა, ნახევარი საათი არაფერს შეცვლის. მე გავაგრძელებ კონკურსში მონაწილეობას!

მერსედესის ქმედებით რეჟისორი თემურ ჩხეიძე არწმუნებს ყველას, რომ დღევანდელ დღეს შექმნილ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში ადამიანი არ დატოვებს კონკურსს მხოლოდ იმ პრაგმატული ლოგიკით, რომ მართლაც: „დედა გარდაიცვალა, ნახევარი საათი არაფერს შეცვლის.“ ამ მოსაზრებას აპროტესტებს ხან ცინიკურად, ხან ირონიულად, ხან გულისტკივილით ფერნანდო, რომელსაც „რაღაც“ არ მოსწონს ფსიქოლოგთა გამოგონილ „გრონჰოლმის მეთოდში“, რომლის

ეკა ბუჯიაშვილი

# „ერთი ქეთი სვანიძე“

აზრიც ნელ-ნელა ირკვევა. გრონჰოლმის მეთოდით ადამიანებს უქმნიან ისეთ ექსტრემალურ გარემოს, სადაც ხდება ფსიქიკის ანიოკება და მასში ჩაბუდებულ დამანგრეველ დემონთა გაღვივება, და თუ ეს დემონები ინდივიდს არ ანუხებენ — რაც იშვიათია, ამ მეთოდის მიხედვით ადამიანში მისი ჩანერგვა-დანერგვა ხდება.

სპექტაკლის ფინალში აღმოჩნდება, რომ ალექო მახარობლიშვილის, აპოლონ კუბლაშვილისა და ეკა ჩხეიძის მიერ შესრულებული გმირები სწორედ რომ დემონის დამანგრეველი ძალით შეიარაღებული თანამედროვე ფსიქოლოგები არიან, რომლებმაც იმიტომ შეინაველეს ეს საგანი, რომ ადამიანთა საზინაღმდეგო იარაღად გამოეყენებინათ. ისინი ამონებენ ადამიანში ჰუმანიზმის დოზას და თუ აღმოაჩენენ, მის ლიკვიდაციას ახდენენ, სწორედ რომ იმ ფსიქოლოგიური ტესტებით, რომლებიც ასეთი სცენური ოსტატობით შექმნა ჟორდი გალსკრანმა და ასეთი უზადო, დახვეწილი ურთიერთობებით ააგო რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ, რომელიც სვამს პრობლემას ე. წ. უბოროტო ბოროტმოქმედების, უსისხლო დანაშაულის შესახებ, რომლის მსხვერპლი კი არ კვდება, არამედ იზოლაციაში შეკავიან. ეს ახალი, XX საუკუნეში ჩამოყალიბებული „საოფისე ბოროტმოქმედების“ სახეა, რომელსაც შეიძლება ფსიქოლოგიური შეტევით გამოწვეული დანაშაულიც ვუნოდოთ. ამ დანაშაულს ჩვენს დროში სჩადის ამა თუ იმ დაწესებულების ხელმძღვანელი, რომელიც, დესტრუქციულ ძალებს დამონებული, თანამდებობის დაკარგვის შიშით გარშემო იკრებს ისეთ სამუშაო ჯგუფს, რომელიც ყოველგვარი დისკრიმინაციისათვის არის მზად. ხელმძღვანელთან მჭიდროდ დაკავშირებული გუნდი — სამსახურის დაკარგვის შიშით გაერთიანებული — ერთ მჭიდრო წრეს ქმნის, სადაც შხამიანი ნებოა დასხმული და იქ მოხვედრილი მათი მსხვერპლი ფსიქოლოგიური მკვლელობისათვის არის გამზადებული. ისინი მომავალ კონკურსანტზე ფსიქოლოგიურ თავდასხმებს ახორციელებენ, როგორც ეს ხდება ნიკა თავაძის მიერ შესრულებულ პერსონაჟის შემთხვევაში, უწყობენ გამოცდებს, რომელთაც სარკასტულად ტესტები ჰქვია, დაბოლოს, თემურ ჩხეიძის სპექტაკლის ბრწყინვალე სცენისა არ იყოს, თავიანთ მსხვერპლს „იზოლაციორის“ საგზურს გამოუწერენ. მხოლოდ ასე, ჩუმად, შეუმჩნევლად, უსისხლოდ და „სუფთად“ შეგიძლია ჩამოიშორო დღევანდელ დღეს, დღევანდელ საქართველოში არასასურველი კონკურენტი.

როცა ფსიქოლოგ-ექსპერტთა „თამაში“ დასასრულს უახლოვდება, ყველაფერს ფარდა ეხდება და აღმოჩნდება, რომ ენრიკე — ალექო მახარობლიშვილი ერთი ჩვეულებრივი სადისტი-ფსიქოლოგია, რომელიც საქმნიანად დატოვებს სცენას. ფინალისაკენ მიმავალ ეპიზოდში მერსედესი და ფერნანდო პაექრობენ, სადაც დიალოგში ჩართულ ნიკა თავაძის საწყალ გმირს გამარჯვებისა სჯერა. იგი ბრწყინვალედ ასრულებს „ზევიდან მოსულ“ ამოცანას: „მევალებოდა, ამეტირებინე“. ექსპერტ-ფსიქოლოგი მერსედესი, რომელსაც შესანიშნავად ასრულებს ეკა ჩხეიძე, ისეთი გულწრფელობით ტირის, მაყურებელსაც სჯერა ამ პერსონაჟის, მაგრამ ფოკუსი სწორედ რომ ისაა, რაც სცენაზე ხდება, ყველაფერი ფსიქოლოგ-ექსპერტთა მოგონილი ვაიმბა-ზობა ყოფილა. ფერნანდო, როგორც კი გაიგებს, რომ ეს სამი კაცი მას ამონებდა, უმაღ იცვლება და იწყებს ლაქუცს მომავალ — შესაძლო უფროსთან დამაკავშირებელ კადრებთან, და როცა ოთხივე გმირი კვლავ სცენაზეა და ირკვევა, რომ ყველა ერთადერთ ადამიანს — ფერნანდოს ამონებდა — ღირს თუ არა მისი მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა, მართლაც რომ პირდაღებულ მაყურებელს ჩუმი სიცილი შეიპყრობს; ჩუმი, ვინაიდან ფერნანდოს, კარლოსის, მერსედესისა და ენრიკეს დრამა მისი დრამაც არის და ის ამ ესპანელ გმირთა მსგავსად ანაერტხელ აღმოჩენილა ამ პერსონაჟების როლში.

საბოლოოდ ფერნანდო რჩება მარტოდმარტო. ის ამ ოფისიდან თავს ვეღარ აღწევს, გარე სამყაროსთან ყველა დამაკავშირებელი ძაფი განწყვეტილია. ფსიქოლოგ-ექსპერტებმა ხაფანგში მოიძწყადიეს ფერნანდო და „იზოლაციორში“ მიუჩინეს სამუდამო ადგილ-სამყოფელი. უზარმაზარი პროექტორი ჯერ სავარძელში უძალოდ დაგდებულ ნიკა თავაძეს გაანათებს და მერე თითქმის სათითაოდ ჩამოუფლის მაყურებელს, რომელიც დღევანდელ ყოფაში აუცილებლად შეასრულებდა ან ფსიქოლოგ-ექსპერტის და ან ფერნანდოს როლს; ან პირად ცხოვრებაში ხელმოცარულია ან დევნილი ტრანსგენდერია ან ამაყი „მაჩოა“ და ან ცივი „რკინის ლედი“.

დედას უნდოდა, ოპერის მომღერალი გამოსულიყო, თვითონ კი ჯერ კიდევ სულ პატარა ამბობდა, რომ „სალაპარაკო“ მსახიობობა სურდა, მომღერლობა — არა.

ბავშვობის ოცნება აიხდინა.

რთულად.

ნაბიჯ-ნაბიჯ.

თუმცა ფიქრობს, რომ გაუმართლა კიდევ.

აი, ისე, საჭირო დროს საჭირო ადგილას რომ აღმოჩნდები; ღმერთიც რომ გადმოგხედავს ზემოდან, მარტო კი არ გადმოგხედავს, გაგიღიმებს კიდევ და... სადღაც ბედისწერის მისტერიაში გავხვულ სივრცეებში შენთვის, სწორედაც რომ შენთვის დაიქუხებს „ავრორა“.

ასე ფიქრობს რუსთაველის თეატრის ახალგაზრდა მსახიობი ქეთი სვანიძე, ვისი ნიჭიერებაც უკვე აღმოაჩინა მაყურებელმა სხვადასხვა სპექტაკლში ნათამაშევი როლებით, თუმცა რესპონდენტიც არანაკლებ საინტერესო და უშუალო აღმოჩნდა და ამაში მკითხველი თვითონ დარწმუნდება.

## ესაც „ავრორა“

დიდ სცენაზე დადგომა, მისი თქმით, რობერტ სტურუას დამსახურებაა. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს რომ ამთავრებდა, ბატონ რობერტს რეჟისორები აუყვანია მაგისტრატურის ორწლიან კურსზე, თითოეული თვის სპექტაკლების დადგმა დაუვალვითა და ნება დაურთავს, სტუდენტებიც დაეხმარებინათ. სწორედ ასე შეხმიანება რეზო შატაკიშვილი და შეუთავაზებია ერთ-ერთი როლი ზღაპარში „უფლისწული და ჭეშმარიტება“.

სიხარულით დათანხმდა.

ეს ხომ შანსი იყო, რუსთაველის თეატრის სცენაზე ეთამაშა.

რეპეტიციებს კი ზოგჯერ თვით რობერტ სტურუაც დაესწროდა.

აი, სასწაული სპექტაკლის შემდეგ მოხდა.

სამი დღის მერე რეკავს ტელეფონი და:

— თქვენ რუსთაველის თეატრში ხართ დაბარებული.

ისეთი დამემართაო, — ამბობს, — ემოციებისგან 38 გრადუსი მქონდა სიცხე. ვიფიქრე, რაღაც კასტინგივით ჩაგვიტარებოდა.

ვფგავარ.

ველოდები.

განათებულ სცენას ვხედავ, სადაც რეპეტიცია მიმდინარეობს სპექტაკლისა „ბიდრემანი და ცეცხლის წამკიდებლები“. ვფიქრობ, რომ სულ ცოტა ხანში ამ სცენაზე ჩვენ დაგვაყენებენ, რაღაცას ნაგვაკითხებენ. მომზადებული მაქვს ლექსიც, პროზაც... საკუთარი გულისცემა მესმის, ვღელავ, ვაითუ რამე ისე ვერ გავაკეთო და შანსი ხელიდან გავუშვა...

დასის მმართველი დავით უფლისაშვილი ეკითხება რეჟისორს:

— რა ქნან, ბატონო რობიკო, ამ ბავშვებმა?

ის კი:

— რა უნდა ქნან? დასხდნენ რეპეტიციაზე, მერე კი უნდა ითამაშონ!

ვიფიქრე, რომ მომეჩვენა. გონებაში თავიდან აღვიდგენ პასუხს და ყურებს არ ვუფერებ.

აი, ასე აღმოვჩნდი პირდაპირ რეპეტიციაზე, პირდაპირ რუსთველის თეატრში, სადაც ისეთ მსახიობთა გვერდით მომინია დგომა...

...და როცა ჩემ წინ ის უზარმაზარი ფარდა პირველად დაიხურა, ვიფიქრე, რომ...

რომ ცხოვრებაში ყველაფერი ხდება.

რომ მიუღწეველი თურმე არაფერია.

...და ერთხელ, თუნდაც მხოლოდ ერთხელ, ყველასთვის შეიძლება დაიქუხოს „ავრორამ“.

### „დღეს ჯღამაძე ვარ“

უცნაური — თუ თავისებური — მიდგომა აქვს ბატონ რობერტს მსახიობების მიმართ.

ძალიან კარგად ცნობს ადამიანებს და ხვდება, ვის რა დამოკიდებულება აქვს საკუთარი საქმის მიმართ.

რთულია თუ არა მასთან მუშაობა?

უფრო — საპასუხისმგებლო!

მაგრამ ნებისმიერი რეპეტიცია, გავლილი ბატონ რობერტთან, ძალიან ბევრს გიტოვებს. ასე კონკრეტულად ვერ გეტყვით, რას, მაგრამ ყველაფრიდან სწავლობ — როგორ მიუდგე როლს, როგორ გახსნა, როგორი დამოკიდებულება უნდა გქონდეს, საერთოდ, ყველაფრის მიმართ, რასაც აკეთებ.

მკაცრი?..

კი, არის! გაბრაზებულიც მინახავს, მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან გეხმარება.

აი, შემოვა რეპეტიციაზე და იტყვის:

— დღეს ჯღამაძე ვარ!

რაც ნიშნავს, რომ გაბრაზებულია და უნდა „გვეჩხუბოს“, მაგრამ... მან ყოველთვის ზუსტად იცის, რას აკეთებს და ყველაფრით გაძლევს ბევრი რამის შანსს.

მე, მაგალითად, ისეთი რამეები გამაკეთებინა სცენაზე, რაზეც ვერც ვიოცნებებდი.

თუნდაც ის, ლედი მაკბეტის არია რომ შემასრულებინა „მარია კალას-ში“. ეს ისეთი რთული არიაა, დიდი საოპერო მომღერლებიც ძნელად თუ შებედავენ ხოლმე, მე კი ყოველ სპექტაკლზე უნდა მემღერა. ძალიან რთული იყო ვოკალზე მუშაობის პროცესიც. ექიმმა მითხრა, რომ თუ ხმას პროფესიულად არ დავამუშავებდი, შეიძლებოდა ხმის იოგები დამეზიანებინა. ამიტომ ყველა წესის დაცვით დავინწყე მუშაობა და ახლაც ასე ვცხოვრობ — ოპერის მომღერალივით — სულ ვუფრთხილდები ხმას, ვაკონტროლებ, რომ არ გავცივდე, ყელის პრობლემა არ შემიქმნას რამემ. იმ ერთ საათში ხომ იმხელა ენერჯია მეხარჯება, რამდენიმე სპექტაკლს რომ ეყოფოდა, მაგრამ მაყურებელს ეს არ აინტერესებს.

იგი მოდის სპექტაკლზე და იმედი არ უნდა გაუცრუო — არც მას და არც იმ ადამიანებს, რომლებმაც ამხელა ნდობა გამოგიცხადეს.

პასუხისმგებლობა კი მათ წინაშეც გაქვს, ვინც ეს თეატრი შენამდე მოიტანა. შესაძლოა ვერასოდეს გაუტოლდე იმ ადამიანებს, მეტიც, ვერც შესწვდე, მაგრამ ის, რაც დაგხვდა, ღირსეულად უნდა შეინარჩუნო. ამას კი თავდაუზოგავი შრომა სჭირდება.

სწორედ ამას გვასწავლის ბატონი რობერტი სხვა ყველაფერთან ერთად — მაშინაც, როცა „ჯღამაძეა“, და მაშინაც, როცა მკაცრი არ არის, რადგან: პროფესიონალიზმთან ერთად თითოეულმა ჩვენგანმა ისიც უნდა გაცნობიეროს, რას ნიშნავს რუსთაველის თეატრის სცენაზე დგომა.

### ის უჩვეულო ოთხი წელიწადი

მსახიობობა იმდენად რთულია, თუ ძალიან არ გიყვარს ეს პროფესია, ძნელია თავი გაართვა.

ეს იმხელა შრომაა, იმოდენა ძალისხმევა სჭირდება და ისეთი რამეების გადატანა გინევს...

აი, ახლაც, მუშაობს როლზე, რომელიც, ფიქრობს, რომ ჯერ კიდევ ვერ მოირგო, ვერ გაითავისა...



ქეთი სვანიძე

სულ ათი სპექტაკლი აქვს ნათამაშევი და, ცხადია, ყველა როლი განსხვავებული უნდა იყოს, რისი მიღწევაც იოლი არ არის:

— მე ხომ ერთი ვარ, ერთი პიროვნება, ერთი ქეთი სვანიძე, რომელიც შეიძლება ყველგან გაგეპაროს. ამიტომ ისე განვიცდი თითოეულ როლზე მუშაობას, პრემიერის წინ ხასიათი მიმდინდებაო.

მუშაობაში კი ძალიან ეხმარება სკოლა, რომელიც აქამდე გამოიარა.

შალვა განერელიას გამოარჩევს პედაგოგებიდან.

— რთული პიროვნება იყო, — ამბობს, — მაგრამ მასთან ისეთი ოთხი წელი გამოვიარეთ, იმდენი რამ გვასწავლა, ალბათ მთელი ცხოვრება რომ დასჭირდებოდა. არასოდეს გვაძლევდა უფლებას, მიღწეულით დავკმაყოფილებულიყავით, მუდმივად გვასწავლიდა, შენიშვნებს გვაძლევდა. მან პირველ კურსზე თითქოს დეტალებად დაგვშალა ყველა და თავიდან ავგანყო — პიროვნულადაც და პროფესიულადაც.

შედეგა თუ არა მისი „ანყობილი“ პიროვნება და პროფესიონალი?

ყოველდღიურად, როცა ვმუშაობ და ხან სად ვგრძნობ იმ ოთხი წელიწადის შედეგს და ხან სად ვრწმუნდები, რომ შალვა განერელია იყო დიდი ადამიანი, რომელმაც ზუსტად იცოდა, ვის რა გვჭირდებოდა.

— ეს პიროვნულად!

რაც შეეხება პროფესიონალიზმს, აქაც თანდათანობით გამოჩნდება — როლზე მუშაობისას მუდმივად მეხმარება ბატონ შალვასთან გამოვლილი წლების გამოცდილება, თუმცა... პროფესიონალად შევდექი-მეთქი, — ვერ ვიტყვი ჯერ. თუ რამ არ მიყვარს ადამიანებში, ამბიციურობაა. თანაც მიმაჩნია, რომ როგორც კი ამბიციებს აპყვები, საკუთარ მე-ს კარგავ. ნებისმიერი წარმატება ჩემთვის უპირველესად დიდი პასუხისმგებლობაა.

აი, მაგალითად „საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობი ქალის“ ჯილდო რომ გადმოგეცა ოდესღაც როლისათვის სპექტაკლში „გაუმარჯოს ბუშონს“, მახსოვს, ვიდექი სცენაზე და საკუთარ თავს ვმოდღვრავდი:

— ამის შემდეგ განა გაქვს უფლება, რამე შეგეშალოს? რამეს ძალისხმევა დააკლო?

რამე არ გამოგივიდეს, თუნდაც ერთი იყო, ერთი ქეთი სვანიძე, რომელიც შეიძლება ყველგან გაგეპაროს.

„...არის დიდი და პატარა მსახიობი“

ახლახან ერევანში იყვნენ გასტროლზე სპექტაკლით: „მარია კალასი — გაკვეთილი“.

ანშლაგებით მიმდინარეობდა წარმოდგენები სუნდუკიანის სახელობის თეატრში. ძალიან ემოციურად მიიღო მსახიობებმა — არა მხოლოდ იქ, აქაც.

ეს იმ სპექტაკლთაგანია, რომელთა შემდეგაც მსახიობები საეროდაც შედის და მადლობას უხდის მსახიობებს.

— მახსოვს ქალბატონი, რომელიც ფოიეში იდგა და ამბობდა: აღარ მინდა თეატრიდან გასვლა, ისეთ განცდებში ვარ, ყოფითობის დანახვა აღარ მინდაო.

საკმაოდ მძიმე სპექტაკლია, მაგრამ ისე კარგად აქვს აწყობილი ბატონ რობერტს, იუმორიც ისეთ მაღალ ხარისხშია და დრამატული მხარეც, რომ მსახიობები მთელი სპექტაკლის განმავლობაში დამუხტულია.

ჩემი პერსონაჟი არაფრით მგავს და ამ როლზეც ბევრი ვინვალე. ცხადია, ფრთხილად ანგელოზები არავინ ვართ და არც ის უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ რაღაც შეცდომა არ მოგვივა და მსგავსი რამ არ დაგვემართება, მაგრამ...

აი, ამ პერსონაჟთან საერთო სრულიად არაფერი მაქვს.

შერონ გრემი, სტუდენტი გოგონა, ძალიან ამბიციური, ცოტა უზრდელიც, ზედმეტად თამამი და თავდაჯერებული... ვინც თანდათან აცნობიერებს საკუთარ შეცდომებს და საოცარი გარდასახვა ხდება მასში.

საერთოდ, ეს ის თვისებებია, რომლებსაც ვერძევი, მაგრამ ასეთი გმირის გაცოცხლება სცენაზე, რთულთან ერთად, საინტერესოც არის — სრულიად სხვა ადამიანის ტყავში შედიხარ და მსახიობი უნდა დაარწმუნო მის უარყოფით თვისებებშიც და იმ მეტამორფოზაშიც, რასაც ეს გმირი სცენაზე განიცდის.

სხვათა შორის, არასოდეს მიოცნებია რომელიმე როლზე.

არც ისეთი პერსონაჟის განსახიერება მინატრია, რომელიც მგავს.

მე თუ მკითხავთ, განსხვავებული ხასიათის შექმნა უფრო მეტს გაძლევს, როგორც მსახიობს.

საოცრებო და საყვარელი კი ყველა ნათამაშევი როლია ჩემთვის.

საერთოდ, ვფიქრობ, რომ ძალიან ჩვეულებრივ პიესაში ერთმა არაფრით გამორჩეულმა როლმა შესაძლოა ისეთი წარმატება მოგიტანოს, უკეთესს რომ ვერ ინატრებ.

...გეთანხმებით, ასეა, მართლაც არ არსებობს დიდი და პატარა როლები, არის მხოლოდ დიდი და პატარა მსახიობი, ოღონდ ამ სიმაღლეს რომ მიაღწიო, ბევრი, ძალიან ბევრია გასაკეთებელი.

„ღირდა“

საერთოდ ფიქრობს, რომ თითოეული როლი რაღაც განსაკუთრებულს სძენს.

აი, მაგალითად, ბერძენი რეჟისორის გრიგორი კარანტიანის სპექტაკლში „ელექტრა“ ქოროში თამაშობს.

— თითქოს არაფერი, მაგრამ ძალიან რთული როლიაო, — ამბობს, მთელი სპექტაკლის განმავლობაში ექვსი ადამიანი

სცენაზე ვმოდრობთ და ფონს ვქმნით და ერთსაც რომ შეეშალოს რამე, ბევრად უფრო თვალშისაცემია და უფრო რთულად გამოსასწორებელი, ვიდრე სოლო გამოსვლისას სცენაზე.

გაცილებით მეტად უნდა ფლობდე თავს, სიტყვა სიტყვას არ უნდა ასცდეს, მოძრაობა — მოძრაობას, სინქრონი არ უნდა დაირღვეს, ტემპრიდან არ უნდა ამოვარდე და თან უსმინო მთავარ პერსონაჟებსაც წინა პლანზე, რათა ემოცია სწორად მიიტანო მსახიობებამდე. აქ წარმატება მხოლოდ შენს კარგად შესრულებაზე არ არის დამოკიდებული, პირიქით — როგორც კი გამოჩენას მოინდომებ, სწორედ იქ დამარცხდები. ამიტომ ეს კიდევ სხვა გამოცდილებაა.

საერთოდ, მარტო სპექტაკლი და როლი კი არა, თითოეული რეპეტიციაა გამოცდილება. თუნდაც ის, რომ ხედავ, ეს დიდი, უკვე სახელოვანი მსახიობები როგორ თავდაუზოგავად მუშაობენ როლზე, როგორი დამოკიდებულებით მოდიან რეპეტიციაზე, როგორ ბოლომდე იხარჯებიან და ყველაფერს ტოვებენ სცენაზე...

და შენც, ვისაც ნილად გხვდა მათ გვერდზე დგომის ბედნიერება, უყურებ და ფიქრობ:

— აი, ამხელა მსახიობია, ამოდენა გამოცდილებით და რამდენ ძალისხმევას იღებს თითოეული როლისათვის; რას აკეთებს, როგორი სულისკვეთებით მუშაობს...

და ერთიორად მემატება ძალაც, მოტივაცია, სურვილიც, რომ მიღწეულს არ დავეჯერდე, უფრო მეტი ვიმუშაო და თან ისევ და ისევ მადლიერი დავრჩე მათი — ამ სტიმულისთვისაც და იმ სითბოსთვისაც, რომელიც დამახვედრეს.

...ხო, „ელექტრაზე“ ვსაუბრობდი.

ბერძნული პიესაა, ქართულად ვთამაშობ, რეჟისორი რუსულ ენაზე მუშაობდა ჩვენთან. არც ეს იყო იოლი, ზოგჯერ ჩვენ არ გვესმოდა მისი, ზოგჯერ მას ჩვენი, თანაც ყველა რეჟისორს ხომ საკუთარი მიდგომა აქვს...

თუმცა ამ გადასახედიდან ვფიქრობ, რომ ძალიან საინტერესო სამუშაო იყო და სპექტაკლი შედგა — ის მიიღო მსახიობებმა, მსახიობებმა კი საგულისხმო გამოცდილება შევიძინეთ.

ასეთი განცდა თითოეული სპექტაკლის შემდეგ მაქვს.

შესაძლოა იმ წუთას ვერ ვაცნობიერებ, კონკრეტულად რა მომცა ამ ყველაფერმა, მაგრამ გადის დრო და სხვა როლზე მუშაობისას ვხვდები, რომ ყველაფერი, რაც აქამდე გამომივლია, რაც მიწვალა, რისთვისაც დავხარჯულვარ, თავის შეუცვლელ კვალს ტოვებს ჩემს პიროვნებაზეც, პროფესიონალიზმზეც...

და ასეთ დროს ვფიქრობ, რომ ის ჩემი შრომაც, ღელვაცა და ნერვიულობაც, თითოეული როლიც — მიუხედავად იმისა, გამომივიდა თუ არა — და საერთოდ, ცხოვრებაც, თავისი მარცხითა და წარმატებებით, ამ ყველაფრად ღირდა.

„მოდი, კინოზე ვილაპარაკოთ“

— ეს, რაც სცენას შეეხება, ახლა კი კინოკამერაზე მინდა გკითხო...

— კინოკამერასთან ძალიან მცირე დოზით მაქვს ნამუშევარი და გული მწყდება, რომ კინორეჟისორები — ცხადია, ყველას არ ვგულისხმობ — ბევრ ქართველ დრამის მსახიობს არ იცნობენ.

მეტიც — პირადად მე ისინი იშვიათად მინახავს თეატრში.

— თუმცა ე.წ. კასტინგებზე ნამყოფი იქნებით...

— ალბათ სულ სამჯერ, მაგრამ... ჯობდა არ მივსულიყავი. წარმოიდგინეთ, ვითარება ასეთია:

ხარ სადღაც 405-ე, გიჭირავს დიდი ფურცელი რიგის ნომრით და როცა ის 404-ე ადამიანიც გამოვა კასტინგიდან და შენ წარდგები შესარჩევი კომისიის წინაშე, გკითხავენ სახელს და გვარს, გადაგიღებენ სურათს პროფილსა და ანფასში და...

— დაგემშვიდობებიან? არც ტექსტის ნაკითხვა, არც პლასტიკა... არც იმპროვიზაცია და ასე შემდეგ? აბა, რის მიხედვით არჩევნ?

— საქართველოში კასტინგების უმრავლესობა რის მიხედვით ტარდება, იცით? ეძებენ კონკრეტულად იმ ტიპაჟს, რომელიც სჭირდებათ. ვთქვათ, საშუალო სიმაღლისა და ქერა თუ უნდათ, მაღალს და შავთმიანს წარმატების შანსი არ გააჩნია.

არადა, მსახიობების შერჩევა ასე არ ხდება.

რამდენი შემთხვევა ვიცით, უცხოელი მსახიობი ამა თუ იმ როლისთვის რომ გამხდარა, თმის ფერიც შეუცვლია, სტილიც, იმიჯიც... ბოლოსდაბოლოს, მეც მითამაშია სცენაზე საკმაოდ მსუქანი გოგოს როლი. ამიტომ ვამბობ, რომ კინორეჟისორმა სცენაზეც უნდა ნახოს მსახიობი.

— დღეს რატომღაც ასეთი ტენდენციაა — კინორეჟისორები მიიჩნევენ, რომ დრამის მსახიობები ცოტა... როგორ გითხრათ... თითქოს მეტი ემოციით თამაშობენ; რომ სცენა ცოტა პათეტიკურია...

— მე ასე არ ვთვლი.

უბრალოდ, სცენას თავისი სპეციფიკა აქვს, კინოკამერას — თავისი. თეატრში მაყურებლის პირისპირ ხარ და ემოცია მეტია, კინოკამერასთან კი...

სიმართლე გითხრათ, დრამისა და კინოს მსახიობი კი ვარ, ასე მიწერია დიპლომში, მაგრამ კინოკამერასთან მუშაობის გამოცდილება არ მაქვს, არც უნივერსიტეტში გამოვიღია და არც შემდეგ მომცემია ჯეროვნად ამის საშუალება. სხვათა შორის, კინორეჟისორებმაც უნდა გაითვალისწინონ ეს; ბოლოსდაბოლოს, კინომსახიობი მსოფლიო მასშტაბითაც ცალკე სკოლაა. საქართველოში კი დრამის მსახიობთა უმეტესობას კინოკამერის წინ დგომის გამოცდილება არ აქვს.

— თუმცა თქვენ ტელემაყურებელმა გიხილათ სერიალში: „ჩემი ცოლის დაქალები“, კიდევ — ნიკო გომელაურისა და ანრი ჯოხაძის კლიპებში, „საქართველოს ბანკისა“ და „მეგატექნიკის“ რეკლამებშიც...

— კი, მაღლობა ამისთვის ეკა მჭავანაძეს, ვისაც ვუმაღლი ამ შანსს, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა... თანაც რეკლამა სხვა რამაა, სერიალი — სხვა, მხატვრული კინო ხომ საერთოდ...

— ბევრი მსახიობისგან მსმენია, რომ პროფესიონალიზმის თვალსაზრისით სცენა უფრო მეტს აძლევთ, თუმცა ეკრანი უფრო ახლო გზა პოპულარობისაკენ...

— ალბათ ასეა.

თეატრში ყოველ ჯერზე ბოლომდე უნდა დაიხარჯო, რადგან იქ ახალ დუბლს ვერ გადაიღებ და ვერც თავიდან შემოხვალ სცენაზე, ამიტომ შეცდომა დაუშვებელია.

არც სიყალბე უნდა გაგებაროს — დარბაზში მყოფ მაყურებელს ხომ ვერ მოატყუებ?! ის გიყურებს...

— ზოგჯერ თვალბრწყინდება...

— დიახ, მაგალითად, სპექტაკლში „ვგავართ ჩვენ ლტოლვილებს?“ ისეთი სცენები, უშუალოდ მაყურებელს ელაპარაკები, თვალბრწყინებში უყურებ და მისი ემოცია ხშირად დიდ სტიმულს გაძლევს. ასეთი უშუალო კონტაქტის დროს იგი ფარსს არ გაპატიებს, მითუმეტეს ქართველი მაყურებელი, რომელიც ყველაზე კრიტიკული შემფასებელია, თუმცა სითბოც ყველაზე მეტი შეუძლია გასცეს...

— და, ამავე დროს, შენი მხრივაც ყველაზე დიდ პასუხისმგებლობას ალბათ სწორედ ქართველი მაყურებლის წინაშე გრძნობ...

— ცხადია!

მაყურებელი ერთ-ერთი მთავარი სკოლაა, რომლისგანაც ბევრს სწავლობ — მისი რეაქციით, ემოციით... იმ ტაშითაც, რომელიც გესმის სპექტაკლის შემდეგ.

თეატრი ეს არის!

თუმცა კინოს თავისი ხიბლი აქვს — შენი ნამუშევარი რჩება; კინოკამერა სხვა გამოცდილებაა; პოპულარობაც მეტია, არადა, პირადად მე გული მწყდება ხოლმე, როცა ვინმე სერიალიდან ან რეკლამიდან მცნობს.

აი, მხატვრულ ფილმში კი დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი.

დიდი პასუხისმგებლობითაც!

...და კიდევ ერთი გრძნობა

თავის დროზე ის სპექტაკლიც — „ვგავართ ჩვენ ლტოლვილებს?“ — ძალიან ემოციურად მიიღო მაყურებელმა.

თვითონ მისთვისაც სხვა ტიპილით, სხვა განცდით შებურულიყო ეს როლი.

— პირადად მე, ვგავარ თუ არა, რა გითხრათ, მაგრამ გრძნობთ კი ყოველდღე გგრძნობ, რომ დევნილი ვარ; უკვე წლებია, ყოველდღე ლტოლვილად ვრჩები ჩემს სამშობლოში, რადგან ამ მხრივ არ გამოსწორებულა არც ჩვენი ყოფა და არც ვითარება ჩვენს ქვეყანაში. მამა იმ ომშია შეინირა.

ჩვენც — მე და დედა, ესმა მიქელაძე — აფხაზეთიდან სხვებთან ერთად გამოვედით.

და კიდევ აირია ყველაფერი.

ვცხოვრობდით დევნილებთან ერთად.

დღემდე, უკვე 22 წელია, სტუდენტულ ვართ შეფარებულნი.

ძალიან ძძიმე წლები გამოვიარეთ — ყველამ, ცხადია, მაგრამ ჩვენ, საკუთარ სამშობლოში ლტოლვილებს, მორალურადაც გვიჭირდა.

არ ვიცი როგორ, რანაირად, რა ძალისხმევითა და სახსრებით, მაგრამ დედა ახერხებდა, რომ საჭმელიც მქონოდა, შესაბამისი განათლებაც, ცეკვაზეც მევლო, სიმღერაზეც, მუსიკაზეც, საბავშვო თეატრებშიც...

ფეხით დავდიოდით ყველგან.

ასე დავამთავრე მუსიკალური შვიდწლედ, საგოკალო ათწლედ... მერე იყო, ოპერაში გუნდისთვის ბავშვებს რომ ეძებდნენ და იქაც მიმიყვანა დედამ. ეს იყო ძალიან ლამაზი წლები, რადგან რვა წლისა ოპერის თეატრის სცენაზე ვიდექი ჯანსუღ კახიძესთან, ლადო ათანელთან, მაყვალა ქასრაშვილთან... მუსიკალური ხელოვნების გრანდებთან ერთად, სპექტაკლებს კი გურამ მელიაძე და რობერტ სტურუა დგამდნენ.

დედა, ხან სად და ხან სად, საათობით მელოდებოდა კართან.

მერე... ისევ ფეხით მივდიოდით შინ.

ახლა რომ ვფიქრობ, ჩვენ ხუთი წლიდან ნაბიჯ-ნაბიჯ მივდიოდით მიზნისაკენ.

დედა სულ ამბობდა:

— თუ გინდა, რომ მსახიობი გამოხვიდე, ეს უნდა გააკეთო...

თუ გინდა, რომ მიზანს მიაღწიო, უნდა იშრომო...

და ალბათ სწორედ ამიტომ, რომ გამძაფრებულად მაქვს პასუხისმგებლობის გრძნობა.

ასეთი მიზანდასახულიც ალბათ ამიტომ ვარ, თუმცა ხანდახან მგონია, რომ ბავშვობის ოცნების ახდენისკენ სწრაფვას მოგვიანებით კიდევ ერთი გრძნობა დაემატა — მაღლიერება დედისადმი.

და ხანდახან მგონია, რომ ასე თავდაუზოგავად მის გამოც ვშრომობ — მინდა ყველაფერი, რაც კი ჩემთვის უნდაა, შეძლებისდაგვარად დავუფასო.

ოთხი პრემიერა უნდა ვითამაშო და მინდა, ოთხივე ძალიან კარგი გამომივიდეს, ამიტომ ასეთივე შემართებით ვაგრძელებ მუშაობას.

ნაწილობრივ, ვფიქრობ, ეს მოვახერხებ.

რობერტ სტურუა შექსპირის „იულიუს კეისარს“ დგამს, გოშა გორგოშიძე — „მიზანთროპს“. საახალწლო შოუ-სანახაობაც მოსამზადებელია...

და მეც თეატრიდან ვერ გამოვიფარ, თავდაუზოგავად ვმუშაობ, რადგან ძალიან ბევრი ადამიანის — და, რაც მთავარია, მაყურებლის — ნდობა მაქვს გასამართლებელი.



ნინო ვახანია

# აეაღღდა ბრძნობა მქქქსსა ცაზე და მქუქიდე ცას უახლოვდება

დაიბადა არხოტში, 1914 წლის 11 სექტემბერს. გარდაიცვალა თბილისში, 1968 წლის 23 დეკემბერს. წელს, 2014-ში, 100 წელი შეუსრულდებოდა. **გაბრიელ ჯაბუშანურის** სახელი დღეს კარგად არის ცნობილი საზოგადოებისთვის, პოეტის სიცოცხლეში კი, სხვათა ბაზმის ჩხრიალის ფონზე, მისი ხმა მიჩქმალულ-მიყრუებულყოფილი. მარტოსულ, კენტად შთენილ შემოქმედს იმთავითვე აფასებდა სნობიზმისგან თავისუფალი რამდენიმე ხელოვანი და მცირერიცხოვანი მკითხველი. დღეს კი უკვე ყველასგან აღიარებული მესიტყვის პოპულარობა სულ უფრო იზრდება. ზემოთქმულის დამადასტურებელი გახლდათ 25 დეკემბერს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გამართული საიუბილეო საღამო, რომელსაც ჯაბუშანურის ლექსების მცოდნეთა და პოეტის ნიჭის თავყვანისმცემელთა დიდი ნაწილი ესწრებოდა.

წინასახალწლოდ თბილისის გადატვირთული გზების მიზეზით შეხვედრა დათქმულზე ოდნავ მოგვიანებით დაიწყო, თუმცა ამის გამო ზემოთ არ გახუბებულა. მთელი საღამოს განმავლობაში გამომსვლელთა საგულისხმო საუბარს ფონად გასდევდა დიდ მონიტორზე ნაჩვენები ფოტოკოლაჟი, რომელიც გაბრიელ ჯაბუშანურის ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდს ასახავდა. საღამო გახსნა და ბოლომდე დაუღალავად გაუძღვა **ეთერ თათარაიძე**.

— არ ვარ ბედნიერი იმით, რომ უდიდესი პოეტის საიუბილეო საღამოს წარმართვა მხვდა წილად, რადგან ეს უზომო პასუხისმგებლობაა, და იმავე დროს ბედნიერიც ვარ, რომ სწორედ მე ვუძღვები ამ საღამოს, — ასე მიმართა შეკრებილთ ქალბატონმა ეთერმა და დასძინა: ხევსურები ჩემზე უკეთ იცნობენ ჯაბუშანურის პოეზიას და ჩემზე მეტად განიცდიან მას. ვფიქრობ, ამაში დღევანდელი დარწმუნებით.

აღმოჩნდა, რომ თუ ქალბატონს ახალგაზრდობაში ხევსურეთი გაბრიელის ლექსებით გაუცნია. გვიამბო: ხევის სანახავად მიმავალს ვახუშტი კოტეტიშვილმა მეგზურად მაძინ ჩემთვის უცნობი ხევსური ყმაწვილი ამირან არაბული გამაყოლა. როცა შემოდგომის უგონოდ აჭრელებულ ტყეებს ვუყურებდით, ამირანმა გაბრიელის ლექსი წამიკითხა, რომელშიც ფოთლებისგან გაძარცვული ხეები სამოსისგან გაძარცვულ სკივრთან იყო შედარებული... ასე შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში ახალი, უცხო და ჩემიანი პოეტი.

ლექსის კარგად მცნობმა და მგრძნობმა, თვითონაც შესანიშნავმა პოეტმა, ეთერ თათარაიძემ ახალგაზრდებს ურჩია: მე კარგად დავცადე გაბრიელის პოეზია და თქვენც გულისსწორებს მისი ლექსებით ელაპარაკეთო.

თავისი დიდი, თავყვანებამდე მისული სიყვარული იმითაც გამოხატა, რომ გაბრიელი ოჯახის წევრად მოიხსენია. იგი კეთილი სული იყო და ბევრი ლოცვა გამოუგზავნა და უგზავნის დღესაც საქართველოსო.

ბოლოს წამყვანმა მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის მესვეურებს, რომელთაც იმდღევანდელი ღონისძიებისთვის უსასყიდლოდ დაუთმეს დარბაზი პოეზიისა და სიტყვის გურმანებს. დარბაზში არ აღმოჩნდა (როგორც გაირკვა, საპატიო მიზეზით ვერ შეძლო მოსვლა) ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, ქალბატონი **დარეჯან თვალთვაძე**, რომელსაც პირველი სიტყვისთვის უხმეს სცენაზე. შემდეგ, სავსებით ლოგიკურად, ორატორთა შორის პირველობა **ამირან არაბულს** ერგო. სხვადასხვა მიზეზის გამო, წამყვანს არ უთქვამს, მაგრამ შემდეგ არაერთხელ აღინიშნა გამომსვლელთა მიერ ბატონი ამირანის ფასდაუდებელი

ლი ღვაწლი გაბრიელ ჯაბუშანურის პოეზიის მოვლა-პატრონობაში, მისი კრებულების გამოცემასა და საზოგადოებრივ შეგნებაში ამ სახელის სათანადო ღირსებით დამკვიდრებაში.

სიყმაწვილიდან მახსოვს გაბრიელის მიერ მამაჩემისთვის ნაჩუქარი საკუთარი წიგნი „მოკრძალება“ მიძღვნილი წარწერით და ხელით მინაწერი ერთი სტროფი... იმ ეპოქაში დარდი არასასურველ გრძნობად ითვლებოდა, გაბრიელი კი დარდიანი პოეტი გახლდათ, ამიტომაც აღმოჩნდა მიუღებელი ხელისუფლებისთვისო, — ბრძანა ბატონმა ამირანმა და შეკრებილთ საოცრად შთამბეჭდავი ესეი წაუფრიალეს. **ამირან არაბულის** სტილისტიკა ვერ გულისხმობს პერიფრაზირებას, ამიტომ უცვლელად გთავაზობთ ამონარიდებს მისი წერილიდან:

„თვალწინ მიდგას ციციკა ჯაბუშანურის, გაბრიელის უფროსი ძმის, მინური სახლი ამაში... საკრალურობის მქრქალი ნაკვალევი და მითოსური სინამდვილის კანთიელი ანარეკლი მხეკაბანივით გადადიოდა დაპურებული ყანიდან თავხშირ სათიბზე და კალოდან ბანზე, ყინულიანი ბინულიდან მდინარე ასაზე და ყვავილიანი ბილიკიდან ახიელისკენ მიმავალ მტვრინან შარაგზაზე. და ყოველივე ამას იდუმალების მოუხელთებელი ხიბლით ავსებდა და ასევადებდა უნცრუთა გაბრიელის ნაღვერდლიანი პოეზიის სადა, ბუნებრივი დეკლამაცია, ხშირად რომ ისმოდა სამფეხა ტაბლის გარშემო შემომსხდარი არხვატელებისა და ბარიდან წვეული მათი სტუმრების სულფონი სერობების დროს. „შევიდვარ, ხალხი გულისყურს მაქცევს“, — რეფრენივით გასდევდა იქაური ახალუხლის საღმინო შეკრებებს... გაბრიელ ჯაბუშანური. მის წრეველ, მართალ სიტყვას დღემდე მოჰყვა ქვაგრილის შუაზე გამხლეჩი მების ძალა და აგვისტოს მზის ჩაუმცხრალი მცხუნვარება, ჯიშინი ბედაურის მუხლის ღონე და ნავდრალი მდინარის ხმოვანება. თვითონ რომ ვაჟას ქალამნის ერთ თასმად თვლიდა თავს (და ამაში ნატამალიც არ არის ყალბი თავმდაბლობისა), მის თანამედროვე მწერლებსა და მკითხველებს კარგად მოეხსენებოდათ გაბრიელ ჯაბუშანურის პოეტური ნააზრევის ნამდვილი ფასი და მნიშვნელობა; მოეხსენებოდათ, მაგრამ რატომღაც არ ჩქარობდნენ მისი შემოქმედების უეჭველი ღირსებების დანახვას, აღნიშვნას, საქვეყნოდ აღიარებას... მას, გარდა ლექსისა, მახვილივით ფხიანი მხატვრული სიტყვისა და პოეტური წარმოსახვისა, არაფერი ებადა; მთელი თავისი არსებით, სულით და სხეულით შთაგონების ტყვე-ტუსალი იყო და, რომც ეცადა, რანაირად დაიხსნიდა თავს ამ ტკბილი სატანჯველისა თუ ხელშეუქცევარი ბედისწერის უპირობო მეუფებისგან! გაბრიელ ჯაბუშანურის უდახვენილეს პოეზიაში უწყვეტად რეკენ ამაღლებული სიყვარულის მწკეპრი ზარები. ცალფა, უპერსპექტივო სიყვარულის მოტივია მისი პოეტური ნატურის განმსაზღვრელი ძირითადი ნიშანი... მან თავისი შემოქმედებითი ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერი წლები ლილოვში გალია, მაჰმადის რჯულის აღმსარებელ მეზობელთა „მღვრიე ცის ქვეშ“ იმსხემა, იმარტვილა და სანიმუშო სიცხადით წარმოსახა ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ხასიათი, ზნე-ჩვეულებები, ყოფითი დეტალები და, რაც მთავარია, მათი უტეხი, დაუმარცხებელი, თავისუფლებისათვის მბორგავი სულის ფარული ფენები და ხვეულები... „ძალიან მიყვარს გაბრიელ ჯაბუშანური, როგორც კაცი და როგორც პოეტი“, — ეს სიტყვები კონსტანტინე გამსახურდიას ეკუთვნის. პოეტის სიცოცხლე ორიგინალურ პოეზიაში, თარგმანებში, დღიურებში, ჩანაწერებში, მოგონებათა ფურცლებსა და პირად წერილებში გრძელდება“.

კავკასიური სიყვარულის მაშენებელ დიდ ქართველ პოეტად მოიხსენია გაბრიელ ჯაბუშანური ეთერ თათარაიძემ და მადლობა გადაუხადა ეროვნებით ინგუშ ქველმოქმედ გილან ხალუხაევს, რომელმაც უანგაროდ გაიღო საზღაური გაბრიელის ლილური ციკლის ლექსებისა და ბალადების გამოსაცემად. აგრეთვე პოეტის ცხოვრების ამსახველი დოკუმენტური ფილმის გადასაღებად. გაბრიელი იყო ზარის მთქმელი, ცრემლის მღვრელი ინგუშების მინაზე, — თქვა ქალბატონმა ეთერმა და ამ ხალხის მიმართ სივრცეებსმიღმა გასული სიყვარულის დასადასტურებლად ასეთი გულისამაჩუყებელი ამბავი მოგვითხრო. როცა შუა აზიიდან დაბრუნდნენ საკუთარი მიწიდან ერთ ღამეში აყრილი და გადასახლებული ინგუშები, ხევსურებმა მათ გადარჩენილი სახლები დაახვედრეს და თითო-ოროლა მსხვილფეხა თუ წვრილფეხა საქონელიც დაუტოვეს, რათა ბავშვების რჩენის შესაძლებლობა ჰქონოდათ.

შემდეგ კი ბავშვივით სუფთა, წმინდა, მართალი პოეტის შემოქმედებაზე სასაუბროდ სცენაზე **როსტომ ჩხვიძეს** უხმო. ბატონი როსტომის სიტყვა, გარდა იმისა, რომ ჯაბუშანურის პოეზიის ფაქიზი ნიუანსები გამოკვეთა, პოლიტიკური შეფერილობისაც აღმოჩნდა. ეს გახლდათ, ფაქტობრივად, მონოღება კავკასიის ერთიანობისკენ, ამ ძველისძველი იდეის აღდგენისკენ და სათანადო გამოხმაურება პოვა კიდევ მსმენელში. ორატორს სიტყვა სამჯერ ტაშით შეაწყვეტინა აღფრთოვანებულმა დარბაზმა. სანამ წერილად ქცეული ეს მიმართვა სრულად გამოქვეყნდებოდა პრესაში, მანამ მის მოკლე ჩანაწერს გაგაცნობთ:

„გაბრიელ ჯაბუშანური თავის შედგენილ თავისებურ რეიტინგ-ლისტში ახსენებს: ვარ ერთი თასმა ვაჟას ქალმწიხარო. მან მართლაც მოახერხა, შეენარჩუნებინა პოეზია, ლირიზმი ლექსებში და სწორედ ამის გამო მოექცა კულტურებში. მაშინ, მის სიცოცხლეში, საბჭოთა ეპოქაში ლიტერატურა ხელთ ეპყრათ საბჭოთა ბობოლებს, რომლებიც ყოველნაირად უღობავდნენ გზას გაბრიელის პოეზიას. სამაგიეროდ, თუ გაბრიელმა მთელი ცხოვრება კულტურებში გაატარა, დღეს იგი დგას ავანსცენაზე, ხოლო ბევრი მისი თანამედროვე არცა ჩანს. ამირან არაბულმა შვილის ამაგი დასდო მისი სახელის წამოწვევას საზოგადოებრივ ასპარეზზე. ამირანმა თავი მოუყარა პრესასა თუ ცალკეულ კრებულებში გაბნეულ ლექსებს, გაშიფრა ხელნაწერები და გამოკვეთა ლილური ციკლის ლექსები. შეიძლება თვითონ ავტორსაც არ ჰქონდა ჩაფიქრებული ასე, ამირანმა შეადგინა შთამბეჭდავი კრებული „ჰოი, ლილოს დაღრუბლულ ცაო“. ამ რკალით თვალნათლივ გამოიკვეთა კავკასიური მთლიანობის იდეა და ლექსების წიგნი პოლიტიკურ პამფლეტად იქცა. საქართველოში ეს იდეა არახალია. კავკასიის ერთიანობის იდეით ხელმძღვანელობდნენ ბაგრატიონები. ძალიან აქტუალური გახდა ეს იდეა XIX საუკუნეში, კერძოდ, 32 წლის შეთქმულების მონაწილეთათვის. სახიერად იკითხება ის ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში. აღსანიშნავია, რომ 1917 წელს პავლე ინგოროყვამ საქართველოს სახელით თანადგომა გამოუცხადა ჩრდილოკავკასიელებს მათ ყრილობაზე. ამ იდეას ემხრობოდნენ და იზიარებდნენ გაბრიელის მეგობრებიც: კოტე ხიმშიაშვილი, ადამ ბობლიაშვილი, ანუ 1942 წლის შეთქმულები და სამანელები... შემდეგ ის აღადგინა ზვიად გამსახურდიამ და მასზე დააფუძნა ჩვენი სახელმწიფოებრიობა. დღეს საბედისწერო მოსახვევთან ვდგავართ და გვამთლიანებს ეს იდეა. თუ გვინდა, რომ ძლიერი სახელმწიფო გვქონდეს და საქართველო კუდიმდევრად არ იყოს სხვა ერებისა, ამ იდეას უნდა ჩავჭიდოთ ხელი. თუ ვინმეს სჯეროდა ინგუშების დაბრუნების საკუთარ მინაზე, უპირველესად სჯეროდათ ხევსურებს. მათ შორის, რასაკვირველია, გაბრიელსაც. მის შემოქმედებაში და კავკასიის ერთიანობის ამსახველ სხვა მესიტყვეთა ნაწარმოებებს შორისაც გირლიანდით არის ჩანული გაბრიელის ეს კრებული, როგორც პოლიტიკური მონოღება“.



ამირან არაბული

**გივი ხორნაულმა** გაიხსენა, როგორ ესაუბრებოდა გაბრიელის შესახებ კონსტანტინე გამსახურდიას, როგორ აფასებდა მას. მამა-შვილი, კონსტანტინე და ზვიადი, ბევრს და სიყვარულით მიყვებოდნენ ამ მიჩქმალული პოეტის შესახებო, — გვითხრა და გულწრფელი მადლობა გადაუხადა საღამოს გამართვისა და წიგნის გამოცემის თაოსნებსა და მონაწილეებს.

შემდეგ სცენა **ტარიელ ხარხელაურს** დაეთმო. გაბრიელზე ცოტას ვერ ილაპარაკებ, ცოტა მის გასახსენებლად არაა საკმარისი, ბევრისთვის კი ძალიან მეყოფაო, — ერთგვარად თავი იმართლა ბატონმა ტარიელმა და თანამოკალმისადმი მიძღვნილი შესანიშნავი ლექსით მოხიბლა მსმენელი. ნუთისოფელი, გაბრიელ, ვაჰმე, რა ძაან ჭრელიაო... პოეტურ სტრიქონებში გამოახვია თავისი დარდი და ნალღელი... „ჩვენი დროის ღონიერმა და სერიოზულმა“ პოეტმა, როგორც მას წამყვანმა უწოდა.

საინტერესოდ ისაუბრა **ბაბუა ალუდაურმა**. მანაც აღნიშნა ამირან არაბულის განსაკუთრებული ღვაწლი გაბრიელის სახელის წინ წამოწევაში და გულისტკივილით თქვა, რომ წელს ერთი ჟურნალის გარდა, სხვას არ გახსენებია დიდი პოეტის იუბილე. ის ერთი ჟურნალი, მიხვდებოდით, „ჩვენი მწერლობა“, რომლის რედაქტორმა სამჯერ დაუთმო ადგილი ჯერაც სათანადოდ ვერდაფასებული შემოქმედის ცხოვრებასა და პოეზიას. მკითხველს ეხსომება ეს პუბლიკაციები, გაბრიელის კერძო წერილები რომ გააცნო საზოგადოებას. ახლა მისგან სასიამოვნო სიახლე მოვისმინეთ. თურმე აღპინისტ შოთა მირიანაშვილის თაოსნობით, არხოტის ხეობაში რომელიმე მწვერვალს დაერქმევა გაბრიელ ჯაბუშანურის სახელი.

ეთერ თათარაიძემ **ვახტანგ ჯავახიძე** ახსენა, გაბრიელის ერთ-ერთი წიგნის რედაქტორი და მისი პოეზიის დამფასებელი და მადლიერება გამოხატა მის მიმართ. ისარგებლა რა წამყვანის უფლებით, გაიხსენა, რომ 25 დეკემბერი **ალექსი ჭინჭარაულის** დაბადების დღეა და გაგვიმჟღავნა, რომ მისი საღამოს გამართვაც არის ჩაფიქრებული.

სიტყვა კი **გოგი ნიკლაურს**, არხოტიონს, მისცა. გაბრიელი ჩემი სალოცავია, — ასე დაიწყო საუბარი ბატონმა გოგიმ. მე-5 კლასში სამ ბავშვს გვასწავლიდა გერმანულს, ქართულს, რუსულს, მათემატიკას, რათა ექსტრენად ჩაგვებარებინა გამოცემები, რადგან ჩვენს სოფელში მაღალი კლასები არ იყო. საგნები საგნებად და თუ მანამდე ბრმა და ყრუ ვიყავ პოეზიის მიმართ, მან გამიხსნა სმენა და თვალი ამიხილა. ჩვენ ერთად ვცხოვრობდით ინგუშების სოფელში, სადაც იწერებოდა ლილური ციკლი. ვფიქრობ, გაბრიელმა ჩეჩნები და ინგუშები მარტო მათი მწარე ბედის გამო კი არ შეიყვარა, არამედ ზედმინეწვით იცოდა ამ უპატიოსნესი და უფაჟაცვისი ხალხის ცხოვრება, მათი ზნე-ჩვეულებანი, რის გამოც მიაგებდათ ღირსეულ პატივს. ინგუშმა და ჩეჩენმა ხალხმა თავისი მადლიერება იმით გამოხატა, რომ სკოლებსა და უმაღლესი სას-

ნავლებლების პროგრამებში შევა გაბრიელის ლექსები. გათვალისწინებულია პოეტის ძეგლების დადგმა: ერთისა — მის მშობლიურ სოფელში და ერთის — ინგუშეთის დედაქალაქში.

ნამყვანმა შეკრებილთ კაკო ჯაბუშანური, გაბრიელის ძმის-შვილი წარუდგინა. იგი ერთ-ერთი თაოსანი გახლდათ ამ ლონისძიებისა. მანვე შეაგროვა პოეტის, პირობითად, დღემდე უცნობი ლექსები და გამოსცა კრებულად „მე ის არა ვარ“. ქალბატონმა ეთერმა გაიხსენა, როგორ ჩავიდა არხოტში ფეხშიშველა, როგორ დაუხვდნენ მაშინ კაკოს ოჯახში, როგორ გამოუტანეს გაბრიელის ხელნაწერებით სავსე ჩემოდანი, რაც საგანძურის აღმოჩენას გაუიგივებდა. მადლობა გადაუხადა ჯაბუშანურებს და მიკროფონი კაკო ჯაბუშანურს დაუთმო. მან ამირან არაბულს მადლობა ერთი ხევისურის სიტყვებით გადაუხადა, რომელსაც ბატონი ამირანის ნიგნის „ვაჟაკობისას ამბობენ“ წარდგინებზე ასე მიუმართავს ავტორისთვის: თქვენ მე საიქიოს საგზალი გამიმზადეთო. საგანგებოდ აღნიშნა ჩერქეზული კულტურის ცენტრისა და მისი ხელმძღვანელის, მერაბ ჩუხუას დიდი თანადგომა; კიდევ ერთხელ მადლიერებით ახსენა ინგუში ქველმოქმედი გილან ხალუხაევი; არ გამოორჩენია მამიდა, გაბრიელის უმცროსი და, ახლა 90 წლის ქალბატონი, ეთერ ჯაბუშანური, და შვილიშვილი, პატარა გაბრიელი, რომელიც პაპას თავისებურად „ეხმარებოდა“ კრებულის შედგენაში; ფინანსური ხელშეწყობისთვის მადლი უძღვნა არხოტის სათემო კავშირს და სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ საღამოს ინგუშეთის და ქისტეთის წარმომადგენლები ვერ ესწრებოდნენ.

შემდეგ დიდ ეკრანზე ინგუშეთის კულტურის ცენტრის, „მემორიალის“, წარმომადგენელს **მარიამ იანდიევას** ვუყურებდით და ვუსმენდით, რომელიც რუსულად მოგვმართავდა, დარბაზში კი ინგუშთა სახელით (ასევე რუსულად) მადლობა გადაიხადა **მაგომედ მატეევმა**. ინგუშებისა და ქართველების სიყვარული ძლიერია, ხოლო გაბრიელ ჯაბუშანური ჩვენთვისაც ახლობელიაო, — თავდაჯერებულად და ერთგვარი სიამაყით წარმოთქვა მან.

გაბრიელის ორი ლექსი („ხევსურული ტირილი“ და „ქისტის ქალები მიდიან წყაროზე“) ახალგაზრდა პოეტმა, **გიორგი არაბულმა** წაიკითხა, კიდევ სხვა ორი („იცი, მე ვინ ვარ“ და „მიმწიხრის სიმღერა“) და ამირან არაბულის ჩანახატი („სულუქცევრად საკითხავნის“ ციკლიდან) კი პროფესიული ოსტატობით წარმოგვიდგინა მიხეილ თუმანიშვილის თეატრის მსახიობმა **ზაზა ვაშაყმაძემ**.

ხევსურული ჰანგებით დაამშვენეს შეხვედრა ანსამბლებმა „**დები გოგოჭურები**“ და „**კესანე**“ (**ლელა თათარაიძე, მარი-ნა გიორგაძე, იზოლდა ფიფია, რუსუდან ჯოჯუა**). სხვადასხვა საკრავებზე (ფანდური, ჩონგური, გარმონი) შესრულებულმა მელოდოებმა და მომღერალთა გულშიჩამწვდომმა ხმებმა მაყურებელს უფრო მეტად აუშალა ნაღველი. შექმნილ განწყობილებას ზუსტად მიესადაგა ახალგაზრდა ფოლკლორისტის, **თორნიკე სხიერელის** მიერ ჭუნირზე დაკვრა და სიმღერა, რომელსაც მიცვალებულს ეტყოდნენ ხოლმე რაჭაში.

ყველაფერს აქვს დასასრული და, ცხადია, იუბილევ დასრულდა. საბოლოო მიმართვისთვის დრო და ადგილი საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტს **გაბრიელ თაგაურს** დაეთმო.

დარბაზში ლადო ასათიანი წამოაგონდათ. ზედ ჩემ ყურთან ჩაილაპარაკა ვილაცამ: ყველა ხევსური... არ ვიცი ასე რამ შემაყვარაო. თვითონ გაბრიელი რომ მოსწრებოდა ამ იუბილეს, ვგონებ, უფრო აკაკი გაახსენდებოდა: ღარიბ-ღატაკს და ბნელში მყოფს აქამდე, ვინ ამინთო ამ ბოლო დროს ლამპარო, — რომ უკვირდა და უხაროდა ერთდროულად...

დაბოლოს: ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელის, **გიორგი დონაძის** მონდომებით უკვე ისტორიად ქცეული საღამო სრულად აღიბეჭდა ფირზე სამომავლოდ, საცნაურად და საგულისხმოდ.

მედეა როგავა

# წარსულთან დაბრუნება

უძნელესი ყოფილა წარსულზე წერა, მითუმეტეს... როცა ის მარტო მოგონება არაა!

რამდენიმე თვეა ჩემს არქივში წავაწყდი თითქოს მივინყებულ დღეებისა და წლების უამრავ მასალას... და ერთი მართლაც საოცრებაა! XX საუკუნის 60-70-იან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა (იზა ჩანტლაძე, მედეა როგავა, ნანული ახოზაძე, ჯუმბერ თითმერია, გელა საითიძე...) დავაარსეთ ზეპირი ჟურნალი „დღეები და ადამიანები“, რომელსაც მე ვრედაქტორობდი. ის 1960 წლის 19 ნოემბერს დაიბადა. ჟურნალის პირველი ნომრის „გამოსლვა“ უდიდესი ზეიმი იყო ქართული უნივერსიტეტის ისტორიაში. ლადო გუდიაშვილის, არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას, გრიგოლ ჩხიკვაძის გვერდით იყო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი, თბილისის „დინამოს“ სახელოვანი ფეხბურთელი სერგო კოტრიკაძე.

გავიდა რამდენიმე თვე, პირველ ნომერს მეორეც მოჰყვა. 1961 წელი, 21 მარტი, სამშაბათი... ზეპირი ჟურნალი „დღეები და ადამიანები“... ნომრის თემა იყო „ფილოლოგიის ფაკულტეტის ყოფილი სტუდენტები — ამჟამად ხელოვნების მუშაკები“.

...მაგონდება უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებითა და სტუდენტებით სავსე სააქტო დარბაზი, თითქოს ახლაც ჩამესმის ქართული მუსიკის ხმები... შევყურებ ულამაზესად მორთულ სცენას... ცისფერ ფონზე წარწერას „დღეები და ადამიანები“, ერთადერთ ლარნაკში განთქმული მეყვავილის, მიხეილ მამულაშვილის, ხელით დაკრეფილი მისაკება. მცხეთელი მინდია (ასე უწოდებდნენ) ამ ჟურნალის მონაწილეთათვის თავისი ჯადოსნური ხელით დაკრეფილი ყვავილებით გვანებივრებდა!

ღელავდნენ მასპინძლებიცა და სტუმრებიც, მაგრამ რა თქმა უნდა განსაკუთრებით მაინც სტუმრები. რატომ?.. მათი პირველი გაუბედავი ნაბიჯები, პირველი მღელვარე ნუთები, პირველი წარმატებები ხომ უნივერსიტეტის სცენასთან იყო დაკავშირებული.

გვერდები გვერდებს ცვლიდა, გამომსვლელეები — გამომსვლელეებს... „იშლებოდა“ და „იშლებოდა“ ზეპირი ჟურნალის გვერდები. სტუდენტობის თავიანთ წლებზე, სამეცნიერო მოღვაწეობაზე, შემოქმედებაზე საუბრობდნენ: აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი; მსახიობები: ალექსანდრე გომელაური, იაკობ ტრიპოლსკი, გიორგი ტატიშვილი, ნელი მგალობლიშვილი, პეტრე თომაძე, გია ჭელიძე, გოგი მონერელია. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობ ქართლოს კასრაძის გამოსვლისას სიცილისაგან დარბაზი „ავად გახდა“.

ჟურნალის ამ ნომრის ერთ-ერთი მონაწილე იყო უდიდესი ქართველი საოპერო მომღერალი, ტენორი, საქართველოს სახალხო არტისტი, ენათმეცნიერი (კავკასიოლოგი), პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო და ზაქარია ფაბიაშვილის პრემიების ლაურეატი ნოდარ ანდელუაძე, „სიმღერის ამირანი“ — აქ თვით ბატონი ნოდარს დავესესხები. მან ვახტანგ ჭაბუკიანს ხომ „ცეკვის პრომეთე“ უწოდა!)

როგორც ცნობილია, ბატონმა ნოდარმა, უნივერსიტეტის ახალგაზრდა ლექტორმა, პირველად სწორედ უნივერსიტეტის სცენაზე იმღერა! ეს იყო 1954 წლის 10 დეკემბერი!

...მაგონდება 1959 წელი, მარტის თვე. აფიშები, გაზეთები თუ რადიო ქართულ მაყურებელს აუწყებდნენ: 14 მარტს ვერდის ოპერაში „აიდა“ პირველად იმღერებს ქართული ოპერის სიამაყის — დავით ანდლულაძის — შვილი ნოდარ ანდლულაძე. სტუდენტები ლექციების დამთავრების შემდეგ პირდაპირ ოპერის თეატრში წავედით. სტუდენტებს არც ლექტორები ჩამოგვრჩნენ. თითქოს უნივერსიტეტის ერთი კორპუსიდან მეორეში გადავინაცვლეთ. მთელი უნივერსიტეტი — ნოდარის სტუდენტები, მეგობრები, პროფესორ-მასწავლებლები — იქ ვიყავით. ველავდით, მაგრამ ნოდარისა ყველას გვჯეროდა. დასასრულ, სცენაზე ყვავილებისა და ვარდების მთა დადგა. მათში მიხეილ მამულაშვილის ედემში დაკრეფილი ყვავილებიც ერია. ეს კი ჩვენი ჯგუფის, კავკასიურ ენათა განყოფილების მესამე კურსის სტუდენტთა საჩუქარი იყო!

...და 1961 წლის 21 მარტს იტალიაში, მილანის „ლასკალაში“, გამგზავრების წინა დღეს ისევ მშობლიური უნივერსიტეტის სცენაზე იმღერა.

ზეპირ ჟურნალზე მუშაობის დროს ბატონ ნოდარს შინ ვეწვიე. ვისაუბრეთ ჟურნალის ფორმატზე, შევარჩიეთ პროგრამა. რა დასამალა, ჩვენ, ახალგაზრდებს, გვინდოდა ეს საღამო ნოდარის იტალიაში გაცილებაც ყოფილიყო. წარმოიდგინეთ, რა ხდება 1961 წელს! ახალგაზრდა მომღერალი მიდის იტალიაში, სიმღერის ქვეყანაში, მილანის „ლასკალაში“, ოპერის მომღერალთა სრულყოფის საერთაშორისო ცენტრში.

ბატონ ნოდარს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთისათვის ინტერვიუ ჩამოვართვი.

— **ცოტა რამ თქვენი სტუდენტობის წლებიდან.**

— უნივერსიტეტში სტუდენტად 1945-50 წლებში ვიყავი. ეს იყო დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ სტუდენტთა პირველი ნაკადი. ბევრი იყო ფრონტიდან დაბრუნებული. ამან გავლენა იქონია ჩვენი ჯგუფების, თუ შეიძლება ასე ითქვას, საერთო სულისკვეთებასა და დისციპლინაზე. ამ ნაბრძოლი, გამობრძმედილი ამხანაგების გავლენა ჩვენზე მე არასოდეს დამავინწყდება.

და კიდევ მაგონდება სპორტული ცხოვრების გამოცოცხლება. იმ წლებში პირადად მე დავდიოდი ჭიდაობის სექციაში (მწვრთნელი კ. შეყრილაძე). 1946 წლის ივლისში ვლებულობდი მონაწილეობას საკავშირო ფიზკულტურელთა სპარტაკიადში.

საენათმეცნიერო წრიდან მივლინების დროს გავეცანი საქართველოს მთას: ხევსურეთი, ფშავი, ხევი, სვანეთი, ქისტეთი.

— **როდის და სად იმღერეთ პირველად?**

— პირველად, როგორც მომღერალმა, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა თვითმოქმედების კონცერტში მივიღე მონაწილეობა 1954 წლის 10 დეკემბერს. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის პროფესორ ნიკოლოზ ქოიავას.

ამ დღეს შევასრულე რახმანინოვის რომანსი „ნუ დამტოვებ“ და პუჩინის „ტოსკადან“ კავარადოსის პირველი არია, აგრეთვე მურმანისა და აბესალომის დუეტის პირველი ნაწილი (მურმანი — შოთა გაბილიაი).

— **თქვენი უსაყვარლესი საოპერო პარტიები.**

— მე მაინც კავარადოსი მირჩევნია.

— **თქვენი შემოქმედებითი მიზნები, რომელ ახალ პარტიებში მოვისმენთ?**

— მსურს შევისწავლო ვერდის, დონიცეტისა და ბელნის ოპერებში ტენორის პარტიები, პირველ რიგში: „ბალ-მასკარადში“, „ტრუბადურში“, „დონ-კარლოსში“, „მაკბეტში“, „ლუჩია დი ლამერმურსა“ და „პურიტანებში“.

— **რას გვეტყვით იტალიაში თქვენი მომავალი გამგზავრების შესახებ?**



ნოდარ ანდლულაძე სტუდენტებთან (1961)

— ვეცდები იქ შევისწავლო ზემოჩამოთვლილი ოპერები და გავაცნო იტალიის მუსიკალურ საზოგადოებას „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“.

დასასრულ მინდა აღვნიშნო, რომ სადაც უნდა გავემგზავროთ, ან რა დარგშიც უნდა მოგვიხდეს მოღვაწეობა, უნივერსიტეტი მუდამ იქნება ჩვენი სათაყვანებელი alma mater და ჩვენ — მისი ერთგული შვილები.

ზეპირი ჟურნალის ეს გვერდი კი მართლაც საოცრება იყო. მთელი დარბაზი აღფრთოვანებით უსმენდა საყვარელ მომღერალს. ნოდარი ლაპარაკობდა, ხუმრობდა, მღეროდა და თითქოს ფრთები შეესხაო, არც იღლებოდა. ჩვეული დიდოსტატობით შეასრულა: შალვა მშველიძის „ოროველა“, ფილიპე ლლონტის „ხმით მშვენიერით“, გასტოლდონის „აკრძალული მელოდია“ და ენცოს რომანსი პონკიელის ოპერიდან „ჯოკონდა“. იტალიაში გამგზავრების წინა დღეს ისევ მშობლიურ უნივერსიტეტში იმღერა... ამ კედლებმა თავის რჩეულ, სასახელო შვილს გზა დაულოცა.

ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ინტერვიუს პირველი შეკითხვის პასუხი. თუ ბატონი ნოდარისათვის, საოპერო ხელოვნების დიდოსტატისათვის, ყოველივე ქართული ზოგადსაკაცობრიო და სამყაროს პირველსაწყისი იყო... მაშინ რამდენად დამაფიქრებელია, რომ ის გახლდათ სპორტსმენი, მოჭიდავე, სპარტაკიადის მონაწილე და, რამდენად დასანანი, რომ მისი ბიოგრაფიის ეს ულამაზესი მხარე თითქმის შეუსწავლეო! აქ მახსენდება კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები: „ნადირობა საშუალოდ ვარჯიშობააო, ხოლო შუღლობა საომარი ვარჯიში“. ნოდარი ჭიდაობდა, ნადირობდა, ცხენოსნობდა... ალბათ ამიტომ იყო მისთვის ასე შეცნობილ-შეუცნობელი მინდიას როლი.

„სიმღერა გულისთქმაა როგორც ცალკე კაცის გული, ისე გული ერისა, ბევრ რამეში სხვა ერის გულს არა ჰგავს“ (ილია ჭავჭავაძე). მნამს, რომ ბატონი ნოდარისათვის ჭიდაობაც, ნადირობაც სიმღერასავით ერის გულისთქმა იყო.

ეს ზუსტად 53 წლის წინათ იყო. მშობლიური უნივერსიტეტის სცენაზე იდგა ელინური მშვენების, 33 წლის ახალგაზრდა — ენათმეცნიერი, მომღერალი, მოჭიდავე, მონადირე, ცხენოსანი, შეუდარებელი მეგობარი და, რაც მთავარია, გამზრდელ უნივერსიტეტზე — alma mater-ზე, სამშობლოზე, ყოველივე ქართულზე უსაზღვროდ შეყვარებული, მზის სხივებში გახვეული ქართველი ვაჟკაცი.

2014 წლის 13 დეკემბერს, ბატონი ნოდარი 87 წლისა გავდებოდა.

მაკა ჩარკვიანი

# ცუდას რად უნდა მტერობა

ორ მთას შუა ან ზედ შუა მთაზე, შედარებით გავაკებულ მინაზე ცხოვრობს მთიელი. ასეთი პატარა გავაკებული ადგილი, იმთავითვე მცირე და განმარტოებულ თემზეა გათვლილი. ერთ დასახლებას მეორესგან, ზოგჯერ მთელი მთა ჰყოფს ხოლმე. ამიტომ მეზობელი თემი „გადამთიელია“, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ისინი ერთ დიდ ოჯახად შეკრულები ცხოვრობენ, ამ დიდ ოჯახს, თემის წევრებს საერთო ტყეილი, საერთო წუხილი და საერთო სიხარული აქვს.

მთიელი იბადება, იზრდება და არსებობას განაგრძობს ისე, როგორც მას ცხოვრება სთავაზობს. ცხოვრება კი მას საკმაოდ მაკაცრ, მძიმე და რთულ მოთხოვნებს უყენებს. თუმცა, მთის კაცი ცხოვრებას მძიმედ სულაც არ აღიქვამს — ეს ხომ მისი ერთადერთი სინამდვილეა, რომელსაც იგი იცნობს. თავის სამყაროში მთიელი დაცულად გრძნობს თავს, სათუო საკითხის გადწყვეტისას, ის მარტო არაა, — მისი დიდი ოჯახის წევრები საფიხვნოში იკრიბებიან და ბჭობენ, ნებისმიერ სიძნელეს — კერძოსა თუ საზოგადოს — ერთად წყვეტენ. დიდ ოჯახს, თემს, უზუცესი თავკაცი უძღვება, ბოლო სიტყვა ყოველთვის მასზეა.

თემი გამუდმებით იცავს თავს მტრულად განწყობილი მეზობელი „ტომისგან“, ნადირისაგან, ბუნების სტიქიისაგან. მისი ცხოვრების მთავარი ამოცანა არის თვითგადარჩენა, გამრავლება და საკვების მოპოვება, ანუ პირველადი მოთხოვნილებების, ინსტინქტების დაკმაყოფილება.

როდესაც ფროიდი ადამიანის ნებისმიერ აქტივობას მასში გაბატონებული ინსტინქტებით ხსნის, მეორე დიდი ფსიქოლოგი — ფრომი — ეწინააღმდეგება ამ აზრს და ამბობს, რომ თანამედროვე ადამიანის უბედურება ინსტინქტთა სიმრავლე კი არაა, მათი ნაკლებობააო. ამიტომ, ამ პოზიციიდან, მთიელისთვის უცხო უნდა იყოს თანამედროვე ადამიანის ეგზისტენციური ძიებები, სიმარტოვისა და მიუსაფრობის განცდა. ერთი შეხედვით, ის მართლაც მთლიანი, ურღვევი, საკუთარ გარემოსთან ინტეგრირებული, რეალიზებული ადამიანია. მისი გარემო, თუკი ის ხელშეუხებია, საუკეთესო ნიადაგია არსებობისთვის.

თავისუფალია მთიელი? რთული სათქმელია... ისევე როგორც, არავინ იცის, თავისუფალია თუ არა ადამიანი.

ამ მხრივ, მთიელი ყოფა იმთავითვე წინააღმდეგობრივია. ერთის მხრივ, „ზემოდან“ დანახული სამყარო, ახლოდან დანახული ცა, ბუნების მრავალფეროვნება, დილის ცვარში არეკლილი მზის სხივი, სუფთა, პირვანდელი სახით შემონახული ცხოველთა და მცენარეთა სამყარო, ხელშეუხები ბუნება, სრული ჰარმონია, რომელსაც ვერც ზვავი ანგრევს, რადგან ისიც ამ ჰარმონიის ნაწილია — მოკლედ, ყველაფერი ის, რაც ადამიანის სულში ბუნებასთან ერთიანობისა და თავისუფლების უკიდვანო განცდას ბადებს — მთიელისთვის გაჩენის დღიდან არსებული ჩვეული სინამდვილეა. გამოდის, რომ მთიელი არსობრივად ლალი და თავისუფალია.

მაგრამ არსებობს მეორე და საკმაოდ მძიმე რეალობა — მთიელი კაცის ხატი, წინაპართა მთელს გენეტიკურ ოკეანეს რომ იტევს, ერთგვარი ყალიბი: „როგორი არის“ კი არა, „როგორი უნდა იყოს“ ის? და ეს ყალიბი, ერთი შეხედვით, იმდენად ვიწროა, რომ ვერა და ვერ იტევს დასაბამიდან სილალისთვის განწირულ ბუნებას. ამიტომაცაა ის — ზოგჯერ პირქუში, ურთიერთობებში ხშირად მოუქნელი და ყოველთვის რალაც სევდანარევი საიდუმლოებით მოცული. ამ ყალიბს სხვაგვარად ადათი ჰქვია, რომელსაც მთიელი განუხრელად

ასრულებს, ესაა მისი რელიგია, სინმინდე და უმთავრესი ღირებულება. ადათი მეტად მაკაცრია, თავისი იძულებითი ხასიათის გამო, თუმცა მათ რიტუალებში ხშირად ვხვდებით ისეთ მოულოდნელ და მათთვის დამახასიათებელი „ზნეობრიობიდან“, თითქოსდა, სრულიად ამოვარდნილ და ღიმილისმომგვრელ დაშვებებს, როგორცაა „ნანლობა“, ან „სწორფრობა“, ან კიდევ სხვა, ერთი შეხედვით, კონკრეტული ფუნქციისა და აზრის მატარებელ რიტუალებს. ისინი მართლაც გარკვეულ მიზანს ემსახურებიან, ფუნქცია გააჩნიათ, თან ერთგვარი უხამსობის, თავზეხელაღებულობის ელფერიც დაჰკრავთ ხოლმე. ღიმილისმომგვრელი კი იმიტომაცაა, რომ შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ოდესღაც, უხსოვარდროს, ბრძენმა წინაპარმა, საკუთარი ხალხისთვის ღვთის მიერ ნაკარნახებ კანონებს რომ იწერდა, რალაც უფრო მეტი გამოსთხოვა უფალს — ცოტაოდენი ეროტიკისთვის, ოდნავ უფრო მეტი სიჭარბისთვის, ფუფუნებისთვის...

ანდა სხვა რა არის კანონის ფარგლებში ნაგულისხმევი და მის მიერვე გამართლებული სისხლის აღების სისხლშივე გამჯდარი მოთხოვნილება, გამხმარი კიდურები გახარებულ ქავის კარზე, შურისგების სურვილი, მტრის დამარცხების, მისი ბოლომდე შეურაცხყოფის დაუოკებელი ვნება? აქაც, იმ არქაული ბრძენკაცის მიერ უდავოდ გათვალისწინებული დევიანტური ქცევისადმი ადამიანის ძალუმი მიდრეკილება.

მთიელის „ასტროლოგიური“ პროგნოზი რომ არ გამოგვივიდეს, განვაზოგადოთ და განვაგრცოთ ეს თხრობა მთელს კაცობრიობაზე, ცივილიზებული სამყაროს თუნდაც ყველაზე პროგრესულ ნაწილზე და შემდეგ დავსვათ კითხვა — სადმე, რაიმე სხვაგვარადაა? ანდა საუკუნეების მანძილზე სადმე რაიმე შეიცვალა? კიო, დაუფიქრებლად იტყვიან მავანნი, მე კი მგონია, მხოლოდ სასმისი შეიცვალა, ის მუდამ იცვლება, სასმელი კი იგივე დარჩა.

ისევე „კბილი კბილისა წილ“ არის დღევანდელი კაცობრიობის დევიზი, დიახ, კაცობრიობის იმ უდიდესი ნაწილისა, რომელსაც საშუალო სტატისტიკური ჰქვია და არა მხოლოდ მისი. აქ მთელი სისავსით შემოდის პლატონის ფრაზა, რომლის მსგავსი, უ.ს. აზრობრივად სრულიად იგივე ფრაზა მათეს სახარებაშიც გვხვდება — „ფერულა ბევრს მოაქვს, ვაკხანტი კი ცოტაა“ — ეს სოკრატეს სიტყვებია, რომელსაც მას პლატონი ათქმევინებს თავის „ფედონში“ და ნიშნავს იმას, რომ ვაკხისადმი მიძღვნილ მისტერიებში, დღესასწაულებში, ვაკხანალიის მონაწილეებს ფერულას კვერთხი ეჭირათ, მაგრამ ისინი არ იყვნენ ვაკხის ქურუმები ანუ ვაკხანტები, რადგან ქურუმი მხოლოდ რჩეული შეიძლება იყოს, და ბაჩანა ბრეგვაძე, ისევე როგორც პლატონის სხვა არაერთი მთარგმნელი, ამ ღრმა და დიდებულ აზრს ქრისტეს სიტყვებით გამოვცემს: „მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედნი რჩეულ“ (მათე 20,16).

რჩეულთა ხვედრი კი ძალიან მძიმეა და სამყარო ძალიან ცოტას იცნობს ასეთს... და სწორედ ახლა მივადექით მთავარს. ეს მთავარი კი ალუდა ქეთელაური და ვაჟა-ფშაველაა.

\*\*\*

რატომ გარცხა თემმა ალუდა, რა არის ამის ნამდვილი და შეფარული მიზეზი? ზედაპირზე მხოლოდ ერთი მიზეზი დევს: ალუდამ თემის წესები დაარღვია, უარი თქვა ადათზე.



პოემის დასაწყისში ალუდა სამაგალითოა, თემი მას აზრს ეკითხება; ის საფიხვნოს თავში ზის და დადებითი პიროვნული თვისებებით აღჭურვილი, ბევრად აღემატება თემის სხვა წევრებს — ერთი სიტყვით, რჩეულია რჩეულთა შორის, რჩეულია საზოგადოების თვალში, ასე ვთქვათ, წარმატებულია. პოემის ბოლოს ის ისევ რჩეულია, ოღონდაც ახლა საზოგადოებიდან გარიყული, მისგან დაგმობილი. მაშ, რა რჩეულობაზეა ლაპარაკი? მინიშნება თავიდანვე არსებობს: „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“ — ამ ფრაზით პოემის მთავარი აზრია გამოკვეთილი. საქმე ისაა, რომ ეს ფრაზა არ არის დასკვნის სახით მოყვანილი, არამედ, პოემის დასაწყისშივე, სადაც თითქოს, უადგილოცაა, რადგან ჯერ არსად ჩანს, რომ ალუდა მტრიანია, მას არავინ ერჩის, არავინ კიცხავს — ის აღიარებული თავკაცია. ფრაზა სწორედ თავისი „უადგილობითა“ და „არადროულობით“ ხდება მნიშვნელოვანი; პოემის ბოლოს, დასკვნის სახით ის სრულიად ბუნებრივი იქნებოდა და მწერლის გმირისადმი დამოკიდებულებაზე მიგვითითებდა, მაგრამ აქ? ის მთლიანადაა ამოვარდნილი და ამიტომაცაა საყურადღებო მკითხველისთვის. რაზე მიგვანიშნებს მწერალი? ზეადამიანის ტრაგედიაზე? უეჭველია, ზეადამიანის ტრაგედიაზე, „კარგისა“ და მისი მტრების კონფლიქტზე, რომელიც ბევრად ადრე ჩაისახა, ვიდრე ეს „კარგი“ მიღებულ ნორმებს გადაუხვევდა.

პრობლემა, რა თქმა უნდა, პრობლემად რჩება და ეჭვი არაა, რომ პოემაში სწორედ თემისა და პიროვნების ურთიერთობის საკითხი დგას; უფრო მეტიც — საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის; უდავოა, ეს რთული და საჭირობოროტო თემაა და ეს ნაწარმოების პირველი შრეა. მაგრამ რა სიღრმისეული და ზნეობრივი მიზეზები უდევს საფუძვლად ამ კონფლიქტს, რა ფსიქოლოგიური მექანიზმები ირჯებიან ადამიანის ფსიქიკაში, როდესაც ის ასე განუხრელად, ხისტიად იცავს საზოგადოებრივ წესებს და მის ერთპიროვნულ უპირატესობას აღიარებს ყველა დანარჩენ ღირებულებასთან შედარებით. იქნებ, ეს რაღაც დამცავი მექანიზმია, თბილი და დაცული თავშესაფარი? მართლაც წესების დარღვევის გამო ისჯება ალუდა? თუ ზეციური კანონის დაცვისთვის? იქნებ ის იმთავითვე გარიყულია, რადგან ისეთი არაა, როგორც სხვები? და, იქნებ, სწორედ მისი ამ სხვაგვარობისა და უპირატესობათა გამო, არა კანონმორჩილების ეს აქტი ხელსაყრელი და სასიამოვნო საბაზია საზოგადოებისთვის, მასზე ზემდგომი და აღმატებული ადამიანის დასაკნინებლად?

ერთი შეხედვით, უდავოდ საფუძვლიანია ის მიზეზი, რის გამოც ალუდა მოკვეთილია საზოგადოებისგან, ვერავის შეედავები, ნესი დაცულია, არავინ ექცევა მას უსამართლოდ. მან ხომ ადათი დაარღვია, თვითნებურად მოიქცა, შემდეგ ზვარაკი შესწირა მტერს და მისი სულის ცხონებაზეც იზრუნა — ეს საკმარისი პირობაა თემის უკმაყოფილების გამოსანევეად. და მანც, მგონი, საბლაც სხვაგან, უფრო ღრმად, ფსიქიკის სხვა ინსტანციაშია დაფარული ქუმარიტი მიზეზი ამისა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი საზოგადოება ეწინააღმდეგება და ვერ ეგუება თავის რიგებში რჩეულთა არსებობას. ერთი შეხედვით, სანამ ყველაფერი რიგზეა, სანამ პიროვნება მეტ-ნაკლებად ჯდება მოცემულ ნორმათა ჩარჩოებში, ეს შეუფუძვლობა არაფერში ჩანს. კონფლიქტი მოგვიანებით იწყება, როცა ადამიანი განსხვავებულ, სხვათა მიერ ჩაუდენელ საქციელს სჩადის. ოღონდ ეს საქციელი არამც და არამც არ არის ეპატაჟი. ყოველგვარი ეპატაჟი უცხოა პიროვნებისთვის — პიროვნებისთვის, რომელსაც თავისი განსხვავებული ინდივიდუალური ღირებულებების სისტემა გააჩნია. ალუდაც ასე იქცევა, მას ეჭვიც არ ეპარება საკუთარი საქციელის სისწორეში, ის გულახდილად, ალაღად ყვება მუცალთან შეხვედრის ამბავს და იმედი აქვს, რომ მისი დარდიანი გამარჯვების სიხარულს სხვებიც გაიზიარებენ. ალუდა ბუნებრივად იქცევა, მას არ სურს ვინმე გააღიზიანოს ან თავისი უცნაური საქციელით გააკვიროს, ის მინიდან ამოსული იასავით უბრალო და გულწრფელია. დაუფიქრებლად მოქმედებს, არაფრის ანონ-დანონა არ სჭირდება, დღესავით ნათელია, როგორ უნდა მოიქცეს, არავინ

თარ ადათს არ არღვევს, მისი ყველა ადათი და კანონი მხოლოდ მასშია; მხოლოდ ერთი რამ ახსენდება, როდესაც მკლავს არ სჭრის მუცალს: „ნუმც ხარობს ქავის კარიო“ და ამით რაღაც სულ მცირედს თმობს, მცირედს და უმნიშვნელოს იმ მისტიკურ შეხვედრასთან შედარებით, რა შეხვედრაც მუცალთან მოხდა.

ჩვეულებრივ მოკვდავთათვის გასაკვირია, თემმა ვერ გაიგო, როგორ შეიძლება თავის გამოჩენის ასეთ შესაძლებლობაზე უარის თქმა, მოკლა და მარჯვენა არ მოჭრა? რატომ? ჩნდება „სასურველი“ ეჭვი — იქნებ ტყუის ალუდა, იქნებ მტერი არც მოუკლავს, იქნებ შეეშინდა? „სასურველი“ იმიტომ, რომ აქ შეფარვით იკვეთება თემის გაუცნობიერებელი ლტოლვა ამ ეჭვის მართებულობისა — დასტური იმისა, რომ ალუდა ისეთივე ლატაკი მოკვდავია, როგორც სხვები; თუმცა ასეთი ეჭვის მართებულობა საფუძვლამდე გამორიცხულია, ალუდა ხომ გამორჩეულია სიმამაცით, უშიშრობით და ეს ყველამ კარგად იცის; მაშინ, რაშია საქმე? თემი ალლოთი ხვდება, რომ მისთვის საშიშ ფენომენს შეეჯახა, ეს ისაა, რაც რჩეულს იმთავითვე ათავისუფლებს დანესებული კანონებისგან ისე, რომ არავის ეკითხება, გარდა უფლისა; უფალი კი იქ იყო, საცა ალუდა მტრის პიპოსტასში განსხვავებულ სულიერ ორეულს შეხვდა.

ფაქტია, ადათის დარღვევა, ამ შემთხვევაში, არ არის კონფლიქტის ერთადერთი მიზეზი; აქი, თავშივე გვეუბნება მწერალი „კარგია მუდამ მტრიანიო“. „კარგში“ ვაჟა, როგორც ირკვევა, არ გულისხმობს იმ ალუდას, როგორც ის პოემის დასაწყისშია, აქ, რაღაც სხვა „კარგზე“ ლაპარაკი, თან ამას მაშინ გვეუბნება, როცა ჯერ არც მტერი ჩანს არსად და არც ადათი დარღვეულა. სწორედ ამ ნაადრევი ფრაზით მიგვანიშნებს ვაჟა კონფლიქტის დაფარული მიზეზზე — „შენც ისეთივე უნდა იყო, „ისეთივე კარგი“, როგორც — ჩვენ“ — ასეთი ქვეტექსტი იკითხება ვაჟას პოემებში, ასეთია საზოგადოების ფარული მოთხოვნა. „ისეთივე კარგი“, შესაძლოა ყველაზე კარგს ნიშნავდეს, როგორც ალუდა იყო კიდევ, სანამ თემის გზას გადაუხვევდა, იყვნენ მასზე ნაკლები ან მისნაირი კარგებიც, მაგრამ თუკი ვირტუალურად კარგიანობა და სიკეთე შეიძლება აინონოს, განსხვავება ალუდასა და მისი თემის სხვა წევრების „კარგიანობას“ შორის მხოლოდ რაოდენობრივი იყო და არა არსობრივი. ალუდა კი ამ ახალ ვითარებაში განვითარების სხვა საფეხურზე გადადის და აღმატებული ხდება. უფრო კარგი ან უფრო ცუდი კი არა, არამედ რაღაც სხვა — ის განყენებული, ცალკე მდგომი პიროვნება ხდება, თავისუფალი ყოველგვარი გარეშე კანონისგან — მხოლოდ შინაგანი, მასშივე არსებული ღვთიური კანონების დამცველი, რომლებიც ხშირად ეწინააღმდეგებიან არსებულ ნორმებს — ის რჩეულია, ოღონდ არა გამორჩეული თვისებების გამო, არა ამ სიტყვის თემისეული გაგებით, არა სოციუმის რჩეული, არამედ იმ გაგებით, რა გაგებითაც პლატონი ან ქრისტე გულისხმობდა, როცა ამბობდა „მრავალნი არიან ჩინებულნი, მცირედნი რჩეულნი“.

გაუცნობიერებელი სურველი — დაამინოს, ჩვეულებრივ, ყოველდღიურ შუქში ატაროს ზეადამიანი, მოაშოროს მას დიდების შარავანდედი — მუდამ ტანჯავდა და ტანჯავს ნებისმიერ საზოგადოებას.

კარლ იუნგი, ბუნებრივია, შინაარსობრივად სრულიად განსხვავებულ მოცემულობაში, მაგრამ არსობრივად მსგავსი პრობლემის განხილვისას ამბობს, რომ რაიმე ღირებული ფაქტის ისეთი ახსნა, რომელიც ამ ფაქტის გაუფასურებისკენაა მიმართული — გაუმართლებელია, მიუხედავად იმისა, რომ ამ გაუფასურებას საშუალო ადამიანისთვის უეჭველი შეება მოაქვს — შვება, რომელსაც ის განიცდის ყოველთვის, როცა შეძლებს, დააჯინოს რაღაც აღმატებული, დიადი და საკუთარ მინიერ დონემდე დაიყვანოს იგი.

საზოგადოება კი ყველაზე კარგ შემთხვევაში საშუალო ადამიანებისგან შედგება. მაშ, როგორ მოიქცეს რჩეული?

როგორ მოიქცეს რჩეული? გამოღვიძებულ, თვალახელილ, „გველნაჭამ“ ადამიანთა ტრაგედიაზე დარდობს მწერალი. ესაა მისი პოემების მთავარი თემა, რომელიც მესამე, მაგრამ ძალზე ფართოდ გახელილი თვალთ იკითხება...

# ერთი ნიგნი, ორი რეჟენზენტი

ლია კარიჭაშვილი

## ბარდასახვა — მწერლისა თავისსავა პერსონაჟად

(როსტომ ჩხეიძის საჯარო ლექცია  
ვაჟა-ფშაველას)

2014 წლის 25 ნოემბერს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში შედგა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა შეხვედრა მწერალ როსტომ ჩხეიძესთან. შეხვედრა გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, **ბატონმა სერგო ვარდოსანიძემ**:

— ძვირფასო მეგობრებო, 2015 წელს ქართველი საზოგადოება ვაჟა-ფშაველას იუბილეს აღნიშნავს და ამ მართლაც მსოფლიო გენიას სათანადო პატივს მიაგებს. ვაჟას საბჭოთა პერიოდშიც კი ჰყავდა ჭეშმარიტი თაყვანისმცემლები. მისი შემოქმედების მკვლევართა შორის განსაკუთრებულ ადგილს მივანიჭებდი ვახტანგ კოტეტიშვილს და გრიგოლ კიკნაძეს, უფრო ადრე კი დიდ ქართველ მწერალს გრიგოლ რობაქიძეს. დავით კლდიაშვილს აქვს ერთი ძალიან საინტერესო მოგონება, საიდანაც ერთ ფრაგმენტს მოვახსენებთ. ქუთაისში XX საუკუნის 10-იან წლებში გრიგოლ რობაქიძე კითხულობდა საჯარო ლექციებს ქართულ ლიტერატურაზე. ლექციები რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. მაშინ ქართულ ენას, შეიძლება ითქვას, დაკარგული ჰქონდა სამეცნიერო და სამწერლობო ფუნქცია. გრიგოლ რობაქიძის ყოველი ლექცია ვაჟა-ფშაველას შესახებ მჭუხარე ოვაციით მთავრდებოდა. ერთ-ერთი შეხვედრისას ქუთაისელებმა მორიდებით შეჰკადრეს, არ შეგიძლიათ ქართულად ორიოდე სიტყვა გვითხრათ ვაჟა-ფშაველას შესახებ? გრიგოლმა ერთი კვირის შემდეგ ქართულად წაიკითხა ლექცია და თქვა, ვაჟა აკაკიზე დიდიაო. ეს მეხის გაწვრდნას ჰგავდა, აუდიტორიას უკმაყოფილება დაეუფლა, მიუხედავად იმისა, რომ ვაჟას მიმართ კეთილად იყვნენ განწყობილნი. გასაოცარი ის იყო, რომ რუსულადაც ამავეს ამბობდა გრიგოლ რობაქიძე და უკმაყოფილება არავის გამოუთქვამს, როგორც ჩანს, არ ესმოდათ.

ჩვენ გვაქვს შესანიშნავი შესაძლებლობა, ვაჟა-ფშაველას ორი მკვლევარი წარმოგიდგინოთ: ბატონი როსტომ ჩხეიძე — ავტორი ბიოგრაფიულ რომანთა შორის გამორჩეული ნიგნისა „დევების სტუმარი“ და ბატონი ამირან არაბული — რედაქტორი ამ ნიგნისა და ავტორი შესანიშნავი ბოლოთქმისა, ალარაფერს ვამბობ მის არაერთ სამეცნიერო ნარკვევას თუ სტატიაზე ვაჟას შესახებ. ბატონმა როსტომმა ჩვენი თხოვნით გადაწყვიტა, რომ მობრძანებულიყო და თქვენთვის მოეთხრო, როგორ შეიქმნა ეს დიდებული ბიოგრაფიული რომანი, მაგრამ მანამდე ვთხოვთ ნიგნის რედაქტორს, ბატონ ამირანს.

### ამირან არაბული:

— ეს არ არის ორდინარული, რიგითი ნაშრომი კლასიკოსზე, მწერალზე, რომლის სიყვარულში ალბათ ბევრი ეჯიბრება ერთმანეთს. რედაქტირების პროცესში რატომღაც არ მივაქციე ყურადღება და მერე, როდესაც ახლიდან გადავხედე ნიგნს, მივხვდი, რომ ქვესათაურად გატანილი „ვაჟა-ფშავე-

ლას ცხოვრების ქრონიკა“, ცოტა არ იყოს, ნაკლებად მიესადაგება იმ ნაშრომს, რომელიც, ფაქტობრივად, შეჯამებაა მთელი იმ კვლევისა, რომელიც ვაჟა-ფშაველას გარშემო ჩატარებულია საქართველოში.

მოგეხსენებათ, ვაჟას არ დაჰკლებია მკვლევრები და ბიოგრაფოსები. როგორც ბატონმა სერგომ ბრძანა, გამორჩეულები არიან, რა თქმა უნდა, გრიგოლ კიკნაძე და ვახტანგ კოტეტიშვილი, ასევე გრიგოლ რობაქიძე, რომელიც „კავკასიელის“ ფსევდონიმით ბეჭდავდა. მაშინ არ შეიძლებოდა ამ ლექციების ციკლის ქართულად გამოქვეყნება. მის შემდეგ არაერთმა მკვლევარმა შეისწავლა საგანგებოდ ვაჟას ბიოგრაფია და შემოქმედება. მათ შორის არიან ზაურ ნაქაძე, გიგი ხორნაული, მიხო მოსულიშვილი, ეთერ თათარაიძე და სხვანი.

დღესაც გრძელდება ვაჟა-ფშაველას შემოქმედების კვლევა სხვადასხვა მიმართულებით და შემიძლია ვთქვა თამამად, დაბეჯითებით, რომ როსტომ ჩხეიძის „დევების სტუმარი“ არის გამორჩეული ნიგნი, გნებავთ მონოგრაფია, რომელიც მოიცავს და სწვდება ძალიან ბევრ საკითხს, რომელთაგან სამ უმთავრესს გამოვყოფდი: პირველი, რასაც ნაკლებად ექცეოდა მანამდე ყურადღება, ეს არის ვაჟა-ფშაველას მონაწილეობა ეროვნულ მოძრაობაში. როცა მზადდებოდა აჯანყება და ეს აჯანყება სწორედ მთაში უნდა დაწყებულიყო. როსტომ ჩხეიძე ვაჟას ბიოგრაფიის ამ ეპიზოდს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. წარმოაჩენს ვაჟა-ფშაველას ფარულ კავშირს სანდრო შანშიაშვილსა და იმ ძალასთან, რომელიც კახეთსა და ბარში ამზადებდა აჯანყებას.

მეორე მნიშვნელოვანი თვალსაზრისია ის, რომ „გველის მჭამელში“ უკუფენილია თვითონ შემოქმედის ბედი. ბესიკ ხარანაულის სიტყვები მისი ცნობილი ლექსიდან — „გველის მჭამელი შემოქმედის ბედზე დაგწერე“ — ისე არის განვრცობილი ამ ნაშრომში, რომ ცალკე ნიგნად შეიძლება მოვიაზროთ.

მესამე არის, ჩემი აზრით, სიღრმისეული ანალიზის გზით მიღებული დასკვნა ენის საკითხში ვაჟასი და აკაკის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ესეც ცალკე ნაშრომად შეიძლება ვიგულოთ. ასე რომ, „დევების სტუმარი“ რამდენიმე ნიგნი შეიძლება დავინახოთ.

ამ ნაშრომს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდობისთვის. ისინი ამ ნიგნს აუცილებლად უნდა გაეცნონ. მასში არის სრულიად ახალი დოკუმენტური მასალები, რომლებზეც მანამდე ხელი არ მიგვიწვდებოდა. მასობრივად ძალიან სახალისოა, გამოყენებულია ბელეტრისტიული სტილიც, მკითხველი არ ილღობა ფაქტოლოგიური მასალის სიუხვით, რაც ამ ნიგნისთვის არის ნიშანდობლივი.

ნიგნის ერთ-ერთი თავი იწყება იმით, რომ საჯილდაო ქვას, რომელიც არის არაგვის ხეობაში, კოპალას სალოცავში, ეჭიდება ვაჟა-ფშაველა და ახერხებს მის აწვევას. მე მიმაჩნია, რომ, მეტაფორული მნიშვნელობით, როსტომმაც შეძლო ამ ქვის აწვევა და ძალიან დიდი წარმატებითაც. ბიოგრაფიულ რომანს ვასილ ბარნოვის შესახებ ბატონი ოთარ ჩხეიძე ასე ამთავრებს: „ჰქონდა უნარი თავგამეტებული შრომისა და შრომობდა“. ჩვენც იგივე შეგვიძლია გავიმეოროთ როსტომის შესახებ: აქვს უნარი თავგამეტებული შრომისა და შრომობს.

ამის შემდეგ ბატონ როსტომ ჩხეიძეს გადაეცა სიტყვა. საკმაოდ ვრცელი მონოლოგის დასაწყისში მან ხაზი გაუსვა ბიოგრაფიული რომანის, როგორც მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრის მნიშვნელობასა და პოპულარობას ბოლო ათწლეულის ევროპულ ლიტერატურაში.

მწერალმა ყურადღება გაამახვილა ვაჟას ბიოგრაფიის რამდენიმე ეპიზოდზე:

1. მისი შემოქმედების საწყისი ეტაპი, იაკობ მანსვეტაშვილის შუამდგომლობა ილიასთან, „ივერიასთან“ თანამშრომლობა.

2. ვაჟა ეროვნულ მოძრაობაში, აჯანყების მოთავე და სულსჩამდგმელი ( ეს ეპიზოდი საკმაოდ მიჩქმალული იყო მის ბიოგრაფიაში).

3. „გველისმჭამელი“ გვირგვინია ვაჟას ჰომეროსული ეპოსისა. მინდია თვითონ ვაჟა. ის თავის ტრაგედიას ხატავს — ყოფითისა და ამაღლებულის შეჯახება (მწერალს ეს გარემოება ახსენებს გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანს“, რომლის მთავარმა პერსონაჟმაც „იტვირთა“ მწერლის ტრაგიკული განცდები და საკუთარი თვითმკვლელობით „იხსნა ავტორი“).

4. ვაჟას ენობრივ-სტილური მანერა. ვაჟას ენა, რომლითაც ის თავის საუკეთესო პოემებს წერს, ეპოსის ენაა. ვაჟამ ერთგვარად ხიდი გასდო რუსთაველთან. მას მიაჩნდა, რომ წერდა არა კილოკავით, არამედ იმ ზოგადქართულით, რომელიც მთასა და ქართლში იყო შემონახული.

ცხადია, ვაჟას შემოქმედების ენობრივი სტილის საკითხი გვაცხენებს აკაკის პოლემიკას ვაჟასთან. როგორც ბატონმა როსტომმა შენიშნა, თვითონ აკაკიმ უბიძგა ვაჟას ამ ენობრივი მანერისაკენ. ამ თვალსაზრისით, ვაჟა აკაკის ლიტერატურული მემკვიდრეა.

შემდეგი საკითხი, რომელსაც ბატონი როსტომი საგანგებოდ შეეხო, ეს არის პარალელი ვაჟასა და ირლანდიელ მწერალ უილიამ ბატლერ იეიტსის შემოქმედებასა და ნააზრევს შორის. იეიტსმა დიდი გავლენა მოახდინა ჯოისზე, ჯოისმა — მთელ დასავლურ ლიტერატურაზე და მერე, 60-70-იან წლებში, ჩვენს ლიტერატურულ პროცესზეც აისახა ეს დასავლური ნაკადები და განწყობანი, თუმცა ამ ტენდენციებს ვაჟა-ფშაველას შემოქმედება უკვე სრულყოფილად მოიცავდა ჯერ კიდევ ჯოისის გამოჩენამდე ლიტერატურულ ასპარეზზე.

\*\*\*

უსმენ მწერლის საუბარს და გრძნობ, როგორ ძალუძს გარდაისახოს თავისივე რომანის მთავარ გმირად. როგორც თვითონ თქვა, ბიოგრაფიული რომანი სხვა არაფერია, თუ არა პიროვნების სულში შეღწევის მცდელობა.

როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანები პირობითად ორ რიგად შეიძლება დაიყოს. ერთი რიგი აერთიანებს იმ სახელებს, რომელთა ხსოვნა მართებს თანამედროვე მკითხველს და ამიტომაც მწერალი კიდევ ერთხელ აცოცხლებს მათ სახესა და ღვანლს. ეს ერთგვარი გამოქომაგება და „პატრონობა“ ღირსეული წინაპრებისა. ასეთებია, მაგალითად, ბიოგრაფიული რომანები მიხაკო წერეთლის („მგზავრი თიბათვის მზეში“), ქაქუცა ჩოლოყაშვილის („შავი ჩოხა“), პავლე ინგოროყვას („ბედი პავლე ინგოროყვასი“) და სხვათა შესახებ. მეორე რიგის ბიოგრაფიული რომანები კი იმ შემოქმედით ეძღვნება, რომელთა შესახებ ბევრი დაწერილა და ინერება, რომელთაც მკვლევართა ყურადღება არასოდეს მოჰკლებიათ, მაგრამ ამ შემთხვევაში როსტომ ჩხეიძე ერთგვარად ვალს იხდის მათ წინამუც, ახალ მონუმენტურ სახეს ქმნის, სრულს, მოზაიკურს, მრავალმხრივს. ამ მთლიანობაში ახლებურად ამეტყველებიან აქამდე ცნობილი ფაქტებიც კი. ასეთია ბიოგრაფიული რომანები ალექსანდრე ყაზბეგის („ყაზბეგისა“), იაკობ გოგებაშვილის („ბურჯი ეროვნებისა“), გალაკტიონის („კომიკოსი ტრაველიაში“), და, რა თქმა უნდა, ვაჟას შესახებ. ამ მიზნის მიღწევა იოლი არ არის, ამიტომაც საუბრობდა ბატონი როსტომი წერის პროცესის სიძნელეზე, ეს ნამდვილად ჰვავს საჯილდაო ქვასთან ჭიდილს. „დევების სტუმარი“ კიდევ ერთი საჯილდაო ქვაა, რომელიც ქართული მწერლობის კედელს დაეშენა.

დარინა ყურუა

# დევების სტუმარი ანუ აზიდული საფალავნო ქვა

(ვაჟა, რომორც  
ბიოგრაფიული რომანის გმირი)



„ყველაზე მეტად ამ რომანზე მუშაობა გამიჭირდა, იმდენად, რომ ხელის აღებასაც კი ვაპირებდი, თუმც მენანებოდა განუული სამუშაოს შუა გზაში მიტოვება და ასე წვალვით გავედი ბოლოში. რომანის ბოლო გვერდზე გასულს კი მგონია, რომ ვდგავარ იმ სამყაროს პირისპირ, რომელსაც ვაჟას ეპოსი ჰქვია და გადავბიჯებ თუ არა ამ მოჯადოებულ წრეს, აღარ ვიცი უკვე, ამის რა მოგახსენოთ აბა...“ — ამ სიტყვებით დაასრულა მოხსენება „დევების სტუმრის“ ავტორმა საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში გამართული შეხვედრისას. ვაჟა-ფშაველას ცხოვრების ქრონიკა თითქოს ყველასთვის მეტნაკლებად ცნობილი და არახალი უნდა ყოფილიყო, მაგრამ აბა ამ უხვი მასალის წარმოდგენა, ერთიანად შეკვრა და გადაბმა სცადოს სხვა-მაც — „გაჭირვებაზე“ უფრო მეტს იტყოდა.

ვაჟა-ფშაველას ბუნების მრავალმხრივობა, შემოქმედებითი ფერადოვნება და პიროვნული თავისებურება მკვლევარს ბევრ საფიქრალს უჩენს და მანამ არ მოასვენებს, სანამ „რალაცას“ არ შექმნის. ეს „რალაც“ კი, ჩვენთვის, ვაჟას სიყვარულში გაჯიბრებული მკითხველისთვის, ნამდვილი საკრამენტო აღმოჩნდა. გადხარ რომანის ბოლო გვერდზე და შევების სუნთქვა გულს გიმშვიდებს — დიდი მწერლის ცხოვრების ქრონიკა წინგად აკინძულია უკვე.

„დევების სტუმარი“ ლოგიკური გაგრძელებაა ვახტანგ კოტეტიშვილის, გრიგოლ კიკნაძის, გიგი ხორნაულის და ზაურ ნაქაძის მიერ დანყებული ბიოგრაფიული კვლევებისა. თითქოს მეტი რაღა უნდა თქმულიყო, მეტი რა უნდა დაწერილიყო, მეტი რაღა უნდა გამოკვლეულიყო... თითქოს ყველანი კარგად ვიცნობდით ვაჟას ცხოვრებას და შემოქმედებას, მაგრამ სინამდვილეში ბევრი რამ დარჩენილა ყურადღების მიღმა, ბევრი რამ აღმოსაჩენი ყოფილა და ბევრი რამ დარჩა კიდევ დასაწერი და გამოსაკვლევი — ეს თვით იმ ვაჟას ბუნებაა, რა გასაკვირია აბა...

წინის სათაურშივე გაცხადებული მისტიკურობა ბოლო გვერდამდე გასდევს რომანს. სათაურის ქვეშ მინანერი რომც არ წაიკითხო, მაშინვე მიხვდება მკითხველი, რომ აქ ვაჟაზეა საუბარი, აბა სხვა ვინ უნდა ყოფილიყო დევების ქორწილის სტუმარი?!

„დევების ქორწილი“ ბუნების აპოთეოზია თავისი დიდებულებითა და გრანდიოზულობით, იგი მყინვარწვერის სიდიადეა, ზვავის გრიალია, არაგვის ჩქეფაა, ჯისვის ნახტომია, ნამქერია და გრივალი. მაგრამ ადამიანის ადგილი არ არის მასში, თუ თავად ადამიანმა არ დაამკვიდრა საკუთარი თავი მის საუფლოში.“ — წერს კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი რომანის გამოსვლიდან მოკლე ხანში. სწორედ ამ სამყა-



როს სტუმარია ვაჟა-ფშაველა. მან შემოქმედის ნება აღასრულა, ბუნებასთან აზიარა მკითხველი, სული შთაბერა, ენა აუდგა... ღვთის შექმნილ სამყაროს სრულყოფილებისთვის ადამიანი გაუჩინა, ჩვენთვის მისტიკური, სინამდვილეში კი ღვთის ნების გამოხატულება. ამ დიდ მისიას სხვას ვერ დააკისრებდა, სხვას ვერ ანდობდა — თავად იტვირთა ვაჟამ. როსტომ ჩხეიძემ კი ღვთისა და კაცის ნდობა უმეცდომოდ გადმოგვცა.

როსტომ ჩხეიძის მიერ დანახული ვაჟა მრავალმხრივია, „ერთი მხრივ ეს გახლდათ ვაჟა-ფშაველა: მინის მუშა და მონადირე, თემისა და ქრისტიანული ოჯახის წესზე მდგარი ოჯახის წევრი. მეორე მხრივ: პეტერბურგში ნამყოფი განსწავლული მოქალაქე, რომელიც ოსტატურად თამაშობს ბილიარდს, ტფილისში ზოგჯერ ტროსკით დადის, ხოლო ზეპურ საზოგადოებაში უძვირფასეს სიგარას ეწევა, თუმც არ არის მწვეველი.

ეს კაცი დაძინებისას ქრისტიანულ „ღმერთო შენითა და არა ჩვენითა“ ამბობს და თანასოფელთა შორის გულგახსნილი ამყად აცხადებს: — ნაწილიანი ვარ, ნაწილიანი!“-ო.

ამ და სხვა საგულისხმო დეტალებით რომანში კარგად ჩანს ვაჟას უშუალო ბუნება. მათი სიუხვე გაგაოცებს კიდევ მკითხველს, როგორ შეიძლება ერთ ადამიანში ამდენი რამ იყოს ერთად თავმოყრილი, კიდევ ის გაგაოცებს, როსტომ ჩხეიძემ როგორ ზუსტად მიუჩინა მათ თავიანთი კუთვნილი ადგილი და ვაჟას მსოფლმხედველობა უმეცდომოდ გადმოგვცა. ერთ წიგნად არა, რამდენიმე წიგნადაც კი დაყოფს მკითხველი „დევეების სტუმარს“.

ბიოგრაფიული რომანი თანამედროვე ლიტერატურის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა, ევროპული ლიტერატურის მიმართულებამ ქართულ ლიტერატურაშიც ჰპოვა გამოვლინება. მხატვრულ-დოკუმენტური პროზა ბევრად უფრო საინტერესო გახდა მკითხველისთვის, ვიდრე ბელეტრისტიკა. თუმცა ნურც იმას ვიტყვით, ბელეტრისტიკამ თავისი დრო უკვე მოქაჩა და ბიოგრაფიულ რომანს უნდა დაუთმოს ასპარეზი. ორივეს თავისი კუთვნილი ადგილი აქვს, ვერცერთი ერთმანეთს ვერ ჩაანაცვლებს. და მაინც, ბიოგრაფიული რომანი პიროვნების სულიერი სამყაროს აღწერა-გადმოცემაა. მასში ცხოვრება და შემოქმედება განუყოფლად აისახება, ერთმანეთს ავსებს, რკინის ჯაჭვად იკინძება და ნამდვილი ამბის თხრობით იტაცებს მკითხველს.

სწორედ ამ სულიერი სამყაროს გადმოცემა ქმნის იმ სიძნელეს, რაზედაც როსტომ ჩხეიძე ამბობდა ლამის ხელი ავიღე ამ რომანის დასრულებაზეო.

„ბიოგრაფიული რომანი სხვა არაფერია თუ არა სულში შეღწევა. რას შეაღწევ, მხოლოდ უნდა ეცადო და შრეები ამოიცი-ნო“-ო, ამასაც ბატონი როსტომი ამბობს. „დევეების სტუმარი“ „ამოცნობაზე“ მეტია. ის ვაჟას სულში შეღწევაა, მისი იმ ბუნების უნაკლო გადმოცემა, რომელიც, პირველ რიგში, უფალთან, პირველყოფილ სრულყოფილებასთან იყო წილნაყარი. ამის მაგალითი კი ვაჟას „მინდიაა“. მინდიაში ყველაზე კარგად იკითხება ვაჟას შინაგანი სამყარო, მისი სულიერება, შფოთვა და შეურიგებლობა გარესამყაროსთან. ვაჟასაც ლამის ხელი აედო საკუთარ ცხოვრებაზე, თავგაბეზრებულს სიკვდილი ეწადა, მაგრამ რაღა „ნაწილიანი“ იქნებოდა ამას თუ იზამდა. ამიტომაც გახდა „მინდია“ აუცილებელი. ამიტომაც იტვირთა მინდიამ მწერლის „გადარჩენა“ საკუთარი სიკვდილით. ღვთის ხატად შექმნილ ინდივიდუალს სიცოცხლე ჰქონდა მისჯილი და უფლის ნების აღსრულებამდე ასეც უნდა ყოფილიყო.

ვაჟას შემოქმედება მითოსური პარადიგმებითაა მდიდარი, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანად კოპალას სალოცავში საფალავნო ქვა შეიძლება მივიჩნიოთ. ამ მოვლენას ორმაგ დატვირთვასაც მივანიჭებდი. როცა რომანის ავტორი ვაჟას „მინდიაობაზე“ იწყებს საუბარს, სწორედ ამ საფალავნო ქვასთან მის ჭიდილს იხსენებს, დაუმორჩილებელი ბუნების მთის შვილი ქვას არ მოეშვა, მეც უნდა ავნიო, ქარი მაინც უნდა გაუფტარო ქვემო, ჯიუტობდა თურმე ვაჟა. შემდგომ უკვე მთელი ცხოვრება გაივიდა ამ ჭიდილში, „ქარიც გაუფტარა ქვეშ“ და „მინდიაც“ გახდა.

„დევეების სტუმრის“ რედაქტორი და თვითონაც შესანიშნავი მკვლევარი ამირან არაბული ამ ფაქტს როსტომ ჩხეიძის დასახასიათებლადაც არ ივინყებს, მართებულად შენიშნავს, როცა წერს „...მსოფლიო მწერლობის უზადლო ცოდნის წყალობით როსტომ ჩხეიძემ შეძლო კოპალას სალოცავში მდებარე გოგოთურის საფალავნო ქვისთვის ქარის გატარება, რაც შემოქმედებით სირთულეებთან შებმისთვის განუხრელ მზაობასთან ერთად პირადი შესაძლებლობების გაუზიარავ რწმენასაც უეჭველად გულისხმობს“-ო.

სწორედ ამ ზემოაღნიშნული თვისების მეშვეობით გახდა შესაძლებელი იმ თითქოს დაუჯერებელი ამბის გადმოცემა, რასაც ეროვნულ მოძრაობაში ვაჟას მონაწილეობა ჰქვია. ადრე ამ ფაქტზე ხმამაღლა საუბარს ერიდებოდნენ, ან საერთოდ არ საუბრობდნენ, ან მის მცდარობას ამტკიცებდნენ. როსტომ ჩხეიძემ არათუ მცდარობა, მისი სარწმუნოება მოგვიტხრო. ვაჟა მეთაურობდა კიდევ ეროვნულ მოძრაობას, მისი რწმენით, ეს მნიშვნელოვანი ძვრა ჯერ მთაში უნდა დაწყებულიყო და მერე ბარში მიხმარებოდა. რომანის კითხვის დროს ყურში გაბმულ ძახილად ჩაგვის ვაჟას მიერ სანდრო შანშიაშვილისთვის განდობილი საიდუმლო — „ათი სანდო კაცი შეიგულე, შანში!“ და სანდროს მსგავსად სიამაყით გაგუდული მოუთმენლად ელოდები ვაჟას მითითებებს მთიდან.

900-იანი წლები ის ხანაა, როცა ეროვნული თვითშეგნება ერთი ილვიძებს და თავისუფლების წყურვილით ანთებული ყოველი ქართველი საგმირო საქმეების ჩადენისთვის მზაობას იწყებს. როსტომ ჩხეიძის მწერლური ოსტატობით ნათელი გახდა ვაჟას როლი ამ საქმეში, ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულების მართებულობა, რევოლუციისა და ეროვნული მოძრაობის ილიასეული „განმარტება“ — ერთმანეთისაგან განკერძოებულად რომ დგანან, საპირისპირო პოლუსებზე — და მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი.

ნურც ვაჟას ლიტერატურულ ენას დავივინყებთ, გამორჩეულსა და იმ დროისთვის თითქოს შეუფერებელს. „ენას გინუნებ, ფშაველო“ — აკაკიმ რომ „დაწყვიტა“ გული, ეს გულისწყვეტა ჩვენთვის, მკითხველისთვისაც გადამდები რომ აღმოჩნდა. თუმცა, რა გასაკვირია, ვაჟა სხვაგვარი ვერც იქნებოდა. ის ხელოვნურად ვერ შექმნიდა იმას, რასაც მისგან „ითხოვდნენ“, მასში ღმერთს ბუნებასთან ზიარობის კოდი ჩაედო, ხელოვნურს რა ესაქმებოდა?! ან განა ამ ენის გარეშე რაღა იქნებოდა „გოგოთურ და აფშინა“, „ბახტრიონი“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ალუდა ქეთელაური“, „გველის-მჭამელი“... ამ ენის გარეშე როგორ აიდგამდა ენას შვლის ნუკრი?!

ასევე ბევრის თქმა შეიძლება ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების სხვა საინტერესო დეტალებზე, მკითხველისთვის ადრე უცნობ და ახლა უკვე გამხელილ ფაქტებზე, საარქივო მასალის მიგნებულად გამოყენებაზე, რამაც ეს მნიშვნელოვანი საქმე — ვაჟა-ფშაველას ცხოვრების კვლევა — კიდევ უფრო გაამდიდრდა და გაამრავალფეროვნა.

თანამედროვედ გამხდარ ვაჟაზეა, თითოეული ჩვენგანის სულში მიძინებულ „მინდიაზეა“, საგმირო ეპოსის ხატოვნად „გახსენებაზეა“, მითოსური პერსონაჟების გაცოცხლებაზეა, ილიას, აკაკის, სანდროს, იაკობის ცხოვრებაზეა, ქართველი ერის ისტორიის ერთ მნიშვნელოვან ფურცელზეა... იმ უზარმაზარი საარქივო მასალის კვლევა-ძიებაზეა, რომელიც ცოდნით ერთი-ორმა „იცოდა“, გაზნეულად, აუკინძავად, თავმოყურელად, თითქოს უკლებლივ...

და წიგნის ბოლოში გასული უკვე სულ სხვა ვაჟა-ფშაველას ეცნობი, ნამდვილს, შეულამაზებელს, ნაღდს, მთის შვილს თავისი დაუმორჩილებელი ბუნებით...

თითქოს უკვე ყველაფერი ითქვა, თითქოს ამოიწურა სათქმელი... თუმცა მე სხვაგვარად ვიტყვი: ვაჟას ცხოვრების კვლევა აწი იწყება, სწორედ ამ „დევეების სტუმრით“... ბატონი როსტომის დამსახურებით სხვისთვის ან უკვე გაიოლებულად...

ლეილა მესხი

# ფიქრის კრიკოსანი

სტუმრად ირაკლი აბაშიძესთან

ჩემი პირველი მოთხრობები მაგონდება. გამოუცდელი ხელით ნაწერი, გაუნაფავი სტრიქონები. ერთფეროვანი სიუჟეტები. ასეთ დროს, ყველაზე მეტად სხვისი აზრი გაინტერესებს, გსურს გარკვეო, მოიხონებენ შენს ნაცოდვილარს თუ დაინუნებენ. რას გირჩევენ, წერა შეწყვიტო თუ გააგრძელო (ტყუილ-უბრალოდ ხომ არ იშრომებ, ბოლოსდაბოლოს სხვის დასაცინად ხომ არ გაიხდი თავს?!)... ყოველივე ამის შეცნობას მწერლობაში გამოცდილი კაცის თვალი სჭირდება.

ახლობლებში ასეთი არავინ მეგულებოდა. მწერლებს არ ვიცნობდი, არც რედაქციის თანამშრომლებში მომეპოვებოდა ვინმე ნაცნობი. დეიდამ რჩევა მომცა. მისი მამა (ქმრის ძმა) ვალიკო ობოლაძე, ხონის ყოფილი რაიკომის მდივანი, შემდგომში საქართველოს უშიშროების სამმართველოს უფროსი, იმჟამად პენსიონერი, ქუთაისში, ჩვენს მახლობლად, მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა. ახალი ნაავადმყოფარი იყო, გამხდარი, ყველას გარიდებული, განმარტოებით ცხოვრობდა. არადა, ერთდროს მწერლების მეგობარი, ლიტერატურის მოყვარული, გემოვნებიანი პიროვნება გახლდათ. ცხოვრებისეული გამოცდილება საკმაოდ ჰქონდა. გადავწყვიტე, მოთხრობები მისთვის მიმეტანა წასაკითხად. ასეც მოვიქციე. შეუძლოდ იყო, მაგრამ მხიარულად მიგვიღო. ჩემს თხოვნაზე ჩაიცინა, „დატოვეო“, მითხრა.

გამოცდილ ლიტერატორად თავი ნაკლებად მიაჩნდა, ვერც რჩევას მომცემდა ალბათ, მაგრამ ვისთან უნდა გავეგზავნე, ეს უეჭველად იცოდა. მეორედ მისვლისას, კონვერტში ჩადებული ბარათი დამახვედრა. „ირაკლი აბაშიძეს“ — ნაენერა ზედ. მოკლედ, თბილისში მგზავნიდა. წერილში ძველ მეგობრობას იგონებდა, ერთად გატარებულ დროს. ირაკლი ხომ ხონელი იყო. მშობლიურ კუთხეში სტუმრობისას უპირველესად რაიკომის პირველ მდივანს ინახულებდა, შემდეგაც ხვედობდნენ ერთმანეთს. „არ მოვმკვდარვარ, ცოცხალი ვარ“, სწერდა ბარათში, თითქოს საყვედურობდა...

ჩავლილი დღეები მოგონებებში უფრო ლამაზი ჩანს, ვიდრე სინამდვილეში იყო. მწერალთა კავშირში პირველად მისვლა და ირაკლი აბაშიძის კაბინეტის კარის შეღება გამიმძნელდა. მითუმეტეს ძველი მეგობრის ბარათის გადაცემა აღმოჩნდა მიძიმე... ირაკლის ახლოს არ ვიცნობდი. არადა, შევედი თუ არა კაბინეტში, ნაცრისფერ კოსტუმიანი, მალალი, წარმოსადეგი მამაკაცი სავარძლიდან წამოიმართა და მე — სრულიად უცნობი, ახალგაზრდა ქალი — პატივით მიმიღო, სავარძელში ჩამსვა. ვინაობა მკითხა და როცა ბარათი მივანოდე, აშკარად შენუხდა, აფორიაქდა. „რამდენი ხანია არ მინახავს, როგორ შევრცხვი ამ კაცთანო!“ თავში ხელი არ შემოურტყამს, თორემ არაფერი დაკლებია... „როცა ვჭირდებოდი, ვახსოვდი. ახლა დამივინყაო... ალბათ ასე ფიქრობს.“ ვერ მოსცილდა წარსულს. დღევანდელობაში დაბრუნება უჭირდა ბატონ ირაკლის. „დამიტოვე მოთხრობები და ხვალ მოდი.“ მიცილებდა.

მეორე დღეს ვესტუმრე. დრო გამოძებნა და მოთხრობებს თვალი გადაავლო. ჟურნალებში — „საქართველოს ქალი“ და „ცისკარი“ — ბარათი გამატანა. სთხოვდა, „ხონელია, ჩემი მშობლიური კუთხიდან და ყურადღებით მოეპყარიო“. ჩემი ხონელობის შესახებ ვალიკო ობოლაძე ატყობინებდა. „ლორთქიფა-

ნიძეების შთამომავალია. აბა შენ იცი, ირაკლიო“. მოკლედ, მთელი ამ ხნის განმავლობაში, ვიდრე მოთხრობებს კითხულობდა და წერილს წერდა ბატონი ირაკლი, კაბინეტში განუწყვეტლივ შემოდოდნენ და გადიოდნენ თანამშრომლები, მწერლები, მისაღებში მომლოდინე მთხოვნელები. ყველას მიმართ ყურადღებიანი იყო. ტელეფონის აპარატი განუწყვეტლივ წკრიალებდა. შეხვედრებზე ინვევდნენ კულტურის სამინისტროში, ცენტრალურ კომიტეტში. ყველას მშვიდობიანად ისტუმრებდა. თან ხუმრობდა, მალვალაკობდა. მალიმალ გადმომხედავდა. თვალს ჩამიკრავდა. ახლობლობას მაგრძნობინებდა...

უცებ მომიბრუნდა და მეკითხება:

— მოიცა, შენ ხონელი ხარ ხომ?

— დიახ. — ვპასუხობ.

— მეც ხონელი ვარ.

— ვიცი, ბატონო ირაკლი! თქვენი სახლიც ვიცი ქარჩხაფში. ხის სახლია... ეზოში დიდი ხეები დგას...

— ჰოდა, ავშენებულვართ და ეგაა. მე ლექსებს ვწერ, აგერ (მალალ კაცზე მიმითითა) სიმონ წვერავას ხომ იცნობ, ესეც ხონელია. ნარკვევებს წერს. შენ მოთხრობები დანერე და მორჩა, მეტი რა უნდა ხონს... აშენებულა! — ხმამალა გადისხარხარა.

თან დამცინოდა, თან მეფერებოდა. სამომავლო იმედსაც მაძლევდა...

ყველაზე ხშირად იოსებ ნონეშვილი შემოუღებდა კარს, მწერალთა კავშირის მდივანი. ვიცანი. ინგლისიდან ახალი დაბრუნებული ჩანდა, უცხოვრად ჩაცმულ-დახურული. ლურჯი, პრიალა პიჯაკი ეცვა. რამდენჯერმე თვალი შემავლო. „ეს გოგონა ვინ არის, ირაკლი?“ ჰკითხა. „ხონელია, ჩემი მინა-წყალი... როგორები არიან იმერელი ქალები?“ „შესანიშნავია. — ილიმის ბატონი იოსები — პოეტია?“ „გვეყო პოეტები, პროზაიკოსია.“ „ძალიან კარგი!“ ბარათები ადრესატებს ჩავაბარე.

„საქართველოს ქალში“ გაიოცეს, „როდის იყო ირაკლის მწერალი ქალები აღარდებდაო, არ ვახსოვართო...“ თუმცა მოთხრობა დაიტოვეს და მოგვიანებით დაბეჭდეს კიდევ. „ცისკარში“ მისულს, რედაქციაში არჩილ სულაკაური, ძმები ჭილაძეები და გივი გეგეჭკორი დამხვედა. მოთხრობებით იმდენად არ დანტერესებულან, რამდენადაც ირაკლის ბარათით გაერთინენ... ერთმანეთს ანოდებდნენ, კითხულობდნენ, ქირქილებდნენ... რა ხდებოდა, ვერ მივხვდი. ბარათი „ცისკრის“ იმჟამინდელი რედაქტორის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის სახელზე იყო გამოგზავნილი. ირაკლი ჩემს თავს ლორთქიფანიძეების შთამომავლად აცნობდა. როგორც შენს მოგვარეს, ყურადღებით მოეპყარიო (ახლა ვხვდები, წერილი ფარულ მინიმებას ჰგავდა, ნკვეპლის ოდნავ გადაკვრას. ქუთაისში ყველამ იცოდა, კონსტანტინეს მამა, ყოფილი ურიადნიკი, გორაზე ცხოვრობდა და გვარად თავ-ვითნარშვილი იყო). დავიჯერო, ირაკლის არ ეცოდინებოდა?!

ახალგაზრდებმა მოთხრობები დაიტოვეს და მეორე დღისთვის დამიბარეს. გივი გეგეჭკორმა ნაიკითხა. როცა მივიდი, შეკითხვებით აჭრელებული ხელნაწერი დამიბრუნა, „ახალ მოთხრობებში გაითვალისწინეო“ — მითხრა. გამოვბრუნდი. ვერც იმას მივხვდი, ბოლოსდაბოლოს გამეგრძელებინა წერა თუ შემეწყვიტა... მრჩეველი არ ჩანდა! თუმცა კიდევ რომ ერთხაო, მაინც არ დაუფჯერებდი. თბილისში ჩამოსვლამ, მწერალთა კავშირში სტუმრობამ კიდევ უფრო გამიმძაფრა სურვილი, დროულად შინ დაბრუნებულიყავი და ნახევრად დაწერილი ბოლო მოთხრობა დამემთავრებინა...

იმ დღეებიდან ბევრი რამ დამამახსოვრდა, განსაკუთრებული შთაბეჭდილება კი მწერალთა დიდებული სასახლის პირველმა ხილვამ დამიტოვა. მარმარილოს კიბეები, სარკეებიანი დარბაზი, უნიკალური ბიბლიოთეკა, ვეფხვისა და ლომის ფიტულები (იქაურობისთვის ერთობ შეუსაბამო მეჩვენა!), ირაკლის კაბინეტი, მწერლების სიმრავლე... არცერთს არ ვიცნობდი, თუმცა ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. მაშინდელი აღფრთოვანება დღესაც არ განმელებია. დღესაც თავდავიწყებით მიყვარს იქაურობა. მიუხედავად ამდენი დავიდარაბისა, რამდენჯერ

\* გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №1

ნავგართვეს თუ დაგვიბრუნეს სარაჯიშვილისეული სასახლე, ბოლომდე მის ერთგულად ვრჩები („გრაალის“ მცველი ვარ!). ამიტომ ვიღებდი აქტიურ მონაწილეობას გამოსვლებში, სასამართლო პროცესებში. მახსოვს ერთ ამგვარ შეკრებაზე, ცნობილმა ლიტერატორმა და მეცნიერმა, ბატონმა ზურაბ ჭუმბურიძემ განაცხადა: „მწერალთა სასახლეს თუ ნავგართვეს და გაყიდვან, პროტესტის ნიშნად თავს დავინვაოვ!“

ამ სიტყვებმა შემზარა. ახლაც ყურში ჩამესმის... ფრთხილად, ქართველებო!

### ქართული ნობელი

მოსკოვი ხშირად მახსენებს თავს. 1959 წელია. ხალხი შეშინებული და დამფრთხალია. წასვლისას ახლობლები მაფრთხილებენ, შენს ქართველობას ნუ გაამხელ, საშინაო. აშკარად ვხვდები მიზეზს. სტალინის გარდაცვალება. პიროვნების კულტი, ბერისა დახვეწა, თითქოს ქარიშხალმა გადაიარა. ადამიანებს უნდობლობა აღბეჭდიათ სახეზე. მცირედი ბიძგი კმარა, (განსაკუთრებით მოსახლეობის დაბალ ფენებში,) რომ შენდამი სიძულვილი გაამუდავონ, შეპირისპირებას ვერიდები... მახსოვს, წამოსვლისას ხილი წამოვიღე. ვიფიქრე, ვინმეს პატივისცემის ნიშნად მივართმევ-მეთქი. ჩვენს კათედრაზე ფართოშუბლიანი, ჭალარა ქალი — ზოია თედორეს ასული მსახურობდა. მალიმალ მიწვედა მასთან შესვლა. შენუხება. ქალაღის პარკით ქართული ხილი მივართვი. არ აიღო. არც ჩახედა, უკან დამიბრუნა. აღბათ ვრიდებ-მეთქი. პარკს ხელი არ ვახლე. მაშინ წამოვდგა და ჩემს დასანახად, პარკი თაროზე, ყვავილების ქოთნებთან შემოდო. იდო და იდო... ლოყანითელი ვაშლები, ქარვისფერი მსხლები, სურნელოვანი კომშები, ხურმის ჩირი. სუნი გაუშვა, მაგრამ რა სუნნი! კარის ყოველ შეღებაზე ხმები ისმოდა: „ოი! ზოია ფეოდოროვნა, ჩტო ზა ზაპახ უ ვას!“ ბოლოს, რომ დალაპა, ჩემს დასანახად, დამლაგებელს გადააყრევინა.

უსიტყვო გაკვეთილი ჩამიტარა.

დღესაც ვერ მივმხლარვარ, რა იყო მიზეზი. თუმცა ვხვდები, 1959 წელი იდგა!

მეორე შემთხვევაც მაგონდება. კაცი ჭკუას ძნელად სწავლობსო, ნათქვამია. პირველ კურსზე მიღებული გამოცდილება დამავინწყდა. ბოლო კურსზე ვარ. სადიპლომო თემაზე ვმუშაობ. ხელმძღვანელად ბალტიისპირელი ქალბატონი დამინიშნეს, ელგა კაზიმიროვნა (გვარი არ მახსოვს), ტანწერნეტა, ჰაეროვანი ქალი. ნაზი პირისახით. ლექციების შემდეგ მეუღლე აკითხავდა, სამხედრო პირი, მანქანით შინ მიყავდა. მანქანაში გოგონები ისხდნენ, დედასავით ლამაზები, კეკლუცები. ჩემს წამოშვებულ მონდომებით იმუშავა, ახალი დოკუმენტებით შემავსებინა და, უკვე სრულყოფილი, კათედრაზე წარვადგინე. მალე დავიცავი კიდევ. მაღლიერება სხვაგვარად როგორ გამოიხატა და ჩემიანებს მივწერე, საახალწლოდ, აღნიშნულ მისამართზე ქართული ხილი გამოგზავნეთ-მეთქი (ჭკუა ვერ ვისწავლე!). იმათაც მოინდომეს და მოზრდილი ყუთი მანდარინით, ფორთოხლით, ჩურჩხელით, ხურმით, ტკბილი კვერით გაავსეს და გამოგზავნეს. ერთ დღეს კათედრაზე მიხმობენ. მაკვდას ელგა კაზიმიროვნა უზის. მილიმის. მაღლობას მეუბნება. „ძალზე ეგზოტიკური ხილი იყო, ბევრი (ჩურჩხელა და ტკბილი კვერი) არასდროს გაგვისინჯავს. გოგონები აღფრთოვანებული დარჩნენ“. გამეხარდა, ძლივს ვილაცას ვასიამოვნე -მეთქი. ხელჩანთა ამოიღო და მეუბნება: „ჩემმა მეუღლემ ყველა ბაზარი მოიარა, ხილის ფასი დაადგინა და 27 მანეთმა და ორმოცმა კაპიკმა მოუწია.“ მაგიდაზე ფულთან ერთად ხურდაც დადო.

როგორ მოვიქცე?! გავეჯიუტდე და ფული არ ავიღო?! უხმოდ ვიღებ.

### მოხუცი მასპინძელი

ბინა ინსტიტუტის მახლობლად, ხუთსართულიან, ძველ, მოსკოვურ სახლში ვიქირავე. ინსტიტუტის შესასვლელთან განცხადება ვიპოვე, პენსიონერი ქალბატონი მდგმურს ეძებდა, გოგონას, რომელიც მასთან ერთად იცხოვრებდა. ქირად ოც მანეთს ითხოვდა. უმალ გამოვცხადდი. პატარა ტანის, ფერმკრთალი ქალი აღმოჩნდა. ყაჭვიით თეთრი თმა ჰქონდა. ფართო ნაცრისფერი თვალებით მკაცრად შემომხედა, ლამის გამოცდა მომიწყო. ვინ ვიყავი, საიდან ჩამოვედი. არაფერი დამიმალავს. გასაუბრებას მისი ქალიშვილიც ესწრებოდა, სათვალისანი, მკაცრი ქალი. რით მოვიგე მათი გული, არ ვიცი, „გადმოდო და ბარგი გადმოიტანეო“, ხმადაბლა მითხრა მოხუცმა. მას ტატიანა ეფიმოვნას ეძახდნენ. ქალიშვილი გორკის ქუჩაზე ცხოვრობდა, მაგრამ დედის სმირ მონახულებას ვერ ახერხებდა, მივლინებებში უწევდა ყოფნა. იოლად შევეწყვეთ ერთმანეთს. ყოველ დღით მაღაზიაში ჩავდიოდი, რძე, კეფირი, პური და სოსისი ამომქონდა. მეურ ლექციებზე მივდიოდი...

ყველაზე მეტად ტატიანა ეფიმოვნას „ვახშამი“ მაგონდება. ფართო ნათურის ქვეშ, მაგიდის ერთ მხარეს მე ვზივარ, მეორე მხარეს მასპინძელი. ვნერ, ვკითხულობ. ვმეცადინებო. ის კი ვახშამობს. დამისკუბდება წინ და პროტეზის რაკარუკით მიერთმევს თავის ულუფას — ერთ კვერცხს, ერთ პამიდორს და ჭიქა კეფირს. ყველაზე მეტად მისი კბილების რაკარუკი მაღიზიანებს, მაგრამ ვითმენ...

რა მექნა, უცხო, ცივ ქალაქში, ყველაზე თბილ ნავსაყუდელად ეს პატარა ბინა მიმაჩნდა. მაღლობელი ვიყავი რომ კარი გამოიღო და ახლობელივით შემეფარა. ჩემი ყველაფერი აინტერესებდა, წარმომავლობა, ოჯახი. რა მიხაროდა და რა მწყინდა. თითოეული გამოცდა, მიღებული ნიშანი, ლექტორის გვარი. რას მწერდნენ საქართველოდან, როგორ იყვნენ ჩემები... მოკლედ, საინტერესო მოსაუბრედ მივანდო. თავდაპირველად მუსლიმანი ვეგონე, გაოცდა, როცა გაიგო, ქართველები მართლმადიდებლები არიანო. იგი ძველი რწმენის ებრაელი ქალი გახლდათ. ამას მაშინ მივხვდი, როცა ებრაელთა ერთ-ერთ დღესასწაულზე ახლო ნათესაები ეწვივნენ, მთხოვა, სანამ სტუმრები არ წავიდოდნენ, შინ არ დაგბრუნებულიყავი. სხვა რა ძალა მქონდა, მთელი დღე ტრეტიაკოვის გალერეაში გავატარე... დარბაზებში დაგხეტიალობდი, ექსკურსიამძღოლებს უვსმენდი, შთაბეჭდილებებით სავსე დავბრუნდი.

ტატიანა ეფიმოვნამ ესპანური ენა იცოდა. ოცი წელი საელჩოში ემუშავა. ოთხი წელი ქმართან ერთად მადრიდში ჰქონდა გატარებული. ბინა სავსე იყო ესპანურ-მავრიტანული ნივთებით (სურებით, თასებით), ელ გრეკოსა და გოიას სურათების რეპროდუქციით, ესპანელი მწერლების წიგნებით. განუწყვეტილ მიყვებოდა, კოლიასთან ერთად როგორ ცხოვრობდა მადრიდთან ახლოს, ელ-პარდოში. ხშირად კონცერტებზე დადიოდა. ყველაზე მეტად ესპანური ცეკვები უყვარდა. იმდროინდელ ცნობილ მოცეკვავებს ჩამოთვლიდა: არხენტინიტა, პილარ ლოპესი, ესკუდერო. მათ ფოტოებს მანახებდა. მოკლედ, ვერთობოდით, მასთან ყოფნა უდავოდ საინტერესო იყო. ოღონდ ქმართან ერთად როგორ აღმოჩნდა ესპანეთში, არასდროს გაუმხელია, არც მიკითხავს...

ქმრის საფლავზეც ვახლდი. რაოდენი იყო ჩემი გაოცება, როცა პირველად ვნახე კრემატორიუმი, მიცვალებულთა გრძელი რიგები ვიხილე, შავი ხავერდი, მენდელსონის სამგლოვიარო მუსიკა, გამთხროვების უჩვეულო წამი (ქართველებს მოთქმდა და ვინმე მახსენებოდა!). ირგვლივ სიცივე და თავშეკავება იგრძნობოდა. შეიძლება კრემატორიუმი, ფერფლად ქცევის აუცილებლობა ანელებდა ყოველგვარ განცდას. მდულარე ცრემლი ნაკლებად ჩანდა...

ყოველივე ამის დამაგვირგვინებელი აღმოჩნდა, როცა ნაცრისფერ, ყრუ კედელს გავყევით და ერთმანეთის მიმდევრობით ჩამორიგებული, გარდაცვლილთა სურათები ვიხილე. წარწერები და თარიღები. ერთ-ერთ კედელთან, სულ ზემოთ, მეშვიდე რიგში, კოლიას ფერფლი იდო ურნაში. სურათიც მოჩანდა. თითქოს სიმალლიდან გადმოგვცქეროდა ტატიანა ეფიმოვნას „ყო-

ლენკა”. ქაცარა უღვაშიანი, პირხმელი კაცი, ჩეკისტის მზერა რომ ჰქონდა. ქალაღდის ვარდები თოვლზე დაანყო (შემოსასვლელში ვიყიდეთ ფურჩალა ფოთლებიანი, ქალაღდის ნითელი ვარდები). ტატინა ეფიმოვნა ატირდა: „კაკ ტი ტამ, კოლენკა?” — ეჩურჩულება ქმარს. ყოველივე სასაცილოდ მეჩვენა, თავს ვიკავებ...

— მინაში რატომ არ დაასაფლავეთ? — ვეკითხები.

— ტი ჩიტო, დოროგაია, ოჩენ დოროგო...

ამდენი ხნის შემდეგ, დღეს ალბათ არავის ახსოვს ტატინა ეფიმოვნა, მე კი მისი ხსოვნა, თბილ მოგონებად ჩამრჩა გულში... ნათელში მისი სული!

### გამოშვების საღამო

1965 წელი. მეხუთე კურსზე ვარ. თოვლი, სიცივე. მოყინული ქუჩები, სახელმწიფო გამოცდების ჩასაბარებლად ვემზადები. დიპლომი უკვე დავიცავი. თემად „1842 წლის გურიის გლეხთა აჯანყება” ავირჩიე. საჭირო ლიტერატურა საქართველოში მოვიპოვე, რაც დამაჯლდა- მოსკოვში შევაკვებ. ნაშრომმა მაღალი შეფასება მიიღო.

ჩვენი ინსტიტუტი კრემლთან ახლოს, 25 ოქტომბრის ქუჩაზე მდებარეობდა. რუსული არქიტექტურის ნიმუში, ჩუქურთმებით მორთული, ლურჯად შეღებილი, ყოფილი ქალთა მონასტრის შენობა იყო. კედლების სისქე მეტრნახევარს აღემატებოდა. შენობას სიძველის სუნი დაჰკრავდა. ყოფილი სამლოცველო სააქტო დარბაზად გადაეკეთებინათ. გამოსაშვები საღამოც გაიმართა. ვრცელ, გაბრწყინებულ ოთახში სათითაოდ გამოგვიძახეს და დიპლომთან ერთად სამკერდე ნიშნებიც გადმოგვცეს. იყო ტაში, მხიარულება. მილოცვები. ბანკეტი რესტორან „მეტროპოლი” გაემართეთ. უმშვენიერესი დარბაზი დაგვხვდა. სუფრა ბროლითა და ფაიფურით იყო დამშვენებული. თანაკურსელები მხიარულობდნენ, რაც მთავარია, მოხუც პროფესორებს ვედარ ვცნობდით. გახალისებულნი იყვნენ. ყველანი მოვიდნენ: ეროშკინი, ვიალიკოვი, სერებრიაკოვი, ბუნიინი... სწავლის პერიოდში განსაკუთრებით მკაცრები იყვნენ, ორიოდე ჭიქა არყის შემდეგ, ლამის გაბავშვდნენ. ცეკვავენ, მღერიან.

— ლეზგინკა! — ყვირის ვილაც.

— მესხი! ტანცუი!

რომელი მოცეკვავე მე ვარ, არც არასდროს გამომიდგია თავი, მაგრამ ახლა, ამ მხიარულ გარემოში, თითქოს გარდავიქმენი... რაღაც ძალა მაიძულებს ხელები გავშალო და საცეკვაოდ გავიდე. არც საკუთარი თავი შევირცხვინო და არც ჩემი ქვეყანა. ხელებს ვშლი... დარბაზს ჩამოვუარე. უცებ მოხუცი, ფეხებატიკივებული პროფესორი გამოიჭრა შუა სცენაზე. მეცეკვება. ჩემთან ერთად ტრიალებს, ხელებს შლის. რამდენად ცეცხლი მოემატა „ლეზგინკას” (ლეკურს) და გაგიჟდა დოლი, იმდენად აფორიაქდა ბერიკაცი, ირგვლივ მიტრიალებს, ალაგ-ალაგ ბუქნავს, საოცარ ილეთებს აკეთებს. ბოლოს ზომავს მეტად ალტაცებული და ლამის გონებაგადასული შუბლს მიკოცნის, მემადლიერება. ამბობს, რომ ომში მასთან ერთად ქართველი ბიჭები იბრძოდნენ, უმრავლესობა ქერჩში ჩაიხოცა, თვითონ ცოცხალ-მკვდარმა გამოაღწია... ამდენი წელი გავიდა და „ლეზგინკა” არასოდეს უცეკვია, არც მეგონა თუ მახსოვდაო, ახლა შენმა ცეკვამ გამაცოცხლაო, ძველი მეგობრები მომაგონაო, განუწყვეტლივ ტიროდა... ვეღარ ვიცანი. მკაცრი, უთქმელი, ღრჯუ ლექტორი შეცვლილი ჩანდა... გამხიარულებულზე უფრო გაბავშვებულიყო... გვარად სერებრიაკოვი იყო, იგორ პავლეს-ძე.

მოგვიანებით ყველანი ავიშალეთ და კრემლისკენ ფეხით დავიძარით. ესეც ცერემონიის ნაწილი იყო. კარგა ხანს კრემლის წინ ცეკვავდნენ თანაკურსელები, მღეროდნენ. სახეზე თოვლის ფიფქები გვაცვიოდა... ნამით მომაგონდა, მავზოლიუმში სტალინი აღარ არის, პოლიტიურს დადგენილებით,

როგორც უღირსი პიროვნება, გარეთ გამოაძევეს. ფერფლი რომელიღაც კედელშია. ვეძებ ამ კედელს... ბოლოს ვპოულობ, ქუდს ვცნობ, უღვაშებს... ცრემლი მეძალება. ისეთი განცდა მაქვს, თითქოს დიდი ხნის უნახავი მამის საფლავს ვენვიე...

ამ გადასახედიდან იმ ღამეს რომ ვუცქერი, თოვლიან მოსკოვს და თანაკურსელების მხიარულ სახეებს, მეჩვენება, თითქოს სტუდენტობის წლები საერთოდ ამოსხლტა ჩემი მახსოვრობიდან, შორეულ უსასრულობაში ჩაიკარგა...

მოსაგონარიც ბევრი არაფერი დამრჩა.

### გაზეთი „ქუთაისი”

გაზეთ „ქუთაისი” ჩემი პირველი მოთხრობა დაიბეჭდა (1959 წ). იგი მეგობარ პოეტს (თეიმურაზ აბულაძეს) ეძღვნება, რომელსაც პირველი სიყვარული ეწვია... იმ დღეებში ვერ ვცნობდით ვაჟს, აღფრთოვანებული დადიოდა. განუწყვეტლივ უცნობი გოგონას შესახებ გვიყვებოდა... მეც სიუჟეტებს ვეძებდი და... აღვწერე მათი შეხვედრა (ერთმანეთს, სადგურის თავზე გადამავალ ხიდზე ხვედებოდნენ). ქალიშვილის გარეგნობა, მისი მომხიბვლელობა, სინაზე. ვაჟის მოლოდინი და ფორიაქი. სიუჟეტს ღრმა დატვირთვა არ ჰქონდა, მსუბუქ ჩანახატს ჰგავდა. იმ ხანებში ვაჟი ხალს ატარებდა, რითაც სხვებისგან უდავოდ გამოირჩეოდა. მოთხრობასაც „ხალიანი ბიჭი” ვუწოდებ. მოგვიანებით, საცოლეს დაჩემებით (იგი სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა), ხალი საშიშად ჩათვალეს და მოიკვტა. დარჩა გმირი უხალოდ! ამას ისე, მხიარული განწყობისთვის ვწერ. ნათელში მისი სული!

იმ ხანებში მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებაში, პროზის სექციამ ჩემი მოთხრობების განხილვა მოაწყო. თითოეული მოთხრობა გულდასმით განიხილეს: დავით კვიციანიძემ, დავით ხუროძემ, შალვა ცანავამ, დომენტი ახოზაძემ და სხვებმა. ორი მოთხრობა, გაზეთ „ქუთაისი” დასაბეჭდად შეარჩიეს (ერთადერთი ორგანო იყო სადაც გამოქვეყნება შეგვეძლო). თავად მიიტანეს რედაქციაში. ახალი ავტორის გამოჩენა ბევრს ნიშნავდა! მითუმეტეს პროზაიკოსის. ქუთაისის სამწერლო ორგანიზაციაში ყოველთვის პოეტები ჭარბობდნენ, მათი ხმები ისმოდა, თითო-ოროლა პროზაიკოსი ამინდს ვერ ჰქმნიდა...

სულ მალე გაზეთ „ქუთაისის” განყოფილების გამგემ, პოეტმა რუთა ბეროძემ რედაქციაში მიხმო. იგი მკაცრი, შეუვალი ქალბატონი ბრძანდებოდა. გერმანული აღზრდა ჰქონდა მიღებული (დედამისი გერმანული ენის სპეციალისტი იყო. ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში კათედრას ხელმძღვანელობდა, ქალბატონი ელფრიდა ბეროძე). რუთამ მოთხრობა ჩემთან ერთად ხმამაღლა წაიკითხა და ერთადერთი სიტყვა წარმოთქვა: „დავბეჭდეთ!” არადა ვკანკალებდი, შიშისგან გული მელოდა... პირველმა მოთხრობამ პირველი სიხარული მომიტანა... თუმცა შემდგომ ის არცერთ კრებულში არ შემიტანია, ლიტერატურულ მცდელობად მივიჩნიე...

### სიყვარული

თავდავინწყებით საიდანღაც ჩიტი ამღერდა და მოგვაგონა, ერთმანეთი როგორ გვიყვარდა.  
ანა ახმატოვა

ქუთაისში გატარებული დღეები მაგონდება, ახალგაზრდული, მხიარული, უდარდელი ყოფა. მეგობარი ქალიშვილები მაღიმალ შევიკრიბებოდით, ვსეირნობდით, ნაყინს მივირთმევდით, სასტუმროს ავუვლიდით და ჩამოუვვლიდით, ბოლოს კინოთეატრს ვენწეოდით.

იმ დღესაც ვსეირნობთ, ერთიც გვახლავს, ენაკვიმატი, მოუსვენარი გოგო (შემდგომში ცნობილი პარლამენტარის

დედა!), ის რომ არ იტყოდა ან მოიფიქრებდა, ისეთი არაფერი იყო. გარეგნობით დიდად არ გამოირჩეოდა, მაგრამ... პრეტენზიები საკმაო ჰქონდა. თავის სურვილებით, ქცევით ყველას გვაოცებდა. ერთი უცნაური ჩვევაც ჰქონდა, ქალაქში ყველაზე გამორჩეულ, მომხიბვლელ ვაჟს დაადგამდა თვალს, ამოირჩებდა და მის ყოველ დანახვაზე გული მისდიოდა.. „ვაიმე ცუდად ვარ!“, იტყოდა და გადიქცოდა, თვალს მილულავდა, მუხლებში მოეშვებოდა, თითქოს ბნედა შეეყრებოდა. ჩვენც მივესეოდით. იყო სულისბერვა, გაზეთის ფრიალი, სიცილ-კისკისი. მოკლედ, ჩვენი ჭკუით, ვერთობით! იმ დღესაც ასე იყო. სულ ახლოს ქალაქის თავმომწონე ახალგაზრდები იდგნენ. რაღაცას ყვებოდნენ, ხმამალა იცინოდნენ.

უცებ ქუჩის მეორე მხარეს ტანმალა ვაჟი გამოჩნდა. კრემისფერი პალტოთი, ქამრით, შლიაპით. საცერივით თვალები უჩანდა...

- ვახ! ანზორ!
- ამას ვის ვხედავ! — იოცებენ ბიჭები — როდის ჩამოდი? — გუშინ.
- როგორი დრო გაატარე?
- ბრწყინვალე...
- უკვე ქუჩა გადმოჭრა.
- ახალი პალტო დაირტყი?!
- მაშ!
- სადაურია?
- ვაჟი საყელს მალა სწევს და თავმომწონედ ამბობს: „ანგლისკია...“.
- ვაიმე, როგორ მომწონს ეს ბიჭი! — უცნობი ვაჟის დანახვაზე აქეთ დაქალი გადაგვექცა. სულს ვუბერავთ. გაზეთს ვუფრიალებთ. ვიცინით.

ვაჟი ვერაფერს ამჩნევს. არადა, უკვე ვიცით, ვინ არის, სად ცხოვრობს, სად სწავლობს (მეტსახელად „ანგლისკი“ დავარქვით!). ქუთაისის „შვიდკაცაში“ მღერის (სულ ახლახან გასტროლებზე იყვნენ ბალტიისპირეთში), პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობს, მუდამ მეგობრებითაა გარშემორტყმული.

რამდენადაც უცნაურად უნდა მოგეჩვენოთ, მალე ვაჟი გავიცანი. ჩემი სამსახურის მოპირდაპირედ, კულტურის სახლში, ხშირად ძველ ქართულ სიმღერებს მღეროდნენ. საოცარი ხმები ისმოდა. შეწყობილი, საამო. მათი ვინაობით დავინტერესდი. ცნობილი ლოტბარის ნათელა შენგელაიას გუნდი აღმოჩნდა — „შვიდკაცა“. სასახლის დირექტორს კარგად ვიცნობდი და ჩემს მეგობართან ერთად რეპეტიციაზე დასწრება გადავწყვიტეთ. შესვლა არ გავკძნელებია. წინა რიგებში ჩამოვსკუპდით. გატაცებით ვუსმენთ. „ოდოია“, „ჩაკრულო“, „გოგო მიდის მოხვეულში“ (ეს სცენა, დარბაზი და მომღერლები, მოგვიანებით რეზო ჭეიშვილმა თავის მოთხრობაში „შვიანეთი“ აღწერა, კინოც გადაიღო). გუნდში მისი მეგობრები მღეროდნენ.

მოკლედ, ვზივარ დარბაზში, სიმღერით ვტკებები. რაოდენი იყო ჩემი გაცემა, როცა მომღერალთა გუნდში „ანგლისკი“ შევამჩნიე. თეთრ ჩოხა-ახალუხში, ვერცხლის ქამარ-ხანჯლით დამშვენებული. მზერა ვერ მოვაცილე. ჩემდა გასაოცრად, თვითონაც დამადგა თვალი... ჩემს ვინაობას იძიებს... შესვენებისას გამეცნო კიდევ (ყველაზე მეტად ის მიხაროდა, მეგობარ ქალიშვილს რომ ვეჭყოდი — „ანგლისკი“ გავიცანი-მეთქი).

პირველი გამოწვევა ქალიდან მოდისო, ნათქვამია... თუმცა რეპეტიციის დამთავრებას არ დაველოდე, ადრინადა დავტოვე დარბაზი. თუ სურვილი ექნებოდა, თვითონაც მიპოვინდა... ჰოდა, მიპოვა! ყველაზე საოცარი ის იყო, შინ დაბრუნებულს განუწყვეტილვ მათი სიმღერა ჩამესმოდა... თეთრჩოხიანი ვაჟის ხავერდოვანი ხმა თითქოს თავისკენ მიხმობდა. ვერც მისი მზერა დავივინე, მხიარული, ალერსიანი, მომნუსხველი. ვერც გულიდან ამოვიგდე... იმ დღეებში განუწყვეტილვ ჩიტის გალობა ჩამესმოდა. მხიარული სტვენა, ჭიკ-

ჭიკი, ჟღერტული. მოგვიანებით ის ხმა საკუთარ გულში აღმოვაჩინე...

(რა ხანია, აღარ ჩამესმის ჩიტის გალობა — 1992 წლის 26 ივლისს, ჩემი მეუღლე გარდაიცვალა).

დაობლებული ფრინველები ნაკლებად გალობენ...  
**P.S.** საოცარია, მეუღლის გარდაცვალებიდან რამდენი წელი გავიდა, მე კი სიზმარში კვლავაც ვხედავ მას — ვაჟაკურს, თავმომწონეს და დარდიმანდს... განუწყვეტილვ ვეძებ, ველოდები და, რაც მთავარია... ვეჭვიანობ. როგორც მაშინ, ახალგაზრდობის ჟამს, ქორწინების პირველ წლებში...

### ქორნილი

1960 წელს დავექორწინდი. ენუქ ლორთქიფანიძის ნაბლის ხისგან აგებულ, ძველ, ბირკვილებიან ოდა-სახლში გადავიხადეთ ქორნილი. მეუღლეს მეგობრები ახლდნენ. თამადად მისი ბავშვობის მეგობარი, შემდგომში ცნობილი მწერალი რეზო ჭეიშვილი აირჩიეს. ულამაზესი სალამო იყო. ჭადრის, ცაცხვის ხეებით დაჩრდილული დიდი ეზო, მთვარიანი ღამე და მხიარული სტუმრები. სუფრის ერთ მხარეს ქუთაისში ცნობილი ანსაბლი „შვიდკაცა“ მღეროდა, ძველ ქართულ სიმღერებს აგუგუნებდნენ, ხოლო მეორე მხარეს დედამთილის დები და ძმები, დიმიელი ჩხეიძეები ისხდნენ... უმშვენიერეს საგალობლებს მღეროდნენ. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

რეზო მრავალმესიტყვე არასდროს ყოფილა, მაგრამ იმ ღამით უდავოდ თავი მოიწონა, სიბრძნით, სიდიდნით, გონიერებით გამორჩეული სადღეგრძელოები წარმოთქვა.

დღეს მუხათნყაროში, ჩემ მახლობლად ცხოვრობს რეზო. ჩაივლის და ჩამოივლის, ერთხელაც არ შეაჩერებს მანქანას... ნეტავ ის მთვარიანი ღამე, მხიარული ძმაკაცები და ჩხეიძეების „ცერკოვნი მრავალჟამიერი“ თუ ახსოვს?!

### ახალგაზრდა მწერალთა სემინარი

1969 წელი. ახალგაზრდა მწერალთა სემინარზე მიგვიწვიეს თბილისში. ყველანი ჩამოვედით: ჯანსუღ ღვინჯილია, დოდო ჭუმბურიძე, ზაალ ებანოიძე, ავთანდილ ყურაშვილი, ირაკლი ბაზაძე, თემურ ლანჩავა, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ნესტან კვიციანი და მე (მეუღლე თან მახლავს), ქუთაისის მწერალთა ორგანიზაციის მდივანი დავით კვიციანიძეც ჩვენთანაა.

რკინიგზის სადგურში საქართველოს მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაციის მამინდელი მდივანი მორის ფოცხიშვილი დაგვხვდა. თბილად მიგვიღო, ახალაშენებულ სასტუმრო „ივერიაში“ დაგვაბინავა. რადგან მეუღლესთან ერთად ვიყავი, ცალკე ნომერი გამომიყო.

დაუვიწყარი შეხვედრები გაიმართა. სემინარები დილის საათებში ტარდებოდა. ცნობილი მწერლები ჩვენს შემოქმედებას ეცნობოდნენ და რჩევებს გვაძლევდნენ. პროზა ცალკე განიხილებოდა, პოეზია — ცალკე. პროზაიკოსებთან თუ სიჩუმე იყო, სამუშაო ატმოსფერო სუფევდა, პოეტებთან ტაში ქუხდა. დამწყები პოეტები საკუთარ ლექსებს კითხულობდნენ. ერთმანეთს ეცნობოდნენ.

ახალგაზრდების დაახლოებას ყველაზე მეტად სალამოს შეხვედრები უწყობდა ხელს. სემინარების შემდეგ ერთად ვიკრიბებოდით. „ივერიაში“ მცხოვრებ ახალგაზრდა მწერლებთან სხვებიც მოდიოდნენ. უმეტესად ქუთაისლები ვმასპინძლობდით. იმ დღეს, მეჩვიდმეტე სართულზე, ვრცელ დარბაზში შევიკრიბეთ. გვეწვივნენ: იზა ორჯონიკიძე, ჯაბა ასათიანთან ერთად, ლია სტურუა, ჯარჯი ფხოველი, მამუკა ნიკლაური, თედო ბექიშვილი, ძმები კალანდიები (რენე და ზაური)... მასპინძით, თუ ყველა არ მახსოვს. თამადად ჯანსუღ ღვინჯი-

ლია ავირჩიეთ. ერთ მხარეს ზაალ ებანოიძე უზის, მეორე მხარეს — ჩემი მეუღლე. სამივე დიმილია, ღვინოც დიმიდან აქვთ ჩამოტანილი. ქარვისფერი ცოლი-კაური...

არის მხიარულება, სადღეგრძელოები, ტკბილი ღიღინი და ყველაზე მეტი... ლექსები.

პირველი წიგნი მხოლოდ იზას აქვს გამოცემული. „ორი დღეკეთილი“ ერქვა. პატარა, ერთფორმიანი ლექსების კრებული იყო, თავი მოსწონდა. დანარჩენები უწიგნოები ვიყავით. იზა ხუმრობით ხმამაღლა შემოგვიძახებდა: „ჰაი, თქვე უწიგნოებო!“

ჩემს მეუღლეს მალაყელიანი, თეთრი სვიტერი ეცვა, დაკუნთული მხარ-ბეჭი უჩანდა, მწერლებთან მეგობრობა სიამოვნებდა. თავს მათ ახლობლად გრძობდა. ჯანსუღი ეხუმრებოდა: „კაი სიტყვა — კაი მთქმელი, კაი ღვინო — კაი მსმელი!“ შეწყობილად მღეროდნენ.

უცებ კარები იღება და დილარ ივარდავა შემოდის. პოეტი ქალები ახლავს თან (გვარები არ მახსოვს!). დილარი იმ ხანებში კომკავშირის პრემიის ლაურეატი გახდა. ახალგაზრდაა, თავმომწონეობს. ცოცხალი ნასვამია. მაგიდასთან მიიწვიეს, მაგრამ არ ჯდება. ძმებ კალანდიებს თავისკენ ეპატიჟება. ისინი არ მიჰყვებიან, სუფრის დატოვება არ სურთ...

დაძაბულობის განმუხტვის მიზნით თუ სტუმარი ქალების პატივსაცემად, ჩემი მეუღლე ორთავე ქალს მაგიდასთან იწვევს. ისინიც თანახმა არიან ჩამოსხდნენ. დილარი წყრება. უცნობ ვაჟს (რომლის ვინაობა არ იცის), აგდებული ტონით მიმართავს:

— ჰეი, თქვენ, სინიორა (თუ სინიორ, კარგად ვერ გავარჩიე)! სხვის საქმეში რატომ ერევით? უმჯობესია თქვენთვის დაეტიოთ...

ყველა დაიძაბა. ჯანსუღი ცდილობს დაძაბულობა შეანელოს, სადღეგრძელოს ხმამაღლა წარმოთქვამს. რენე მეგრულად რალაცას ეჩურჩულება დილარს, მაგრამ არ ესმის. უფრო სწორად, არ უნდა გაიგონოს... არადა, ანზორის ხასიათი ვიცი, ასე ადვილად არ აჰყვება, თუმცა სიტყვა „სინიორა“ ერთობ მეხამაუშა, უსიამოდ ყელერს. არადა, მალაყელიანი, თეთრი სვიტრში ჩაცმული, მართლაც ესპანელ გრანდს ჰგავს. შავგვრემანი, შავი თმით...

— მე ვარ სინიორა?! — ღიმილით ეკითხება. ხმაში წყენა აქვს. — ხომ არაფერი გეშლება, ყმანვილო?!

— რა უნდა მეშლებოდეს?! — აგდებით პასუხობს დილარი — ვითომ რას იზამ?! —

— არაფერს. უბრალოდ, შენს მეგობრებს ვანახებ, როგორ გაფრინდები მეჩვიდმეტე საერთულიდან — პასუხობს მშვიდად.

და წამოვარდა ჯანსუღი, აქეთ ირაკლი ეცა, ზაალი, ავთო. იზა შუაში ჩადგა. ატყდა კივილი. სულ მალე დილარი თავისი დაქალებით ოთახიდან გაიყვანეს. ლხინი ჩაიშალა. მეორე დღეს, სემინარზე, სხვა არაფერი ჰქონდათ სალაპარაკო. შესასვლელში გურამ ფანჯიკიძემ მხრებზე ხელი მოხვია ანზორს და ღიმილით უთხრა:

— რაო? სენიორაო? მერე ვერ მოისროლე?!

სამხიარულო ნაკლებად მეჩვენებოდა, პირიქით, დაძაბულობა მანუხებდა. ერთ ქვეშაბრტყებას ჩავხვდი, ახალგაზრდულმა თავმომწონეობამ და ყოყლოჩინობამ შეიძლება შარს გადაგყაროს! ყველაფერი ცუდად დამთავრდეს... გავიდა წლები, ამ თემაზე არასდროს მისაუბრია დილართან, იმლამინდელი შეჩოჩქოლება, ხმაური და გართი-გამორთი ზოგისთვის მხიარული ამბავი იყო, ჩემთვის უსიამო მოგონებად დარჩა. ამას დავმატა, სემინარის დამთავრების მეორე დღეს, ბარგი რომ შევკარით და წასასვლელად მოვემზადეთ. ტაქსი გავაჩერეთ, რომ მატარებლისთვის მიგვესწრო. მატარებელი



ახალგაზრდა მწერალთა სემინარის მონაწილენი

რომ დაიდრა, მაშინ აღმოვაჩინე, სემინარზე წარდგენილი ყველა მოთხრობა მანქანაში დამრჩენოდა.

ნადი და ეძებე ქარი მინდორში! ყოველივე მინიშნებად ჩავთვალე... 1971 წელს, როცა „მერანში“ პირველი წიგნი წარვადგინე გამოსაცემად, ძველი მოთხრობებიდან არცერთი არ შემიტანია. ყველა ახალი იყო!

### „მზე ხელისგულზე“

1973 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ქუთაისის ფილიალმა გამოსცა ჩემი მოთხრობების პირველი წიგნი — „მზე ხელისგულზე“. ოთხფორმიანი, თხელი კრებული, ცისფერი ყდი. შიგ შვიდი მოთხრობა შევიტანე (რედაქტორი არჩილ გურჯიძე), 19 კაპიკი ღირდა. წიგნის მალაზიაში ჩუმად შევდიოდი და ფარულად ვუცქერდი, როგორ იყიდებოდა წიგნი. უმეტესად ახალგაზრდები იძენდნენ... საოცარ სიხარულს განვიცდიდი.

პირველი წიგნის (ახლებურად რომ ვთქვათ) „პრეზენტაცია“ დიმიში გაიმართა. ჩემი მეუღლის დედა, დიდებული ქალბატონი (ჩხეიძის ქალი) გვმასპინძლობდა.. სუფრა სანიმუშო იყო: „ცოლიკაური“, ტალავური, ყანწები. სტუმრებიც სანიმუშონი აღმოჩნდნენ. იმ დღეებში ქუთაისსა და ბაღდათში მაიაკოვსკის დღეები ტარდებოდა. თბილისიდან ჩამოსული საპატიო სტუმრები მოულოდნელად ჩემს ოჯახში მობრძანდნენ. ისინი ქუთაისის მწერალთა კავშირის მდივანმა დავით კვიციანიძემ მოიწვია. ეზოში რომ შემოვიდნენ, თვალებს არ დაუფუჯრე: ნოდარ დუმბაძე, გურამ ასათიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი, თენგიზ ბუაჩიძე, ნუგზარ ფოფხაძე, რუთა ბეროძე, ლილი ნუცუბიძე და სხვები. ჩემი მეგობრებიც აქ იყვნენ: ავთანდილ ნიკოლეიშვილი, თეიმურაზ ლანჩავა, ზაალ ებანოიძე და ავთანდილ ყურაშვილი.

იყო მხიარულება, სიცილი. მოსწრებული სიტყვა-პასუხი. იმასაც ვამჩნევდი, ჩემზე მეტად ჩემი მეუღლე ღელავდა, უხმოდ მიდი-მოდიოდა. მერიქიფესავით ღვინო შემოჰქონდა, სურებს ავსებდა... მხოლოდ მოგვიანებით შეთამამდა, კიბეზე ჩამოსვლისას ნოდარ დუმბაძის მეუღლეს, ქალბატონ ნანულის, ეზოში დაკრეფილი, სურნელოვანი ვარდების თაიგული მიაღვია. ქალმა გაიხარა...

პირადად მე, ჩრდილში მიმალულსა და მღელვარებაბამოძალეზულს, რატომღაც მეჩვენებოდა, რომ შემთხვევით სხვის სუფრაზე აღმოვჩნდი... რომ ამ მხიარულ თავშეყრასთან საერთო არაფერი მქონდა. რაც მთავარია, ჩემი პირველი წიგნით არავინ დაინტერესებულა, არც თავად მიჩვენებია მათთვის...

სტუმრები ერთმანეთის წინაშე იწონებდნენ თავს.

### გაგრძელება შემდეგ ნომერში

როალდ დალი

# პასტორის ნეიტარება

სავარძლის საზურგეზე მოხერხებულად მიყრდნობილ მისტერ ბოგის იდაყვი ბოლომდე დანეულ ფანჯარაზე ჩამოედო და მანქანა ნელა მიჰყავდა. რა საოცარი სილამაზეა სოფლად, ფიქრობდა ის. რა სასიამოვნოა ერთხელ კიდევ იხილო ზაფხულის ლაღი ბუნება, განსაკუთრებით ფურისულები; ასევე კუნელი. კუნელის ბუჩქები თეთრ-ვარდისფერ-წითლად ყვავდა ლობების გაყოლებაზე, დაბლა კი, პატარ-პატარა კონებად ამოსული ფურისულები მიუყვებოდა. მოკლედ, მშვენიერი სანახაობა გახლდათ.

მძლოლმა ცალი ხელი საჭეს მოაცილა და სიგარეტს მოუკიდა. ახლა კი უმჯობესი იქნება, თუ ბრილის გორაკს თავზე მოვექცევი, ჩაილაპარაკა თავისთვის. გორაკი პირდაპირ, დაახლოებით ნახევარი მილის მანძილზე მოჩანდა. ის კი სოფელი ბრილი უნდა იყოს — აი ის, ხეებში ჩამალული, ერთად შეჯგუფული სახლები ზედ წვერზე. ჩინებულა. მისი საკვირაო გასვლებისას, არცთუ ისე ხშირად ეძლეოდა ასეთი მშვენიერი სიმაღლიდან მუშაობის საშუალება.

მანქანით გორაკზე ავიდა და მწვერვალთან არმისული, სოფლის განაპირას შეჩერდა. მერე მანქანიდან გადმოვიდა და მიიხედ-მოიხედა. ქვემოთ არემარე უზარმაზარი მწვანე ხალიჩასავით გაშლილიყო. მზერა რამდენიმე მილის სიშორეზე წვდებოდა. იდეალური ხედი იყო. ჯიბიდან ბლოკნოტი და ფანქარი ამოიღო, მანქანის საბარგულს მიეყრდნო და განაფული თვალი დინჯად მოავლო გარემოს.

მარჯვნივ, მინდვრების ბოლოს, შეამჩნია საშუალო სიდიდის ფერმერის სახლი, რომლისკენაც გზიდან ბილიკი მიემართებოდა. მისგან მოშორებით, სხვა, შედარებით მოზრდილი საცხოვრებელი ჩანდა. იქვე იდგა მაღალი თელებით გარშემორტყმული შენობა, რომელიც ანა დედოფლის' დროინდელი უნდა ყოფილიყო. მის მარცხნივ მდებარე ორი ნაგებობა კი ფერმებს ნაავავდა. სულ ამ მიმართულებით ხუთი ობიექტი იყო.

იმ მიზნით, რომ როდესაც ქვემოთ ჩავიდოდა ადვილად მიეგნო თითოეულისათვის, მისტერ ბოგისმა თავის ბლოკნოტში სახელდახელო სქემა მოხაზა, სადაც ყველა ობიექტის მდებარეობა იყო აღნიშნული. შემდეგ მანქანაში ჩაჯდა და სოფლის გავლით გორაკის მოპირდაპირე მხარისკენ გაემართა. იქიდან კიდევ ექვსი სავარაუდო ობიექტი მოინიშნა — ხუთი ფერმა და ერთი გეოგრაფიული სტილი<sup>1</sup> თეთრი სახლი, რის შემდეგაც ბინოკლით, ამ უკანასკნელის შესწავლას შეუდგა. სახლს სუფთა, მდიდრული იერი ჰქონდა. ბალიც კარგად იყო მოვლილი. სამწუხაროა. დაუყოვნებლივ გამორიცხა იგი. შეძლებულ ოჯახში მისვლას აზრი არ ჰქონდა. ასე რომ, ამ კვადრატის ამ სექტორში სულ ათი შესაძლებელი ობიექტი იყო განთავსებული. ათი მშვენიერი რიცხვია. ჩაილაპარაკა მისტერ ბოგისმა. სწორედ ის რაოდენობაა შუადღის აუჩქარებელ მუშაობას რომ შეეფერება. ახლა რა დროა? თორმეტი. დანყებამდე სიამოვნებით გადაჰკრავდა ერთ პინტა<sup>2</sup> ლუდს, მაგრამ კვირაობით პირველამდე პაბს არ ალებენ. არაუშავს, მოგვიანებით დაღვეს. თავის ნახაზს თვალი გადაავლო და გადანყვიტა, რომ პირველ რიგში „დედოფალი ანა“ „დაელაშქრა“, აი, ის, თელებში ჩაფლული სახლი. ბინოკლით კარგა გვარიანად შელანძღული ჩანდა. ალბათ, მისი მოზინადრენი ცოტაოდენი ფულის შოვნაზე უარს არ იტყოდნენ. ყოველ შემთხვევაში ყოველთვის უმართლებდა „დედოფალ ანასთან“. მისტერ ბოგისი ისევ მანქანაში შეძვრა, ხელის მუხრუჭი აუშვა და მოტორის აუშუშავებლად ნელა იწყო გორაკიდან დაშვება.



თუ არ ვიგულისხმებთ, რომ ამჟამად ლეთისმსახურის სამოსი ჰქონდა გადაცმული, არაფერი განსაკუთრებით პირქუში კირილ ბოგისის გარეგნობაში არ იყო. პროფესიით ძველებური ავეჯით მოვაჭრე გახლდათ და ჩელსიში, კინგს როუდზე, საკუთარი მაღაზია და სადემონსტრაციო დარბაზი ჰქონდა. მისი სავაჭრო სახლი დიდი არ იყო, რაც, ჩვეულებრივ, რაიმე მნიშვნელოვანი ბიზნესის ნარმოების საშუალებას არ აძლევდა, მაგრამ იმის წყალობით, რომ ყველაფერს ყოველთვის იაფად, ძალიან, ძალიან იაფად ყიდულობდა, გაყიდვით კი ძალიან, ძალიან ძვირად ყიდა, მაინც ახერხებდა საკმაოდ მყარი ყოველწლიური შემოსავალი ჰქონოდა. ის ნიჭიერი კომერსანტი გახლდათ, და როდესაც რამეს ყიდულობდა ან ყიდა, იოლად შეეძლო იმად გარდასახულიყო, ვისი იერიც კლიენტისთვის ყველაზე უფრო მისაღები იქნებოდა. მას შეეძლო ხანდაზმულთან სერიოზული და თავაზიანი ყოფილიყო, მდიდართან — პირფერი, ლეთისმოსავთან — კეთილგონიერი, სუსტთან — ბატონკაცური, ქვრივთან — თავგასული, შინაბეურასთან — მაცდური და კადნიერი. მშვენივრად იცოდა, რა ნიჭის პატრონიც იყო და ყველა შესაძლო შემთხვევისას, სინდისის ქენჯნის გარეშე იყენებდა მას. ხშირად, რომელიმე, განსაკუთრებით კარგი ნარმოდგენის დასასრულს, ძლივს ახერხებდა, რომ არ შემობრუნებულიყო და, თავის დაკვრით, ვითომცდა თეატრში მოსული მაცურებლებისთვის, მქუხარე ტაშის სამაგიეროდ, მადლობა არ გადაეხადა.

მისი ამ, საკმაოდ ქარაფმუტული, თვისების მიუხედავად, მისტერ ბოგისი სულაც არ გახლდათ ჩერჩეტი. ზოგიერთები იმასაც ამბობდნენ, რომ მან, ალბათ, იმაზე ბევრად მეტი იცოდა ინგლისური, ფრანგული და იტალიური ავეჯის შესახებ, ვიდრე ნებისმიერმა სხვამ ლონდონში. მას გასასოკრად კარგი გემოვნებაც ჰქონდა, შეეძლო სწრაფად შეემჩნია ნაკეთობის ტლანქი ფორმები და უარი ეთქვა მასზე, რაგინდ ძველი ნახელავიც უნდა ყოფილიყო ესა თუ ის ნივთი. მისი ჭეშმარიტი გატაცება, რალა თქმა უნდა, მეთვრამეტე საუკუნის დიდ ინგლისელ ოსტატთა — ინსის, მეიპიუს, ჩიპენდეილის, რობერტ ადამსის, მანვორინგის, ინიგო ჯონსის, ჰეფლუაიტის, კენტის, ჯონსონის, ჯორჯ სმიტის, ლოკის, შერატონის და სხვათა — ნამუშევრები იყო. თუმცა, ამისდა მიუხედავად, ხანდახან მათაც კი გამოორჩევი უდგებოდა. მაგალითად, მან უარი განაცხადა, საკუთარ სადემონსტრაციო დარბაზში, ჩიპენდეილის ჩინური და გოტიკური პერიოდის რაიმე ნაკეთობის გამოფენაზე. ასევე განსჯიდა რობერტ ადამსის ტლანქი, იტალიური სტილის ზოგიერთ ნამუშევარსაც.

გასული რამდენიმე წლის განმავლობაში მისტერ ბოგისმა საგრძნობი პოპულარობა მოიპოვა თავისივე ხელობის ადამიანებში იმით, რომ ახერხებდა გასაოცარი პერიოდულობით გამოეფინა არაჩვეულებრივი და ხშირად, საკმაოდ იშვიათი ნივთები. ისე ჩანდა, რომ მას მომარაგების თითქმის ამოუწურავი წყარო, რალაც საკუთარი საწყობის მაგვარი გააჩნდა და ერთადერთი რაც უნდა გაეკეთებინა იყო ის, რომ კვირაში ერთხელ წასულიყო და საჭირო ნივთი წამოეღო. როდესაც ეკითხებოდნენ, სად შოულობდა ამ ყველაფერს, მისტერ ბოგისი მრავალმნიშვნელოვნად იღიმებოდა, თვალს უკრავდა შეკითხვის ავტორს და რალაცას ლულულებდა პატარა საიდუმლოს შესახებ.

ეს პატარა საიდუმლო, კი საკმაოდ მარტივ ჩანაფიქრს წარმოადგენდა და ის, მისტერ ბოგისს იმ შემთხვევაში უკარნახა, რომელიც დაახლოებით ცხრა წლის წინათ, ერთი ჩვეუ-

ლებრივი კვირადღის ნაშუადღევს, ქალაქგარეთ მგზავრობისას გადახდა თავს.

იმ დილით მისტერ ბოგისი თავისი მოხუცებული დედის სანახავად სვენოკსში<sup>4</sup> გაემგზავრა. დაბრუნებისას, მისი მანქანის ვენტილატორის ღვედი გაწყდა. შესაძლოა მოტორი გადახურებულიყო და წყალი ამომშრალიყო. ის მანქანიდან გადახურებულიყო და წყალი ამომშრალიყო. ის მანქანიდან გადახურებულიყო და წყალი ამომშრალიყო. ის მანქანიდან გადახურებულიყო და წყალი ამომშრალიყო.

მან კარის ლიობში თავი შეყო და, ღმერთმანი, იქვე, ბუხრის მეორე მხარეს, კიდევ ერთი, ზუსტად ისეთივე სავარძელი დანახა. დარწმუნებული არ იყო, მაგრამ ორი ამგვარი სავარძელი, ლონდონში, სულ მცირე, ათასი გირვანქა მაინც ელირებოდა. თანაც, ღმერთო, რა მშვენიერი ნახელავი გახლდათ.

როდესაც ქალი დაბრუნდა, მისტერ ბოგისმა თავი წარუდგინა და პირდაპირ ჰკითხა: ხომ არ გაყიდდა თავის სკამებს.

ოჰო! თქვა ქალმა. კი, მაგრამ, რატომ უნდა სურდეს მას თავისი სკამების გაყიდვა? არც რატომ, თუ არ ვიგულისხმებთ, რომ მისტერ ბოგისი მზადაა კარგად გადაუხადოს. მაინც რამდენის მოცემას აპირებს? ისინი, რა თქმა უნდა, არ იყიდება, მაგრამ ისე, უბრალოდ, ცნობისმოყვარეობის გამო, ხომ ხედვებით, სახალისოდ, საინტერესოა რამდენს მომცემდა?

ოცდათხუთმეტ გირვანქას.

რამდენს?

ოცდათხუთმეტ გირვანქას.

ღმერთო, ესე იგი ოცდათხუთმეტი გირვანქა. ჰოო, ძალიან საინტერესოა. ყოველთვის ფიქრობდა, რომ სავარძლები ძვირადღირებული იყო. ისინი ხომ ძალიან ძველია, თანაც ძალზე მოხერხებული. ვერ გააძლებს უმითაოდ, ნამდვილად ვერ გაძლებს. არა, ისინი არ იყიდება. თუმცა თქვენ მაინც დიდ მადლობას მოგახსენებთ.

ისინი არც ისე ძველია, უთხრა ქალს მისტერ ბოგისმა, და არც ისე ადვილი იქნება მათი გაყიდვა. უბრალოდ, ისე მოხდა, რომ მას ჰყავს კლიენტი, რომელსაც ძალიან მოსწონს ამგვარი ნივთები. იქნებ ერთი-ორი ფუნტის წამატება კიდევ შეძლოს — ოცდაჩვიდმეტი. ამაზე რას იტყვი?

დაახლოებით ნახევარი საათი კიდევ ივაჭრეს. ბოლოს, რაღა თქმა უნდა, მისტერ ბოგისმა იყიდა სავარძლები და იმ თანხის გადახდას დათანხმდა, რომელიც მათი ნამდვილი ღირებულების მეოცედ იყო.

იმ საღამოს ლონდონისკენ მიმავალ მისტერ ბოგისს, რომელსაც თან მიჰქონდა თავისი ძველი უნივერსალის საბარგულში მოხერხებულად ჩალაგებული ორი ზღაპრული სავარძელი, უეცრად როგორც თვითონ მოეჩვენა, თავში ბრწყინვალე აზრმა გაუელვა. კაცმა რომ თქვას, ჩაილაპარაკა თავისთვის, თუკი ერთ ფერმაში ასეთი კარგი ნივთები იყო, ხომ შეიძლება ამგვარი რამ სხვაგანაც აღმოჩნდეს? რატომ არ შეიძლება მოძებნოს? რა უშლის ხელს, რომ ქალაქგარეთ ტერიტორია მოჩრდილოს? ამის გაკეთებას კვირა დღეებში შეძლებს. ასე საქმეს არაფრით ავენებს. მაინც არ იცის კვირაობით რა აკეთოს ხოლმე.

ასე რომ, მისტერ ბოგისმა იყიდა ლონდონის ირგვლივ მდებარე ყველა საგრაფოს მსხვილმასშტაბიანი რუკები და ისინი წვრილი ხაზებით კვადრატებად დაყო. რუკის ყოველი კვადრატი ადგილზე, ხუთ-ხუთი მილის სიგრძე-სიგანის მქონე ნაკვეთს შეესაბამებოდა. როგორც თვითონ მიაჩნდა, ეს დაახლოებით ის ტერიტორია იყო, რომლის შემოვლასაც ერთი კვირადღის განმავლობაში შეძლებდა, თუკი გულდასმით მოჩრდივდა იქაურობას. ქალაქები და სოფლები არ აინტერესებდა. შედარებით იზოლირებული ადგილები, დიდი ფერმერული სამოსახლოები და ძველი, დანგრევის პირას მისული საგვარეულო სახლები იყო ის, რასაც მისტერ ბოგისი ეძებდა. თუ ყოველ კვირადღეს, ერთ კვადრატს დაამუშავებდა, წელიწადში კი — ორმოცდათორმეტს, თანდათანობით მოივლიდა ლონდონის ახლომახლო საგრაფოთა ყველა ფერმასა თუ საგვარეულო სახლს.

თუმცა, აშკარა იყო, რომ ამ საქმეს ცოტა სხვა რამეც დასჭირდებოდა. სოფლები ეჭვიანი, ძნელად მიმდობი ხალხია. ეჭვიანები არიან გაღარიბებული მდიდრებიც. ვერ მიაღებოდათ კარს იმ იმედით, რომ მხოლოდ სთხოვთ და თავიანთ სახლებს შემოგატარებენ. ამას არ იზამენ. ასე, წინკარსაც კი ვერასდროს გასცდები. მამ როგორ შეძლოს სახლებში შეღწევა. იქნებ, ჯობდეს, თუ სულაც არ ეტყვის რომ ვაჭარია. ხომ შეუძლია წარუდგეს მათ როგორც ტელეფონისტი, სანტექნიკოსი, გაზის კონტროლიორი, მღვდელიც კი .... ამის შემდეგ მისმა გეგმამ კიდევ უფრო პრაქტიკული მიმართულება მიიღო. მისტერ ბოგისმა დიდი რაოდენობით, უმაღლესი ხარისხის სავიზიტო ბარათები შეუკვეთა, რომლებზედაც ასეთი წარწერა იყო ამოტვიფრული:

**ღირსი მამა სირილ უინინგტონ ბოგისი**

იშვიათი ავეჯის დაცვის საზოგადოების პრეზიდენტი. თანამშრომლობს ექსტერიორისა და ალბერტის მუზეუმთან.<sup>5</sup>

ამიერიდან ყოველ კვირა დღეს უნდა გარდასახულიყო თავიანთ, ხანშიშესულ პასტორად, რომელიც თავისუფალ დროს საზოგადოებისთვის სასარგებლო, უანგარო შრომაში ატარებს — დადის და თავს უყრის ინგლისის ფერმერულ სამოსახლოებსა თუ საგვარეულო სახლებში მიმალულ საგანძურს. ამის შემდეგ ვინდა გაბედავდა მის გამოპანლურებას? არავინ.

მერე, კი, თუ სახლში მოხვდებოდა და რაიმე, მისთვის მართლაც სასურველ ნივთს შენიშნავდა, საქმის მოსაკვარასჭინებლად ასი სხვადასხვა ხერხი მაინც ჰქონდა მარაგში.

მისდა გასაკვირად, გეგმამ გაამართლა. ის კი არადა, გულითადადა, რომლითაც თითქმის ყოველ სახლში ხვდებოდნენ, თავდაპირველად მასშიც კი საკმაო უხერხულობის გრძნობას იწვევდა. ცივი ღვეზელის ნაჭერს, ჭიქა პორტვიინს, ფინჯან ჩაის, ქლიავით სავსე კალათას, საერთო ოჯახურ საკვირაო სადილებზე დასწრებასაც კი გამუდმებით აძალებდნენ. ისეც ყოფილა, რა თქმა უნდა, რომ უსიამოვნო, ან ცუდი ამბებიც კი შემთხვევით, მაგრამ მეორე მხრივ, ცხრა წელიწადი ხომ ოთხას კვირადღეზე მეტია, რაც, საერთო ჯამში, ძალზე დიდი რაოდენობის სახლების მონახულებას შეესაბამება. საზოგადოება, ეს მაინც საინტერესოა, ამაღლევებელი და შემოსავლიანი საქმიანობა გახლდათ.

აი, ახლაც, მორიგ კვირადღეს, მისტერ ბოგისი თავისი რუკის უკიდურეს ჩრდილოეთში მდებარე ერთ-ერთ კვადრატში, ოქსფორდიდან დაახლოებით ათი მილის დაშორებით, ბაკინგემშირის საგრაფოში საქმიანობდა. როდესაც მანქანით გორაკიდან დაეშვა და თავისი პირველი სახლისკენ, ნახევრად დანგრეული „დედოფალ ანასკენ“ გაემართა, თანდათანობით ისეთი გრძნობა დაეუფლა, რომ ეს დღე ერთ-ერთი ყველაზე იღბლიანი იქნებოდა. მანქანა ჭიშკრიდან დაახლოებით ასი იარდის და-



შორებით გააჩერა და გადმოვიდა, რათა დარჩენილი მანძილი ფეხით გაეგლო. არ უნდოდა, რომ საბოლოო შეთანხმებამდე ვინმეს მისი მანქანა ენახა. დარბაისელი მოხუცი მღვდელი და დიდი უნივერსალი ერთად, როგორღაც შეუფერებლად გამოიყურებოდნენ. თანაც, პატარა გასეირნება საშუალებას აძლევდა უკეთ შეესწავლა ობიექტი გარედან და არსებული ვითარებისთვის ყველაზე უფრო შესაფერისი იერი მიეღო.

მისტერ ბოგისი ფართო ნაბიჯით, ყოჩაღად გაუყვა სახლისკენ მიმავალ გზას. იგი დაბალი, მსხვილფეხება, ღიპიანი მამაკაცი გახლდათ. მრგვალი, ვარდისფერი სახე ჰქონდა, მისი როლისთვის სასველებით შესაფერისი. დიდი, თაფლისფერი, დაჭყეტილი თვალები, რომლებიც ამ ლაჟღაჟა სახიდან შემოგცქეროდნენ მსუბუქი ჭკუასუსტობის შთაბეჭდილებას ქმნიდნენ. შავი კოსტიუმი ეცვა. კისერზე პასტორის ჩვეულებრივი თეთრი საყელო ეკეთა, თავზე კი რბილი, შავი ფერის ფარფლებიანი ქუდი ეხურა. ატარებდა ძველებურ, მუხის ხელჯოხს, რაც, მისი აზრით, საკმაოდ უბრალო, სოფლურ იერს ანიჭებდა.

ის მთავარ შესასვლელს მიუახლოვდა და ზარი დარეკა. მისაღებიდან ნაბიჯის ხმა მოისმა, კარი გაიღო და მოულოდნელად მისტერ ბოგისის თვალიან, ან უფრო ზუსტად, თავზე მოთ, საცხენოსნო ბრიჯში გამოწყობილი ვეებერთელა ქალი აღიმართა. მისი სიგარეტის კვამლის მიუხედავად მისტერ ბოგისის ყნოსვას მაინც მისწვდა თავლისა და ჩონჩორიკის მძაფრი სუნის, რომლითაც ქალი გაჟღერებულიყო.

– დიას? – იკითხა ქალმა და უნდობლად შეათვალიერა. – რა გნებავთ?

მისტერ ბოგისმა, რომელიც უკვე იმას მოელოდა ქალი სადაცაა დაიხვივინებსო, ქუდი ზევით წამოწია, მასპინძელს თავი ოდნავ დაუკრა და თავისი ბარათი მიაწოდა.

– ბოდიშ გიხდით შენუხებისთვის, – თქვა და მოლოდინით შეაცქერდა სახეში, ვიდრე იგი ბარათს კითხულობდა.

– ვერაფერი გავიგე, – თქვა მან და ბარათი უკან დაუბრუნა. – რა გნებავთ?

მისტერ ბოგისმა განუმარტა, თუ რას წარმოადგენდა „ძველებური ავეჯის დაცვის საზოგადოება“.

– შემთხვევით სოციალისტურ პარტიასთან ხომ არა აქვს რაიმე საერთო? – ჰკითხა ქალმა და ქერა, გაბანჯგვლული წარბების ქვემოდან მრისხანე მზერა მიაპყრო მისტერ ბოგისს.

ამის შემდეგ ყველაფერი მარტივად მოგვარდა. საცხენოსნო ბრიჯში გამოწყობილი ტორების<sup>6</sup> წარმომადგენელი, ქალი იქნებოდა თუ მამაკაცი, ყოველთვის იოლი ლუკმა გახლდათ მისტერ ბოგისისთვის. მან ორიოდე წუთი დახარჯა და მგზნებარე პანეგირიკი მიუძღვნა კონსერვატიული პარტიის უკიდურეს მემარჯვენე ფრთას, ორიც კიდეც სოციალისტთა ლანძღვას მოანდომა. განსაკუთრებული ყურადღება საკუთარი მოსაზრების ძირითად დამამტკიცებელ საბუთს — სოციალისტთა მიერ ოდესღაც ინიცირებულ იმ კანონპროექტს დაუთმო, რომლითაც ქვეყანაში უნდა აკრძალულიყო ნადირობა, როგორც სისხლიანი გასართობი. მერე კი მასპინძელს სასუფეველზე საკუთარი შეხედულება გააცნო და უთხრა, რომ სამოთხე იყო ადგილი, სადაც ადამიანს დიდიდან საღამომდე, კვირის ყოველ დღეს, კვირადღეთა ჩათვლით, დაუღალავი მონადირე ძაღლების დიდი ხროვით შეუძლია ინადიროს მელიაზე, ხარირემსა და კურდღელზე. „ისე, ჩემო ძვირფასო, უმჯობესი იქნება, თუ ამის შესახებ ეპისკოპოსს არაფერი ეტყვი.“ — ჩაურთო მან.

ლაპარაკისას მისტერ ბოგისი მსმენელს აკვირდებოდა და ხედავდა, რომ თანდათანობით მის მცდელობას ნაყოფი მოჰქონდა. ქალი უკვე იკრიჭებოდა და უზარმაზარი, ჩაყვითლებული კბილების მთელ წყებას აჩენდა.

– ქალბატონო, – შესძახა მან – გემუდარებით, ნულარ მალაპარაკებთ ამ სოციალიზმზე.

ამის გაგონებაზე ქალმა ერთი გულიანად გადაიხარხარა, ასწია თავისი უზარმაზარი, წითელი ხელი და ისე მაგრად დაჰკრა მხარზე, რომ მისტერ ბოგისი ლამის გადაყირავდა.

– შემოდით! – დაიყვირა მან. – არ ვიცი რა ჯანდაბა გინდათ, მაგრამ მაინც შემოდით.

სამწუხაროდ და მისდა გასაოცრად, მთელ სახლში არაფერი ღირებული არ იყო. ამიტომაც სულ მალე მისტერ ბოგისმა, რომელიც არასოდეს კარგავდა დროს უქმად, ქალს ბოდიში მოუხადა და გამოემშვიდობა. მთელ ამ ამბავს, თხუთმეტ წუთზე ნაკლები დასჭირდა. ზუსტად იმდენი, რამდენიც საჭირო იყო, ჩაილაპარაკა მისტერ ბოგისმა, როდესაც მანქანაში ჩაჯდა და მომდევნო ობიექტისკენ გაემართა.

ახლა მხოლოდ ფერმერული სამოსახლოები იყო დარჩენილი. უახლოესი გზის აყოლებით, დაახლოებით ნახევარი მილის მანძილზე მდებარეობდა. ეს იყო საკმაოდ ძველი, სანახევროდ ხით განყოფილი, აგურის შენობა, რომლის სამხრეთ კედელსაც თითქმის მთლიანად ფარავდა მშვენიერი, ჯერ ისევე ყვავილით შემოსილი მსხლის ხე.

მისტერ ბოგისმა დააკაკუნა. ცოტა ხანს შეიცადა, მაგრამ კართან არავინ მოსულა. მან ხელახლა დააკაკუნა. ამჯერადაც არავინ გამოეპასუხა. მაშინ ფერმერის მოსაძებნად სახლს უკანა მხრიდან შემოუარა, სადაც ბოსელი იყო. არც იქ დახვედრია ვინმე. მისტერ ბოგისმა იფიქრა, ალბათ ყველანი ჯერ ისევე ეკლესიაში არიანო, და იმ იმედით, იქნებ რაიმე საინტერესო შევნიშნო, ფანჯრებიდან შეუდგა ოთახების დათვალიერებას. სასადილო ოთახში არაფერი იყო. არც ბიბლიოთეკაში ჩანდა რამე. მან მომდევნო ფანჯარასთან გადაინაცვლა და იქვე, სასტუმრო ოთახში, სწორედ მის ცხვირწინ, ფანჯარასთან შეჭრილ პატარა ნიშაში მდგარი ულამაზესი რამ დაინახა. ეს იყო წითელი ხის, ნახევრად წრიული ბანქოს სათამაშო მაგიდა. მდიდრულად მოპირკეთებული, ჰეფლუაიტის სტილის ნაკეთობა, რომელიც სავარაუდოდ 1780 წლის ახლო ხანებში უნდა ყოფილიყო შექმნილი.

– აჰა, – თქვა მან ხმამაღლა და სახით მჭიდროდ მიეკრა მინას. – ყოჩაღ, ბოგის.

თუმცა ეს ყველაფერი არ იყო. იქვე სკამიც იდგა, ერთადერთი სკამი და, თუ იგი არ ცდებოდა, მაგიდასთან შედარებით უფრო დახვეწილი ნაკეთობა უნდა ყოფილიყო. ნუთუ ესეც ჰეფლუაიტის ნახელავია? რა მშვენიერია!

საზურგის რიკულები ლამაზად მოჩუქურთმებულიყო უსურვაზის, ქერცლის ფორმისა და წრიული ორნამენტით. ლერწმის წნული დასაჯდომი თავდაპირველი ნახელავი ჩანდა. ფეხები ძალზე მოხდენილად ჰქონდა მოხრილი. ორი უკანა ფეხი კი სწორედ იმგვარად იყო გარეთა მხარეს დაფერდებული, ასე ბევრს რომ ნიშნავდა მცოდნესთვის. მოკლედ, ძალზე მოხდენილი სკამი იყო.

– დაბინდებამდე – ჩუმად თქვა მისტერ ბოგისმა, – ნეტარებას მივეცემი ამ მშვენიერ სკამზე ჯდომით.

დაჯდომის გარეშე, ის, არასოდეს ყიდულობდა სკამს. მისთვის ეს ნივთის შემონახვის საყვარელი საშუალება იყო. ერთ რამედ ღირდა იმის ყურება, თუ როგორ ფრთხილად ეშვებოდა სკამზე, ამონებდა დასაჯდომის დრეკადობას, გამოცდილი თვალთ აფასებდა მასალის გამოშრობის იმ, მისთვის ნათლად შესამჩნევ, თუმცა სულ მცირე კვალს, რომელსაც წლები კოტა-კილოებისა და მერცხლისკუდა შეერთების ადგილებს დაატყობს ხოლმე.

თუმცა საჩქარო არაფერია, ჩაილაპარაკა თავისთვის. აქ მოგვიანებით დაბრუნდება. წინ მთელი დღე აქვს.

შემდეგი ფერმა მინდორში განმარტობით იდგა. ამიტომაც მანქანა ვინმეს უადგილოდ თვალში რომ არ მოხვედროდა, მისტერ ბოგისს მისი იქვე დატოვება მოუხდა. დარჩენილ, დაახლოებით ექვსასი იარდის სიგრძის — პირდაპირ გზას, რომელიც ზუსტად სახლის უკანა ეზოსკენ მიემართებოდა, იგი ფეხით გაუყვა. როდესაც მიუახლოვდა, შენიშნა, რომ ეს ფერმა, წინასთან შედარებით, ბევრად უფრო პატარა იყო, ამის გამო მასზე დიდი იმედი აღარ დაუმყარებია. უნესრიგოდ განლაგებული შენობები უბადრუკად გამოიყურებოდა. ზოგი-

ერთ დამხმარე ნაგებობას, კი აშკარად ეტყობოდა, რომ ძლივს იდგა ფეხზე.

ეზოს კუთხეში მჭიდრო ჯგუფად იდგა სამი მამაკაცი. ერთ-ერთს ხელში თასები ეჭირა, რომლებზედაც ორი დიდი, შავი მწველი ჰყავდა გამობმული. როგორც კი კაცებმა თვალი მოჰკრეს მათკენ მომავალ პასტორის თეთრ საყელოიან, შავ კოსტიუმში გამოწყობილ მამაკაცს, მაშინვე შეწყვიტეს საუბარი, თითქოს მოულოდნელად დაიძაბნენო, და ადგილზე გაშეშდნენ. იდგნენ ასე, სრულიად უხმაუროდ და გაუნძრევლად. სახეები მისტერ ბოგისისკენ ჰქონდათ მიბრუნებული და ეჭვის თვალთა აკვირდებოდნენ მის მოახლოებას.

ამ სამთავან უფროსი ჯმუხი კაცი გახლდათ, ფართო, ბაყაყივით პირითა და პატარა, ცბიერი, თვალებით. მას რამინსი ერქვა, და თუმცა მისტერ ბოგისმა ეს არ იცოდა, ამ ფერმის პატრონიც სწორედ ის იყო.

მის გვერდით მდგომი მალალი ახალგაზრდა, რომელსაც, ისე ჩანდა, ცალ თვალზე რაღაც სჭირდა, გახლდათ ბერტი — რამინსის შვილი.

დაბალ, ბრტყელსახიან კაცს — ვინრო, დაღარული შუბლითა და უზომოდ ფართო მხარბეჭით — კლოდი ერქვა. კლოდი რამინსთან იმ იმედით მისულიყო, რომ იქნებ, წინა დღით დაკლული ღორის ბარკალი ან ხორცის რაიმე ნაჭერი ჩაეგდო ხელში. კლოდმა იცოდა, ღორი რომ დაიკლა — მისი ჭყვიტინი კარგა შორ მანძილზე ისმოდა. ისიც იცოდა, რომ ღორის დაკვლას ხელისუფლების ნებართვა სჭირდებოდა, რამინსს კი ნებართვა არ ჰქონდა.

— გამარჯობა, — თქვა მისტერ ბოგისმა. — რა მშვენიერი დღეა, არა?

სამეული უძრავად იდგა. ამ ნუთში თითოეული ზუსტად ერთსა და იმავეს ფიქრობდა — ეს მღვდელი, რომელიც აქაური ნამდვილად არ ჩანს, იმისთვისაა მოგზავნილი, რომ თვალყური ადევნოს მათ და ყველაფერი, რასაც შეამჩნევს, ხელისუფლებას მოახსენოს.

— რა მშვენიერი ძაღლებია, — განაგრძო მისტერ ბოგისმა, — იმას ვგულისხმობ, რომ მართალია, მე თვითონ არასოდეს ვყოფილვარ ძაღლების დოღზე, მაგრამ გამიგია, რომ ეს ძაღლები საინტერესო სანახაობაა.

სიჩუმე გრძელდებოდა. მისტერ ბოგისმა სწრაფად გადაიტანა მზერა რამინსიდან ბერტზე, შემდეგ კლოდზე, მერე ისევ რამინსზე და შეამჩნია, რომ თითოეულს სახეზე ერთი და იგივე უცნაური გამომეტყველება აღბეჭდოდა — ცხვირის გარშემო გაჩენილი ნაოჭები დამცინავ იერს ანიჭებდა მათ, პირი კი აგდებულად მობრეცოდნო, რითიც მათ სახეებში ერთად ისახებოდა რაღაც საშუალო დამცინავსა და გამომწვევს შორის.

— ნებას მომცემთ ვიკითხო, თქვენ ხომ არ ხართ ამ ფერმის პატრონი? — წარბშეუხრელად მიმართა რამინსს მისტერ ბოგისმა.

— რა გნებავთ?

— ბოდიშს ვიხდი რომ განუხებთ, თანაც ამ კვირადღეს. — თქვა მისტერ ბოგისმა და თავისი ბარათი მიანოდა. რამინსმა გამოართვა და სახესთან ახლოს მიიტანა. დანარჩენები არც განძრეულან, თუმცა თვალები ერთი მიმართულებით დაებრციათ და ცდილობდნენ რაღაც მაინც დაენახათ.

— მაინც რა გნებავთ? — ჰკითხა რამინსმა.

მისტერ ბოგისს, ამ დღით, უკვე მეორედ მოუწია საკმაოდ ვრცლად ესაუბრა „ძველებური ავეჯის დაცვის საზოგადოების“ მიზნებსა და იდეალებზე.

— ჩვენ არაფერი გვაქვს, — უთხრა რამინსმა, როდესაც მან თხრობა დაამთავრა. — ტყუილად დროს კარგავთ.



მხატვარი კოტე თევდორაძე

— ერთი ნუთით ბატონო, — თქვა მისტერ ბოგისმა და თითი აიშვირა. — ბოლოს, ასეთი რამ ერთმა მოხუცმა ფერმერმა მითხრა სასიკესში. ჰოდა, როდესაც, როგორც იქნა, თავის სახლში შესვლის ნება მომცა, იცით, რა აღმოვაჩინე? სამზარეულოს კუთხეში მდგარი ძველი, ჭუჭყიანი სკამი, რომელიც ოთხასი გირვანქის ღირებულების აღმოჩნდა. მე ვასწავლე როგორც უნდა მოქცეულიყო, და მანაც აღებული ფულით თავისთვის ახალი ტრაქტორი შეიძინა.

— კარგი ერთი, რას ამბობთ? — თქვა კლოდმა. — მთელ მსოფლიოში არ მოიძებნება ოთხასგირვანქიანი სკამი.

— უკაცრავად, — ცივად შეეპასუხა მისტერ ბოგისი, — მაგრამ ინგლისში უამრავი სკამია, რომელიც ამ თანხაზე ორჯერ უფრო ძვირიც ღირს. იცით, კი, სად არიან ისინი? დგანან უქმად მთელს ქვეყანაში გაბნეულ ფერმებსა თუ უბრალო, სოფლურ სახლებში, პატრონები კი მათ მისადგმელი და გასაშლელი კიბეების მაგივრად იყენებენ. დგებიან ზედ დიდი, სახარაზო ლურსმნებით დაჭედილი ჩექმებით, რათა განჯინის ზედა თაროზე შედგმულ ჯემის ქილას მიწვდნენ ან კედელზე სურათი დაკიდონ. მე თქვენ სრულ სიმართლეს მოგახსენებთ, მეგობრებო.

რამინსმა ფეხი მოუსვენრად შეინაცვლა.

— გინდათ თქვათ, რომ ყველაფერი, რისი გაკეთებაც გასურთ, ის არის, რომ შეხვიდეთ შინ, დადგეთ შუა ოთახში და მიიხედ-მოიხედოთ?

— სწორედ ასეა, — უპასუხა მისტერ ბოგისმა, რომელმაც, როგორც იქნა იყნოსა, რა აფიქრებდა ამ ხალხს. — მე, სულაც არ მაინტერესებს რა ხდება თქვენს განჯინებსა თუ საკუჭნაოში, მხოლოდ ავეჯს შევხედავ, იმისთვის, რომ ვნახო, შემთხვევით რაიმე ღირებული ხომ არა გაქვთ. მერე კი მის შესახებ ჩვენი საზოგადოების უურნალში დავწერ.

— იცით რას ვფიქრობ, — თქვა რამინსმა და ცბიერი მზერა ბოგისს მიაპყრო. — ვფიქრობ, თქვენთვის აპირებთ რაიმეს ყიდვას. აბა, ისე რა ძალა გადგათ?

— ღმერთო ჩემო. ნეტავ კი ფული მქონდეს. არა, რა თქმა უნდა, რამე ისეთი რომ ვნახო, რაც ძალიან მომეწონება და, თუკი ჩემი ჯიბეც განვდება, შეიძლება შევცდე და გარკვეული თანხა შემოგთავაზოთ, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი რამ ძალზე იშვიათად ხდება.

— კარგი, თუ მხოლოდ ეს გნებავთ, არა მგონია თქვენს მიერ აქაურობის დათვალეირებით რამე დაგვიზავდეს — თქვა რამინსმა და ეზოს გავლით სახლის უკანა შესასვლელისკენ გაემართა. მას მისტერ ბოგისი მიჰყვა. ასევე მოიქცნენ რამინსის ვაჟი ბერტი და კლოდიც, თავისი ორი ძაღლით. მათ გაიარეს სამზარეულო, სადაც იდგა ერთადერთი ავეჯი — უბრალოდ ნაკეთები, იაფფასიანი მაგიდა, რომელზედაც დაკლული ქათამი იდო, და აღმოჩნდნენ საკმაოდ მოზრდილ და კარგა ბინძურ სასტუმრო ოთახში.

იქ, კი!.. მისტერ ბოგისმა, მაშინვე შენიშნა ის — მეხდაცემულივით ადგილზე გაშეშდა, მოულოდნელობით მოგვრილი შოკისგან სუნთქვა შეეკრა და რაღაც ჩუმი, კენესისმაგვარი ბგერაც აღმოხდა. ასე იდოტივით თვალბდაყვლებილი იდგა, სულ მცირე, ზუთი,

ათი, თხუთმეტი წამი და არ სჯეროდა, ვერ ბედავდა დაეჯერებინა ის, რასაც საკუთარი თვალით ხედავდა. ეს სიმართლე არ არის, შეუძლებელია სიმართლე იყოს! მაგრამ რაც უფრო დიდხანს მისჩერებოდა, მით მეტად ჰგავდა ნანახი ნამდვილს. ის ხომ აქვე, კედელთან დგას, ზუსტად მის პირდაპირ, ისეთივე ხელშესახები, ისეთივე ნამდვილი, როგორც თვით ეს სახლია. განა მთელს მსოფლიოში მოიძებნება ადამიანი, ვინც შეძლებს ამაში ეჭვის შეტანას? მართალია, ვიღაც იდიოტს თეთრად შეუღებავს, მაგრამ ამას, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. საღებავი იოლად მოცილდება. ღმერთო დიდებულო! შეხედეთ! თანაც სად? აქ, ამისთანა ადგილას.

ამ დროს, მისტერ ბოგის გაახსენდა, რომ მარტო არ იყო. რამინსი, ბერტი და კლოდი ერთად იდგნენ ბუხართან და თვალს არ აშორებდნენ. მათ დაინახეს როგორ გაშემდა ერთ ადგილზე, როგორ დააბჩინა პირი და გაშტერდა. ისიც უნდა შეემჩნიათ, თუ როგორ განითლდა სახეზე, ან იქნებ გაფითრდა კიდეც. ასე თუ ისე საკმარისზე მეტი დაინახეს იმისათვის, რომ მთელი საქმე გაეფუჭებინათ, თუკი სასწრაფოდ რაიმეს არ მოიმოქმედებდა. მისტერ ბოგისმა, დაუყოვნებლივ, ცალი ხელი გულზე იტაცა, უახლოესი სკამისკენ წაბარბაცდა და მძიმე ქმენით ზედ დაეხეთქა.

– რა დაგემართათ? – ჰკითხა კლოდმა.

– არაფერია, – ძლივს ამოიხვნეშა მისტერ ბოგისმა, – ცოტა ხანში კარგად ვიქნები. წყალი, თუ შეიძლება. გულის ბრაღია.

ბერტმა წყალი მოუტანა და მიანაოდა. მერე იქვე მის გვერდით გაჩერდა და უაზრო გამომეტყველებით სახეზე, ალმაცერად დააცქერდა ზემოდან ქვემოთ.

– მე კი, ვიფიქრე, იქნებ რაღაც დაინახა-მეთქი. – თქვა რამინსმა. მისი ფართო, ბაყაყის პირი ცბიერი ღმილისგან კიდეც უფრო გაფართოებულიყო, საიდანაც რამდენიმე დაშლილ-ჩაღუნული კბილის ნარჩენი მოუჩინდა.

– არა, არა, – თქვა მისტერ ბოგისმა. – ღმერთო ჩემო, რა თქმა უნდა, არა. მხოლოდ გულმა შემახსენა თავი. ასეთი რამ დროდადრო მემართება, მაგრამ საკმაოდ სწრაფად მომეშვება ხოლმე. ორიოდ ნუთმი კარგად ვიქნები.

აუცილებლად მჭირდება ცოტაოდენი დრო მოსაფიქრებლად, უთხრა საკუთარ თავს. კიდეც უფრო მნიშვნელოვანია ეს დრო იმისთვის, რომ ვიდრე ერთ სიტყვას მაინც იტყოდეს, მოახერხოს და თავი სრულად დაიმორჩილოს. ფრთხილად, ბოგის. გახსოვდეს, რაც უნდა აკეთო, სიმშვიდე შეინარჩუნე. ეს ადამიანები გაუნათლებლები კი არიან, მაგრამ ბრყევებს ნამდვილად არა ჰგვანან. ისინი უნდო, ფრთხილი და გაქნილი ხალხი ჩანს, და თუ ის, რაც დავინახე მართალია – არა, წარმოუდგენელია, შეუძლებელია სიმართლე იყოს...

ცალი ხელი თავლებზე ჰქონდა მიფარებული, ვითომდაც ტკივილის ნიშნად. ახლა კი თითები ძალიან ფრთხილად, შეუმჩნევლად ოდნავ დააშორა ერთმანეთს და იმ ღრეოდან გაიჭვრიტა.

დაახ, „ის“ ისევე იქ იდგა და მისტერ ბოგისმა ახლა უკვე კარგად დიდხანს მოახერხა მისი დათვალიერება. ჰო, თავიდანვე მართალი ყოფილა! უმცირესი ეჭვიც აღარ არსებობდა! ეს მართლაც დაუჯერებელი იყო. რასაც ხედავდა, მის ხელში ჩასაგდებად, ავეჯის ნებისმიერი ექსპერტი თითქმის ყველაფერს დათმობდა. არაპროფესიონალზე ის, რაღაც განსაკუთრებული შთაბეჭდილების მოხდენას ალბათ ვერ შეძლებდა, მითუმეტეს, რომ უკვე დალაქავებული, თეთრი საღებავით იყო დაფარული, მაგრამ მისტერ ბოგისისთვის ეს, მისი ოცნების საგანი იყო. მან, ისევე როგორც ნებისმიერმა ავეჯით მოვაჭრემ ევროპასა თუ ამერიკაში, იცოდა, რომ მე-18 საუკუნის ინგლისური ავეჯის არსებულ ნიმუშებს შორის ყველაზე უფრო სახელგანთქმული და სასწუკვარი იყო „ჩიპენდელის კომოდების“ სახელით ცნობილი სამი გამორჩეული ნივთი გახლდათ. თავიდან ბოლომდე იცოდა მათი წარსულიც. სახელდობრ ის, რომ პირველი მათგანი აღმოაჩინეს მორტონ-ინმარის<sup>7</sup> რომელიღაც სახლში 1920 წელს და იმავე წელს გაყი-

დეს სოთბის აუქციონზე; ის, რომ მომდევნო წელს, იმავე აუქციონზე მოულოდნელად გამოჩნდა ორი დანარჩენი. ორივე ნორფოლკიდან, რეინჰემ ჰოლის<sup>8</sup> საგვარეულო სახლიდან იყო. ყველა მათგანი საარაკო ფასად გაიყიდა. ვერ იხსენებდა ზუსტად რა თანხა იქნა გადახდილი პირველში, თუნდაც მეორეში, მაგრამ ის კი ნამდვილად იცოდა, რომ ბოლოს გაყიდულ კომოდში სამიათას ცხრაასი გინეა<sup>9</sup> იქნა აღებული. თანაც ეს მოხდა 1921 წელს! დღეს, იგივე ნივთი, ნამდვილად ელირება ათი ათასი გირვანქა. ვილაცამ – მისტერ ბოგისს მისი სახელი არ ახსოვდა – სულ ახლახან გულდასმით შეისწავლა კომოდები და დაადგინა, რომ სამივე შეიქმნა ერთ სახელოსნოში, მოსაპირკეთებელი ფანერა, სამივესთვის ერთი მორისგან დამზადდა და სამივეს ასაწყობად, თარგების ერთი და იგივე ნაკრები იქნა გამოყენებული. დამამზადებლის მიერ მყიდველის სახელზე შედგენილი ვერცერთი ქვითარი ვერ იქნა ნაპოვნი, მაგრამ ერთ რამეზე ყველა ექსპერტი ულაპარაკოდ თანხმდებოდა — სამივე კომოდი მხოლოდ თვით ტომას ჩიპენდელის მიერ, მისი საკუთარი ხელით შეიძლებოდა ყოფილიყო შექმნილი, თანაც მისი შემოქმედებითი ცხოვრების ყველაზე უფრო ნაყოფიერ ხანაში.

აქ კი, საკუთარ თავს უმეორებდა მისტერ ბოგისი, თანაც ფრთხილად იჭვრიტებოდა თითების ღრეოდან, აქ, ამ ადგილას დგას ჩიპენდელის მეოთხე კომოდი! და ის მან იპოვა! გამდიდრება! სახელსაც გაითქვამს! თითოეულს უკვე ცნობილი კომოდებიდან, ავეჯის სამყაროში თავისი განსაკუთრებული სახელი ჰქონდა მიკუთვნებული – ჩესტლტონის კომოდი, რეინჰემის პირველი კომოდი, რეინჰემის მეორე კომოდი. ეს კი, ისტორიაში, ბოგისის კომოდის სახელით შევა. ერთი წარმოიდგინე რა სახეები ექნებათ ლონდონელ კოლეგებს, როდესაც ხვალ დილით მას დაინახავენ! ფრენკ პარტრიჯი, მალეტი, ჯეტლი და სხვა დანარჩენი ვესტენდელი მდიდრებიც მაცდუნებელ შეთავაზებებს დააყრიან. მისი კომოდის ფოტო „ტაიმსში“ დაიბეჭდება წარწერით: „ჩიპენდელის შესანიშნავი კომოდი, რომელიც ახლახან აღმოაჩინა ლონდონელმა ავეჯით მოვაჭრემ, მისტერ სირილ ბოგისმა“ ... ღმერთო დიდებულიო, რა აურზაურს მოახდენს!

ეს, აქ რომ დგას, ფიქრობდა მისტერ ბოგისი, თითქმის ისეთივეა, როგორიც რეინჰემის მეორე კომოდი (პირველი სამი — ჩესტლტონისა და ორი რეინჰემული — ერთმანეთისგან სულ უმნიშვნელო დეტალებით განსხვავდებოდა). ეს იყო საოცრად შთამბეჭდავი, მოხდენილი ნაკეთობა, ჩიპენდელის „დირექტორის ხანის“, ფრანგული როკოკოს სტილში შექმნილი ნივთი, რომელიც სხვა დიდი, მასიური კომოდებით ოთხ მოჩუქურთმებულ, დაღარულ ფეხს ეყრდნობოდა, და იატაკს, დაახლოებით ერთი ფუტის სიმაღლეზე სცილდებოდა. სულ ექვსი უჯრა ჰქონდა — ორი გრძელი შუაში და აქეთ-იქეთ ორ-ორი, შედარებით მოკლე. ტალღოვან წინა მხარეს ზემოდან, ქვემოდან და გვერდებზე შესანიშნავი ჩუქურთმა გასდევდა. შუა, გრძელი უჯრებიც, მოკლეებისგან, იშვიათი ხელოვნებით ნაკვეთი, ერთმანეთში ჩახლართული ყვავილწუნულთა და მტევნების შვეული ორნამენტით გახლდათ გამოყოფილი. თითბრის სახელურები, თუმცა აქა-იქ თეთრი საღებავით იყო მოთუთხნილი, მაინც მდიდრულად გამოიყურებოდა. რა თქმა უნდა, ნივთი საკმაოდ დიდი და „მძიმე“ გახლდათ, მაგრამ მთელი მორთულობა იმდენად ნატყფად და დახვეწილად იყო შესრულებული, რომ ეს „სიმძიმე“ უსიამოვნოდ სულაც არ აღიქმებოდა.

– ახლა როგორ გრძნობთ თავს? — ჩაესმა მისტერ ბოგისს ვილაცის ხმა.

– გმადლობთ, გმადლობთ, ახლა ბევრად უკეთესად ვარ. ეს სწრაფად გადამივიღის ხოლმე. ჩემი ექიმი ამბობს, სამიში არაფერიაო. უბრალოდ, როდესაც ასე მომდის, რამდენიმე ნუთი უნდა დავისვენო.

– ჰოო, — თქვა მან და ნელა წამოდგა ფეხზე. — ასე უკეთესია. ახლა სავსებით კარგად ვარ.

ოდნავი ბარბაცით მისტერ ბოგისმა ოთახის შემოვლა და იქ მდგარი ავეჯის ერთიმეორის მიყოლებით თვალიერება დაინახო, თანაც გზადაგზა მოკლე შენიშვნებს გამოთქვამდა. მაშინვე შეამჩნია, რომ კომოდის გარდა აქ, არაფერი ღირებული არ იდგა.

— მუხის მშვენიერი მაგიდა, — თქვა მან, — მაგრამ, ვშიშობ, არც ისეთი ძველია, მე რომ დამაინტერესოს. კარგი, მოხერხებული სკამები, მაგრამ თანამედროვე. დიახ, სულ ახლახანაა გაკეთებული. ესეც ჭურჭლის კარადა. ჰოო, საკმაოდ ლამაზია, მაგრამ ფასი არც მას აქვს. ეს კომოდი, — მან ისე, სხვათაშორის ჩაუარა ჩიპენდელის ნახელავს და თითებით აგდებულად წაურაკუნა ზედ, — მე ვიტყვი, იქნებ რამდენიმე გირვანქა მართლაც ღირდეს, მაგრამ ბევრი არა. საკმაოდ უხეშად შესრულებული ნაყალბევი უნდა იყოს. ალბათ ვიქტორიანულ ეპოქაშია<sup>10</sup> დამზადებული. თეთრად თქვენ შეღებეთ?

— დიახ, — თქვა რამინსმა, — ბერტმა შეღება.

— ძალზე ჭკვიანურად მოქცეულხართ. თეთრი ისეთ უსიამოვნო შთაბეჭდილებას აღარ ახდენს.

— კაი გამძლე ნივთია, — თქვა რამინსმა, — ლამაზი ჩუქურთმებიც აქვს.

— მანქანური კვეთაა, — დამაჯერებლად უპასუხა მისტერ ბოგისმა, თან დაიხარა და უზადო ნამუშევარს დააკვირდა, — შორიდანვე ეტყობა. თუმცა, ვფიქრობ, თავისებურად ესეც საკმაოდ ლამაზია, რალაც თავისი ხიბლი აქვს.

აუჩქარებლად მოსცილდა კომოდს, მერე შეჩერდა და ნელი ნაბიჯით უკან გამობრუნდა, ცალი თითის წვერი ნიკაპზე მიიღო, თავი გვერდზე გადახარა და წარბები ისე შეჭმუნდა თითქოს ღრმად ჩაფიქრდა.

— იცით, რა? — თითქოს სხვათაშორის, ისე ჩუმად დაინახო, რომ მისი ხმა ძლივს ისმოდა, თანაც კომოდს შეჰყურებდა. — ახლა გამახსენდა, რომ კარგა ხანია რალაც ამგვარ ფეხებს ვეძებ მაგიდისთვის. ჩემს პატარა ბინაში ერთი საკმაოდ უჩვეულო მაგიდა მაქვს, ყავის დასალევი მაგიდების მსგავსი. აი, ისეთი, დაბალი რომ არის და დივანთან დგამენ ხოლმე. გასულ მიხეილობაზე, საცხოვრებელი შევიცვალე და ჩერჩეტმა მტვირთავებმა ისე დაუზიანეს ფეხები, რომ აღარაფერი ეშვებოდა. მე კი ძალიან მიყვარს ის მაგიდა. ჩემი დიდი ბიბლია და ყველა ქადაგების ჩანაწერი ზედ მიწყვია ხოლმე. — მისტერ ბოგისი შეეცვინდა და თითი ნიკაპს გაუსვ-გამოუსვა. — ახლა ვიფიქრე, იქნებ ამ თქვენი კომოდის ფეხები მაგიდას მოერგოს მეთქი. ჰო, ნამდვილად მოერგება. იოლად შეიძლება მოიჭრას და ჩემს მაგიდას გაუკეთდეს.

მან მოიხედა და გაუძრევლად მდგარი სამი მამაკაცი დაინახა. სამი წყვილი თვალი, სამივე სხვადასხვანაირი, მაგრამ ერთნაირად უნდო, ეჭვით შეჰყურებდა მას — რამინსის პატარა, ვინრო თვალები ღორისას რომ მიუგავდა, კლოდის დიდი, ჩლუნგი თვალები და ბერტის ორი განსხვავებული თვალი, რომელთაგან ცალი, უცნაური, ამღვრეული და დაბინდული, შუაში შავი წერტილით, ლანგარზე დადებული თევზის თვალს ნააგავდა.

მისტერ ბოგისმა გაიღიმა და თავი გააქნია:

— კარგი, ერთი. რა სისულელეს ვამბობ? ისე ვლაპარაკობ, თითქოს ეს ნივთი ჩემი იყოს. გთხოვთ მამაკითო.

— თქვენი ნათქვამიდან ჩანს, რომ მისი შეძენის წინააღმდეგი არ იქნებით. — თქვა რამინსმა.

— ისე... — მისტერ ბოგისმა შუბლი შეჭმუნა და კომოდს გახედა. — დარწმუნებული არა ვარ. შეიძლება ... მერე კიდევ ... კარგად რომ დავფიქრდე ... არა ... მე მგონი, ბევრ სირთულეს შემიქმნის. ამდენ წვალეზად არ ღირს. აჯობებს თავი გავანებო.

— მაინც რამდენის შემოთავაზებას აპირებდით? — ჰკითხა რამინსმა.

— არც ისე ბევრის. ხომ გესმით, ეს ნამდვილი სიძველე არაა, მხოლოდ უბრალო ასლია.

— მაგაში ასე დარწმუნებული სულაც არა ვარ, — უთხრა რამინსმა. — ეს კომოდი უკვე ოცი წელიწადია აქ არის. მანამდე, კი ბატონის მამულში იდგა. მე თვითონ ვიყიდე აუქციონზე, რომელიც მოხუცი სკვარის<sup>11</sup> სიკვდილის შემდეგ გაიმართა. აბა როგორ ამბობთ, რომ ეს ნივთი ახალია

— მთლად ახალი კი არ არის, მაგრამ სამოც წელზე მეტის ნამდვილად არ იქნება.

— მეტისაა, — თქვა რამინსმა. — ბერტ, სადაა ის ქალაქის ნაგლეჯი, ერთხელ კომოდის რომელიღაც უჯრაში რომ ნახე? აი, ის, ძველი ქვითარი.

ბიჭმა უაზროდ გამოხედა მამას.

მისტერ ბოგისმა ის იყო, პირი გაალო, მაგრამ უმაღლე დახურა, ისე, რომ კრინტი არ დაცდენია, თუმცა აღლევებისგან მთლად აკანკალდა. ამიტომაც, თავი რომ დაემშვიდებინა, ფანჯარასთან მივიდა და ყავისფერ, ჩასუქებულ დედალს მიაჩერდა, ებოში შემთხვევით დაცვნილ სიმინდის მარცვლებს რომ კენკავდა.

— აი, იმ უჯრის სიღრმეში იყო, კურდღლის საჭერი მახეების ქვე. — ამბობდა რამინსი. — მიდი, გამოიღე და პასტორს აჩვენე.

როდესაც ბერტი კომოდისკენ წავიდა, მისტერ ბოგისი შემობრუნდა. არ შეეძლო იქვე მდგარიყო და ბერტისთვის არ ეცქირა. მან დაინახა, როგორ გამოსწია ბერტმა ერთ-ერთი შუათანა, დიდი უჯრა და ისიც შეამჩნია, თუ რა იოლად გამოსწია ის. დაინახა, რა ღრმად შეყო ბერტმა ხელი უჯრაში და როგორ აფათურებდა მავთულებსა და თოკებს შორის.

— ამაზე მეუბნები? — ბერტმა გამოიღო დაკეცილი, შეყვითლებული ქალაქის ფურცელი და მამას გადასცა. მან კი გაშალა და სახესთან ახლოს მიიტანა.

— ამ ნაწერზე ველარ იტყვი, რომ ძალიან ძველი არ არის, — თქვა რამინსმა და ფურცელი მისტერ ბოგისს გაუწოდა, რომელმაც ის აკანკალებული ხელით გამოართვა. ქალაქი მყიფე იყო და ოდნავ ტკაცუნობდა თითებში. მასზე განაფული ხელით, გრძელი, დახრილი ასოებით ეწერა:

**ედუარდ მონტევიუ, ეს.კ. მოვალე ტომას ჩიპენდელი**

*ნითელი ხის ჩინებული მერქნისგან დამზადებული დიდი კომოდი-მაგიდა, ძალზე მდიდრულად მოჩუქურთმებული, დაღარულ ფეხებზე, ორი დახვენილი ფორმის დიდი უჯრით შუაში და ორ-ორი იმდაგვარივე აქეთ-იქით, მდიდრულად მოვარაყებული თითბრის სახელურებითა და ორნამენტებით, მთლიანად დამთავრდა და შესრულდა უნატიფესი ხელოვნებით . . . . . 87 გირვანქა.*

მისტერ ბოგისი ცდილობდა არაფერი შეტყობოდა. მთელი ძალ-ღონით ებრძოდა მღელვარებას, რომელიც მის სხეულში ქარბორბალასავით ტრიალებდა და თავბრუს ახვევდა. ღმერთო, ეს შესანიშნავი იყო! ქვითართან ერთად მისი ღირებულება კიდევ უფრო იზრდებოდა. ღვთის გულისათვის, ნეტავ ახლა რამდენს მოიტანს? თორმეტი ათას გირვანქას? თოთხმეტს? იქნებ თხუთმეტს, ან ოცსაც კი? ვინ იცის?

ღმერთო დიდებული!

მან ფურცელი აგდებულად მოისროლა მაგიდაზე და ჩუმად წარმოთქვა:

— სწორედ ისაა, რასაც გეუბნებოდი — ვიქტორიანული რეპროდუქცია. ეს მხოლოდ ქვითარია, რომელიც გამყიდველმა, ე.ი. იმ კაცმა, ვინც ეს კომოდი გააკეთა და უნდა ძველ ნამუშევრად გაასალოს, თავის კლიენტს მისცა. ასეთები უამრავი მინახავს. ყურადღება მიაქციეთ, ის არსად ამბობს, რომ კომოდი თვითონ გააკეთა. ამით ხომ ყველაფერი გამოაშკარავდებოდა.

— რაც გნებავთ ისა თქვით, — განაცხადა რამინსმა, — ქალაქი კი ნამდვილად ძველია.

– რა თქმა უნდა, ჩემო ძვირფასო მეგობარო. ვიქტორიანულ-დროისაა, გვიანდელი ვიქტორიანული. დაახლოებით ათას რვაას ოთხმოცდაათიანი წლებისა. სამოცი ან სამოცდაათი წლის წინანდელი. ასობით მაგდაგვარი მინახავს. ეს ის დრო იყო, როდესაც უამრავი დურგალი მხოლოდ იმით იყო დაკავებული, რომ საკუთარ ხელობას საუკუნისწინანდელ მშვენიერ ნაკეთობად ასაღებდა.

– მისმინე, მამაო, – უთხრა რამინსმა და მსხვილი, ტურტლიანი თითი მიუშვირა. – იმას არ ვამბობ, რომ ავეჯის საქმისა არაფერი გესმით, მაგრამ ერთს კი ვიტყვი: საიდან ხართ ასე ღრმად დარწმუნებული რომ კომოდი ნაყალბეგია, როცა ჯერ ისიც კი არ გინახავთ, როგორ გამოიყურება ამ თეთრი საღებავის ქვეშ?

– აბა, აქ მოდით, – თქვა მისტერ ბოგისმა. – აქეთ მობრძანდით და ყველაფერს გაჩვენებთ.

იგი კომოდთან იდგა და ელოდა როდის მოიყრიდნენ თავს ყველანი.

– ვინმეს დანა ხომ არა აქვს?

კლოდმა ჯიბიდან რქის ტარიანი ჯაყვა ამოიღო. მისტერ ბოგისმა გამოართვა, გახსნა ყველაზე პატარა პირი და ვითომდაც დაუდევრად, სინამდვილეში კი განუზომელი სიფრთხილით, პატარა არეზე, კომოდის ზედაპირიდან თეთრი საღებავის აცლა დაიწყო. საღებავი იოლად ძვრებოდა ძველი ლაქის მყარი ქვედა ფენიდან. როდესაც დაახლოებით ხელისგულისოდენა ფართი გაასუფთავა, უკან დაიხია და განაცხადა:

– აი, შეხედეთ!

ულამაზესი სანახაობა იყო – წითელი ხის პატარა, მუქი ლაქა, თბილი და მდიდრული, ტოპაზივით ელვარებდა თავისი ორასი წლის წინანდელი ხასხასა ფერებით.

– რა სჭირს? – იკითხა რამინსმა.

– დამუშავებულია! ამას ყველა შეატყობს!

– მაინც რაზე ეტყობა, ბატონო? გვითხარით ერთი.

– ჰოო, უნდა გითხრათ, რომ ამისი ახსნა ცოტა არ იყოს ძნელია. უფრო გამოცდილების ამბავია. ჩემი გამოცდილება კი საშუალებას მაძლევს უეჭველი დასკვნა გამოვიტანო: მერქანი კირითაა დამუშავებული. სწორედ კირს იყენებდნენ წითელი ხის დასამუშავებლად, იმ მიზნით, რომ მისთვის მუქი, ძველებური იერი მიეცათ. მუხისთვის, პოტაშის მარილებს ხმარობდნენ, კაკლისთვის – აზოტმჭავას, წითელი ხისთვის კი – ყოველთვის კირს.

სამივე მსმენელმა უფრო ახლოს მოინია, კომოდის განმედილი ადგილის უკეთ დასანახად. ახლა უკვე, მათში, რაღაც მცირე დაინტერესებამ იჩინა თავი. ყოველთვის საინტერესოა რამე შეიტყო თაღლითობისა და გაიძვერობის ახალი ხერხების შესახებ.

– ყურადღებით დააკვირდით ტექსტურას. ხედავთ, რომ მუქ ნიჟარისფერს შორის ოდნავი ნარინჯისფერი დაჰკრავს. ეს კირის ზემოქმედების კვალია.

ჯერ რამინსმა, შემდეგ კლოდმა, მერ კი ბერტმა ცხვირები ისე წინ წამოსწიეს, კომოდს ლამის ზედ დააბჯინეს...

– და, კიდევ პატივია<sup>12</sup> – გააგრძელა მისტერ ბოგისმა.

– რაო?

მისტერ ბოგისმა აუხსნა მათ ამ სიტყვის მნიშვნელობა ავეჯთან მიმართებით.

– ჩემო ძვირფასო მეგობრებო, თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, თუ რა რთულ გზებს მიმართავდნენ ეს გაიძვერები, რომ თავიანთი ნაყალბევი, ნამდვილი პატივის ულამაზესი ბრინჯაოსფერისთვის დაემსგავსებინათ. ეს საშინელებაა, ნამდვილი საშინელება. გული მტკივა ამაზე საუბარი რომ მიწევს! — ის გაცხარებით წარმოთქვამდა თითოეულ სიტყვას, პირი დამანჭოდა და ამით, თავის უკიდურეს ზიზღს გამოხატავდა.

სამეული იცდიდა და იმედოვნებდა, რომ უფრო მეტ საიდუმლოს შეიტყობდა.

– რამდენ დროსა და ძალ-ღონეს ხარჯავს ზოგიერთი მოკვდავი მიაშიტა გასაბრყველად! – შესძახა მისტერ ბოგის-

მა. – ეს ნამდვილად საზიზღრობაა! იცით, ჩემო მეგობრებო, რა ჩადინეს მათ ამ შემთხვევაში? მე შემძლია მათი გამოამკარავება. თითქოს თვალწინ მიდგას, როგორ ასრულებენ სე-ლის ზეთით მერქნის წმენდის ხანგრძლივ, რთულ რიტუალს. ვხედავ, როგორ ფარავენ ხის ზედაპირს სათანადო ფერებით მარჯვედ შეზავებული ფრანგული პოლიტურით. აპრილებენ პემზის ქვითა და ზეთით, უსვამენ ჭუჭყისა და მტვრის შემცველ ცვილს, ბოლოს კი თერმულად ამუშავებენ, პოლიტურა რომ დაიბზაროს და ლაქი ორასი წლის წინანდელს დაემსგავსოს! ამგვარი თაღლითობის წარმოდგენაც კი საშინელ გუნებაზე მაყენებს.

სამეული, კვლავაც, მუქი ფერის ხის პატარა არეს მისჩერებოდა.

– ხელით მოსინჯეთ! – ბრძანა მისტერ ბოგისმა. – შეეხეთ თითებით! აბა, როგორია, თბილი თუ ცივი?

– ცივია, – უპასუხა რამინსმა.

– სწორედაც, ჩემო მეგობარო! ასე იმიტომაც, რომ ყალბი პატივა შეხებისას ყოველთვის ცივია, ნამდვილი პატივისგან კი, უჩველო სითბო შეიგრძნობა.

– ეს შეხებით ჩვეულებრივია! — განაცხადა საპაექროდ შემართულმა რამინსმა.

– არა, ბატონო, ცივია. თუმცა, რასაკვირველია, სწორი დასკვნის გამოსატანად, გამოცდილება და მგრძობიარე თითები საჭირო. თქვენგან იმის მოლოდინი, რომ შეძლებთ სწორად იმსჯელოთ ამ საკითხზე, ისევე არ იქნება მართებული, როგორც ჩემგან ის, რომ თქვენი ქერის ხარისხის შეფასებას შეეძლებ. გამოცდილება, ჩემო ძვირფასო ბატონო, ამ ცხოვრებაში ყველაფერს ნიშნავს.

მსმენელები, ახლა უკვე, ისეთი ეჭვით აღარ შესცქეროდნენ ამ უცნაურ, მრგვალსახიან, თვალბეჭყეტილ მღვდელს, რადგანაც აშკარა იყო, რომ მას, თავისი საქმისა, რაღაც ნამდვილად გაეგებოდა. თუმცა სრულ ნდობამდე ჯერ კიდევ შორს იყო.

მისტერ ბოგისი დაიხარა და კომოდის ერთ-ერთი უჯრის ლითონის სახელურზე მიუთითა.

– აი, კიდევ ერთი ადგილი, სადაც თაღლითები მუშაობენ ხოლმე. — თქვა მან. — ძველ თითბერს, ჩვეულებრივ, საკუთარი, დამახასიათებელი ფერი და თვისება აქვს. იცით, ხომ ეს?

მასპინძლები, სულგანაბულნი შესცქეროდნენ ახალ საიდუმლოებათა გაგების იმედით.

– მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ ისინი, არაჩვეულებრივად დაოსტატდნენ ლითონის დაძველების საქმეში და ფაქტობრივად, თითქმის შეუძლებელია „ნამდვილი ძველი“, „ნაყალბევი ძველისგან“ განასხვავო. ვალიარებ, რომ ასეთ შემთხვევებში, მეც კი, მკითხაობა მიწევს. ამდენად, სახელურებიდან საღებავის აფხეკის არანაირი საჭიროება არ არსებობს. ამით ახალს, ვერაფერს შევიტყობთ.

– როგორ შეიძლება ახალი თითბერი ძველს დაემსგავსოს? — თქვა კლოდმა, — თითბერი ხომ არ ჟანგდება.

– სავსებით მართალი ხართ, ჩემო მეგობარო, მაგრამ ამ არამზადებს თავიანთი საიდუმლო საშუალებები აქვთ.

– მაინც რა საშუალებები? — იკითხა კლოდმა. მისი აზრით, ამ სახის ნებისმიერ ინფორმაციას ფასი ჰქონდა. არავინ იცის, როდის შეიძლება დასჭირდეს კაცს.

– საჭიროა სახელურები, მთელი ღამით მოთავსდეს ნიშადურით გაჟღენთილი წითელი ხის ბურბუშეღით სავსე ყუთში. — თქვა მისტერ ბოგისმა. — ნიშადური ლითონს ამწვანებს, მაგრამ თუ ამ მწვანე ფენას მოაცილებთ, მის ქვეშ დაგვხვდება ის მშვენიერი, ნაზი, მოვერცხლისფრო-თბილი ელვარება, ზუსტად ისეთი, როგორიც ძალიან ძველ თითბერს ახასიათებს. აი ასეთ საზიზღრობებს სჩადიან. რკინასთან სხვა სახის გაიძვერობას მიმართავენ.

– რკინას რაღას უშვრებიან? — იკითხა კლოდმა, რომელიც მონუსხული უსმენდა.

— რკინის დაძველება იოლია, — თქვა მისტერ ბოგისმა. — უბრალოდ, რკინის საკეტებს, ფირფიტებსა და ანჯამებს ჩვეულებრივი მარილი უნდა დაეყაროს. სულ მალე მარილი მათ ამოჭამს და მთლიანად ჟანგით დაფარავს.

— კარგი, — თქვა რამინსმა. — ესე იგი, აღიარებთ, რომ სახელურების შესახებ დაბეჯითებით არაფრის თქმა არ შეგიძლიათ. ესე იგი, შესაძლებელია, ისინი რამდენიმე ასეული წლის წინანდელიც იყოს. ასეა?

— ეჰ, — ჩაიწურჩულა მისტერ ბოგისმა და თავისი დიდი, გადმოკარკული, თაფლისფერი თვალები რამინსს მიაპყრო. — სწორედ აქ ცდებით. აბა, უყურეთ.

მან, პიჯაკის ჯიბიდან, სახრახნისი ამოიღო. იმავდროულად, ყველასგან შეუმჩნევლად, პატარა, თითბრის ხრახნიც ამოაცოცა და საიმედოდ ჩამალა ხელისგულში. თითოეული სახელური, კომოდზე, ოთხი ხრახნით იყო დამაგრებული. მისტერ ბოგისმა ერთ-ერთი ხრახნი ამოირჩია და ფრთხილად შეუდგა მისი თავიდან თეთრი საღებავის გადაფხეკას ისე, რომ კვალიც არ დარჩენილიყო. როდესაც ეს საქმე დაამთავრა, ნელა დაიწყო მისი ამოხრახვნა.

— თუკი ეს, მართლაც ძველი, მეთვრამეტე საუკუნის თითბრის ხრახნია, — ამბობდა იგი, — მაშინ სპირალი ოდნავ არათანაბარი ექნება და ადვილად შეატყობთ, რომ ის ხელნაკეთია და ქლიბითაა ამოჭრილი. მაგრამ თუ სახელური გვიანდელი ნაყალბეგია, ვიქტორიანული ან შემდეგდროინდელი, მაშინ ხრახნიც, ცხადია, მასობრივი წარმოების ქარხნული ნაკეთობა იქნება. ქარხნულ ნაწარმს კი, ნებისმიერი ამოცნობს. მამ ასე, ახლავე ვნახავთ.

მისტერ ბოგისი ცალი ხელით სახრახნისს აბრუნებდა, მეორეთი, კი ძველ ხრახნს ფარავდა, ამიტომაც, მისთვის, არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა ხელისგულში ჩამალული ახალი ხრახნით, ძველის შეცვლა. ეს იყო, მისი, კიდევ ერთი, პატარა ფანდი, წლებით გამოცდილი და ყველაზე წარმატებული. მისი პასტორის პიჯაკის ჯიბეები, ყოველთვის სავსე იყო სხვადასხვა ზომის, ნაირნაირი, თითბრის იაფი ხრახნებით.

— აი ინებეთ, — თქვა და ახალი ხრახნი რამინსს გაუწოდა. — დააკვირდით, ხედავთ სპირალის ზუსტ, თანაბარ ჭრილს? ხომ ხედავთ? რა თქმა უნდა ხედავთ. ეს, ერთი იაფი, ჩვეულებრივი, პატარა ხრახნია, რომლის შექმნა, დღესაც ქვეყნის ნებისმიერ რკინეულობის მალაზიაში შეგიძლიათ.

ხრახნმა, ერთიმეორის მიყოლებით, ყველას ხელში გაიარა. თითოეული გულდასმით ათვალიერებდა. ახლა, რამინსიც კი გაოცებული ჩანდა. მისტერ ბოგისმა სახრახნისი, კომოდიდან ამოღებულ, მშვენიერ ხელნაკეთ ხრახნთან ერთად პიჯაკის ჯიბეში ჩაიდო, მერე მოტრიალდა, სამეულს გვერდზე ჩაუარა და ნელა გაემართა კარისკენ.

— ჩემო ძვირფასო მეგობრობო, — თქვა მან და სამზარეულოს შესასვლელთან შეჩერდა, — როგორი თავაზიანობა გამოიჩინეთ, როდესაც უფლება მომეცით თქვენს პატარა სახლში შემომეხედა, რა სიკეთე. იმედი მაქვს, ძალიან არ შეგანყინეთ თავი. რამინსმა ხრახნს თვალი მოწყვიტა.

— თქვენ არ გითქვამთ რამდენის შემოთავაზებას აპირებდით, — განაცხადა მან.

— აჰ, — თქვა მისტერ ბოგისმა, — დიახ, სავსებით მართალია. არ მითქვამს, ხომ? ჰოო, გულწრფელად რომ გითხრათ, ვფიქრობ, არ ღირს წვალბება. დატოვება მიჯობს.

— მაინც რამდენს მოგვცემდით?

— ანუ თქვენ გულისხმობთ, რომ ნამდვილად გსურთ მისი თავიდან მოცილება?

— მე არ მითქვამს, რომ მისი თავიდან მოცილება მინდა. მხოლოდ გკითხეთ, რამდენს მოგვცემდით.

მისტერ ბოგისმა კომოდს გახედა, ჯერ ერთ მხარეს გადახარა თავი, მერე — მეორე მხარეს, შუბლი შეჭმუხნა, ტუჩები გამოზიკა, მხრები აიჩეჩა და ხელი ისე აგდებულად ჩაიქინა, თითქოს ამბობდა, ამაზე ფიქრიც არ ღირსო.

— ვთქვით ... ათი გირვანქა. ვფიქრობ, საკმარისი იქნება.

— ათი გირვანქა! — იყვირა რამინსმა, — ნუ მაცინებთ, მამო, ძალიან გთხოვთ.

— შეშად რომ გაიყიდოს, მეტი ეღირება! — უკმაყოფილოდ განაცხადა კლოდმა.

— ამ ქვითარს შეხედეთ! — განაგრძო რამინსმა და ისეთი ძალით ატაკა თავისი ტურტლიანი საჩვენებელი თითი ძვირფას დოკუმენტს, რომ მისტერ ბოგისი გვარიანად შეშფოთდა.

— აქ ზუსტად წერია რა ღირდა კომოდი! ოთხმოცდაშვიდი გირვანქა! ეს მაშინ, როცა ახალი გაკეთებული იყო. ახლა ის ძველებურია და ორჯერ მეტი ღირს.

— მომიტევეთ, მაგრამ არა, ბატონო, არ ღირს. ეს ხომ უბრალო ნაყალბეგია და ისიც ნახმარი. თუმცა, იცით რა, ჩემო მეგობარო — საკმაოდ დაუფიქრებლად ვიქცევი, მაგრამ თავს ვერაფერს ვუხერხებ — თხუთმეტ ფუნტს გთავაზობთ. ამაზე რას იტყვი?

— ორმოცდაათი, — თქვა რამინსმა.

სასიამოვნო ჟრუნტელმა თხემით ტერფამდე ნემსებივით დაუარა მისტერ ბოგისს. კომოდი უკვე მისი იყო. ამაში ეჭვის შეტანა აღარ შეიძლებოდა, მაგრამ აუცილებლობითა და პრაქტიკით წლების განმავლობაში შექმნილი იაფად ყიდვის ჩვევა, ისე იაფად, რაგვარადაც ადამიანისათვის იყო შესაძლებელი, იმდენად მყარად ჰქონდა სისხლსა და ხორცში გამჯდარი, რომ ნებას არ აძლევდა ასე იოლად დაეთმო.

— ჩემო კეთილო, — ჩუმი ხმით წარმოთქვა მან. — მე ხომ მხოლოდ ფეხები მჭირდება. იქნებ მოგვიანებით უჯრებიც რამეში გამოვიყენო, მაგრამ დანარჩენი, ანუ საკუთრივ კარკასი, როგორც მართებულად შენიშნა თქვენმა მეგობარმა, შეშაა და მეტი არაფერი.

— ოცდათხუთმეტი, — თქვა რამინსმა.

— არ შემიძლია, ბატონო! არ შემიძლია! არ ღირს ამდენი. თანაც, უბრალოდ არ შემეფერის ამგვარი ვაჭრობის უფლება მივცე საკუთარ თავს. ეს არასწორია. საბოლოო სიტყვას გეტყვით და უნდა წავიდე — ოცი გირვანქა.

— თანახმა ვარ, — მკვახედ წარმოთქვა რამინსმა, — თქვენია.

— ღმერთო, — თქვა მისტერ ბოგისმა და ხელები ერთმანეთს გადააჭდა. — იგივე განმეორდა. ისევე ვერ შევიკავე თავი. არ უნდა წამომეწყოს ეს საქმე. თავიდანვე უარი უნდა მეთქვა.

— ახლა უკან ვეღარ დაიხევთ, მამო. სიტყვა სიტყვაა.

— დიახ, დიახ, ვიცი.

— ნალებას როგორ აპირებთ?

— ჰოო, ახლავე მოვიფიქრებ. ბატონებო, მე რომ ეზოში ჩემი მანქანით შემოვიდე, ხომ დამეხმარებით და მის ჩატვირთვას არ დამამადლით?

— მანქანაში? ეს რალაც ვერაფრით ვერ შეეტევა ჩვეულებრივ მანქანაში! სატვირთო დაგჭირდებათ!

— არა მგონია. ასეა თუ ისე, ვნახავთ. მანქანა გზაზე დაეტოვებ. ახლავე დავბრუნებ და, დარწმუნებული ვარ, ამ საქმეს როგორღაც მოვგავარებთ.

მისტერ ბოგისი ეზოში გამოვიდა, ჭიშკარი გაიარა და მინდორში, მთავარი გზისკენ მიმავალ ბილიკს დაუყვა.

მიდიოდა და თან თავშეუკავებლად ხითხითებდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ სხეულში, მუცლიდან თავისკენ, თითქოს გაზიანი წყალიყო, ასობით პანანინა ბუშტულა მიცურავდა და იქ, ზემოთ, საღვაც კინკრიხობი, მხიარულად სკდებოდა, მინდორში, ყველა ბაია უეცრად მზეზე მოელვარე ოქროს სოვერენებად<sup>19</sup> გადაიქცა. მთელი ველი ამ ოქროს მონეტებით იყო მოფენილი. ის ბილიკიდან ბალახზე გადავიდა, მათ შორის რომ გაეგლო, ზედ დაეხიჯებინა და გაეგონა ლითონის ხმადაბალი წკრიალი, როდესაც ფეხის წვერს ნაჰკრავდა. მისტერ ბოგისი მიხვდა, რომ ცოტაც და გაიქცეოდა, მაგრამ მღვდლები ხომ არასოდეს დარბიან; ისინი დინჯად დადიან. ნელა იარე, ბოგის. მშვიდად ბოგის. საჩქარო უკვე აღარაფერია. კომოდი შენია! შენია ოც გირვანქად. ის კი თხუთმეტი ან ოცი ათასი ღირს! ბოგისის კომოდი! ათიოდე წუთში შენს მანქანაში ჩატვირთავენ, საღვაც თავისუფლად მოთავს-

დება. მერე კი უკან, ლონდონისკენ გაემგზავრები და მთელი გზა იმღერებ! მისტერ ბოგის შინ მიაქვს ბოგისის კომოდი, ბოგისისავე მანქანით. ისტორიული მოვლენაა. რას არ მისცემდნენ რეპორტიორები ფოტოს გადაღება რომ შეეძლოთ! ხომ არ მოინვიოს? იქნებ მოინვიოს კიდევ. ვნახოთ. რა დიდებული დღე! ზაფხულის მშვენიერი, მზიანი დღე! დიდება უფაღას!

ფერმაში კი რამინსი ამბობდა:  
— წარმოგიდგენიათ, ეს ბებერი არამზადა ოცი გირვანქას იხდის ასეთ ძველმანში.

— მშვენივრად მოაგვარეთ საქმე, მისტერ რამინს, — უთხრა კლოდმა. — ფიქრობთ, გადაიხდის?

— მანამდე არ ჩავტვირთავთ, სანამ არ გადაიხდის.

— მანქანაში რომ არ შეეცით, მაშინ? — იკითხა კლოდმა.

— იცით რას ვფიქრობ, მისტერ რამინს? გინდათ გულწრფელად გითხრათ? მე მგონია, ეს ოხერი კომოდი ძალიან დიდია და მანქანაში არ შეეტევა. მერე კი რა მოხდება? მერე, ის, მიაფურთხებს ამ კომოდს, ჩაჯდება მანქანაში, წავა და ველარა-სოდეს იხილავთ ვერც მას და ვერც ფულს. ხომ ნახეთ, მაინც-დამაინც არც უნდოდა მისი ყიდვა.

რამინსი ჩუმად იყო და ცდილობდა, ეს ახალი, საკმაოდ საგანგაშო პერსპექტივა გაეაზრებინა.

— როგორ შეიძლება ამხელა ნივთი, ჩვეულებრივ მანქანაში შეეცით? — უღმობლად განაგრძობდა კლოდი. — ყოველ შემთხვევაში, არცერთ მღვდელს დიდი მანქანა არ ჰყავს. ოდესმე გინახავთ პასტორი დიდი მანქანით, მისტერ რამინს? — მგონი, არა.

— სავსებით მართალია! ახლა კი, მისმინეთ. ერთი აზრი მომივიდა. მან გვითხრა, მხოლოდ ფეხები მჭირდებაო. ხომ მართალია? ესე იგი, ისლა დაგვრჩენია, რომ აქვე, სასწრაფოდ, სანამ პასტორი დაბრუნებულა, წავაჭრათ კომოდს ფეხები. მაშინ ნამდვილად შეეტევა მანქანაში. ერთადერთი რასაც ამით გავაკეთებთ ისაა, რომ თავიდან ავაცილებთ ზედმეტ შრომას და შინ მიტანის შემდეგ თვითონ აღარ მოუწევს მათი მოჭრა. ამაზე რას იტყვით მისტერ რამინს? — კლოდის ფართო, ხეპრე სახე, თვითკმაყოფილი სიამაყით ციმციმებდა.

— არც ისე ცუდი აზრია, — თქვა რამინსმა და კომოდს გახედა. — ის კი არადა, მშვენიერი აზრია. აბა, მოდით, უნდა ვიჩქაროთ. თქვენ და ბერტმა კომოდი ეზოში გაიტანეთ, მე კი ხერხს მოვიტან. ოლონდ ჯერ უჯრები გამოიღეთ.

ორიოდე წუთში, კლოდმა და ბერტმა კომოდი გარეთ გამოიტანეს და ქათმის სკინტლითა და საქონლის ნეხვით მოფენილ, ატალახებულ ეზოში ყირამალა დაამხეს. შორს, შუა მინდორში, პატარა შავი ფიგურა მოჩანდა, რომელიც გზისკენ მიმავალ ბილიკს მიუყვებოდა. ისინი, რამდენიმე წამით დადგნენ და თვალი მიაღვენეს. რაღაც უცნაური, საკმაოდ კომიკური იყო მის ქცევაში. დროდადრო მისი ნელი სიარული ჩორთით იცვლებოდა. მერე რამდენჯერმე შეიკუნტრუმა და ისკუპა კიდევ. ერთხელ კი მინდვრიდან მათ ყურამდე, თითქოს, რომელიღაც მხიარული სიმღერის ჰანგებმაც კი მოაღწია.

— მე მგონი, ცოტას აფრენს, — თქვა კლოდმა. ბერტმა ავისმომასწავებლად ჩაიცინა და თავისი დაბინდული თვალი წელა დაატრიალა ბუდეში.

ფარდულიდან ბაყაყით დაყუნცული რამინსი გამოძვრა და აცაბაცა სიარულით მათკენ წამოვიდა. ხელში გრძელი ხერხი ეჭირა. კლოდმა ხერხი გამოართვა და საქმეს შეუდგა.

— ახლოს მიაჭერი. — უთხრა რამინსმა. — არ დაგავინცდეს, რომ აპირებს ფეხები სხვა მაგიდას მოარგოს.

წითელი ხე ძალზე ხმელი და მაგარი იყო. კლოდი მუშაობდა. ხერხის პირიდან ლამაზი წითელი ნახერხი ცვიოდა და ნაზად ეფინებოდა მინას. ფეხები კომოდს ერთიმეორის მიყოლებით სცილდებოდა და როდესაც ოთხივე მოიჭრა, ბერტი დაიხარა და ლამაზად, ერთ რიგად დააწყო ისინი.

კლოდმა უკან დაიხია და თავისი შრომის შედეგს თვალი მოავლო. შედარებით ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა.

— შეიძლება რაღაც გკითხოთ, მისტერ რამინს, — წელა დაიწყო მან. — თუნდაც ახლა, შეძლებდით ამ ჯაბახანის მანქანაში ჩადებას?

— ფურგონი თუ არ იქნებოდა, ვერაფრით.

— მართალია! — შესძახა კლოდმა. — პასტორები კი, თქვენც იცით, ფურგონით არ დადიან. როგორც წესი, მათ უბრალო, პატარა „მორის 8“ ან „ოსტინ 7“ ჰყავთ.

— მას მხოლოდ ფეხები სჭირდება, — თქვა რამინსმა. — თუ დანარჩენი მანქანაში არ შევა, დატოვებს და ის იქნება. უკმაყოფილო არ უნდა დარჩეს, ფეხებს მიიღებს.

— თქვენი საქმისა თქვენ იცით, მისტერ რამინს, — მოთმინებით განაგრძობდა კლოდი. — მაგრამ ისიც ძალიან კარგად მოგეხსენებათ, რომ ფასის დაკლებას შეეცდება, თუ ყველაფერი, რაც მას ერგება უკანასკნელ ნაფოტამდე არ მოათავსა მანქანაში. როდესაც საქმე ფულს ეხება, მღვდლებიც ისეთივე გაიძვერები ხდებიან, როგორც ყველა სხვა დანარჩენი. ამ ბებერსაც, ეს, განსაკუთრებით ეტყობა და რამე არ შეგეშალოთ, მისტერ რამინს. რატომ არ უნდა მივცეთ პასტორს მისი შუბა ახლავე და ამით დავამთავროთ? სად ინახავთ ხოლმე ნაჯახს?

— მგონი, ასე, მართლაც უფრო ჭკვიანური იქნება, — თქვა რამინსმა. — ბერტ, წადი და ნაჯახი მოიტანე.

ბერტი ფარდულში შევიდა, გამოიტანა შეშისმჭრელის გრძელტარხანი ნაჯახი და კლოდს გადასცა. კლოდმა ხელისგულზე დაიფურთხა და ერთმანეთს გაუსვა. მერე ნაჯახი მძლავრად მოიქნია და გაშმაგებით დაუშინა კომოდის უფეხო კარკასს. მძიმე სამუშაო იყო და კლოდს რამდენიმე წუთი დასჭირდა, ვიდრე მთელი კომოდი მეტ-ნაკლებად პატარა ნაწილებად დაიჩეხებოდა.

— ერთ რამეს გეტყვით, — თქვა კლოდმა, თან წელში გასწორდა და გაოფლილი შუბლი მოინმინდა. — პასტორმა რაც უნდა ისა თქვას, მაგრამ ამის გამკეთებელი, ძალიან მაგარი დურგალი უნდა ყოფილიყო.

— დროზე მოვასწარი, — დაიძახა რამინსმა. — აგერ, მოდის.

**ინგლისურიდან თარგმნა  
მალხაზ ფუტყარაძემ**

1. ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის დედოფალი 1702-07 66. დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს პირველი მონარქი 1707-14 66. სტიუარტთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი ინგლისის ტახტზე.

2. გეორგიანული ეპოქისთვის დამახასიათებელი არქიტექტურული სტილი, რომელიც დომინირებდა ინგლისურენოვან ქვეყნებში XVIII ს-ში. გამოიყენება, როგორც მთელი XVIII ს-ის ინგლისური არქიტექტურის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი.

3. პინტა — 0,57 ლიტრი.

4. ქალაქი ლონდონის ახლოს, კენტის საგრაფოს დასავლეთ ნაწილში.

5. დეკორატიული ხელოვნებისა და დიზაინის მსოფლიო უდიდესი მუზეუმი. სახელი ეწოდა დედოფალ ვიქტორიასა და მისი მეუღლის პრინც ალბერტის საპატივცემულოდ. დაარსებულია 1852 წელს.

6. ტორი — დიდი ბრიტანეთის კონსერვატიული პარტიის არაოფიციალური, ისტორიული სახელწოდება.

7. ქალაქი და თემი გლოსტერშირის საგრაფოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

8. სავაჭრელო სასახლე ინგლისის აღმოსავლეთში, ნორფოლკის საგრაფოში.

9. ძირითადი ინგლისური ოქროს მონეტა სოვერენის მოჭრამდე.

10. დედოფალ ვიქტორიას მმართველობის პერიოდი: 1837-1901.

11. თავდაზნაურული ტიტულუსი — ესკვიარის შემოკლებული ფორმა.

12. თხელი ფენა, რომლითაც ბუნებრივად ან ხელოვნური დაძველების შედეგად იფარება ლითონი (სპილენძი, ბრინჯაო), ქვა (მარმარილო) ან ხე.

13. ერთი გირვანქა სტერლინგის ღირებულების ინგლისური ოქროს მონეტა.

# ლექსი და ისტორია

ეს ხალხური ლექსი, საუცხოო რომ ეთქმის, ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების სოლიდურ გამოცემაში რატომღაც XVIII საუკუნის ვითარების ამსახველ ნაწარმოებად მიუჩნევათ და ერეკლე მეორის ციკლში მიუჩნეიათ მისთვის ადგილი.

არადა, ლექსის მთავარი მოქმედი პირი გახლავთ დათუნა ბატონიშვილი, ხოლო „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე ამ სახელით ცნობილი არის ერთადერთი პიროვნება, სახელდობრ — დავითი, ძე თეიმურაზ პირველისა (XVII საუკუნე).

ახლა კარგად დავაკვირდეთ, როგორ შეეფარდებიან ერთმანეთს ლექსი და ისტორია.

## ქვენი მოვიდა ამბავი, დაიძრა ჯაბალ-ხანიო.

ამას გვაუწყებს ლექსი. ქართული საისტორიო წყაროებიც ასახელებენ ლექსში მოხსენიებულ ჯაბალ-ხანს სწორედ იმ ბრძოლასთან დაკავშირებით, სადაც დალუპულა დათუნა ბატონიშვილი.

მოქმედება მიმდინარეობს 1648 წელს. აღწერილია თეიმურაზ კახთა მეფის კიდეც ერთი (ვაგლახ, უკანასკნელი) შებრძოლება ქართლის მაჰმადიან მეფე როსტომთან, რომელსაც ზურგს უმაგრებდა სეფიანთა ირანის სამეფო კარი და, რაც მთავარია, ყიზილბაშთა ლაშქარი.

„ცხოვრება საქართველოსა“ (ე.წ. პარიზის ქრონიკა) მოგვითხრობს: „აქათ მეფე როსტომ მეფე შეიყარა და იქით კახთ ბატონი, ქისიყისაკენ თათრები და ყაზახის ხანი ჯამალ-ხან უჩინა“.

ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, როდესაც როსტომ მეფემ შეიტყო დათუნა ბატონიშვილის დალუპვა ბრძოლაში, „ჯამალ-ხანს ასე მისწერეს: რომელიც მოგეკლასო, მაგათი თავები ქალაქს სიონის სადღარში მიიტანონ“.

აღნიშნული წყაროები გვაცნობენ ჯამალ-ხანს შემდგომი მოვლენების აღწერილობაშიც. ირკვევა, რომ როსტომ მეფის ავადმყოფობისას არაგვისა და ქსნის ერისთავებმა სწორედ ჯამალ-ხანის პირით შეუთვალეს მომაკვდავ მეფეს თავისი პოლიტიკური ხეაზი და გეგმები. იგივე ჯამალ-ხანი როსტომ მეფის გარდაცვალებისას თბილისში იმყოფება და ირანის შაჰის რაყამს მიანვდის დაქვრივებულ მარიამ დედოფალს.

რაც შეეხება უცხოურ წყაროებს — სპარსელი ისტორიკოსი მოჰამედ თაჰერი გადმოგვცემს, რომ როსტომ მეფემ და ჯამალ-ხანმა სეფიანთა სამეფო კარს აცნობეს, თეიმურაზმა „აჯანყების მტვერი ააყენაო“. იქვე აღნიშნულია დათუნა ბატონიშვილის დალუპვა ჯამალ-ხანის ჯართან ბრძოლაში.

ამგვარად, დათუნა ბატონიშვილი და ჯამალ-ხანი თანამედროვენი ყოფილან. ოღონდ ქართველი მელექსე ყიზილბაშ სარდალს რატომღაც ჯაბალ-ხანს უწოდებს (ეგებ „ჯაბანის“ ასოციაციით?).

ბრძოლის ადგილის მითითებაც ადასტურებს, რომ ხალხური ლექსი და საისტორიო თხზულებანი ერთსა და იმავე ამბავს მოგვითხრობენ. ლექსის მიხედვით, ჯაბალ-ხანს ალგეთი გადმოუღახავს, მთები გადმოუვლია და კახეთამდე მოუღწეოდა. ყაზახის ხანი, ცხადია, ალგეთის მიდამოებიდან წამოვიდა. სპარსელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის ცნობით, ყაზახარის ტომი ქართლის მეზობლად სახლობდა. სწორედ ამ ტომის წინამძღოლი გახლდათ ჯამალ-ხანი.

„კახეთის ბოლოს ჩავიდაო“ — გვამცნობს ხალხური ლექსი საომრად წასული დათუნა ბატონიშვილის შესახებ.

როსტომ მეფე თავის გუჯარში (1648 წ.) აღნიშნავს: „იქით ბატონის თეიმურაზის შვილი დავით და ჩვენგან გაგზავნილი თათრები შეყრილიყვნენ, შებმულიყვნენ ქისიყის ბოლოსა და თათრებს გამარჯვებოდა და ბატონიშვილი დავით მოეკლათ“.

„პარიზის ქრონიკა“ კიდეც უფრო ზუსტად მიუთითებს ბრძოლის ადგილს — სოფელი ძველი ანაგა, რომელიც მართლაც ქიზიყის ბოლოშია.

„გამეერია ლაშქარსა, გაანახევრა ჯარიო“, — ჰიპერბოლას იშველიებს დათუნა ბატონიშვილის გამირობით ალტაცებული მელექსე.

ეს გარემოებაც ხაზგასმულია წყაროებში. სომეხი ისტორიკოსის ზაქარია ქანაქერცის თხზულებაში ვკითხულობთ, რომ ბრძოლის დაწყებისას დავითი უდიდესი შემართებით შეჭრილა ყიზილბაშთა რიგებში, ხოლო ზემოხსენებული მოჰამედ თაჰერი წერს: „დავუდ-მირზა, რომელიც განთქმული იყო თავისი სიმამაცით და გამბედაობით და რომელზედაც ამყარებდნენ იმედს თეიმურაზ-ხანი და ურჯულონი“.

ხალხური ლექსის მიხედვით, დათუნა ბატონიშვილი მოუკლავს ყიზილბაშ მეთოფეს:

**ერთმა ურჯულო თათარმა  
თოფსა დახვია ალიო,  
ცხენზეთი გადმოიტანეს  
დათუნა ალვის ტანიო...**

იგივე ფაქტი დამონმებულია არჩილ მეფის პოემაში „გაბასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, სადაც თვით თეიმურაზ მეფე გადმოგვცემს დათუნა ბატონიშვილის დალუპვას:

**ჩემი შვილი ხევეს ასლოდა,  
სხვას მეთოფეს შემოჰყროდა,  
შუბი ეკრას ამას მისთვის,  
იმას თოფი დაესწრო და,  
ეკრა გულსა, ჩამოეგდო,  
ვაი, რას დროსა შევესწრო და!**

მაშასადამე არავითარ ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს ხალხური ლექსის შესაბამისობა ისტორიულ სინამდვილესთან. ერთმანეთს ემთხვევა მოქმედ პირთა სახელები, ემთხვევა ბრძოლის ადგილი, ემთხვევა ქება დათუნა ბატონიშვილის სიმამაცისა და ემთხვევა მისი დალუპვის გარემოებანიც.

ლექსის ფინალში ვკითხულობთ:

**თმა-გლეჯით ჩამაატარეს  
სიასამურის ქალიო:  
„ჩემი მიჩვენეთ დათუნა,  
ცოცხალია თუ მკვდარიო“.  
„დათუნას ვინლა გიჩვენებს,  
წითლის ღვინით არს მთვრალიო“.**

სხვათა შორის, სპარსელი ისტორიკოსიც იმავე მეტაფორით გვიხატავს ქართველი ბატონიშვილის აღსასრულს: სიკვდილის მწარე ღვინით დათვრაო.

მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს „სიასამურის ქალი“?

სადავო არ უნდა იყოს, რომ დათუნა ბატონიშვილს თავისი ცოლი დასტირის, ოღონდ გაუგებარია მისი სახელი. თედო რაზიკაშვილის მიერ ჩანერილ ვარიანტში, გაუგებრობის თავიდან ასაცდენად, ეგებ ამიტომაც გაჩენილა არა „სიასამურის“, არამედ „ბაგრატიონის ქალიო“. არსებობს ამ ლექსის კიდეც ერთი ვარიანტი, რომელიც ხევესურეთში ჩაუწერია ალექსი ოჩიაურს, სადაც ვკითხულობთ:

**თმაგლეჯით ჩამაავლიეს  
ბიასლამიანთ ქალიო,**



— სადრა მყავ ჩემი დათუნი,  
მთელი ასა, თუ მკვდარიო!

თუკი გავიხსენებთ, რომ ქართველი ისტორიკოსების — ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბაგრატიონის — ცნობით, დათუნა ბატონიშვილს ცოლად ჰყავდა კათალიკოს ევდემოზ დიასამიძის ძმისწული, მაშასადამე — „დიასამიძის ქალი“, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ „სიასამურის ქალის“ ადგილას თავდაპირველად იქნებოდა „დიასამურის ქალი“, ხოლო „ბიასლამიანთ ქალი“ უნდა წარმოადგენდეს „დიასამიანთ ქალის“ სახეცვლილებას.

განხილული ლექსი, ჟამთა სვლის გამოისობით, არ არის დაზღვეული ანაქრონიზმებისაგან. თქვენ წარმოიდგინეთ, ჯაბალ-ხანი (XVII საუკუნე) თხოულობს ერეკლე მეფისაგან (XVIII საუკუნე) შემდეგს:

**ან გამისწორე ქალაქი,  
ან დაანებე თავიო.  
ან ქალი მამეც რუსუდან,  
გაზდილი ლერწმის ტანიო.**

ეს მოტივი ნასესხებია XIII საუკუნის ამსახველი ლექსებიდან და XVII საუკუნისათვის, ცოტა არ იყოს, ირონიულად ჟღერს გაჯავრებული რუსუდანის წამოძახილი (თავის დროზე, ზვარაზმმაჰ ჯალალედინის მისამართით): „არვინ გაზდილა სათათრე ბაგრატიონთა გვარიო“. სხვებს რომ თავი დაეანებოთ, თავად დათუნა ბატონიშვილის მამიდა ცოლად ეჯდა მაჰ-აბასს, ხოლო ლვიძლი და, სახელად თინათინი, — მაჰ-სეფის.

ერთი სიტყვით, ერთსა და იმავე დროში ჩანიკნიკებულან რუსუდან დედოფალი (ასული თამარ მეფისა), ერეკლე მეორე, დათუნა ბატონიშვილი და ის წყეული ჯაბალ-ხანიც, სინამდვილეში ჯამალ-ხანი რომ ერქვა.

ასე ემართება არაერთი მოამბისა თუ ჩამწერის ხელში გამოვლილ სტრიქონებს. მაგრამ მაღალი პოეზია ჩრდილავს ნებისმიერ გაუგებრობასა და ანაქრონიზმს.

აგერ, ლექსის პირველივე სტრიქონები იზიდავს მკითხველს ორიგინალური იერითა და იდუმალების ბურუსით. წარსულის უკაცრიელ მდუმარებაში თითქოსდა რეკს სამგლოვიარო ზარი, მისი ხმა ყრუდ აღწევს ჩვენამდე და თუმცა ჯერ არაფერი თქმულა კონკრეტულად, გუმანით გრძნობ, რომ ამგვარი დასაწყისი შემთხვევითი როდია, მძიმე და დაძაბულ მოლოდინში უნდა შემოიჭრას ტრაგიკული ამბავი, რომელმაც ბიძგი მისცა ლექსის დაბადებას.

აი, როგორ ჟღერს პრელუდია ტრაგედიისა:

**იმერეთის მთას გადადის  
აქლემთა ნატოტარიო,  
წვიმა დანვიმეს ღრუბელთა,  
დამდგარა ნაგუბარიო,  
ვარდის ჩაყრილა ფურცელი,  
დაღბერნებს, დასძრავს ქარიო.**

მკითხველს, ბუნებრივია, უჩნდება კითხვა, თუ საიდან გაჩნდა ამ ლექსში „იმერეთის მთა“ და კვლავ საისტორიო წყაროები გვანვიანი გასაღებს ამოცანის ამოსახსნელად.

ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს:

„ბატონს თეიმურაზს ყველგნით ღონე მოელო, აღარც სითმე მშველი და აღარც სახიზარი ალაგი, აღარც წასასვლელი გზა, არც ასაყრელათ ცხენი და ჯორი, აღარც მოხელე და მოსამსახურენი. კახნიც ქართველთ (ე.ი. ქართლებს) მისვლოდეს და მეფეს როსტომს ბატონს თეიმურაზის დაჭირვას ეპატივებოდნენ. ეს მეფემ უწყინა და ავად ჩამოართვა და ასე უბძანა — იმისი დაზდილი ხართო, იმას

რა კარგი უყავითო, რომ ჩვენ გვიყოთო. დაჭირვა შორს დაიჭირა და კახნი უფროსნი ერთ მეჯლისში ისხდენ. მეფემ წამოთქვა და ბრძანა: რა ქვეყანა დაარსებულაო, ამრიგი მუხანათობა კახთ თავის ბატონზედ არ უქნიათო, რომ ასლა ბატონს თეიმურაზსზედ ქნესო“.

როსტომის სიტყვები თეიმურაზს მოახსენეს და კიდევ ერთხელ ძლეული მეფე თავის მეუღლეს შეევედრა: როსტომ მეფე ბიძაშვილად გეკუთვნისო, შეეხვეწე, შვილი არ მოგვიკლასო, ჩვენი შენაცოდებიც გვაპატიოს და იმერეთს გასახიზნად ცხენ-ჯორი გვათხოვოსო.

სათხოვარზე მისულ ხორეშან დედოფალს, როსტომ მეფის ბრძანებით, დათუნა ბატონიშვილის სიკვდილი არ გაუმჟღავნეს. დიდი პატივით დახვდნენ და ტკბილი სიტყვით ანუგეშეს: თქვენს შვილს სიკეთის მეტი არა დააკლდების რაო. გამარჯვებულმა როსტომმა დამარცხებულ თეიმურაზს ხუთასი თუმანი უფეშქაშა და ხუთასი ცხენ-ჯორი ათხოვა იმერეთს გადასასვლელად.

იმერეთში რომ ჩავიდნენ, თეიმურაზის სიძემ, ალექსანდრე იმერთა მეფემ, ხალხი სატირალში შეჰყარა და, როდემდეღა დაუმაღავდნენ, დათუნა ბატონიშვილის სიკვდილი აცნობა ლტოლვილ სიმამრ-სიდედრს. ფარსადან გორგიჯანიძე ერთობ შთამბეჭდავი შტრიხებით აღწერს სამგლოვიარო ცერემონიას და ასკვნის: „აბა თუ ამ გამჟღავნების დღის ანბავი თუ სრულ დაგვეწერა, ტირილისაგან კაცი ველარ წაიკითხვედა“.

გამაჰმადიანებული ქართველი ისტორიკოსი, როსტომ მეფის ერთგული ყმა და მსახური, ღვთისგან მოვლენილ სასჯელად მიიმჩნევს თეიმურაზის თავზე დატრიალებულ ტრაგედიას, მაგრამ იმავდროულად კაცთმოყვარეობითა და სიბრალულით გადმოგვცემს თავისი ბატონის მოსისხლე მტრის შეჭირვებას.

არანაკლებ საგულისხმოა თავად როსტომ მეფის დიდსულოვნება. დაამარცხა თავისი მთავარი მტერი, მთელი თხუთმეტი წელიწადი რომ არ ასვენებდა ქართლის ბატონს და სამეფო ტახტს ეცილებოდა. განუწყვეტილ შფოთს აღვივებდა, შეთქმულებებს აწყობდა და ეს შეთქმულები ისევ კახთბატონს ინვედრდნენ ქართლში. ჰოდა, როგორც იქნა, საბოლოოდ დაამარცხა, ქართლს ვილა ჩივის, კახეთშიც ამოუკვეთა ფეხი, და რაინდულ კეთილშობილებას იჩენს ძლეული მეტოქის მიმართ. საამისოდ ხორეშანის ბიძაშვილობა, რა თქმა უნდა, არა კმაროდა.

მაგრამ ხალხური პოეზია თავისი სიყვარულით არ ანებივრებს გამაჰმადიანებულ მეფეს და მისი კეთილი საქმენი მართოდენ მემბატინათ შემოუნახავთ ჩვენთვის.

დიდებული ქართველი მკვლევარი ჩვენი წარსულისა პროფ. ზურაბ ავალიშვილი, ქართველ მეფეთა საგარეო პოლიტიკური კურსის ცვალებადობის დახასიათებისას, ორჭოფულად შენიშნავდა:

„ძნელი სათქმელია, ამ ორი პოლიტიკიდან რომელი იყო უფრო გონივრული. ოპორტუნისტმა მეფეებმა არაერთხელ გადაარჩინეს ქვეყანა აოხრებას, მაგრამ არაფერი გაუკეთებიათ ეროვნული თავმოყვარეობისა და ქრისტიანობისათვის; ხოლო „ჯვაროსანმა“ მეფეებმა არაერთხელ მოუტანეს ჭირ-ვარამი თავის უბედურ სამშობლოს, მაგრამ ისინი უყვარდათ და მათს ხსოვნას გულში სათუთად ინახავდნენ“.

ზემოთქმულის თვალსაჩინო დადასტურებას წარმოადგენს დათუნა ბატონიშვილისადმი მიძღვნილი ლექსიც, სადაც მოცემულია ყიზილბაშებთან ომში დაღუპული გმირის ნათელი სახე. მაგრამ ხალხური პოეზია დავინწყების დუმილით აჯილდოებს როსტომ მეფეს, რომელსაც გარკვეული სამსახური გაუწევია ქართველი ხალხისა და ქართული კულტურისათვის.

როგორც ჩანს, ხალხის მესხიერებაში უფრო მეტად მკვიდრდება თავგანწირული გმირობითა და ვაჟკაცობით გამორჩეულთა სახელები, ვიდრე იმათი, ვინც სხვაგვარად გამოიჩინა თავი ისტორიის ასპარეზზე.